ნოდარ
დვალაძე

თეთრი ბაირალეები

რესტორანი „მადა“

– გამარჯობა, ზაზა! – როსტომს გაუმარჯოს, – როსტომმა ჯერ მაგრად ჩამომართვა ხელი, მე რე ის ხელი ლოყაზე მომითათუნა.

– როგორ ხარ? – ისე რა. შენ როგორ ხარ? – ვკითხე მე და საათზე დავიხედე.

– გეჩქარება? – კიროვის ბაღში „სიცილიის ცის ქვეშ“ გადის, ხომ არ წამოხვალ, კარგი ფილმია. – ვუთხარი მე და ისევ საათზე დავიხედე.

– კარგი, თუ ძმა ხარ, ერთი წელია არ მინახიხარ! წამო, თითო დავლიოთ. – მთხოვა როსტომ მა.

– არა, ფილმი უნდა ვნახო! – ხომ ვიცი, მეასედ ნახულობ, წამო! უსაშველოდ ღონიერია როს ტომი. ისე მომიჭირა მკლავზე ხელი, პატიჟი აღარ დამჭირვებია, ჩემით ჩავირბინე რესტორ ნის კიბე და იქვე თევზების აუზთან, ცარიელ მაგიდას მივუჯექი, როსტომი დახლთან მივი და.

არა მგონია, რესტორან „მადაზე“ ბინძური, უგემური, ბნელი, ძვირი და მადის წამრთმევი რეს ტორანი არსებობდეს ქვეყანაზე, და თუ მუშტარი ჰყავს, მხოლოდ იმიტომ, რომ ყოველთვის ღიაა, დილის 7 საათიდან მეორე დილის 7 საათამდე, წინა კვირის ორშაბათიდან მეორე კვი რის ორშაბათამდე და ასე მთელი წლის განმავლობაში. „მადას“ ოფიციანტები ისეთი ჭუჭ ყიანი ხალათებით დადიან, რომ უბნის სანინსპექციის ექიმს შიგ შესვლა არ ჭირდება, დახლი დარი პირდაპირ კიბეზე აძლევს ანტისანიტარიისათვის გადადებულ ქრთამს. „მადას“ დახლი დარს, არქიფოს, მთელი თბილისი იცნობს და, რა თქმა უნდა, მეც ვიცნობ.

– რაა, არქიფო, ასე ბინძური რესტორანი, არ გრცხვენიათ? – ვკითხე ერთხელ.

– რესტორანი არ გახლავთ, ეს, ჩემო ბატონო, მუშათა სასადილოა! – მომიჭრა სიტყვა არქიფომ. იმ დღიდან მე, როგორც მომხმარებელი, „მადას“ ისეთ მაღალ მოთხოვნილებებს აღარ ვუყე ნებდი, როგორც წინათ, როდესაც იგი რესტორანი მეგონა.

დღეს რაღაც მეჩხრად ჰყავს მუშტარი „მადას“. ბნელი დარბაზის ბოლოში რვა-ცხრა კაცი ქეიფობს, შეზარხოშებულები ჩანან, უკვე ყაყანებენ და ისე ხშირად მიმართავენ ერთმანეთს: „თქვენი სახელი მაჩუქეთ, პატივცემულოო“, ეტყობა, ადრე ცალ-ცალკე ქეიფობდნენ და შემ დეგ შეაერთეს მაგიდები.

როსტომი მოვიდა, ათი ხინკალი, ნახევარი ლიტრი არაყი თავისი ხელით მოიტანა და მაგიდა ზე დადგა.

– მგონი, კონსერვიდან არის გაკეთებული, ისეთი სუნი აქვს! – თქვა როსტომმა, ცხვირი აიბ ზუა და ხინკალს, რაც შეიძლებოდა, ბევრი შავი წიწაკა მოაყარა, – მე გამითავდა, დამატება რომ დაგვჭირდეს, შენ რამდენი გაქვს? – მკითხა როსტომმა.

– სამი მანეთი! – უხერხულად გავიღიმე, გულის ჯიბეში ხელი ჩავაცურე, ფული ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. როსტომმა ფულს ხინკლიანი თეფში ისე დაადგა ზემოდან, ყური რომ გა მოსჩენოდა, თან არაყი დაასხა.

– გინდა, გასწავლო, როგორ უნდა დალიო ასი გრამი არაყი უფასოდ? – მკითხა როსტომმა.

წინასწარ ვიცოდი, რასაც მომიყვებოდა, მაგრამ არ გავაწბილე.

– მიდი! – ვუთხარი.– გუშინ მასწავლეს. – თქვა როსტომმა და გაიღიმა. – ესე იგი, უნდა მიხვი დე დახლთან და მოითხოვო არაყი, მერე ხინკალი, ხინკალი კი არა, ჯერ უნდა ჰკითხო დახ ლიდარს, რა ღირს არაყიო, მერე უნდა ამოიღო ფული და... დამავიწყდა! – თქვა მან, – ისე კი ძალიან სასაცილოა, თუ გამახსენდა, მერე მოგიყვები, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! – როს ტომმა ჭიქა მომიჯახუნა.
არაყი გადაჰკრა და, ვიდრე სულს მოითქვამდა, ხინკალი მიაყოლა.

– არ ჯობია ახლა ეს კინოს? – მკითხა, სული რომ მოითქვა. მეც გადავკარი და ძარღვებში რომ სითბო ვიგრძენი, მგონი კი ჯობია- მეთქი, გავიფიქრე.

– გინდა, გასწავლო? – ვკითხე ახლა მე როსტომს.

– რა? – მკითხა როსტომმა და ისევ დაასხა.

– აი, ის, წეღან რომ არაყის უფასოდ დალევას მასწავლიდი.

– მოდი რა, თუ ძმა ხარ! – შემევედრა როსტომი.

– უნდა მიხვიდე დახლთან, – დავიწყე მე, – და ჰკითხო დახლიდარს: – რა ღირსხუთი ხინკა ლი? – ათი შაური! – გიპასუხებს ის.

– მოიტა! – ეტყვი შენ. ის მოგცემს.

– არაყი რა ღირს ასი გრამი? – ჰკითხავ ისევ შენ.

– ათი შაური! – გიპასუხებს ის.

– არ მინდა ხინკალი, მოიტა არაყი! – ეტყვი შენ და ხინკალს დაუბრუნებ. ის წაიღებს ხინკალს და დაგისხამს ას გრამ არაყს. თრუხ! გადაჰკრავ შენ და წამოხვალ! – ეე! სად მიდიხარ! – გამო გეკიდება დახლიდარი.

– სახლში! – ეტყვი შენ.

– ფული? – გკითხავს ის.

– რისი ფული? – ჰკითხავ შენ.

– არყის ფული! – გეტყვის ის.

– ხომ მოგეცი ხუთი ხინკალი? – ეტყვი შენ.

– ხინკლის ფული? – გკითხავს ის.

– ხინკალი ხომ არ მიჭამია? – ეტყვი შენ.– არა! – გეტყვის ის.

– მაშ, რა გინდა? – ჰკითხავ შენ.

– არაფერი, ბატონო, ბოდიში, ბატონო! – გეტყვის ის, გაწითლდება და წავა.

– ვა, გენიალურია! – თქვა როსტომმა. – ვინ გასწავლა? – ციცკამ.

– რა ტიპია, მეც იმან მასწავლა, ოღონდ შენთვის უკეთესად უსწავლებია.

– ეგრე იცის იმან, ამოიჩემებს ხოლმე კაცს, – დავამშვიდე როსტომი. როსტომმა გულიანად გაიცინა.

მე და როსტომი ერთად ვსწავლობდით მეთხუთმეტე სკოლაში, მესამე კლასამდე, მერე როს ტომის მშობლები სხვა უბანში გადასახლდნენ და როსტომი რვა თუ ცხრა წელიწადი იყო აღარ მენახა. უნივერსიტეტში შევხვდი, მისაღებ გამოცდებზე, ფიზიკურზე აბარებდა. მე ვერ

ვიცანი, ძალიან დასრულებულიყო, დავაჟკაცებულიყო და გალამაზებულიყო. თვითონ მიც ნო.

როგორ მიცანი-მეთქი, რომ ვკითხე, – რა ცნობა გინდა, სულ არ გამოცვლილხარო. გაეცინა. მეორე კურსზე კვლავ დამეკარგა.სტადიონზე ვნახე ერთი წლის შემდეგ, ჩვენი „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ თამაშობდა. ცოტა დამაგვიანდა, რომ მივედი, ჩემს ადგილზე იჯდა. არ ავაყენე, ჩაიჩოჩა.
წავაგეთ. თამაშიდან ერთად წამოვედით, არ ვიცოდით, რაზე გველაპარაკა. ჩვენი სალაპარაკო მესამე კლასს არ სცილდებოდა.

– სად დაიკარგე? – მაინც ვკითხე ზრდილობისათვის.

– ეკონომიურად მიჭირს, მუშაობა დავიწყე და დაუსწრებელზე გადავედი. – მიპასუხა მაშინ.

აი, ახლაც არ ვიცი, რა ვკითხო, და ისევ იმას ვეკითხები, რაც შარშან ვკითხე.

– სად დამეკარგე, ბიჭო? – ვმუშაობ, ზაზა, აკი გითხარი? – სად მუშაობ? – რა მნიშვნელობა აქვს, პურის ფულს ვაკეთებ.

– რაღაც არ გეტყობა! – გავუღიმე მე და სასოებით გავხედე თეფშის ქვეშ ამოდებულ ჩემ სამმა ნეთიანს.

– სახლში მიმაქვს, დედა სულ დაბრმავდა, ნემსში ძაფს ვეღარ უყრის, ლიანდაგი ვეღარ გაჰ ყავს სწორად. – იმართლა თავი როსტომმა.– ღირდა მაგისთვის დაუსწრებელზე გადასვლა? – ვკითხე მე და მივხვდი, რა სისულელეც ჩავიდინე.

– ღირდა... – მიპასუხა დუმილის შემდეგ როსტომმა. – ღირდა... ერთ დღეს სახლში მივედი, დედაჩემი თავჩაღუნული იჯდა ლოგინზე, ვიღაც გავაგასიებული დედაკაცი ცხვირწინ კა ბას უფრიალებდა და უყვიროდა: ქალო, ბრმა თუ ხარ, ჭრა და კერვა თუ არ იცი, ვინ გაძა ლებს? მათხოვარი თუ ხარ, მითხარი და დაგეხმარები!.. სად ვიშოვო მე ახლა ასეთი ნაჭერი?! მიწა გახეთქე და სადაც გინდა მიშოვე... – დედაჩემს ეუბნებოდა ამას. – როსტომმა არაყი გა დაჰკრა, მე უსიამოვნოდ შემაჟრჟოლა.

– მერე? – ვკითხე მაინც.

– გახსოვს ჩვენი სკოლა, ვარაზის ხევიდან რომ ავდიოდით? – სიტყვა ბანზე ამიგდო როსტომ მა.

– მახსოვს! – ვუპასუხე და გულზე მომეშვა.

– მე დედა თხუთმეტ კაპიკს მატანდა საუზმისათვის სკოლაში, შენ? – მე – ოცდაათს.

– დოქების და ქოთნების ქარხანა იყოსკოლის გადმოღმა.

– აგურის ქარხანა. – გავუსწორე მე.

– ჰო, აგურის, ოღონდ ქოთნებსაც აკეთებდნენ, იმ უბნელ ბიჭებს „Кирпичная шайка“-ს ეძახ დნენ.

– დილით გვხვდებოდნენ და ფულს გვართმევდნენ, გახსოვს? – როგორ არ მახსოვს, არადა, მა შინ თხუთმეტ კაპიკად ერთი ფრანგული ფუნთუშა და ორი სოსისკი იყო თავის მდოგ ვიანად.

– მაგათი დედა ვატირე! – დამენანა ბავშვობისდროინდელი თხუთმეტი კაპიკი.

– იცი, დილით რატომ გვხვდებოდნენ? – მკითხა როსტომმა.

– რატომ? – იცოდნენ, თუ სკოლაში შევასწრებდით, იმ ფულს ბუფეტში დავხარჯავდით.

– მაგაზე სულ არ მიფიქრია. – გამიკვირდა მე, თან გამეღიმა იმ ბიჭების ეშმაკობაზე.

– მაშინ არც მე მიფიქრია, ახლა მივხვდი, მუშაობა რომ დავიწყე, ჩვენი პროფკავშირის თავ მჯდომარე ეგრე გვართმევს საწევროს, ჯამაგირის დროსსალაროსთან გვხვდება.

– მაინც სად მუშაობ? – ვკითხე როსტომს.

– გარაჟში, მანქანების მრეცხავად, – უხერხულად გაეღიმა, – ერთი სამმანეთიანიც დაგვხატავ და. – თქვა როსტომმა და ძირში მისულ ბოთლს გახედა, მერე მზერა თეფშის ქვეშ ამოდე ბულ სამმანეთიანის ყურზე გადაიტანა, ისე შეხედა, თითქოს იმ თეფშის ქვეშ გაქონილი სამ მანეთიანი კი არა, ნატვრისთვალი დებულიყოს.

უცებ ჩვენს მაგიდას უზარმაზარი, ულვაშებად ქცეული, გალეშილი კაცი მოადგა. მარცხენა ხელში ერთი ბოთლი საფერავი ეჭირა, მარჯვენაში – სკამი.

– საქართველოს ძლიერების, აღორძინებისა და შემართების ვაჟკაცური გაგების იმაში...

გაუმარჯოს! – გვესროლა ლოზუნგი.

– გაუმარჯოს! – ავიტაცეთ ლოზუნგი ჩვენ.

– თქვენი სახელი მაჩუქეთ! – მიმართა სლოკინით როსტომს.

– როსტომი! – აუჰ! თქვენი? – მომიბრუნდა ახლა მე.– ზაზა! – ხო, ხო, ხო, ამირან-დევი შეიბ ნენ, არა? მიწას გაჰქონდა გრიალი, არა?.. თქვენ გენაცვალეთ საქართველოს კეკლუც ბუნება ში და თქვენს სუფრას ვკოცნი ტუჩებში...

– დაბრძანდით, ბატონო! – შევაშველე მე ხელი.

– ჩემი სკამით და ღვინით ვარ მოსული, ხომ მიმიღებთ? – მკითხა მან, და, ვიდრე თანხმობას ვეტყოდით, ჩვენი უკანასკნელი ხინკალი დააყოლა სლოკინს.

– დაბრძანდით! – გაუმეორა თხოვნა როსტომმა.

– ჩვენ იქ ვქეიფობთ, მე და ჩემი მეგობრები: ერთი, ორი, სამი, მე მეოთხე ვარ. – დაირტყა მჯი ღი გულზე ჩვენმა სტუმარმა.

– რა გნებავთ, ბატონო? – ჰკითხა როსტომმა.

– მე მნებავს თქვენთან ერთად „საფლავშიაც, აქაც, იქაც...“ – წაუღიღინა სტუმარმა.

– ჩვენ უნდა წავიდეთ ახლა, ბატონო! – წამოვდექი მე.– რაო? – მკითხა სტუმარმა და ისე მაგ რად დაჰკრა ფსკერით ბოთლი მაგიდას, რომ ნახევარი ბოთლი ღვინო შიგ ცხირ-პირში შეეს ხა როსტომს.

როსტომი გაფითრდა, ფეხზე წამოდგა, ერთხანს მონუსხული- ვით უყურა სტუმარს, მერე ხე ლის მოსმით ჩამოიწმინდა სახე და სისხლისფრად შეღებილ ხელისგულზე დაიხედა.

– თქვენი სახელი მაჩუქეთ, პატივცემულო, – ძალიან წყნარად ჰკითხა როსტომმა სტუმარს.

– აკაკი, კაკო, კაკი! – ჩამოთვალა მან და დაჯდა. ახლა იგი იჯდა და ჩვენ ვიდექით ფეხზე, – დაბრძანდით! – გვთხოვა მან. ჩვენ დავსხედით.

– თუ შეიძლება, გვითხარით, რა გნებავთ, ბატონო, აკაკიკაკოკაკი! – ისე ჩაუკაკანა როსტომმა, რომ მე მარტო კი არა, თვითონაც გაეცინა.

– ყველაფერს მართმევენ, გენაცვალე, ყველაფერს! – ჩურჩულით გვითხრა აკაკიკაკოკაკიმ და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა შეთქმულივით.

– ვინ? – ვკითხე მეც ჩურჩულით.– ისინი, – თქვა აკაკიკაკოკაკიმ და თავი გაიქნია გაურკვეველი მიმართულებით, – მგლეჯენ, მბწკვნიან, საკუთარ სახლში ლაპარაკს მიკრძალავენ, საკუთარი ხარჯით, ვიღუპები! – რაშია საქმე, ბატონო, აღარ გვეტყვით? – ჰკითხა როსტომმა და ღვინო დაისხა აკაკიკაკოკაკის ბოთლიდან.

– სისხლს სვამენ ჩემსას! – იყვირა აკაკიკაკოკაკიმ. როსტომმა ცივად დადგა ჭიქა, – სისხლს სვამენ და ყველაფერს მართმევენ, მბწკვნიან... ლოგოს, – დააყოლა ლათინური კილოთი.

– ვინ? – ვკითხე ისევ მე.

– ისინი, ლაპარაკს არ მაცლიან, სიტყვას არ მაძლევენ, ღვინო ჩემი, პური ჩემი, ხარჯი ჩემი. შევერთდეთო, გავერთიანდეთო, ძმობაო, სიცრუე, სიყალბე, მაგიდა მაგიდას მივადგით, იქ მე ვიყავი თამადა, აქ კი ეს ჩიფლახი, ეს ქოსა, ეს დაკოდილი, ცვედანი სიტყვას არ მაძლევს ჩემს სუფრაზე. გიორგი სააკაძის, თამარა გიორგევნას და დიდი დავითის ნაგრამს შეხედეთ, რას გავს, უჰ, მაგის დედა კი ავატირე!! – აკაკიკაკოკაკიმ იქითკენ გაიქნია თავი, საიდანაც მოვიდა. იქიდან უკვე ისეთი ხვევნა- კოცნა, ღრიანცელი და სიმღერა ისმოდა და ისე იყვნენ მთვრალები, ერთმანეთში არეულები, შეუძლებელი იყო მიმხვდარიყავით, ვისზე იყო კერძოდნაწყენი აკაკიკაკოკაკი.

– თქვენს მეგობრებზე ამბობთ? – ვკითხე მე.

თამადაო, ბალერინა, ღვინო არ დაგვალევინა, ეს თამადა პლისეცკაია, ასეც კაია, ისეც კაია, – ისმოდა შეზარხოშებული სუფრიდან.

– გესმის? არა, შენ გეკითხები, გესმის? თამადაო ბალერინაო. ვინ არის მაგათი მეგობარი? – გაუკვირდა აკაკიკაკოკაკის.

– მე, მე ვარ მაგათი მეგობარი? – Фямхйо, дямюху! – Батальон, смирно! Равнение на середину!

Прямой наводкой огонь!..

ხელში ცემა ვერ მოვასწარი, ბოთლმა საფეთქელთან ჩამიქროლა, ჩაბნელებული დარბაზის ბოლოში მოქეიფეთა სუფრის თავზე იფეთქა ყუმბარასავით და დამსხვრეული შუშები მაგიდაზე დაიბნა.

– ჰეი, ჰეი! – მომესმა არაადამიანური ბღავილი დარბაზის ბოლოდან და პირველი ბოთლის აფეთქებას მეორე მოჰყვა. ეს უკვე ჩვენი არყის ბოთლი იყო. და უცებ რვა მხეცად ქცეული, არ ვიცი, სისხლითა თუ ღვინით მოთხვრილი, ხელში სკამშემართული შემზარავი სხეული დაიძრაჩვენი მაგიდისაკენ.

* * *

მე მახსოვს, როგორ გაარტყა როსტომმა ყბაში აკაკიკაკოკაკის თავისი უზომოდ დიდი მუშტი, როგორ მინაბა უკანასკნელმა თვალები და როგორ გადაესვენა მუცლით მაგიდაზე, მერე რო გორ დაეშვა ჩემს თავზე სკამი, როგორ წამოწვა გაღიმებული როსტომი აკაკიკაკოკაკის გვერ დით, როგორ ატრიალდა მაგიდა, როგორ გასკდა დარბაზის ჭერზე მბჟუტავი ოცდათხუთმეტ ვოლტიანი ნათურა, როგორ ჩამესმა მილიციე- ლის სასტვენის შორეული გალობა და როგორ მოიცვა წყვდიადმა სამყარო...

და იმ წყვდიადში ჩემთან მოვიდა კაცი, შემახო ხელი მხარზე და მითხრა: – ადექ შენ! – რა ბრძანეთ?
– ვკითხე მე და ცხვრის ქურქში გახვეულ წვერგაუპარსავ კაცს მივაშტერდი.

– ადექ შენ და წამოდი ჩემთან! – რომ ვერ ვდგები, ჩემო ბატონო? – შევღაღადე მე. მაშინ იგი შე მიდგა მხარში, ფეხზეწამომაყენა და წინ გამიძღვა. მე მთვრალივით გავყევი უკან, ძალიან დიდხანს, დიდხანს ვიარეთ, ვეღარ მივდიოდი, ფეხები მეკეცებოდა, იყო საშინელი უკუნი ღამე და მხოლოდ იმ კაცის ნათელი თავი მინათებდა გზას. ბოლოს შედგა იგი რკინის სარკმელდატანე- ბული შავი და ბნელი სახლის წინ და მიბრძანა: – შევედ შენ კიდობნად! – მეშინია! – ვთქვი მე და უკან დავიხიე.

– შევედ შენ კიდობნად, რამეთუ მოჰხადოს ღმერთმა წყლით რღუნა ქუეყანასა ზედა ორმეოც თა დღეთა და ორმეოცთა ღამეთა და აღხოცოს ყოველი აღდგომი რომელი შეჰქმნა პირისა გან ყოვლისა ქუეყნისა.

– რაშია საქმე, ბატონო, რატომ, რისთვის, რა დავაშავეთ ასეთი? – გამიკვირდა მე.

– თქუა უფალმან ღმერთმან ჩემს მიმართ: ჟამი ყოვლისა ხორციელისა მიიწია წინაშე ჩემსა: რა მეთუ აღივსო ყოველი ქუეყანა უსამართლობითა მათგან და აჰა მე განვხრწნი მათ და ქუეყა ნასა.

– ასე გითხრათ? – ასე თქვა უფალმან ღმერთმან ჩემს მიმართ.

– კი მაგრამ, თქვენ ვინ ბრძანდებით? – ვკითხე მოხუცს.

– მე ნოე ვარ.

– რომელი ნოე? – ნოე! – გამიმეორა მან და კვლავ დამადო მხარზე ხელი.

– ააა! – ვთქვი მე და მაშინღა მივხვდი, ვის ველაპარაკებოდი. ჩემს წინ წარღვნის შემდგომი კა ცობრიობის მამა, ნოე იდგა, იქნებოდა ასე, 595-600 წლის, მაგრამ საოცრად მხნედ და ახალ გაზრდულად გამოიყურებოდა.

– სად არიან, ბატონო ნოე, თქვენი შვილები: სემ, ქამ და იაფეტ? – შენ ხარ ძე ჩემი, ზაზა! – სად არიან ცხოველები? – ჩვენა ვართ ცხოველნი და პირუტყვნი და მხეცნი! – სად არიან ფრინვე ლები? – ჩვენ ვართ ფრინველნი და ქვეწარმავალნი; ნუღა აყოვნებ, შევედ შენ კიდობნად! – მაშინ გაიღო ბნელი და შავი სახლის დახშული რკინის კარი და მე შევედ კიდობნად...

და იქნა რღუნა, ხოლო წყალი ამაღლდა ფრიად, ფრიად ქუეყანასა ზედა და დაფარნა ყოველნი მთანი მაღალნი, რომელნი იყუეს ქუეშე ცისა და მოკუდა ყოველი ხორცი მოძრავი ქუეყანასა ზედა.

მეხუთე მეათე

მეხუთე მეათე

მომხდარი ამბის შემდეგ, ზუსტად მესამე დღეს, გაზეთ „თბილისში“, იქ, სადაც გარდაცვლილ თა ოჯახების, ნათესავების, მეგობრებისა და დაწესებულებათა განცხადებებს ათავსებენ, ასე თი სამგლოვიარო განცხადება გამოქვეყნდა: და გურანდა, სიძე ამაიაკ ალავერდიანები, ბიძაშ ვილები: ცუცა, მარო, ლილი, მაკა, გვანცა, ცაბუ, ირა, ცოტნე, დეიდაშვილი ია ზარიძე, მამი დაშვილები: გუბაზი და ვალერიან იორამაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვლადიმერ (ჯანო) თეოფანეს ძე სოსელია პანაშვიდი 11, 12, 13, ვ, 8 ს. დაკრძალვა 14. ვ, 5 ს. გამოსვენება კუტუზოვის ქ. მ 251.

ხოლო ზუსტად მეათე დღეს, იმავე გაზეთში, რუბრიკის ქვეშ „კანონიერების სადარაჯოზე“ შემდეგი შინაარსის სტატია გამოქვეყნდა!

„აბა, რა ეგონათ?“

დიდი ხანია ერთმანეთი არ ენახათ ძველ „მეგობრებს“ როსტომ ამილახვარსა და ზაზა ნაკაში ძეს, და, აი, ა. წ. 8 მაისს შეხვდნენ ერთმანეთს „დოსტები“ რესტორან „მადას“ შემოგარენში. გა დაეხვივნენ ერთმანეთს პროფესიონალი ცუღლუტები (გვარებიც ხელს უწყობდათ) და ვინ იცის, საიდან და რა გზით ნაშოვნი ფულით რესტორან „მადაში“ არაყით პირის ჩატკბარუნება განიზრახეს. ამ დროს იქვე, მათ გვერდით, დარბაისლურად ქეიფობდნენ პატიოსანი მოქალა ქენი. აუვარდათ რა ნაკაშიძესა და ამილახვარს თავში ბახუსი, მათთვის ადრევე ჩვეული და შემჩნეული უშვერი ლანძღვა-გინება დაიწყეს რუსულად და მალიმალ იხედებოდნენ დარბა ისლურად მოქეიფე მოქალაქეთა მიმართულებით. ასე გრძელდებოდა რამდენიმე ხანს, მაგრამ ამ გარეწართა აღვირ- ახსნილობას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე, მიუხედავად მე ბუფეტე ა. ს-ის არაერთგზის გაფრთხილებისა და თხოვნისა, საზღვარი არ უჩანდა. მაშინ იქვე დარბაისლურად მოქეიფე მოქალაქეთა ჯგუფს გამოეყო მოქალაქე ა. ს. მიუახლოვდა დებო შიორებს და მამაშვილურად უთხრა: – ახალგაზრდებო, ხომ იცით, რომ ალკოჰოლი უარყოფი თად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, ზნეობრივ საქციელსა და გონებრივ მუშაობაზე? გთხოვთ, წაბრძანდეთ სახლში, დაისვენოთ, სწავლა გააგრძელოთ უმაღლეს სასწავლებელში და თქვენს ნახარჯს მე გადავიხდიო. – არ იღეს ყურად მოქალაქე ა.ს-ის თხოვნა აღვირ- აწყვეტილმა ხუ ლიგნებმა, ჯერ მაგრად დაარტყეს ყბაში მუშტები მოქ. ა. ს-ს და ტვინის კომოციო (შერყევა) დამართეს, შემდეგ კი გამგელებულებმა დაუშინეს ბოთლები დარბაისლურად მოქეიფე მოქა ლაქეთა გუნდს, სადაც ერთ-ერთმა ბოთლმა იმსხვერპლა მოქალაქე ვ. სოსელია, რომელიც სას წრაფო დახმარებაში მიყვანისთანავე რამდენიმე ხანში გარდაიცვალა. ის-ის იყო აპირებდნენ გაპარვას და სასჯელის თავის არიდებას ადამიანის სახედაკარგული ამილახვარი და ნაკაშიძე, რომ დროზე მიუსწრეს მათ ორჯონიკიძის რაიონის მილიციის სამძებრო განყოფილების უფ როსის მოადგილემ ლეიტენანტმა ამხ. ლეგაშვილმა, რიგითებმა ბ. თარაშვილმა, ვ. რუსიძემ, ს. ბერძენიშვილმა, ბ. სისოევმა, ვ. კვერნაძემ, დ. არაბულმა და შეიპყრეს დღემდე გაურკვეველი მიზეზის გამო სამართალში არასდროს ყოფილი არამზადები და სადაც ჯერ არს, იქ მიაბრძა ნეს. ამჟამად ამფსონები ზ. ნაკაშიძე და რ. ამილახვარი ციხეში იმყოფებიან. მალე წარსდგები ან სამსჯავროს წინაშე და დამსახურებულ სასჯელსაც მიიღებენ. „აბა, რა ეგონათ?“

* * *

მეტეხის ციცაბო კლდის თავზე, იქ, საიდანაც ახლა ცხენზე ამხედრებული, მარჯვენაამართუ ლი გორგასალი თავზეხელაღებულ მძღოლებს აფრთხილებს, – მოსახვევში ცოტა ფრთხილად იყავითო – და სწორედ იქ, საიდანაც სიცოცხლეზე ხელჩაქნეული თბილისელები ერთმანეთის წამხედურობით კისერზე ქვაგამობმულნი ეშვებოდნენ ხოლმე ახლა აუტანლად ბინძურ და აშ მორებულ მტკვარში, იდგა მრავალტან- ჯული მეტეხის ციხე, ამ სიტყვის საპყრობილესეული გაგებით.

რევოლუციური მოძრაობის აღორძინებისა და შემდეგ რეაქციის მძვინვარების წლებში, უცებ იმდენმა ხალხმა მოინდომა თავისუფლება, რომ პატარა მეტეხის ციხემ ვერ დაიტია ისინი და იმ დროისათვის საქვეყნოდ ცნობილი მეწარმე მანთაშოვი იძულებული შეიქნა ორთაჭალაში საფეიქრო ქარხანად გახაზირებული ორი უზარმაზარი ოთხსართულიანი შენობა, თავისი სარ დაფებითა და საწყობებით, საგუბერნიო ციხედ გადაეკეთებინა და დაბადების დღეზე საჩუქ რად ებოძებინა რომანოვების დინასტიის უკანასკნელი მეფისთვის მისი უდიდებულესობის სრულიად რუსეთისა,პოლონეთისა და სხვათა და სხვათა... იმპერატორის, ნიკოლოზ მეორი სათვის, რაიც, 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკების მიერ კონფისკაციაქმნილი, ადრევე „გუ ბერსკის“ ციხედ წოდებული, ფუნქციისა და სახელის შეუცვლელად გადაეცათ მშრომელებს უვადო სარგებლობაში.

ციხეს დიდი ალფაბეტიანი დავთარი გააჩნია. ვისაც სურს თავისი პატიმრის ადგილსამყოფე ლის ზედმიწევნით კონკრეტული დაზუსტება, უნდა მივიდეს ციხის ადმინისტრაციულ შენო ბაში, მიუკაკუნოს სარკმელს, რომელსაც „კანცელარია“ აწერია და თუ გაიღო, ჰკითხოს სარ კმელს სასურველი გვარი. ღია სარკმელი მოძებნის სასურველ გვარს იმ დიდ ალფაბეტიან დავ თარში, და დროის სულ მოკლე მონაკვეთში, დაახლოებით ერთ-ორ წუთში შემკითხველისათ ვის ყველაფერი ნათელი გახდება.

მე ამ დავთარში ასო „ნ“-ზე ვარ. ჩემი გვარისა და სახელის გასწვრივ წერია: – დაპატიმრებუ ლია ამა და ამ წლის 8/ვ. ციხეში გადმოყვანილია 11/ვ, კორპუსი ვ, საკანი ხ. წინასწარი ძიებით მიყენებული აქვს საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლი.

ხოლო რა წერია ამ 110 მუხლში,ამასცოტა გვიან გავიგებთ თქვენცა და მეც.

* * *

ჩემი საკნის ფანჯრიდან რომ გაიხედავთ, პირველად საგუშაგოს კოშკი და მის მოაჯირზე არ ხეინად ჩამომჯდარი გუშაგი გეცემათ თვალში, მერე – ადმინისტრაციული შენობა და ციხის უფროსის კაბინეტის სარკმელი, ეს ერთადერთი სარკმელია ციხეში, რომელსაც რკინის მესე რი, ანუ გისოსები არა აქვს და რაფაზე, ოღონდ გარედან, ყვავილის რამდენიმე ქოთანი დგას სიმაღლის მიხედვით ისე, როგორც ზოგიერთ ოჯახში როიალზე ან პიანინოზე სპილოებია ხოლმე ჩამწკრივებული. ოთახებში არავითარი ყვავილები არ არის, ეტყობა ერთ დროს, ციხის

რომელიღაც უფროსი ყვავილების მოყვარული ყოფილა და ეს ქოთნები შიგნით ელაგა კაბი ნეტში ნაირ-ნაირი ყვავილებით აბიბინებული. შემდეგ მოსულა უფროსი, რომელსაც ყვავილე ბი არ ყვარებია, მაგრამ ამის გამჟღავნება ცოტათი უხერხულად მიუჩნევია და იმ საბაბით, რომ მცენარეს, რაც შეიძლება, მეტი სუფთა ჰაერი და წყალი სჭირდებაო, ყვავილები გარეთ გა მოუდგამს,იმის შემდეგ მისულს კი ყვავილები სულ არ გახსენებია და დგანან ახლა ცარიელი ქოთნები შიგ ჩაკირული და გამხმარი მიწისაგან დამსკდარნი, სიმაღლის მიხედვით, ფანჯრის რაფის გადმოღმა და ამაოდ ისმენენ სოფელ კრწანისის ბილიკზე დაშვებული, ზურგზე ტომა რამოკიდებული გლეხის ღიღინჩარ- თულ გაბმულ ყვირილს „ყვავილების მიწაااა, აბა, ყვავი ლების მიწაااა!“ ციხის უფროსის კაბინეტის გვერდით ციხის ზედამხედველის კაბინეტია.

ეს სამი უბანი: საგუშაგო, ციხის უფროსისა და ზედამხედველის კაბინე- ტები იმიტომ კი არ გეცემათ პირველად თვალში, რომ რაიმე დიდ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, არა, მათ შო რის რაღაც მაგიური კავშირი არსებობს. კერძოდ, თუ კოშკზე არხეინად წამოსკუპებულმა გუ შაგმა შეგამჩნიათ, რომ ფანჯრიდან იყურებით, იგი ისეთ გამომეტყველებას მიიღებს, თითქოს არ დაუნახიხართ, შეიძლება, ზურგიც კი შეგაქციოთ, შემდეგ ასევე არხეინად აიღებს კოშკუ რის ძელზე ჩამოკიდებულ ყურმილს და თუ თქვენ მზერას გადაიტანთ ციხის უფროსის კაბი ნეტზე, ნახავთ, რომ იმავე წუთში თავის კაბინეტში ყურმილს აიღებს ციხის უფროსი, იგი თავს დაიქნევს კმაყოფილებით და ვიდრე ყურმილს დაკიდებს, მეორე ტელეფონის ყურმილს აიღებს და თუ თქვენ ახლა მზერას ზედამხედველის კაბინეტზე გადაიტანთ,დაინახავთ, რომ ამ დროს ზედამხედველიც აიღებს ყურმილს და თავის მხრივ ისიც მეორე ტელეფონის ყურ მილს აიღებს, მერე დერეფანში, რომელშიც თქვენი საკანია განლაგებული, გაისმის ზარის გაბ მული ხმა, მერე უცებ შეწყდება ზარი და, თქვენ თუ ფანჯრიდან ჩამოსვლა ვერ მოასწარით, გაიღება საკნის კარი, ფანჯრიდან ძალით ჩამოგიყვანენ და ეგრეთ წოდებულ „ციხის ციხეში“ – კარცერში მიგაბრძანებენ 3 დღე- ღამით. თუ რას ნიშნავს ეს, ამის გაგების საშუალება თვით კარცერში მოგეცემათ. არსებობს კარცერში მოხვედრის უფრო მოკლე გზა, როდესაც კოშკზე არხეინად წამოსკუპებული გუშაგი უშუალოდ თქვენი დერეფნის ზედამხედველს ურეკავს, მაგრამ ამას მხოლოდ ახალბედა, გამოუცდელი და გულუბრყვილო გუშაგები აკეთებენ, მათ არ იციან, რომ კარიერა ასე მოკლე გზით ძნელად კეთდება.

თუ ვერ შეგამჩნიეს და სარკმლიდან არ ჩამოგიყვანეს, ზემოხსენებული ობიექტების შემდეგ თვალში საპატიმროს ეზო გეცემათ. ეზო ოთხკუთხედია. ეზოს თავის მხრივ ბაგის ტიპის ოთ ხკუთხა და შიგნით ოთხად გადატიხრული გალავნიანი და კოშკურებიანი ეზო აქვს. ეს სასე ირნოდ გამოყვანილი პატიმრების ადგილია. ოთხად იმიტომ არის გაყოფილი, რომ ოთხი საკა ნი ერთად გამოიყვანონ და ასეირნონ. სეირნობა, გარდაავდრისა, ყოველდღეწარმოებს ნახევა რი საათიდან ერთ საათამდე, სეირნობის დრო ციხეში პატიმრების საერთო რიცხვზეა დამოკი დებული. შემდეგ ჩანს სამზარეულო. სამზარეულოდან ზუსტად ისეთი სუნი მოდის, როგო რიც აქვს იმ საჭმელს, რომელსაც ჩვენ გვაჭმევენ. სამზარეულოს მარჯვნივ საავადმყოფოა, ცო ტა მარჯვნივ – მორგი, საავადმყოფოს კართან მზეზე გასაშრობად გამოტანილი ახალშეღები

ლი კუბოც შეიძლება დაინახოთ, ეს ციხიდან გასვლის ყველაზე უტყუარი საშუალებაა. და ბო ლოს, უზარმაზარი რკინის ალაყაფია.

ეს ის უცნაური კარია, რომელშიც ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად შემოჰყავთ და რომლიდანაც იგივე ადამიანები თითო-თითო გაჰყავთ. ეს კარი რომ გაიაროთ, სამი გზა არსებობს – ან მარ თალი უნდა იყო, ან მისჯილი, ან წიქარა. თუ წიქარა ხარ, ძალიან ძნელია, რადგან ეგ კარი სწო რედ ის მეცხრე კარია, წიქარას რომ რქა მიატყდა.

რაც მოგახსენეთ, ეს ციხის შიდა მეურნეობაა. იგი, ალბათ, უფრო რთულია, მაგრამ ჩვენი სარ კმლიდან მეტი არ ჩანს. გარე სამყარო კი ჩვენთვის დაახლოებით ასი მეტრი სიგრძის ქუჩის გაღმა მხარეა: თავისი ლუდის პატარა ბუდრუგანით, აფთიაქით, საპარიკმახეროთი და ქუდე ბის ატელიეთი, ეს არის და ეს. ესსათვალთვალო პუნქტი, ესე იგი ჩვენი სარკმელი, შოშიას ეკუთვნის. შოშია პატიმრის სახელია, ჩემთან რომ ზის. თავიდან შოშია ზედმეტი სახელი მე გონა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ძალზე ჰგავს შოშიას, შავია და ნისკარტიანი, მეორეც იმიტომ, რომ სულ ფანჯარასთან ზის შოშიასავით და სწორედ ამიტომ ნახევარი დრო კარცერში აქვს გა ტარებული. თქვენ გგონიათ, შოშიას ეშინია კარცერის? პირიქით, ერთხელ მითხრა: – შენ რა იცი, რა სიხარულია კარცერიდან რომ გამოვალ და ფანჯარაში გადავიხედავ, მაგრამ მაგას შენ ვერ გაიგებ, ჩემო ზაზა, ვერ გაიგებ. ეგ რომ გაიგო, შოშია უნდა იყო. გალიაში უნდა იჯდე და ბუდეში ორი ბარტყი უნდა გეჯდეს, პირდაფჩენილი, ორი ბარტყი...

შოშიას იმ ორი ბარტყის სურათი თან აქვს წამოღებული, დღეში ერთი ათჯერ მაინც ამოიღებს და ყველა ამოღებაზე მჯიღისხელა კურცხალს აღვარღვალებს.

– იდიოტი მამა მოგიკვდეთ, შვილებო, რა ჩემი საქმე იყო ასკილისა და მაყვლის წვენი, ვგდებულიყავი ტექნიკუმში სამეურნეო ნაწილის გამგედ, მაყუთს ვერ ვაკეთებდი თუ რა? მაგ რამ არ გაძღა მაიმუნი დედათქვენის მუცელი.. ახია, ახი.....

– არა გრცხვენია, შოშია, რეებსლაპარაკობ საკუთარ ცოლზე? – ვუსაყვედურებ ხოლმე.

– არ გაძღა, ზაზას შემოვევლე, არ გაძღა, მაგის ჯიგარი დავხიე. ახლა მიადგეს და ყიდოს ის ბრილიანტის ბეჭდები, როდემდე ეყოფა, იმასაც ვნახავ, მე უეჭველად ათწლიანი ვარ, ვარ, მაგის... სულ ერთია, რომ გავალ, გავუშვებ და ჩემს მეზობელ სირანას შევირთავ... – აქ შოშია შეჩერდება ხოლმე და შემდეგ აუწერელი სინანულით დააყოლებს: – იცი, რა ტოლმას აკე თებს? საკანში ჩემსა და შოშიას გარდა კიდევ რვა კაცი ზის. საკეტის ჩხარუნი მესმის. საღა მოა. ალბათ ზედამხედველია.

შემოვა და ძილისპირულ სიას წაგვიკითხავს.

კი, ის არის... საკნის კარი მძიმედ გაიღო. კარში ახალგაზრდა ზედამხედველი ჩადგა, პირველ ად ვხედავთ, ახალბედაა. სუყველანი ფეხზე წამოვდექით.

ზედამხედველმა თვლა დაგვიწყო: – ერთი, ორი, სამი, ოთხი, – თან გაფშეკილ ცერსა და საჩვე ნებელ თითს იქნევდა ჩვენსკენ რევოლვერივით, – ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა. – ისმოდა გასრო ლასავით.
დათვლილი უნდა დამჯდარიყო, ზედამხედველს თვლაში ხელი რომ არ შეშლოდა, ჩვენც ნატ ყვიარებივით ვეშვებოდით და ფეხზე მხოლოდ ისინი იდგნენ, რომლებსაც ტყვია ელოდათ, – ცხრა, ათი! – ყველანი ვიჯექით.

– მამასახლისი რომელია? – იკითხა ზედამხედველმა.

– მე გახლავართ! – ამბობს უსაშველო მეგრული აქცენტით ერთ- ერთი და ფეხზე დგება.

– გვარი! – გოგოლი, – ზედამხედველმა ირიბად გამოხედა პატიმარს.

– სახელი! – ჭიჭიკო! – გვარი! – გაუმეორა კითხვა ზედამხედველმა.

– ხომ მოგახსენეთ, უფროსო, გოგოლი-თქვა, – უპასუხა ჭიჭიკომ. ზედამხედველს სისხლი მო აწვა თვალებში.

– კარცერში ამოგალპობ! – იბღავლა უცებ მან.

– ახალია! – თქვა ვიღაცამ.

– ფეხებს ვერ მომჭამ ძირში, პატივცემულო, ნამდვილად გოგოლი გახლავარ მე და იმიტომ! – დაუმატა მშვიდად ჭიჭიკომ და დაჯდა. ზედამხედველმა პატიმრების სიას ჩახედა და გაკ ვირვებული დააშტერდა ჭიჭიკოს, მერე უხერხულად შეიშმუშნა და სიის კითხვა დაიწყო: – 1. დევდარიანი! – აქა ვარ!– 2. ნაკაშიძე! – მე გახლავართ! – ვუთხარი, რადგან ძალიან წინ ვი დექი.

– 3. გულოიან! – მეც აქა ვარ! – 4. გოგოლი! – ჭიჭიკომ არც ხმა ამოიღო, არც ადგა.

– გოგოლი! – გაიმეორა ზედამხედველმა.

– არ ვარ, ბატონო, გოგოლი, პუშკინი ვარ მე, ტოლსტოი ვარ, ილია ჭავჭავაძე ვარ, დუტუ მეგ რელი ვარ და გრიბოედოვი ვარ! გაიგეთ ახლა, ვინ ვარ? – წამოხტა ჭიჭიკო ფეხზე. – არ ვარ

მე გოგოლი. ამომშალეთ მაგ დასაწვავ სიიდან და გამიშვით სახლში, ბიჭოს?!!! – იკივლა ჭკუაზე გადასულმა გოგოლმა. საკანში ხარხარი ატყდა. ახალბედა ზედამხედველი ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე თვითონაც გაეცინა.

– საიდან ხარ? – ჰკითხა გოგოლს.

– ნახარებაოდან ვარ, დაიწვა იქაურობა, ორასი წლის წინ ბაბუაჩემის ბაბუა ჩამოსულა და გა მეგრელებულა, თვითონ რა ენაღვლება მაგას. წევს ახლა დადიანივით არხეინად საფლავში, მე კი სულს მხდიან აქ მაგის გვარის გულისთვის. ერთი ღერი რუსული ვიცოდე მაინც ან უკ რაინული... თუ მეღირსა აქედან გასვლა, სახლში მისვლამდე სასაფლაოზე უნდა გავუარო იმ ბაბუაჩემის ბაბუას და უნდა მოვთხარომაგი, ძვალითუ დამხვდა მაინც! ჭიჭიკო ძლივს დავაწყნარეთ, ზედამხედველმა სიის კითხვა განაგრძო: – 5. ჭეიშვილი! – ვარ, ბატონო! – 6. მოშიაშვილი! – შენი მტერი მოიქცა ისე, მე რომ ვარ, დაგენაცვლე! – 7. მებურიშვილი! – აქ ვარ! – 8. გამცემლიძე! – გახლავართ! – 9.
სალარიძე! – არის! – 10. მოგოლაძე! – ჯერ არ დაუჭერიათ! – თქვა ვიღაცამ.

– სოგოლაძე! – გაასწორა ზედამხედველმა.

– არც ეგ! – ჩოგოლაძე! – ხმამაღლა თქვა ზედამხედველმა და თვალები გადმოქაჩა.

– ეგ მეზობელ კამერაშია. – ცერით აჩვენა გულოიანმა.

– მაშ, ამ სიაში რა უნდა? – იკითხა ზედამხედველმა.

– მე რა ვიცი! – გაუკვირდა ტიგრანას.

– თქვენ შემთხვევით გოგოლაძეს ხომ არ ეძებთ, ბატონო? – ჰკითხა შოშიამ იმდენად ზრდი ლობიანად, რომ ზედამხედველს ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა თავის ღირსებებში, მაგრამ ხმა არ ამოუღია, სიას ჩახედა დაჟინებით, მერე თავი დააკანტურა.– ჰო, გოგოლაძე! – ასეთ შემ თხვევაში მე გახლავართ! – ფეხზე წამოდგა შოშია. ზედამხედველმა ერთხელ კიდევ შეგვავ ლო თვალი, საქაღალდე დახურა და გოგოლს მიუბრუნდა: – გოგოლო, რამე პრეტენზიები ხომ არა აქვს მეხუთე-მეათეს? მეხუთე მეათე, მეხუთე სართულსა და მეათე საკანს ნიშნავს, სართულების თვლა კი სარდაფიდან იწყება.

– წერილობით მოგართვათ, პატივცემულო, თუ ზეპირად? – ჰკითხა ჭიჭიკომ.

– აქვე მითხარით! – წარბშეკვრით თქვა ზედამხედველმა და საქაღალდე კვლავ გაშალა, ალ ბათ პრეტენზიების ჩასაწერად. გოგოლმა ღიმილით გადმოგვხედა, მერე გამცემლიძეს მიუბ

რუნდა: – გამცემლიძე დაიწყებს მგონი! – თქვა ისევ ღიმილით. გამცემლიძემ სათვალე გაის წორა და დაიწყო: – მოგეხსენებათ, ჩვენ ჩვეულებრივი პატიმრები არ გახლავართ...

– აბა, როგორი ხართ? – გაუკვირდა ზედამხედველს.

– გვაცადეთ, ბატონო, როდესაც თქვენ სიას კითხულობდით, ჩვენ ხომ არ გიშლიდით ხელს! – ხელის აწევით გააჩერა იგი გამცემლიძემ. გაკვირვებულმა ზედამხედველმა ახლა პირი დააღო.გამცემლიძემ განაგრძო: – ჩვენი საქმე, ასე ვთქვათ, ამ ეტაპზე მხოლოდ ძიებაშია და ამან უნდა განსაზღვროს ჩვენდამი, როგორც არაოფიციალურ, ანუ ნახევრადთავისუფალ, ესე იგი, წინასწარ, დროებით, პატიმრობაში აყვანილი მოქალაქეებისადმი მოპყრობის ამ პლიტუდა, იგი ისე უნდა მერყეობდეს აღვირახსნილობასა და სათნოებას შორის, რომ ციხე ში ყოფნა, იმ დროით, რა დროსაც ითვალისწინებს გამოძიების ტექნოლოგიის სტრუქტურა, ასატანი გახდეს, რადგან ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და მორალური შესაძლებლობა ნი...

– გოგოლო, რა უნდა მაგას? – ჰკითხა ზედამხედველმა, წერა შეწყვიტა და ქვედა ყბა აუტოკდა.

– მაგას, მე რომ ვატყობ ისე, ოცდაოთხდღიანი საგზური უნდა, მგონი, ლებარდეში.

– უფასოდ? – ჰკითხა ზედამხედველმა.

– უფასოდ. – გაუცინა ჭიჭიკომ.

– უთხარი დაჯდეს, სანამ ჭკუაზე ვარ! – მე მაშინ დავჯდები, გეთაყვათ, როდესაც ამიხსნიან, რატომ არ მოაქვთ, მიუხედავად ჩემი დაჟინებული თხოვნისა, ჩერნიშევსკის თხზულებათა ვიი ტომი. – გააპროტესტა გამცემლიძემ ზედამხედველის წინადადება.– ვინც შენ დაგიჭირა, იმის დედა ვატირე, – თქვა ტიგრანა გულოიანმა.

– დაბრძანდით, ჩერნიშევსკი! – უთხრა გოგოლმა. – შენ დაიწყე, ჭეიშვილი! – მიუბრუნდა გო გოლი ჭეიშვილს. იგი ფეხზე წამოდგა.

– ჯერ ჩემი პირადი პრეტენზიები მოგახსენოთ და შემდეგ საერთოდ ჩვენი საკნის, თუ ერთად მიბრძანებთ? – ჰკითხა მან ზედამხედველს. ზედამხედველი დაიბნა.

– მიდი, ერთად მიუშვი! – შევაგულიანე მე.

– მაშინ, ასე დავიწყოთ: 1. ბაღლინჯოები გვჭამენ! 2. ჩაის მაგივრად ცარიელ წყალს გვასმევენ! 3. საჭმლის მაგივრად სილოსს გვაჭმევენ! 4. ერთი ბრიტვით ათ კაცს გვპარსავენ! 5. არ გვაძ ლევენ პერიოდულ პრესას! 6. არ შემოაქვთ პოლიტიკური ლიტერატურა! 7. პირადად მე პუ რი არ მყოფნის! – ამნისტიას უგვიანებენ! – ექსკურსიაზე არ დაყავთ! – პატარა ჯამაგირი აქვს! – ფეხსაცმელი უჭერს! – და ცოლი ჰყავს ბოზი! – გააგრძელა დევდარიანმა.

– ვისი რა საქმეა, რას აკეთებს ჩემიცოლი? – ვერ გაუბედა შეკამათება დევდარიანს და ისე, ზო გადად იკითხა ჭეიშვილმა.

– ტიგრან, ჰკითხე ერთი, მაშ, რად არ უხდის ცოლს ალიმენტს? – არ იკადრა თავის მხრივ ჭეიშ ვილთან გაბაასება დევდარიანმა და ტიგრანას პირით შეუთვალა შეკითხვა.

– რატომ შენ ალიმენტს არ იხდი? – ჰკითხა ტიგრანამ.

– იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ბავშვების დაბადება არ ემთხვევა ჩემს მიერ ჩატარებულ აქტს, მე რეც, მეორე, არც ერთი არ მგავს, – გაიმართლა თავი ჭეიშვილმა.

– ტიგრან, უთხარი მაგ ტუტუცს, თუ გასვლა ეღირსა, სამჯერ ჩოქვით შემოუაროს სვეტიცხო ველს და ღმერთს მადლობა შესწიროს, რომ ბავშვები არ ჰგვანან! – გესმის? – უთხრა ტიგრა ნამ ჭეიშვილს, – აქედან თუ გახვალ, დაიჩოქე და სამჯერ ჩოქვით შემოუარე სიონს...

– სიონს კი არა, სვეტიცხოველს.

– სულ ერთი არ არი, ლიმონჯან? – სულ ერთი როგორ არი, ბიჭო, სიონი თბილისშია, სვეტიც ხოველი – მცხეთაში.

– მერე რა? – როგორ თუ მერე რა?!მცხეთაში მატარებელი ფული ღირს, ეგ ფულის გადამხდე ლია, შვილებს ალიმენტს არ უხდის? საკანში საშინელი ხარხარი ატყდა. ზედამხედველი მიხვდა, რომ მასხრად აიგდეს, სასწრაფოდ დახურა საქაღალდე, გარეთ გავარდა და კარი გაიჯახუნა. ჩვენ სიცილს განვაგრძობდით, რომ უცებ კარზე ამოჭრილი ამანათების დარაბა გაიღო და შიგ ზედამხედველის გაჭარხლებული სახე გამოჩნდა.

– ხვალ სასეირნოდ არ წახვალთ! – თქვა თავმა.

– სასეირნოდ, თორემ დედითქვენისამ, თქვენც რუსთაველის პროსპექტზე გვასეირნებთ! – შეუკურთხა ტიგრან გულოიანმა. დარაბა სასწრაფოდ დაიხურა.

შვიდ ნეტარ და სამი ზნედაცემულ ანგელოზი

ერთი ამბავი შემემთხვა ბავშვობაში, რომელმაც ისე შეაძრწუნა მაშინ ჩემი სული და ისე ძლიერი იყო მაშინდელი შთაბეჭდილება, რომ მის გახსენებაზე ახლაც მდუღარედასხმული ვით მეწვის და მეკუმშება გული.

ზუსტად არ მახსოვს, რამდენი წლისა ვიყავი. დედამ ზოოპარკში წამიყვანა: ჯერ პონის ეტ ლით მასეირნა, შემდეგ მაიმუნებთან შემიყვანა. პატარა მაკაკას რომ მივუახლოვდი, ღიმი ლით მითხრა, ნახე, როგორ გგავსო, მე უზომოდ გამიხარდა, და, რაც კანფეტები მქონდა, სულ იმ პატარა მაკაკას ვაჩუქე. დათვებთან იმდენი ბავშვი ირეოდა, ვერაფერი დავინახე. მაშინ დე დამ ხელში ამიყვანა. დათვები რომ დავინახე, რატომღაც ვიფიქრე: დათვები უფრო გვანან ადა მიანებს, ვიდრე მაიმუნები-მეთქი, ალბათ იმიტომ, რომ ორ ფეხზე იდგნენ, კუდები არ ჰქონ დათ და ლიმონათს ბოთლიდან ზუსტად ისე სვამდნენ, როგორც ჩვენი სახლის წინ ხელზე თითებწაჭრილი მათხოვარი. შემდეგ მე დიდხანს ვეჯიბრებოდი ყანჩას ცალ ფეხზე დგომაში და, რა თქმა უნდა, ყანჩამ მაჯობა. ყველაზე დიდხანს მაინც ჯიხვებთან ვიდექით. ერთი ჯიხ ვი ხელოვნურად აშენებულ ციცაბო კლდის ქიმზე იდგა ქანდაკივით. დედამ თქვა, ცოცხა ლიაო, მაგრამ მე არ დავიჯერე, რადგან ვიდრე იქ ვიდექი, ჯიხვს თვალი არ დაუხამხამებია. როდესაც გამოვბრუნდით, მე ხელიდან გავუსხლტი დედას და ისევ საჯიხვესაკენ გავიქეცი.

– ეჰეჰეჰე! – შევუძახე ჯიხვს. ჯიხვი არ განძრეულა. მაშინ დავიხარე, მიწიდან ქვა ავიღე და ჯიხვს ვესროლე. სულ ახლოს დაეცა ქვა ჯიხვთან და წკრიალითა და ხტუნვა-ხტუნვით ქვე ვით დაგორდა, მაგრამ ჯიხვი მაინც არ განძრეულა. იგი განაგრძობდა ქანდაკივით დგომას და ნისლიანი კავკასიონისაკენ ჰქონდა მიპყრობილი გაშტერებული მზერა.

– რა ქენი? – მკითხა დედამ, რომ მივბრუნდი.

– ქვა ვესროლე, დედა, და მაინც არ გაინძრა, რატომ, დედა? – ფიქრობს, შვილო, – ამიხსნა დე დამ და წამიყვანა.

დედა მალიმალ იხედებოდა საათზე და მაჩქარებდა. – მალე, მალე, თორემ ათ წუთში დახურა ვენო.– მე არ ვიცოდი, რა უნდა დაეხურათ ათ წუთში, და ფეხაჩქარებულ დედას სირბილით მივდევდი. ჩვენ ერთსართულიან შენობას მივადექით, ზამბარიანი კარი მოხურული იყო, დე და კარს მიაწვა მარცხენა ხელით, წინ გამატარა და... ჩვენ უცებ ვეება დარბაზში აღმოვჩნდით, რომელიც გარშემო რკინის გალიებით იყო გაწყობილი. საშინელი შმორისა და მძორის სუნი მეცა, სუნთქვა შემეკრა და უნებლიეთ ცხვირ-პირზე ხელი ავიფარე. ასე დავუწყე თვალიერება დარბაზს, ვცდილობდი, არ მესუნთქა. საფეთქლები დამებერა და სისხლი თვალებში მომაწვა. დედამ თავისი სუნამოიანი ცხვირსახოცი მომცა და ცოტათი მოვითქვი სული, დღემდე აუწე რელ სამყაროში მოვხვდი, პირველად ვხედავდი ცოცხალ ლომებს, ვეფხვებს, ჯიქებს, პანტე

რებს, ავაზებს, ფოცხვერებს, ფაფარში ჩაძირული მამალი ლომები იწვნენ და ზანტად გვაყო ლებდნენ თვალს მე და დედას. ვეფხვები ზანტად დადიოდნენ, გალიის გასწვრივ, სადღაც თვალის კუნჭულიდან გვიმზერდნენ, ისე, თითქოს ვერ გვამჩნევდნენ. ავაზები და ფოცხვერე ბი მოუსვენრად დაძრწოდნენ და გისოსებს აწყდებოდნენ დროდადრო. ყველაზე ლამაზი შავი პანტერა იყო, მას ოდნავ შესამჩნევი ყვითელი ლაქები ჰქონდა და წელში გაზნექილი ძვალს ათამაშებდა.ჩემსა და დედაჩემის გარდა, დარბაზში არავინ იყო. მე თანდათან რაღაც იდუმა ლი შიში მიპყრობდა. დარბაზის ბოლოში ლურჯ, ბინძურ ხალათში გამოწყობილი მხეცების მომვლელი რუსი დედაკაცი ლომს გალიას უგვიდა, თან აუწერელი სიტყვებით ლანძღავდა უსუფთაობისა და ცუდი აღზრდისათვის. იმ წუთში ზოოპარკის ეს დარბაზი დიდი სისხლის მღვრელი ბრძოლის შემდეგ, თავისი დიდებული ნაზირ- ვეზირებით, სპასალარებითა და ჰა რამხანებით დატყვევებულ რომელიღაც ადრე ქვეყნისმპყრობელის ბანაკს ჰგავდა. ახლა ეს ძლეულები ცალ- ცალკე რკინის გალიებში იყვნენ გამომწყვდეულნი, ზოგი მათგანი ჯერ კი დევ ვერ შეგუებოდა ტყვეობას და გისოსების გაგლეჯას ლამობდა. ზოგი, ღრმა ფიქრში წასუ ლი, გაქცევის შორეულ გეგმას აწყობდა, ზოგი კიდევ უკვე შეგუებოდა თავის ბედს და მორჩი ლად ელოდა განგებისაგან მისჯილ განაჩენს.

უცებ დარბაზი გაიტრუნა, მხეცებმა ყურები დალურსეს, სუნთქვა შეიკრეს და შეთქმულივით აღმოსავლეთის კარს მიაჩერდნენ. ორთავე კარი ერთად გაიღო. ოთახში ნაჯახით აკაფული სისხლიანი ლეშით დაზვინული ორი ურიკა შემოგრიალდა.

– უაااა! – დაიგრუხუნა დარბაზმა.– აუუუუ! – აზანზარდნენ რკინის გალიები.

– უაااა! – აგრიალდა მთელი სამყარო.

– დედაااა! – ავღრიალდი მე და დედის კალთაში ჩავრგე თავი, რათა ცა და დედამიწა ზედ არ დამმხობოდა. მერე, გარკვევით აღარაფერი მახსოვს, მესმოდა მხოლოდ დედის მანუგეშებე ლი, ცრემლნარევი შეშინებული ხმა; – ნუ გეშინია, შვილო, მოგიკვდეს დედა! – და რუსი ქა ლის ლანძღვა-გინება: – Ты, что, читать не умеешь, дуа несчастная, висит ведь табличка на двеях, с часу до двух обеденный пееив!!! Ану, бысто уводи мальчика, пока он не уме от стаха!!! – Уодим одна, уодим, постит ади боа, постит! ბოდიშს უხდიდა რუსის ქალს შეშინე ბული დედა და გარეთ მიმათრევდა.

* * *

ზუსტად ასეთი გრძნობა დამებადა, როდესაც ზედამხედველმა მეათე საკნის კარი გააღო და შიგ შემიყვანა. პირველი,რამაც განმაცვიფრა, იყო სუნი, რომელიც საოცრად გავდა ზოოპარკი სას. მეორე – მსგავსება ადამიანებისა იმ ცხოველებთან, რომლებიც მაშინ ვნახე, ოღონდ იმ გან სხვავებით, რომ ახლა გალიაში მეც მათთან ერთად ვიყავი. მუხლებში სისუსტე ვიგრძენი, ზურგს უკან მიხურულ კარს მივეყრდენი, შემდეგ შეკრული ფუთა დავაგდე ცემენტის იატაკ ზე და ზედ ჩამოვჯექი. ისინი მუხლებზე ხელებდაყრდნობილნი ისხდნენ კედლებთან ჩამ წკრივებულ ორსართულიან რკინის ნარებზე, თავები მხრებში ჰქონდათ ჩაცვენილი და მათი ფართოდ გახელილი თვალები უზომო ცნობისმოყვარეობით მიცქერდნენ. ალბათ, უნდა ავ დგე, ყველას მივესალმო და ხელი ჩამოვართვა. – გავიფიქრე მე, მაგრამ არც გამარჯობა მით ქვამს, არც ავმდგარვარ.

– გარეთ კიდევ დარჩა ვინმე? – მომესმა უცებ და საკანში ჩუმი სიცილი გაისმა. მე ვერ მივ ხვდი, რას მეკითხებოდნენ, ამიტომ პასუხი არ გამიცია, ისე, ოდნავ გავიღიმე ზრდილობი სათვის. საკანში ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– რა გვარი ხარ? – მკითხა ისევ ვიღაცამ.

– ნაკაშიძე.

– სახელიც გექნება შენ! – ზაზა! – ქურდიხარ? მე გაკვირვებულმა გავიხედე იქითკენ, საიდანაც მეკითხებოდნენ, და მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ შეკითხვებს სულ ერთი და იგივე კაცი მაძლევდა, ამიტომ სხეულში უსიამო ჟრუანტელმა დამიარა, ეს პროცედურა ძალზე ჰგავდა დაკითხვას და მაინც ვუპასუხე: – არა, ქურდი არა ვარ! იმ კაცმა ალბათ ხმაზე შემატყო, რომ კითხვები არ მსიამოვნებდა.

– არ გეწყინოს, მე საკნის მამასახლისი ვარ და უნდა ვიცოდე, წესია ასეთი, ქურდი არა ხარ, ესე იგი, აბა, რაზე ხარ დაჭერილი? – მკითხა მაინც.

– მე... როგორ გითხრათ, რესტორან „მადაში“ კაცი მოკლეს და მე, მოკლედ, მე და ჩემს ამხა ნაგს...

– ვიცი მე მაგი, თქვენ არ მოგიკლავთ ის კაცი!.. – შემაწყვეტინა მან.

– თქვენ საიდან იცით? – გამიხარდა მე.

– როგორ თუ საიდან? აქ ყველა უდანაშაულოა და ნეტარი ანგელოზია. მარტო ეს სამია ზნედა ცემული ანგელოზი. – გაიცინა მან და სამ კაცზე მიმითითა. იმათაც თავის მხრივ გაიღიმეს.

– ამათი ზნედაცემულობა ისაა, გენაცვალე, რომ ესენი ამბობენ, დამნაშავევართო. არ დადგო მოდა მილიცია თავზე დანაშაულის დროს, კი ვიცი მე, როგორ იკისრებდნენ მაგენი დანაშა ულს, მაგრამ რას იზამენ, ხელში დაუჭირეს ნაქურდალი, მაგრამ შენ ნუ გეშინია...
– არა, მე მართლა მართალი ვარ! – ავუხსენი მამასახლისს.

– აგაშენა ღმერთმა. მართალი კაცის დაჭერაა ძნელი და საინტერესო, აბა, დამნაშავის დაჭერას რა უნდა, დალოცვილო! – თქვა მან. საკანში ისევ სიცილი ატყდა.

– აქ დაწვები შენ, ჩემს გვერდით, მოდი, გეყოფა აწი პარაშასთან ჯდომა. – მითხრა მამასახლის მა, საკანი რომ დაწყნარდა. მე მივედი და ჩემი ფუთა მამასახლისის გვერდით ქვედა ნარზე დავაგდე.

– გამარჯობა შენი! – მითხრა მან და ხელი გამომიწოდა.

– გაგიმარჯოს! – ვუთხარი მე და რაც შემეძლო, მაგრად ჩამოვართვი ხელი.

– ჭიჭიკო მქვია მე და გოგოლი ვარ გვარად, ოღონდ არ დამიწყო ახლა რატომ და რისთვის. ჭი ჭიკო ვარ გოგოლი და გათავდა!..მე უნდობლად შევხედე მამასახლისს.

– ვიცი, ვიცი, ჩვენ აქ ყველა გოგოლები, პუშკინები, ტოლსტოები და ნაპოლეონები ვართ! – ვუ პასუხე მე და სიცილი ამივარდა. იცინოდა მთელი საკანი, იცინოდა ჭიჭიკო გოგოლი, იცი ნოდნენ გამომწყვდეული ანგელოზები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ის სამი ზნედაცემული ან გელოზიც იცინოდა.

* * *

შემდეგ მე ნელ-ნელა შევეჩვიე ციხეს, საკანს, პატიმრებს, ზედამხედველებს, კომენდანტებს, ექ თნებს და მათ შორის ერთს, განსაკუთრებით ნუნუს, რომელსაც ყოველდღე წამლები მოჰქონ და საკანში.

შემოყოფდა კარის ჭრილში თავის პუდრმოყრილ, ლამაზ, აპრეხილ ცხვირს, უსაშველოდ წი თელი

პომადით მოთხუპნულ ტუჩებს, უზარმაზარ წამწამებს აფახულებდა, ოცდათორმეტივე, მარგა ლიტებივით ჩაწიკწიკე- ბულ კბილებს გამოაჩენდა და ნარნარი ხმით იკითხავდა: – ბოროტ მოქმედებო, რამე ხომ არ გტკივათ? – და, რომ გეთქვა, ფეხში ეკალი მაქვსო,მაინც ლუმინალს დაგალევინებდა და წავიდოდა. წავიდოდა, მაგრამ ყოველი მისი მოსვლა გაზაფხულის მოს ვლას ჰგავდა. როგორც კი საკანში თავს შემოყოფდა, ათი პატიმარი ზვავივით მიაწყდებოდა კარს. მაშინ შეშინებული ნუნუ დარაბას სასწრაფოდ გაიხურავდა და, როდესაც პატიმრები ცო ტათი დაშოშმინდებოდნენ, კვლავ გახსნიდა დარაბას და მზესავით შემოანათებდა საკანში.

რა იცოდა ნუნუმ, რომ იგი ჰინდურ ღმერთ შივასავით მრავალ- სახოვანი იყო. იგი ამ საკანში მსხდომი ათი ალერსს, სითბოს, სიხარულს, სექსს და, საერთოდ, ქალის სახიერებას დანატრუ ლი და დამშეული მამაკაცისათვის ზოგისათვის დედა იყო, ზოგისათვის – და, ზოგისთვის – შვილი, ზოგისთვის – დეიდა, მამიდა, საყვარელი, მეგობარი, მოწყალების და და, უბრალოდ, დედაკაცი, ვნებისმომგვრელი, ხორცშესხ- მული ლამაზი დედაკაცი, რა ძნელიც არ უნდა იყოს ამის წარმოდგენა, ეს მაინც ასე იყო, ამიტომ ყველას ეშინოდა ნუნუსადმი თავისი გრძნო ბის ხმამაღლა გამხელა და მისი წასვლის შემდეგ საკანი მდუმარებით მოცულ სასაფლაოს ემ სგავსებოდა, რომელშიც ათი უწარწერო საფლავი იყო გაჭრილი და ათივეს თავისი გულამომ ჯდარი მოტირალი ჰყავდა.* * *

რამდენი ხანია, გაზაფხული დადგა, რამდენი ხანია, მერცხლები მოფრინდნენ, მაგრამ ციხეს გაზაფხული არ ეკარება.

მერცხლები ციხეზე ბუდეს არ იშენებენ. არავინ იცის, რატომ, იქნებ იმიტომ, რომ მერცხალი ქრისტეს ქათამია და ვერ უძლებს ღვთის შვილთა ასეთი ყოფის ცქერას. იქნებ იმიტომ, რომ ციხეს შმორის, ბოროტების სუნი უდის ან პატიმართა ფილტვებიდან ამოვარდნილი გახურე ბული და გადამწვარი ჰაერის ოხშივარზე ფრთები უჭკნებათ და სული ეხუთებათ. იქნებ იმი ტომ, რომ ციხე კრაზანების ვეებერთელა, უცვილო და უთაფლო სკასავით ბზუის, გუგუნებს და მერცხლები შიშით ვერ ეკარებიან, ან იქნებ იმიტომ, რომ ციხე ადამიანთა მუდმივი სამყო ფელი არ არის, ციხეში ადამიანები გამუდმებით მიდი- მოდიან და იცვლებიან, იმიტომ, რომ ციხეს მუდმივი ბინადარი არ ჰყავს, მერცხლებმა კი შეჩვევა იციან ერთ ადგილას მობინადრე ადამიანებთან იმ ზომამდე, რომ სახეებსაც კი იმახსოვრებენ, ან იქნებ იმიტომ, რომ მზე ციხე ში იშვიათად იხედება. ვინ იცის, ვინ იცის, ერთი კი ცხადია, მერცხლები ციხეზე ბუდეს არიშე ნებენ.

* * *

– დილა მშვიდობისა, ქურდებო! დილა მშვიდობისა, ყაჩაღებო! დილა მშვიდობისა, გათახსი რებულებო, მკვლელებო, აფერისტებო, გარყვნილებო, მექრთამეებო, სპეკულანტებო, გამ ფლანგველებო! დილა მშვიდობისა, ადექით, თქვენი სისხლი დავლიე! ადექით, თორემ გა კეთდა ქვეყანა, გაკეთდა... – ყივის ქანდარაზე მამალივით წამოსკუპებული შოშია. შოშიას გაღვიძებას ვინ დაასწრებს, შოშიას ადგომას ვინ დაასწრებს, შოშიას ღამეში ერთი საათი სძი ნავს, სიზმრებს კი ერთი წლისას ნახულობს, ფერად-ფერად სიზმრებს, სამოთხის სიზმრებს, ზღაპრის სიზმრებს, ლხინის სიზმრებს, შოშიამ სიზმარში დარდი არ იცის. რომ გაიღვიძებს, სიზმრიდან გამოყოლილი სიხარული აკაკანებს, მერე კი ნელ-ნელა შემოაწვება დარდი, შე მოაწვება და მერე უნდა ნახოთ შოშიას ოხვრა და კვნესა.

– ვაიმე, შვილებო, დურაქი მამა მოგიკვდეთ, რას ჭამთ, რას სვამთ,ვგდებულიყავი ჩემს ად გილზე, რა ჩემი საქმე იყო ასკილისა და მაყვლის წვენი, მაგრამ არ გაძღა დედათქვენის მუცე ლი, ახია, ახიი! – კარგი რა, შოშია, შეინახე ეგ ბავშვების სურათები და ნუ მოთქვამ ამ დილა ადრიან, ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენცა გვყავს ცოლ- შვილი, ცოტა შეგვიცოდე, რა? ძილი მაინც გვაცალე! – ეხვეწება შოშიას მებურიშვილი.

– ვირისთავო, ცოლ-შვილი თუ გყავს, რა გაძინებს, ამოდი ჩემთან და ერთად ვიტიროთ! – ეპა ტიჟება შოშია. მებურიშვილი უიმედოდ იქნევს ხელს და ბალიშს თავზე ზევიდან იდებს.

– დილა მშვიდობისა, ზაზა! – მეძახის შოშია.

– დილა მშვიდობისა, შოშია! – ვეუბნები და ლოგინზე ვჯდები, აზრი აღარ აქვს წოლას, სულ ერთია, აღარ დამაძინებს შოშია.

– ხომ არ გაგაღვიძე, ბიჭო? – არა, შოშია! – მითხარით, კაცო, ვინმეს რამე ხომ არ გაწყენინეთ? – გვეკითხება შეწუხებული შოშია.

– არა, შოშია, გენაცვალე, მიდი, გაიხარე! შოშიამ ვის რა უნდა აწყენინოს, ან შოშიასაგან ვის რა უნდა ეწყინოს. შოშიაერთი უბედური კაცია, კოდექსის 94 მუხლით ზის, რაც ექვსიდან თხუთმეტ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, არავის არ ემდურის, ყველაფერს თავის თავს აბრალებს და სულს მიყიდის ეშმაკს, ოღონდ ციხიდან გავიდეს, თავის პატარა ბარ ტყებს ჩაეხუტოს, მერე, მერე კი...

– ახალ ცხოვრებას დავიწყებ, ზაზას ვენაცვალე, ახალ ცხოვრებას. ოღონდ აქედან გავიდე, ჯერ ცოლს გავაგდებ და სირანას მოვიყვან ჩემს მეზობელს, ვახ, რა ტოლმას აკეთებს, გაგიჟდე ბით! მერე წვენებიდან გამოვალ, ავხიკავ ჩემს ბარტყებს, სირანას, სოფელში წავალ, სახლს ავაშენებ, ვაზს ჩავყრი!..

– სად ჩაყრი? – ეკითხება ტიგრანა.

– როგორ თუ სად, მიწაში! – უკვირს შოშიას.

– რომელ მიწაში, ყვავილების მიწაში? – ეკითხება ისევ ტიგრანა.

– როგორ თუ ყვავილების მიწაში, ჩემს მიწაში. – ისევ უკვირს შოშიას.

– შენ მიწა ვინ მოგცა? – სახელმწიფომ.

– რომელმა სახელმწიფომ? – ჩვენმა სახელმწიფომ.– შენი რომელია, რომ დაგიჭირა და ერთ კვირაში თხუთმეტ წელიწადს მოგარჭობს? – ეკითხება ტიგრანა.

– ვახ, ეს ვინ არი! შენი ენა გახმეს, ეგოისტო, მოკვდი, ჩალპი ციხეში, მაშ, აქ უნდა მოვკვდე? მაშ, არაფერი შეიცვლება? მაშ, ერთი პატარა ამნისტია არ იქნება, მაშ, ტიგრანა გულოიანის ცქერაში უნდა ამომხდეს სული? ამ უსინდისო ტიგრანასი, რომელსაც ჩემთვის ერთი მტკავე ლი მიწა ენანება?

ენა გაგიხმეს, ეგოისტო, შენ თვითონ დალპი ციხეში... – კივის შოშია.

– რატომ, შე ფურუნკულო, რას მწყევლი, მე რა, მიწათმოქმედების მინისტრი ვარ და განცხა დებაზე რეზოლუციას არ გიდებ? მაგაზე, მაყუთს რომ ღუნავდი, მაშინ უნდა გეფიქრა! – დინჯად ეუბნება ტიგრანა.

– ნახეთ, ხალხო, ეს კაცის მკვლელი მე მეუბნება, ფურუნკული ხარო! – ხელებს შლის შოშია და სასოწარკვეთილი გვიცქერს.

– ეს მე ვარ კაცის მკვლელი? – კითხულობს ტიგრანა და ფეხზე დგება.

– შენ რა, მეორე ენა ამოიდგი? დაჯექი! – ისე ეუბნება დევდარიანი ტიგრანას, მისკენ არც იყუ რება.– ლიმონ, გენაცვალე, მე აქ ქურდი ვარ თუ ვიღაც ნაბიჭვარი, ეგ ჰარიფი როგორ მელაპა რაკება? – მორიდებით ეკითხება ტიგრანა დევდარიანს, დევდარიანის ზედმეტი სახელი ლი მონაა.

– მერე, შენ აქ ქურდად იმიტომ ზიხარ, რომ ჰარიფისათვის რამკები ამტვრიო? – ეკითხება ლი მონა.

– მერე, მე რა მკვლელი ვარ? – ამბობს ტიგრანა და ჯდება.

– მაშ, თონეთში მეტყევე მე მოვკალი? – ეკითხება შოშია.

– მეტყევე იმიტომ მოვკალი, რომ გლეხებს შეშას არ აძლევდა. – თქვა ტიგრანამ.

საკანში ისეთი ხარხარი ატყდა, თვითონ ტიგრანასაც გაეცინა.

– ჰო, ბიჭო, არსენა მარაბდელი ხარ, სულ გლეხებზე ფიქრობ! – დაუდასტურა შოშიამ, – მაგას მე რომ მეუბნები, გამომძიებელს უთხარი! – იმასაც ეგრე ვეუბნები! – მერე, გიჯერებს? – ჰკითხა შოშიამ.

– რომ მიჯერებდეს, ახლა შენთან, ჰარიფთან ვიჯდებოდი? – ეკითხებატიგრანა.

– ხალხო, გინახამთ, კაცი ამაყობდეს: ქურდი ვარო? ერთი გრამი სისხლი მაინც არა გაქვს, რომ გაწითლდე? – ღაღადებს შოშია.

– კარგი რა, შოშია, მოისვენე, სულ შენს გამოა ხოლმე ჩხუბი! – ეხვეწება ლიმონა. შოშიას დი დი რიდი აქვს ლიმონასი და ჩუმდება, მერე ფანჯარაში იწყებს ცქერას.

– აჰა, მოვიდა! – ვინ მოვიდა, შოშია? – ვეკითხები.

– ის ლოთი მოვიდა, ყოველ დილით რომ მოდის, ფული დაუდო დახლზე, უსხამს, უსხამს, აუვსე რა, შე უნამუსო, ვერ ხედავ, ხელები რომ უკანკალებს? მიდი, მიდი, კიდე, ეგრე. აუვ სო... ჰა, ჰა, რას შვება, რას შვება, ხალხო! გამაგიჟებს! გამიშვით რა, უნდა მოვკლა! – გვეხვეწე ბა შოშია.

– რა იყო, შოშია? – როგორ რა იყო, ნახე, სულს უბერავს ქაფს, ღმერთო, სამართალი არა გაქვს? ქაფს სულს უბერავს, მოიყუდა, მიდი, მიდი ეგრე...

– რას შვება, შოშია, მორჩა? – მორჩა, ზაზაჯან, მორჩა. ტუჩებიც კი არ შეიმშრალა ტურტლიანი სახელოთი? – კვნესის შოშია. – ვახ, ახლა გარეთა მქნა, ერთი კათხა ცივილუდი გადამაშვე ბია ამ ჟანგიან ყელში და მერე მომკლა!!! – კიდევრა გინდა, შოშია, ბარემ ინატრე, თუ ნატ ვრაა, ნატვრა იყოს, – ეუბნება ლიმონა და ცალყბად იღიმება თავისთვის.

– მეტი არაფერი, აკი გითხარი, ერთი კათხა ლუდი და სიკვდილი! – სულ ეგ არის? – არა, კი დევ ჩიტი მინდა, ვიყო, ზაზას ვენაცვალე, ჩიტი, სულ პატარა ჩიტი, ამ მესერში რომ გავძვრე და აიდა...

– მერედა, ჩიტი არა ხარ, შოშია, ადექი და გაფრინდი! – ფრთები, ფრთები არა მაქვს, ზაზას შე მოვევლე, ფრთები, პატარა, ღონიერი ფრთები...

– გექნება, შე კაცო! – როდის, ზაზა, როდის? – ამოგივა, შოშია, რა გაჩქარებს, ჯერ ბარტყი ხარ! – ეუბნება ტიგრანა.

– წუხელ ისეთი სიზმარი ვნახე, ტიგრან, აღარ ამომივა, და გაიხარე.

– ასეთი რა ნახე, შოშია?

სიზმრად ვნახე სააიათნოვაااااა, მითხრა, გეყო ტანჯვა, გლოვაااა, რაც დაჰკარგეეე, ნუღარ ეძეეებ, იმან უკვე სხვა იშოვაااااა.

მღერის შოშია.– ეგ ეგრე არ არის, შოშია. მას ნუ სტირი, რაც დაჰკარგე, ის არ მოვა, აღარ მოვა. – უსწორებს ტიგრანა.

– მაგას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, საიათნოვა თავისას ტიროდა, მე ჩემსას ვტირი! – ეუბ ნება შოშია და განაგრძობს.

წუთისოფლის სტუმარი ვაااااარ, სხვა მიდის და მე კი ვრჩებიიიი, პროკურორს თუ გადავურ ჩიიი, სუდიას ვერ გაადვურჩებიიი.

– კაცო, შენით იგონებ სიტყვებს? – უკვირს ტიგრანას.

– ამას რა მოგონება უნდა. რაც ნაღდია, იმას ვმღერი! – ოხრავს შოშია: პროკურორს თუ გადა ვურჩიიი, სუდიას ვერ გადვურჩებიიი.

შოშიას შაქარი ამოსდის პირიდან, შოშია შოშიაა, მაგრამ ბულბულივით მღერის. როდესაც შო შია მღერის, მთელი ციხე სუნთქვაშეკრული სდუმს მონუსხულივით. ვის, ვის და, შოშიას სიმ ღერისათვის კარცერში არ სვამენ. შოშია რომ მღერის, ტიგრანა გულოიანი გალახული ლეკვი ვით ტირის, შოშია თავისუფლებისათვის და სიმღერისათვის არის გაჩენილი, თავის უჭ კუობის გამო ციხეში კი ზის, აფსუს,შოშია!!!

პატიოსანი სიტყვა

საკნის კარი ხმაურით გაიღო. შიგ ზედამხედველი ჩადგა, ყველანი ფეხზე ავდექით.

– გამოდი, ნაკაშიძე! – თქვა მან.

– ბარგით? – ვკითხე მე.

– ბარგით არა, ავეჯით... გამოდი, დაკითხვაზე გეძახიან. – მე ზანტად გავედი.

– ფეხს ნუ ითრევ, და ხელები უკან დაიწყვე! – მაფრთხილებს ზედამხედველი, ვასრულებ მის ბრძანებას. დერეფანი გავიარეთ, კიბეზე ჩავედით, ეზოში მივაბიჯებთ, მე – წინ, ზედამხედ ველი – უკან. მოპირდაპირე შენობიდან პატიმარი გამოყავთ, ალბათ, დაკითხვაზე ჰყავდათ.

– შებრუნდი კედლისაკენ და დადექი! – მიბრძანებს ზედამხედველი.

სახით კედლისაკენ ვბრუნდები და ვდგები. ის პატიმარი და ზედამხედველი გვიახლოვდები ან, ფეხის ხმაზე ვატყობ. აი,გაგვისწორდნენ.

– არსენ, გამარჯობა! – ეუბნება იმის ზედამხედველი ჩემსას.

– გაგიმარჯოს! – პასუხობს ჩემი.

– პაპიროსი არა გაქვს? – ეკითხება ის.

– პრიმა მაქვს, მოწევ? – ეკითხება ჩემი.

– პრიმას კი არა, დარიშხანს მოვწევ, ისეთ ხასიათზე ვარ! – ეუბნება ის და „პრიმას“ ართმევს. – რას მიყურებ, გაიარე და კართან დადექი. – ეუბნება თავის პატიმარს. პატიმარი მიდის.

– ქურდია? – ეკითხება ჩემი.

– ჰო, შენი? – ჩემი მკვლელია! – ეუბნება ჩემზე ჩემი ზედამხედველი. ის ზიზღით მიყურებს. მე ჟრუანტელი მივლის ტანში.

– რომ შეხედო, კაცს გავს, მკვლელის სიფათი სულ არა აქვს, არადა, შეგხვდება ასეთი ქუჩაში და რას მიხვდები, ვინ არის. – ამბობს თავისთვის ის.

– რა მოგივიდა, რაზე ხარ ცუდ ხასიათზე? – ეკითხება ჩემი.

– ბავშვი მყავს მძიმედ ეს ერთი კვირაა,ექიმმა ისეთი წამალი გამომიწერა, ვერსად ვერ ვიშოვე.

– ვერც ებრაელებში? – სადღაა ებრაელები?! – ამოიოხრა მან.

– რა წამალია? – ჰკითხა ჩემმა. იმან ხაკისხალათის გულის ჯიბე გაიხსნა. ქაღალდის პატარა ნაგლეჯი ამოიღო და მარცვალ-მარცვალ წაიკითხა: – კორ-და-რო-ნი. გაგიგია? – არ გამიგია! – უპასუხა ჩემმა.

– კარგად იყავი!.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს! – დალოცა ჩემმა და წავედით. ეზო გავიარეთ, მოპირდაპირე შენობაში შევედით. მეორე სართულზე ავედით და მ 36 ოთახთან დავდექით. ზედამხედ ველმა კარი ოდნავ შეაღო და ოთახში თავი შეჰყო.

– სადღაც გასულა, შემოდი, დაველოდოთ. ახლავე მოვა, – თვითონ გამომძიებლის სკამზე დაჯდა, მე პირდაპირ დავუჯექი. მაგიდაზე ჩემი და როსტომ ამილახვრის საქმე იდო. ზე დამხედველმა სხვათა შორის გადაშალა. ერთხანს უყურა თავფურცელს, მერე ისევ დახურა და შემხედა.

– მაინც რას უშვება ღვინო კაცს, – თქვა მან და დაფიქრდა.

ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო, – ღუპავს, ნამდვილად ღუპავს, აი, მე ერთხელ, სოლოლაკში... – მერე ალბათ გაახსენდა, რომ პატიმარს ელაპარაკებოდა, და გაჩერდა...

– შენ მოკალი? – მკითხა უცებ.

– არც მე, არც ჩემს ამხანაგს არ მოგვიკლავს! – ვუპასუხე და სიგარეტი ამოვიღე.

– მაშ, თავი მოიკლა? – მკითხა ისევ ზედამხედველმა და გაიღიმა.

– ხალხი არა ხართ? რატომ არ გჯერათ, მოვიდა მთვრალი ჩვენს სუფრაზე, რაღაცეები იბო დიალა, მერე აიღო და თავის ძმაკაცებს გაბრაზებულმა ბოთლი ესროლა! – წამოვდექი მე ფეხზე.

– თქვენი სუფრიდან? – ჰო! – გაბრაზებულმა? – ჰო, გაბრაზებულმა! – ბოთლი ესროლა, არა? – დიახ, ბოთლი ესროლა, – ვუპასუხე მე და წყლით სავსე გრაფინს გავხედე. ზედამხედველმა გრაფინს ყელში ხელი მოჰკიდა და თავისკენ მიიჩოჩა.

– თავის მაგიდაზე ბოთლი ვერ იშოვა,არა? – ჰო, ვერ იშოვა! – გავაბრაზე მე.

– აბა, ერთი, ეგ სკამი მომაწოდე, რომელზეც ზიხარ, – მთხოვა მან.

– როგორ მოგაწოდო, როცა დაჭედებულია იატაკზე. – ვუპასუხე მე.

– აბა, თუ იცი, რატომ არის იატაკზე დაჭედებული? – მკითხა ზედამხედველმა.

– იმიტომ, რომ პატიმარმა შენისთანა გამომძიებელს თავში არ ჩათხლიშოს. – ვუპასუხე. ზედამხედველს გაეცინა.

– მე კი პირიქით მგონია. – მითხრა მან. ახლა მე გამეცინა.

– რატომ არ გჯერა, რომ არ მომიკლავს? – ვკითხე.

– როგორ არა მჯერა, ძალიანაც მჯერა, მაგრამ რომ ვერ ამტკიცებ? – დავამტკიცებ! – ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

– მაინც არა გჯერა.

– რომ გიყურებ, ერთი მხრივ, მჯერა, იმიტომ რომ მკვლელს არ გავხარ, კარგი ბიჭის სახე გაქვს, მეორე მხრივ, მოკლული რომ გამახსენდება... აი, შემომაკვდაო, რომ გეთქვა, მაშინ და ვიჯერებდი.– შემომაკვდა რას ჰქვია! – გამიკვირდა მე.

– აი, უბრალოდ, ქართველებს ერთი უცნაური გამოთქმა გვაქვს. შემომაკვდა, შემომელახა, შე მომეჭამა, შემომატყდა, შემომეხარჯა, შემომეფცქვნა, შემომეუპატიურა და ასე შემდეგ, ესე იგი, იმდენი ქნა, თავი შემომაკლაო, ეგრე არ არი? მე მოვკალიო, კი არ ვამბობთ, მოკლულს ვაბრალებთ, რომ მოვკალი, იმის ბრალიაო. ამის მოფიქრება არ გინდა? ოთახში გამომძიებე ლი შემოვიდა.

ზედამხედველი და მე ფეხზე წამოვდექით.

– აი, უფროსო, მოვიყვანე! – უპატაკა გამომძიებელს.

– კარგი, გარეთ დამელოდე, დაგიძახებ! – უთხრა გამომძიებელმა და დაჯდა. ზედამხედველი გავიდა.

მერე უცებ შემობრუნდა.

– ბოდიში, უფროსო, პატიმრის სიგარეტი გამყვა, – თქვა მან, ჯიბიდან „პრიმა“ და ასანთი ამოიღო, წინ დამიწყო მაგიდაზე და გავიდა. უცებ რაღაც თბილი ჩამეღვარა სხეულში და ჩემდა უნებურად თვალები დამილბა.

გამომძიებელი გაგუა, რომელიც ახლაჩემს წინ ზის, დაპატიმრების პირველი დღიდან იძიებს ჩემსა და როსტომის საქმეს. მან ფაქტიურად დაამთავრა ძიება, საბრალდებულო დასკვნაც მო ტანილი აქვს, რომ ხელი მოვუწერო და საქმე საძიებლად პროკურატურას გადასცეს, მაგრამ არც მე და არც როსტომი ხელს არ ვაწერთ საბრალდებულო დასკვნას. ამ ამბავს დიდი ხნის წინ მიაფურთხებდა გაგუა, მაგრამ ერთი, მისი აზრით, ფორმალური გარემოება უშლის ხელს, კერძოდ, ის, რომ არ ჰყავს დაკითხული აკაკი-კაკო-კაკი, კაცი, რომელიც ჩვენს სუფრასთან მო ვიდა და ვის გამოც ჩხუბი ატყდა. ის კი როსტომის უძლიერესი დარტყმის შემდეგ აგერ უკვე ორი თვეა ყბადამსხვრეული უძრავად წევს ტვინის მძიმე შერყევით, ქალაქის საავადმყოფოში და პირს კი არა, თვალებს ძლივს ახელს.

ორი თვეა, შაბათისა და კვირის გამოკლებით, ხან ყოველდღე, ხან დღეგამოშვებით მოდის და ერთი და იგივე შეკითხვებს მაძლევს. აი, ახლაც ზის ჩემს წინ და მე ზეპირად ვიცი, რას გააკე თებს, საით გაიხედავს, რას მეტყვის, და ეს ყოველივე დღითიდღე გულისამრევი ხდება.

ახლა ის კიტელის ზედა ჯიბიდან სავარცხელს ამოიღებს – ამოიღო.

სინათლეზე გახედავს – გახედა.ნახევრადგამელოტებულ თავს გადაივარცხნის – გადაივარ ცხნა. სავარცხელს სულს შეუბერავს და ისევ ჯიბეში ჩაიდებს – ჩაიდო. მხრებზე და მკერდზე ჩამოცვენილ ქერტლს ორთავე ხელით ჩამოიფერთხავს – ჩამოიფერთხა.

ადგება, ფანჯარას გააღებს – გააღო.

– მდა, – იტყვის – თქვა.

და ისევ დაჯდება – დაჯდა.

მერე კოტიტა თითებს მოღუნავს. თეთრად აჭრელებულ ფრჩხილებს დახედავს და გულგრი ლად მკითხავს: – როდემდე ვიყოთ ასე, ნაკაშიძე? – აი მკითხა, მე არაფერი ვუპასუხე. თვალე ბი ისე ახლოს აქვს ცხვირთან, ასე მგონია, ცხვირიდან მიყურებს. ღმერთო, რამხელა თავი და რა ვიწრო შუბლი აქვს. ნეტა თუ იცის! – გავიფიქრე მე.

– როდემდე ვიჯდეთ ასე მე და შენ, ნაკაშიძე? – გაიმეორა კითხვა გაგუამ.

– ამხანაგო გაგუა!.. – დავიწყე მე.

– მე შენი ამხანაგი არ ვარ, მე ვარ მილიციის კაპიტანი ვიქტორ ადოლფის ძე გაგუა, გამომ ძიებელი.
– გამისწორა მან და ისევ ფრჩხილებზე დაიხედა.

– მილიციის კაპიტანო ვიქტორ ადოლფის ძევ გაგუა, გამომძიებელო, მე მესმის თქვენი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ თქვენც ხომ უნდა შეხვიდეთ ჩემს გამოუვალ მდგომარეობაში? – ნაკა შიძე, მე შენ არ გაბრალებ განზრახ მკვლელობას, შენ მთვრალ მდგომარეობაში ისროლე ბოთლი და მოკალი უდანაშაულო კაცი, ეს გარემოება შენს გამოუვალ მდგომარეობას ამსუ ბუქებს.

– მე შეღავათები არ მჭირდება, ბატონო გამომძიებელო, მე მოვითხოვ სიმართლის დადგენას.

– სიმართლე დადგენილია, რვა მოწმე თქვენ გადებთ ხელს, შენ და შენს ამხანაგს. მათი ჩვენე ბები შენ წაკითხული გაქვს...

– ბატონო გამომძიებელო, მეასეჯერ გეუბნებით, მე იმ ხალხს არაფერს არ ვერჩი, მათ სხვა ნაირი ჩვენების მოცემა არც შეეძლოთ. მათ ადგილზე მეც ისეთ ჩვენებას მივცემდი.

– მაშ, რაღა გინდა? – ჩემი ერთადერთი იმედი აკაკი ხარაბაძეა.

– დაზარალებული ხარაბაძე შენ და შენს მეგობარს ისე მოგიქცევიათ, ჯერ მისიდაკითხვა არ შეიძლება, ტვინის შერყევა აქვს.

– დავიცადოთ! – დიდხანს მოგიწევს დაცდა, ნაკაშიძე. ესეც არ იყოს, ჩემთვის ხარაბაძის ჩვენე ბას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ახლა ის არის საინტერესო, თქვენ ორს შორის რომე ლია მკვლელი – შენ თუ ამილახვარი. თუმცა ჩემთვის არც მაგას აქვს მნიშვნელობა. სასამართლო- მდე თქვენ თვითონ მორიგდებით. მაგრამ თქვენ მშიშრები ხართ ორთავე, ლაჩრები, კაცი მოკალით და ახლა მომაკვდავ კაცს აბრალებთ! – მე არავის არაფერს არ ვაბრა

ლებ! – გიმეორებთ, ჩემთვის სულ ერთია რომელ თქვენთაგანს დაადებს ხელს ხარაბაძე, სულ ერთია ისიც, რომლის ნასროლი ბოთლი მოხვდა გარდაცვლილს.

– ხარაბაძე ვერავის ვერ დაადებს ხელს, ბატონო გამომძიებელო, ბოთლი თვითონ ხარაბაძემ ისროლა.

– როგორ არ გრცხვენია, ნაკაშიძე, რამდენად ბრიყვი ხარ, როდესაც ამტკიცებ, რომ ხარაბაძე მოვიდა თქვენს სუფრაზე და იქიდან ესროლა თავის მეგობრებს ბოთლი, თუ სროლა უნდო და, თავისსავე მაგიდაზე ვერ ისროდა? – მეკითხება გამომძიებელი.

– ისროდა! – ვუდასტურებ მე.– ჰოდა, რაღას ჯიუტობ! – ჩვენი სუფრიდანაც ხომ შეეძლო სრო ლა? – არა, თქვენი სუფრიდან არ ისროდა. – უარყოფს გაგუა კატეგორიულად.

– რატომ არ ისროდა? – ვეკითხები მე.

– ნაკაშიძე, წარმოიდგინე შენი თავი ჩემს ადგილზე და ისე მელაპარაკე! – მეუბნება გამომ ძიებელი.

– უნდა დაკითხოთ ხარაბაძე! – ჯიუტად ვეუბნები მე.

– ასე რომ მეჯიუტები, ესეც დანაშაულია, ნაკაშიძე! – არავინ არ იცის, რა უფრო დიდი დანა შაულია, – იმ კაცის სიკვდილი თუ ჩემი უდანაშაულოდ დაპატიმრება.

– უდანაშაულოდ? – დაკითხეთ ხარაბაძე და ნახავთ! – ნაკაშიძე, რომ თქვას ამათ მოკლესო, რას იზამ? – თუ კაცია, არ უნდა თქვას.

– რომ თქვას? – მაშინ, მაშინ... – მე ენა დამება.

რა მოხდება მაშინ? მაშინ დაღუპულები ვართ მეც და როსტომიც.

– რომ ვერ გაიხსენოს, რომ თქვას, არ მახსოვსო? – შემეკითხა გამომძიებელი დაფეხზე ადგა.

ღმერთო, მართლა რომ ვერ გაიხსენოს, მაშინ რა მეშველება! – ნაკაშიძე, ხარაბაძე ძალიან მძი მედ არის, რომ მოკვდეს ხარაბაძე? რაო, რა თქვა გამომძიებელმა? ხარაბაძე რომ მოკვდესო? არა, არა, ხარაბაძეს არა აქვს სიკვდილის ნება, დაგვღუპა ორი კაცი და ახლა უნდა მოკვდეს? არა, სიკვდილს რა უნდა? სიკვდილზე ადვილი რა არის, სიკვდილი რომ მინდოდეს, დღესვე მოვიკლავ თავს, აი, ფანჯარა ღიაა, ფეხს დავკრავ რაფაზე, გათავდა და მორჩა, თუ კაცია, ახლა

უნდა იცოცხლოს, მისი სიკვდილი ახლა უამრავი ხალხის სიკვდილს უდრის – ჩემს სიკ ვდილს, დედაჩემის სიკვდილს, როსტომის სიკვდილს, როსტომის დედის სიკვდილს.

– არა, ბატონო გამომძიებელო, ხარაბაძე არ უნდა მოკვდეს! – ვთქვი მე შეშინებულმა და ფეხ ზე წამოვდექი. – გესმით თქვენ, ხარაბაძეც რომ მოკვდეს, რა მოხდება? – ნაკაშიძე, შენისთა ნა თავხედი პატიმარი ჯერ არ შემხვედრია, ესსაქმე ორი თვეა ალესილი ნაჯახივით მადევს კისერზე, მომიწერე ხელი ძიების დამთავრებაზე და მოვრჩეთ ბაზარს, სულ ერთია, არაფე რი არ გიშველის, მით უმეტეს, რომ ამილახვარი შენ გადებს ხელს.

– ტყუილია, არც ერთი სიტყვა არ მჯერათქვენი, დამაპირისპირეთ ამილახვართან! – სხვას რას ინატრებ, ბორჯომი ხომ არ გინდა პახმელიაზე? – დამცინით, არა? – ნაკაშიძე, ამ საქმეში ყვე ლაფერი შენს წინააღმდეგ ლაპარაკობს, მაჩვენე ერთი კაცი, რომელიც შენს სასარგებლოდ ილაპარაკებს და დღესვე გაგიშვებ. – მითხრა გამომძიებელმა.

– მე, მე ვარ ასეთი კაცი! – შენ ხარ? – გაკვირვებით შემომხედა გამომძიებელმა.

– მე ვარ, მე! – შენ, რომელსაც არც ერთი სიტყვა არ გჯერა ჩემი, მე როგორ უნდა დაგიჯერო, როგორ უნდა გენდო?! – პატიოსან სიტყვაზე უნდა მენდოთ, მე სხვა მოწმე არ მყავს.

– პატიოსან სიტყვაზე. – გაიმეორა გამომძიებელმა. – სამართალი ისეთი რამეა, ნაკაშიძე, პა ტიოსან სიტყვაზე ძმას და მამას ვერ ვენდობი.

– მაშინ აღარც ძმა არსებობს, აღარც მამა, აღარც დედა, აღარც შუბლი და აღარც ძარღვი? – ვთქვი მე.

– შუბლს და ძარღვებს კოდექსი არ ითვალისწინებს. – ამიხსნა მან.

– მაშ გარდა ამ მშრალი კოდექსისა, მორალური კოდექსი არ არსებობს? –ვკითხე გაგუას.

– ამ კოდექსს დიდი ზნეობისა და მორალის ადამიანები ქმნიდნენ, ასე რომ, ცოტა-ცოტა ყვე ლაფერია შიგ გათვალისწინებული. – გამანათლა გაგუამ.

– დამაპირისპირეთ ამილახვართან! – ვთხოვე მე.

– არა! – მოკლედ მომიჭრა მან.

– მაშინ დედას შემახვედრეთ! – არც დედას შეგახვედრებ, ძიება ჯერ არ დამთავრებულა, ნება არ მაქვს.

– მაშინ აღარ დამიძახოთ, ჩვენებას აღარ მოგცემთ! – დავემუქრე მე.

– შენი ნებაა!.. მშვიდად მომიგო მან. მერე ღილაკს ხელი დააჭირა. ოთახში ზედამხედველი შე მოვიდა.

– წაიყვანე! – უთხრა გამომძიებელმა. მე ავდექი. – ლაწირაკი ხარ შენ, ნაკაშიძე, უფლება რომ მქონდეს, ცხვირ-პირს დაგამტვრევდი! – ინატრა გამომძიებელმა.

– რას იზამთ, ბატონო გამომძიებელო, უუფლებობა გვტანჯავს, თორემ უფლება რომ მქონ დეს, მეც სიამოვნებით დაგამტვრევდით ცხვირ- პირს! – ვთქვი და გავედი.

ქარ~~ალ~~ს ცხოვრება

ქარ ლ ს ცხოვრება

გიგლა მოშიაშვილი, მეორე რიგის ქვედა ნაპირზე რომ წევს, 25- 26 წლის კაცია, გაგრის ფეხსაც მელების მაღაზიის გამყიდველი ყოფილა დაჭერამდე. უფაქტურად ლაქის ფეხსაცმელების გა ყიდვას აბრალებენ, ისიც ზედმეტ ფასებში. გულკეთილი კაცია, ამანათი რომ მოსდის სახლი დან, ყველას აჭმევს, თვითონ კი არავის მიწოდებულს არ ჭამს, განსაკუთრებით ხორცს, არა ვის საქმეში არ ერევა. უთვისტომო, ტიტლიკანა, ნათესავებგაჟუჟული ბალღივით ზის თავის თვის, ერთი კინკილა სიმღერა იცის, არც ხმა აქვს, არც სმენა და მაინც დღე და ღამე ამ სიმღე რას ღიღინებს:

ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს, სავსე ურიებით არიან...

ორი ათასმანეთიან დრაპის პალტოს ხუთას თუმანში ყიდიან, ყიდიან, ყიდიან, ყიდიან, უგა ლონში მიდიან.

ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს, სავსე ურიებით არიან… – ხალხო, ეგეთი უდარდე ლი კაცი გინახავთ? – გვეკითხება ქანდარიდან შოშია. – მთელი დღე ზის და მღერის, ან და კითხვაზე დაუძახონ, ან პაემანზე... ეს ვინ ყოფილა! – რა მაქვს, შოშიას დავენაცვლე, სადარდე ბელი, დღეს თუ ხვალ გამიშვებენ. – მშვიდად პასუხობს გიგლა და იღიმება.

– ბიჭო, შენისთანებს რომ გარეთ უშვებდნენ, მე ახლა ჩემს ცოლ- შვილში ვიქნებოდი, – ეუბნე ბა შოშია.

– ჩემი ციხეში ჯდომა არ შეიძლება, შოშია, აი, ნახე, დღეს თუ ხვალ დამიძახებენ – Мошиашвили, с вещами! – ვითომ რატომ არ შეიძლება შენი ჯდომა ციხეში, დეპუტატი ხარ? – ჰო, დეპუტატი ვარ! – იცინის გიგლა.

– მერე, რას გვიმალავ, ოხერო, ადი, აიღე შენი ბარგი და წადი...

– წავალ, შოშია, წავალ, ცოტა აცალე, დალოცვილო, იმ ხალხს.

– რომელ ხალხს, გიგლა? – ვინც გარეთ დარჩა, შოშია, ის ხალხი ჩემს წონა ოქროს დადებს და ციხეში დღეიდან დიდი-დიდი ერთი კვირა, მეტს არ გამაჩერებს. – თქვა მოშიაშვილმა და ისევ ღიღინი დაიწყო.ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს, სავსე ურიებით არიან...

– მოიცა, რა! – შეაწყვეტინა შოშიამ. – ნამუსი რა უყავი, სმენა შენ არ გაქვს, ხმა შენ არ გაქვს, მე თუ არ გეცოდები, ეს ხალხი მაინც შეიცოდე! – თქვა შოშიამ და ჩვენ გადმოგვხედა, ხომ მარ თალს ვეუბნებიო.

– გაუშვი, შოშია, თავისი ჭია გაახაროს, შენ რომ მღერი, ხომ არ გიშლით! – უთხრა ლიმონამ.

– ლიმონ, საყვარელო, მე სევდიან სიმღერებს ვმღერი, ეგ კი ძალიან საზეიმო რაღაცას მღერის, ჯერ ტექსტი ნახე:

ვენაცვალე საბურთალოს ბაზრის დუქნებს, სავსე ურიებით არიან!

მე და ტიგრანა ამ დროს ჭადრაკს ვთამაშობთ, ხმაური ხელს უშლის ტიგრანას თამაშში, ამი ტომ ყურები თითებით აქვს დაცული და მაშინ თუ გამოიღებს, როდესაც სვლას აპირებს.

– შახ! – ვეუბნები მე.

– შახ კი არა, ქიშ! – მისწორებს ქართულს ტიგრანა.– ბოდიში, ქიშ! – ვასწორებ შეცდომას. ტიგ რანამ დაფას დახედა, დიდხანს უყურა.

– რითი მეუბნები ქიშს. – მკითხა ბოლოს.

– ცხენით!– ვუპასუხე და ხელით ვანიშნე.

– ეგ ცხენი არ არის, მხედარია, – ისევ გამისწორა ტიგრანამ.

– სულელო, ეგ ცხენია, მხედარი ცხენზე რომ კაცი ზის, იმას ჰქვია. – ვეუბნები მე.

– ვაა! – გაუკვირდა ტიგრანას. მე ცხენი ავიღე და ცხვირთან მივუტანე.

– აბა, შეხედე, ზის ამ ცხენზე კაცი? – არა! – მიპასუხა ტიგრანამ.

– ესე იგი, რა არის ეს? – ტიგრანამ ცხენი ჩამომართვა და თავის ადგილას დადო.

– ნაკაშიძე, ყველა გაზეთში სწერენ, რომ პეტროსიანმა ფიშერს მხედრით ქიში გამოუცხადაო. რატომ წერენ ასე? – არ ვიცი! – ვუთხარი მე.

– თუ არ იცი, მოკეტე და, როგორც წესია, ისე მითხარი.– მკვლელო გულოიან!.. – დავიწყე მე.

– მე მკვლელი არა ვარ! – ისევ გამისწორა ტიგრანამ.

– ადამიანის სიკვდილში ეჭვმიტანილო და ძიებაში მყოფო გულოიანო, აგრეთვე ადამიანის სიკვდილში ეჭვმიტანილი და ძიებაში მყოფი ნაკაშიძე, რომელიც ამჟამად თეთრებით თამაშობს, თავისი მხედრით ქიშს უცხადებს თქვენს შავ მეფეს.

– ეგრე, – თქვა კმაყოფილმა ტიგრანამ და დაფას დააკვირდა, – ეგ ქიში კი არა, მატია, ნაკაშიძე, – თქვა მან უცებ და გაკვირვებულმა ამომხედა.

– მატი კი არა, გულოიანო, შამათი! – გავუსწორე მე.

– ნუ მასწავლი, შენზე კარგად ვიცი! – მითხრა ტიგრანამ, ადგა და ჭარხალივით გაწითლებული თავის ნარზე წამოწვა. მეც იგივე გავაკეთე. ცოტა ხანს ვაცალე, სისხლი რომ დაუწყნარდა, ტკბილად დავუძახე.

– ტიგრან! – აჯან! – მიპასუხა.

– თუ ძმა ხარ, რამე გადაიფარე, არ გაცივდე, და საერთოდ, თავს გაუფრთხილდი.– რაშია საქმე? – მკითხა გაკვირვებულმა ტიგრანამ და საწოლზე წამოჯდა.

– რას ამბობ, ბიჭო, შენ რომ მოკვდე, დედაენა დაგვეკარგება, – ვუთხარი ტიგრანას. საკანში ხარხარი ატყდა.

– უჰ, შენი, პურს არ ვჭამდე შენთან, მეტი არაფერი არ მინდა! – ინატრა ტიგრანამ, ისევ წამოწ ვა და, სიცილი რომ არ გაეგონა, თავზე ბალიში დაიდო.

მოშიაშვილისათვის სულ ერთია სახედარი ჰქვია ჭადრაკის ფიგურას, რაში, მერანი, ცხენი, ვი რი თუ თოხარიკი. მოშიაშვილი ზის ფეხმორთხმული თავის საწოლზე კუთხეში და ღიღი ნებს:

ორი ათასმანეთიან დრაპის პალტოს ხუთას თუმანში ყიდიან, ყიდიან, ყიდიან, ყიდიან, უგა ლონში მიდიან.

– ბიჭო, გიგლა, ეგ სიმღერა ბოლომდე იცი? – ჰკითხა უცებ ლიმონამ.

– ბოლომდე ვიცი, ლიმონ, გენაცვალე! – უპასუხა გიგლამ მორჩილად.

– სულ ბოლომდე? – სულ ბოლომდე, ლიმონს შემოვევლე, სულ ბოლომდე, ხომ არ გინდა სიტ ყვები ჩაგაწერინო? – სიტყვებიკი არა, ახლა გაჩუმდი, თორემ ამ პარაშაში თავით ჩაგაყუდებ, – უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა ლიმონამ.

– ესეც მე ვარ? – იკითხა გახარებულმა შოშიამ.

– რატომ უნდა გავჩუმდე, წეღან თვითონ არ თქვი, გაუშვი, თავისი ჭია გაახაროსო, ჰოდა, მეც ვახარებ! – გაუძალიანდა მოშიაშვილი.

– შენ რაღაც ძალიან გრძელი ჭია გყავს, რომ გეუბნები, გაჩერდი! – გაუმეორა ლიმონამ.

– გაჩერდი, რა, ხომ იცი, ციხე ქურდებისაა! – შეახსენა მოშიაშვილს მებურიშვილმა, სასაფლა ოს ყოფილმა დირექტორმა, რომელსაც ლიმონამ ლაბრადორა შეარქვა.

– თქვენ მამასახლისი ბრძანდებით და მითხარით, მართლა ქურდებისაა ციხე, ბატონო ჭიჭი კო? – ჰკითხა გოგოლს მოშიაშვილმა.

– მაგათია, გიგლა ბატონო, და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ.

– თქვა გოგოლმა.– რა ვქნა, კაცო, გარეთ ობეხეესი არ მაყენებს, ციხეში – დევდარიანი, რა წყალში ჩავვარდე, სად წავიდე? – თქვა გიგლამ სასოწარკვეთით.

– ისრაელში წადი, გიგლა, ისრაელში! – ურჩია ჭიჭიკო გოგოლმა. მანამდე საუბარი ნახევრად ლაზღანდარულ ტონში მიდიოდა, მაგრამ ყველასათვის გასაოცრად და მოულოდნელად მო შიაშვილს სახე მოებრიცა. წამოდგა ნარიდან, მივიდა და მხარ-თეძოზე წამოწოლილ ჭიჭიკო გოგოლს თავზე წაადგა.

– რა მითხარი? – ჰკითხა გაყინული ხმით, – გაიმეორე, რა მითხარი! ჭიჭიკო გოგოლმა მოულოდნელობისაგან პირი დააღო და თვალები გადმოკაკლა.

– გაიმეორე, რა თქვი! – უთხრა ისევ მომიაშვილმა.

– ეს შენ ხარ ნამდვილი მოშიაშვილი, მოშიაშვილო, თუ მეჩვენება? – ჰკითხა გოგოლმა.

– მე ვარ მოშიაშვილი და შენ გეუბნები, ჭიჭიკო გოგოლს, გაიმეორე, რაც წეღან თქვი! – გოგო ლი გაფითრდა და ფეხზე წამოდგა, ახლა ისინი ერთმანეთის პირდაპირ ისე ახლოს იდგნენ, რომ, ალბათ, ერთმანეთს ვერც კი ხედავდნენ.– მოშიაშვილო, მე კი გავიმეორებ მაგას, რაც ვთქვი, მაგრამ რად გინდა, ვეღარ გაიგონებ და... – თქვა გოგოლმა, მოშიაშვილს საყელოში დაავლო ორთავე ხელი, მაღლა ასწურა და ახლა ქვევიდან უყურებდა.

მოშიაშვილს სახე წამოუწითლდა დაძაბულობისაგან, მაგრამ წარბი არ შეურხევია.

– ჭიჭიკო, დასვი ეგ კაცი. – სთხოვა დევდარიანმა გოგოლს. გოგოლმა ხელი გაუშვა მოშიაშ ვილს, იგი იატაკზე დაეშვა.

– მოშიაშვილო, დაბრუნდი შენს ნარზე, – მოშიაშვილმა საყელო გაისწორა და თავის ნარზე დაბრუნდა. – რა გითხრა, ბიჭო, ისეთი, ისრაელში წადიო, რა მოხდა, მთელი ებრაელობა ის რაელში მიდის, სულ ორკესტრებით აცილებენ, შენ რა გეწყინა ასეთი? – სიცილით ჰკითხა დევდარიანმა.

– მე არ უნდა მითხრას ეგ! – თქვა ძალიან სერიოზულად მოშიაშვილმა.

– შენ რატომ, ბაგრატიონ-მუხრანსკი ხარ და არ გეკადრება ისრაელში წასვლა თუ რა? – ჰკით ხა ქანდარიდან შოშიამ.

– მე ორი ძმა დავკარგე სამამულოფრონტზე, ჩემი დედ-მამა აქ მარხია, ნავთლუღის ებრაელ თა სასაფლაოზე.

– მით უმეტეს, ობოლი ყოფილხარ, სულ მთლად გაწყვეტილხარ, მე შენს ადგილზე დღესვე წა ვიდოდი იმ ისრაელში! – ურჩია ისევ ჭიჭიკო გოგოლმა. მოშიაშვილი ისევ აენთო.

– შენ ვინ აგდიხარ, რომ მაგას მეუბნები, გუშინ თუ გუშინწინ მოთრეული ვიღაც გოგოლი! – იკივლა უცებ მოშიაშვილმა. – მეც, ჩემი ცოლიც, ჩემი შვილებიც, იმათი შვილებიც, შვილიშ ვილებიც, იმათი შვილიშვილებიც აქ უნდა დავიმარხოთ, აქ, გასაგებია, გოგოლო? – მე ვარ გუშინ თუ გუშინწინ მოთრეული, ხომ? – იკითხა ირონიულად გოგოლმა. – მე, 250 წლის წინ სამეგრელოში ჩამოსული გოგოლი ვარ. მაგი იცი თუ არა შენ, ბატივით შტერო მოშიაშვილო, რომ ჩემს ძარღვებში ოთხმოცი პროცენტი ცისფერი ლაზური სისხლი სჩქეფს და რომ დედა ჩემის ბებიის ბებია და კიდომ იმის ბებია მედეა იყო კოლხი! რომელს გაქვთ აქ ათი თავი, რომელი ადგებით და გამიბედავთ მაგას, რომ ასე არაა მაგი?! მე, ჩემი ცოლიც, ჩემი შვილე ბიც და იმათი შვილებიც აქ უნდა დავიმარხოთ ყველა! – ყვირილით დაამთავრა თავისი გა მოსვლა გოგოლმა.

– გამოდის, რომ ეს ჩვენი საქართველოთქვენი სასაფლაო ყოფილა? – გაშალა ხელები უკმაყო ფილო ტიგრან გულოიანმა.

– სწორედ შენ გვაკლდი, ტიგრან! – თქვა დევდარიანმა.

– ეგრე რატომ ამბობ, ლიმონჯან, მაგათი ბაბუის ბაბუები სად იყვნენ, მამაჩემი რომ ხოჯავან ქზე ყომარს აგორებდა, თანაც მე დაჭერამდე დადეშქელიანის გვარით ვიმალებოდი. – დაასა ბუთა თავისი ქართველობა ტიგრანამ.

– რაღა დადეშქელიანის გვარით იმალებოდი, პეტროსიანის გვარით ვერ დაიმალე? – გაეცინა დევდარიანს.

– რას ამბობ, ლიმონჯან, სად დადეშქელიანი, სად პეტროსიანი, თანაც ნახე, როგორ სომხუ რად ჟღერს დადეშქელიან! – გამოთქმით თქვა ტიგრანამ.

– არ დაჭამეს, ბიჭო, ერთმანეთი ქართველობისათვის ამ ებრაელმა, უკრაინელმა და სომეხმა? გაიგე ახლა, რომელია მართალი, – თქვა მებურიშვილმა.

– სამივე მართალია! – თქვა თავისთვის ბატონმა ისიდორემ. საკანი მოლოდინში გაიტრუნა. ისიდორე დუმდა, მან ისიც საკმარისად მიიჩნია, რაც თქვა, მაგრამშოშია მოკლა ცნობისმოყვა რეობამ.

– ძია ისიდორე, ან ამიხსენი, როგორ შეიძლება სომეხი, ებრაელი და უკრაინელი ქართველები იყვნენ, ან მომკალი! – შეევედრა შოშია.

– აბა, გულოიანზე რა უნდა გითხრათ, – დაიწყო ღიმილით ბატონმა ისიდორემ, – წეღან თვი თონ მოუსმინეთ, როგორ უსწორებდა ქართულ მეტყველებას ნაკაშიძეს, თანაც ჰაოსი და ქართლოსი რომ ძმებია, იმის გარდა რა საბუთები მოიყვანა? – ყველას გაეცინა.

– ჯიგარი ხარ, ძია ისიდორე! – მჯიღი დაარტყა გულზე ტიგრანამ.

– კარგი, ძია ისიდორე, ტიგრანა ჩვენია, ამათ რას უშვებით? – თქვა ქანდარიდან შოშიამ და ხე ლები გოგოლისა და მოშიაშვილისაკენ გაიშვირა. ძია ისიდორე ცოტა ხნით დაფიქრდა.

– ებრაელებს, – თქვა ბატონმა ისიდორემ, – ერთი ფრიად საინტერესო კანონი აქვთ, ამ კანო ნის ძალით ებრაელად ის ითვლება, ვისაც დედა ჰყავს ებრაელი.

– მამა? – იკითხა ტიგრანამ.

– მამას არა აქვს მნიშვნელობა.– როგორ თუ არა აქვს, მამა თუ ებრაელია და დედა ფრანგი? – იკითხა ახლა ჭეიშვილმა.

– ბავშვი ფრანგია, დედას ეკუთვნის, – მოკლედ მოუჭრა ისიდორემ.

– ეგ მე ძალიან მაწყობს, – თქვა ჭეიშვილმა, – ჩემი ცოლი წარმოშობით ფრანგია და რატომ უნ და ვუხადო მე ვიღაც ფრანგებს ალიმენტი, მით უმეტეს, რომ ჩემი შვილები არ არიან, არც მგვანან და მათი დაბადების თარიღი არ ემთხვევა ჩემს მიერ ჩატარებულ აქტს. – გამოუტანა საკუთარ თავს ჭეიშვილმა გამამართლებელი განაჩენი.

– საღოლ, მაშინ აიღე, გაუცვალე მოშიაშვილს საბუთები და შენ წადი ისრაელში. – ურჩია ტიგ რანამ.

– სიამოვნებით, თაღლითობაზე და სახელმწიფოს წმინდათაწმინდა საკუთრების მითვისები სათვის რომ არ იყოს ექსპროპირებული! – დათანხმდა ჭეიშვილი.

– ექსპროპირებული მიძახე, ორ-სამ დღეში რომ დამიძახებენ – Мошиашвили, с вещами! – ირო ნიულად დააქნია თავი გიგლამ.– რატომ, კაცო, რატომ შენ დაგიძახებენ და მე არა? რითი მჯობიხარ, რითი? შენზე ნაკლები ქურდი ვარ, შენზე ნაკლები გამფლანგველი, შენზე ნაკლე ბი ცოლ-შვილი მყავს, შენზე ნაკლებად მინდა სუფთა ჰაერზე გასვლა თუ რა? რითი მჯობი ხარ? – ატირდა ისევ შოშია ქანდარაზე.

– იმით გჯობივარ, ჩემო შოშია, რომ მე ფიზიკურად ძალიან სუსტი და ნაზი ვარ, ჩემი ორგა ნიზმი ვერ გაუძლებს ციხეში დიდხანს ჯდომას. კიდევ ერთი-ორი დაკითხვა და შეიძლება ძალიან ბევრი ხალხი დავღუპო, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სეკრეტები ვიცი.

– საიდუმლო! – გაუსწორა ტიგრანამ.

– ჰო, ძალიან ბევრი საიდუმლო ვიცი! – მე რა, შენზე ნაკლები საიდუმლო ვიცი? – იკითხა შო შიამ.

– არა, შოშიას დავენაცვლე, ცოტა საიდუმლო როგორ იცი, პირიქით, რაც იცი, ისიც არ უნდა გცოდნოდა...

– ვითომ რატომ? – ეწყინა შოშიას.

– იმიტომ, რომ, შენ რაც იცოდი, უკვე ყველაფერი თქვი, მე კი ჯერ არაფერი მითქვამს და, ვიდ რე ვიტყოდე, ებრაელები ჩემს წონა ოქროს იშოვიან და სულ მალეგააღებს კარს ზედამხედვე ლი და რუსულად დამიძახებს, – Мошиашвили, с вещами! – ვაიმე, შვილებო, იდიოტი მამათ ქვენი, რა მინდოდა წვენებში, რა ჩემი საქმეა ასკილისა და მაყვლის წვენი. მემუშავა ამასთან გაგრაში და მეყიდა ლაკის ტუფლები, მაგრამ არ გაძღა დედათქვენის მუცელი, ახია, ახია!... – ისევ ატირდა შოშია.

– კარგი რა, შოშია, ამოხვედი ყელში შენი ცოლშვილიან-წვენებიანად. აცადე კაცს ლაპარაკი! – თქვა დევდარიანმა. შოშია მონუსხულივით დადუმდა. – მერე, ძია ისიდორე? – მიუბრუნდა ლიმონა ისიდორეს.

– მერე, არაფერი, დევდარიანო, იმის თქმა მინდოდა, თუ გოგოლზე ებრაელების კანონით ვიმ სჯელებთ, ქართველია და მერე როგორი, ნამდვილი კოლხი. – თქვა ისიდორემ.

– მერე აქ ხომ ისრაელი არ არის, საქართველოა, – თქვა ჭეიშვილმა.

– არ არის, მაგრამ, როდესაც საჭირო იყო, საქართველოშიც ხდებოდა ასე, მაგალითად, მეფე ლაშა თამარის ძე იყო, ხოლო რუსუდანი – თამარის ასული...

– ვაააა! – გაუკვირდა ტიგრანას.

– კარგი, ძია ისიდორე, დაგიჯერეთ, რომგოგოლი ქართველია, ამას რას უშვები? – იკითხა შო შიამ და ხელი მოშიაშვილისაკენ გაიშვირა.

– მაგას, ჩემო შოშია, ყველა ჩვენთაგანზე კარგად აქვს საქმე. – გაიღიმა ისიდორემ.

– ახლა არ მითხრა, ბაგრატიონიაო! – გააფრთხილა შოშიამ.

– თუ გავიხსენე, უარესს გეტყვი! – თქვა ისიდორემ, თვალები მოხუჭა, ერთხანს იფიქრა, მერე დინჯად დაიწყო: – მაშინ ნაბუქოდუნოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა, მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი. ასე სწე რია ქართლის ცხოვრებაში.

– ეგ ბევრს არაფერს არ ნიშნავს! – ადამს აქეთ სამი ათას სამას სამოც წელს იყო ნაბუქოდუნო სორ. წერია იქვე. მერე, გენეტიკის აღმოჩენასთან დაკავშირებით, თუ იმასაც გავითვალისწი ნებთ, რომ სამშობლოს სიყვარული, მშობლიური ტერიტორიის გრძნობა და მისდამი დამო კიდებულება ღია ინსტინქტია, რომელიც საუკუნეების მანძილზე მდიდრდება სულ ახალ-ახალი შეძენილიდამოკიდებულებებით და გენების საშუალებით გადაეცემა შთამომავლო ბას, მაშინ მოშიაშვილს ყოველი ჩვენთაგანივით, შეიძლება ზოგიერთზე მეტი უფლებაც კი აქვს, თქვას, ქართველი ვარო, საქართველო მისი სამშობლოა უხსოვარი დროიდან, გასაგე ბია? – დაამთავრა ისიდორემ.

– ჯიგარი ხარ, ძია ისიდორე, ვერაფერი ვერ გავიგე, მაგრამ შენი მჯერა. ნაკაშიძე, მე რომ მაშა ყირებ, ამ კაცს გაუფრთხილდით, მართლა არ დაგეკარგოთ დედაენა. – ისე სერიოზულად მითხრა ტიგრანამ, რომ ძალაუნებურად ისიდორესკენ კრძალვით გავიხედე.

და უცებ მოხდა ისეთი სასწაული, რომლის მსგავსი კაცობრიობის გაჩენის დღიდან არც მო სეს, არც ქრისტეს, არც ერთ მის მოციქულს და არც ერთ სასწაულმოქმედს ერთად აღებულს არ ჩაუდენია...

საკნის კარი გაიღო, ღია კარში ფეხებგაფშეკილი, უკან ხელებდაწყო- ბილი ზედამხედველი ჩადგა და რუსულად გამოაცხადა: – Мошиашвили, с вещами!

წამიყვანე, მზეო!

წამიყვანე მზეო

შენ გეკითხები, უსაშველოდ ნათელო, თბილო, მაცოცხლებელო და დაუშრეტელო მზის სხივე ბის პატარა კონავ, ნუთუ იმიტომ წამოხვედი ასეთი შორეთიდან, ნუთუ იმიტომ გაიარე ასეთი სისწრაფით ჯერ ცა, მერე – მთა, ველი, ნუთუ იმისათვის გაძვერი, როგორც ნემსის ყუნწში, ცი ხის ალაყაფის ჭუჭრუტანაში და ჩემი საკნის დაჟანგულ გისოსში, რომ მხოლოდ ხუთი წუ

თით დაგედო თავი ჩემი ბალიშის ყურზე, ოდნავ გაგეთბო ჩემი ცივი სხეული, მხოლოდ ერ თხელ გადაგესვა შენი თბილი ხელი ჩემს სახეზე, მერე ამდგარიყავი, თან წაგეყვანა ჩემი სუ ლი და გონება, ხოლო სხეული, როგორც ბეჭდის ცარიელი ბუდე, დაგეგდო რკინის ნარზე, ან იქნება ჩემი გონება თვითონ დაგეწაფა, როგორც ყინულების ნაპრალში ჩამოვარდნილ დალის ოქროს ნაწნავს, და გაგყვა შენდა უნებურად, შენთვის კი რაა ერთი, ასი, ათასი, ათი ათასი, ასი ათასი სულის ტარება, როცა მთელი სამყარო დედაშენის შარავანდედის გარშემო ბრუნავს და მისი ოქროს დალალის ბეწვზე ჰკიდია.ან შემოდი და დარჩი, ან სულ ნუ შემოხვალ და საერ თოდ, ნუ გამოჩნდები, მზეო, თორემ ხარ კიდევაც და არცა ხარ, თუ არა ხარ, მარტო ჩემთვის არ ხარ და, თუ ხარ, მეტი წილი სხვისთვის ხარ და ეს ჩემი წილი ისე მცირეა, რომ ხელში აღე ბას ვერ ვახერხებ, სადღაც თვალსა და ხელს შუა, თითებშუა მეპნევა და მეკარგება, ან ისე მწვე ლია და გავარვარებული, ხელს ვერ ვკიდებ, როგორც თვალთა დასაშთობად გავარვარებულ შანთს.

შემიცოდე, მზეო! – ისე გავსებ საყვედურებით ყოველ საღამოს, მაგრამ დილით მაინც გელო დები, რომ კვლავ გაგყვე, რადგან შენ ხარ ერთადერთი მეგზური, რომელსაც შეუძლია ჩემი აქედან ისე გაყვანა, რომ ვერც გუშაგმა, ვერც ციხის უფროსმა, ვერც ზედამხედველმა და ვერც ჩემმა თანამესაკნეებმა შემამჩნიონ, მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია, გააღო ციხის ცხრავე კარის ცხრაჯერ სამი ურდული უხმაუროდ, შეუმჩნევლად და გამიყვანო. ოღონდ შენ არ შეგიძლია ჩემი სამუდამოდ წაყვანა, შენ შეგიძლია, დამტოვო იქ, სადაც გთხოვ, ხოლო ჩასვლისას გამო მიარო და კვლავ დამაბრუნო საკანში, რადგან ჩასვლის შემდეგ შენ ძალას კარგავ. და ეს ძალა შენ მხოლოდ ივლისში გაგაჩნია, რადგან ივლისის შემდეგ შენ სხვის ფანჯარაში შედიხარ, სხვის ბალიშის ყურზე ისვენებ, სხვას ეკუთვნი და სხვა გაგყავსაქედან. მე ვიცი ეს და არ მწყინს, რადგან შენ მარტო ჩემთვის არ მოსულხარ ამქვეყნად, მე უბრალოდ გთხოვ, გემუდა რები, ვიდრე ივლისია, ნუ დამტოვებ, წამიყვანე ხოლმე, მზეო!

ხილვა პირველ~~ი~~

~~ხ~~ილვა პირველ

– გაიღვიძე, ზაზა! – თვალს ვახელ, თავზე მზე მადგას და თბილ ხელს მისვამს ლოყაზე.

– გამარჯობა! – ვეუბნები და სიამოვნებისაგან ვინაზები.

– გაგიმარჯოს, გაიღვიძე, თორემ მივდივარ! – კიდევ ხუთი წუთი! – ვემუდარები.

– მე არ შემიძლია, კიდევ ხუთი წუთი ვიდგე ერთ ადგილას, ეგ ჩემზე კი არ არის დამოკიდე ბული, გაიღვიძე და, თუ გინდა, წამომყევი, მე მივდივარ! – მაფრთხილებს მზე და ცალი ფე ხი უკვე სარკმელში აქვს.

– დამიცადე, უჩემოდ არ წახვიდე! – ვეუბნები შეშინებული და მაჯაში ვავლებ ხელს.

– წავედით, ზაზა! – წავედით, მზეო! ჩვენ გავძვერით გისოსში, გავიარეთ ადმინისტრაციის შე ნობის წითელი თუნუქის სახურავი, მარცხნივ შევუხვიეთ,მაღლა-მაღლა ავედით და მზემ ნარიყალას ციხესთან დამტოვა.

– საღამოს ჩემი ჩასვლისას აქ დამელოდე, ოღონდ დასავლეთის მხრიდან, – გამაფრთხილა და წავიდა დალოცვილი, ეჭვმიუტანელი, მსჯავრდადებული, ნათელი, ცასავით მართალი, სწო რუპოვარი და თავისუფალი.

წავიდა მზე.

* * *

ვეებერთელა საწერ მაგიდას ვუზივარ და დილის ფოსტას ვათვალიე- რებ. წერილების უმრავ ლესობა ანონიმურია, ხალხი ერთმანეთს აბეზღებს. ვინ სად, როდის და რამდენ ქრთამს იღებს, ვის რომელი ხის ძირში აქვს ფული დამარხული, რომელ კედელშია შეშენებული ოქ როებითა და ძვირფასი თვლებით სავსე ქოთნები. ვინ რამდენად ყიდის სამუშაო ადგილს თუ წილს და ვინ რომელ რესტორანში ქეიფობს არღნით ხელში ბოზებთან ერთად. ვინ რამდენ ბოთლ შამპანურს სვამს გარყვნილი დედაკაცის ძუძუსთავებიდან, ვის აქვსყალბი დიპლომი, როგორ იღებენ ქრთამს: ქალაქში ჩაწერაში, მანქანების გაფორმებაში და უამრავ სხვა რამეში, თვითონ ჩემი თანამშრომლებიც კი. როდესაც ასეთ წერილებს კითხულობ კაცი, უცებ გავიწ ყდება, რომ ქვეყნად არსებობს სუფთა ჰაერი, წმინდა მდინარე, შეურყვნელი ბალახი, მოუჭრე ლი ხე, მოუგლეჯელი ყვავილი, მგალობელი ჩიტი და უღრუბლო ცა, ყველაფერი მიწაზეა გარ თხმული და ტალახშია ამოსვრილი. გგონია, რომ დედამიწის დაშავებული ზურგი სავსეა ბალ ღამითა და ბოროტებით. ასე გგონია და, რომ არ დაიხრჩო და არ გაიჭყლიტო საკუთარ კაბი ნეტში, რომლის კედლებს თითქოს ყოველი მხრიდან აწვებიან და მოაგორებენ შენკენ, რომ ლის ჭერს თითქოს ყველა სართული დამხობია და ახლა ქვევით იწევს, რომ მიწასთან გაგასწო როს, დგები და აფორიაქებული ქუჩაში გარბიხარ, დადიხარ, ვიდრე ვინმე ახლობელი არ შეგ ხვდება და არ გაგიღიმებს ჭკვიანი თვალებით, არ გამოგიწვდის თბილ ხელს და არ გეტყვის: – გამარჯობა, ზაზა! აკვირდები მის გაქათქათებულ, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად გაცრეცილ თეთრ საყელოს, ოდნავ დამტვერილ ნახმარ ფეხსაცმელს, მზისაგან დამწვარ სახეს, გახუნე ბულ წარბებს, გულზე მოგეშვება და, როგორც მაცოცხლებელ ჟანგბადს, ისე ღრმად ჩაისუნ თქავ ჰაერს, რომელიც მის გარშემო დგას და მის ღიმილს მოჰყვა.– დაიღალე? – გკითხავს ის.

– ძალიან დავიღალე, აი აქ მტკივა! – კეფაზე იდებ ხელს.

– მძიმე სამუშაო გაქვს, როგორ გათეთრებულხარ! – გეუბნება ის.

– შესვენებაზე გამოდი? – ეკითხები შენ.

– ვინ მოგასვენებს, ჩემო ზაზა, ტრესტში გავრბივარ, თათბირზე მეძახიან. – მეუბნება ის, საათ ზე იცქირება და ხელებს შლის, რა ვქნა, მეჩქარებაო.

– გამომიარე სამსახურში, თუ რამე დაგჭირდეს, არ მომერიდო! – სთხოვ შენ.

– ღმერთმა ნუ დამაჭირვოს შენი თავი! – იცინის ის. – ისე გამოგივლი! – ისე გამომიარე! – ეუბ ნები შენ. მერე რაღაც გიხარია და გახსენდება, რომ ქვეყნად არსებობს სუფთა ჰაერი, წმინდა მდინარე, შეურყვნელი ბალახი, მოუჭრელი ხე, მოუგლეჯელი ყვავილი, მგალობელი ჩიტი, უღრუბლო ცა და დედამიწის დაშავებულ ზურგზე არც იმდენი ბალღამია, იმ წერილების ავ ტორებს რომ ჰგონიათ. წესით ეს წერილები ბუხარში უნდა შეყარო და ცეცხლს მისცე, მაგ რამ, საუბედუროდ, ზოგიერთ მათგანში მართალი სწერია დაუნდა შემოწმდეს.

რამდენიმე წერილი პირადად მე მეხება. აი ერთი: „პატივცემულო „მინისტრო!“

მინისტრი, რატომღაც, ბრჭყალებშია. „ეს ქვეყანა ჩალით დახურული ნუ გგონიათ, თქვენი დროც მოვა და ვნახავ თქვენს ცოლ-შვილს აყუდებულს „გუბერსკის“ კარზე „პერედაჩით“, ეს სიტყვებიც ბრჭყალებ- შია. „თემურ-ლენგს და ჩინგისხანს არ უქნია საქართველოსთვის, რა საც თქვენ უკეთებთ!
აავსეთ ციხე ქართველებით! ეს არის თქვენი ერის შვილობა? თქვენისთანა „ერისშვილი“ უნდა მოკვდეს“. ერისშვილიც ბრჭყალებშია, „ჩაძაღლდეს და არ დაიმარხოს. განგება“. – ასე აწერს ხელს.

ეს ვიღაც ბრიყვია და არ იცის, რომ მე ვარ მინისტრი, მყავს ჯარი და, რაც მთავარია, მაქვს მთე ლი ინსტიტუტი თავისი საექსპერტო უნიკალური ლაბორატორიით და მე შემიძლია ხვალვე გავიგო მისი ვინაობა, მაგრამ მე ვიღებ წერილს, ცეცხლს ვუკიდებ, ერთხანს ხელში მიკავია და შემდეგ საფერფლეზე ვდებ. წერილი იწვის, იწვის, ფერფლად იქცევა და ჰაერში ატაცებული პატარა ნამცეცა ფთილები ოთახში იწყებენ ფრენას ფარვანებივით. ელექტროღილაკს ვაჭერ თითს, კარი იღება და ჩემი მდივანი გოგონა შემოდის.– თინიკო, წერილები წაიღე და ერთი ეგ საფერფლეც გააყოლე და ფერფლი გადაყარე! – მერე გაზეთს ვშლი.

– ბატონო ზაზა, იქ ერთი დარბაისელი ჭაღარა ქალი გელოდებათ! – ვინ არის? – ვიღაცის დე დაა! – დედა? თუ დედაა, მოიცდის, დედა სად წავა?! – უკვე ძალიან დიდი ხანია, იცდის, ბა ტონო ზაზა! – რა უნდა? – თქვენ უნდიხართ! – მიპასუხა მდივანმა და გაეცინა.

– რა გაცინებს? – აქ ვინც მოდის, ყველას თქვენთან საუბარი სურს, მე კი ვეკითხები, რა გნებავთ-მეთქი, და ყველა ასე მპასუხობს, ბატონ მინისტრს მოვახსენებო.

– შემოვიდეს! მდივანი გავიდა და კაბინეტში თოვლივით სპეტაკი არცთუ ისე ხნიერი ქალი შემოვიდა. ისეთი სანდომიანი სახე ჰქონდა, უნებურად ფეხზე წამოვდექი. მან ოდნავ შესამ ჩნევად თავი დამიკრა.
მეც დავუკარი თავი და დავჯექი.

– დაბრძანდით, ქალბატონო! – ვუთხარი მე. იგი წამოვიდა და საწერ მაგიდასთან მიდგმულ სხდომათა გრძელი მაგიდის ბოლოში დაჯდა. ნაცრისფერი საწვიმარი ეცვა, ყელზე შავი თეთრწინწკლებიანი ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული, გამოხედვა – სევდიანი და ოდ ნავდამცინავი. სახეზე ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, ვიგრძენი, ძალიან ნატანჯი და ამაყი ქალი იყო, დიდი გაჭირვება თუ არა, იგი აქ ჩემთან არ მოვიდოდა. შავი საკვოიაჟიდან თეთ რი ცხვირსახოცი ამოიღო და სახეზე მოისვა. ღელავდა, ხელები ოდნავ უთრთოდა, მარჯვე ნა ხელის ორი თითი გაყვითლებული ჰქონდა ნიკოტინისაგან. ეტყობოდა, დიდი ხანია ეწეოდა და ძალიან ხშირ-ხშირად. ღმერთო, სად მინახავს ეს ქალი და ნეტავ რა უნდა მთხო ვოს, რა ნაცნობი სახე აქვს, სირცხვილი არ ვჭამო და უბრალო რამეზე უარი არ ვუთხრა, მაგ რამ ვაითუ ისეთი რამ მთხოვოს, რომ...

– რა გნებავთ, ქალბატონო? – ვკითხე მე.

– მე ჩემი შვილის თაობაზე გაწუხებთ, პატივცემულო, მინისტრო! – მითხრა მან და ახლა ნიკა პი აუთრთოლდა. მე ავდექი, მივედი, წინ წყალი დავუდგი, სიგარეტი მივაწოდე და ვთხო ვე: – აი, ქალბატონო, წყალი და სიგარეტი, დალიეთ, მოწიეთ, დაწყნარდით და ისე მომიყე ვით ყველაფერი, ოღონდ ნუ იტირებთ, თორემ არაფერი არ გამოგვივა. – ქალმა წყალი მოს ვა, სიგარეტს ხელი არ ახლო.

– ვინ ბრძანდებით, ქალბატონო? – ვკითხე მე.– მე ზაზა ნაკაშიძის დედა გახლავართ. – თქვა მან.

– ზაზა ნაკაშიძე, ზაზა ნაკაშიძე, ჩემი სეხნია ყოფილა, ზაზა ნაკაშიძე! – ვერ გავიხსენე მე. – რა სჭირს თქვენს შვილს? – ჩემი შვილი, რესტორან „მადაში“ მაისში რომ მკვლელობა მოხდა, იმ საქმეში ურევია! – თქვა ქალმა და გაფითრდა.

– აა, ზაზა ნაკაშიძე, „მადაში“ მომხდარი მკვლელობა! – გამახსენდა მე მთელ თბილისში გახ მაურებული საქმე. – თქვენ რა გქვიათ, ქალბატონო! – ანა, ანიკო ნაკაშიძე! – მე მგონია, სიტ ყვა „ურევია“ ის სიტყვა არ არის, ქალბატონო ანიკო, რომელიც თქვენ შვილს მიესადაგება.

– მართალი ბრძანდებით, შვილო, მაპატიეთ, რომ ასე მოგმართავთ.

– რას ბრძანებთ! – ჩემი შვილი არც კი ურევია მაგ საქმეში, იგი უბრალოდ იქ იყო.

– ყველა პატიმრის დედა ასე ამბობს, ქალბატონო ანიკო, და ყველა ეჭვმიტანილი პატიმარიც, ვიდრე დანას, რევოლვერს ან ბოთლს ხელში არ დავუჭერთ.

– ვიცოდი, შვილო, ამას რომ მეტყოდი, როდესაც შენთან მოვდიოდი, ისიც ვიცი,რომ ყველა ფრაზა, რომელსაც ახლა აქ ვიტყვი, უსაშველოდ გაცვეთილია და უსაშველოდ გაცვეთილი იქნება პასუხი, რომელსაც თქვენ მომცემთ.

– მაშინ, როგორ მოვიქცეთ? – თქვენ უნდა მენდოთ მე და ჩემს შვილს პატიოსან სიტყვაზე! – მაშინ მე რა ვუყო იმ რვა მოწმესა და გამომძიებლის პატიოსან სიტყვებს, რომლებიც, გარდა პატიოსანი სიტყვისა, კიდევ ფაქტებით არის გამაგრებული? – მე მესმის, ბატონო მინისტრო, თქვენი მდგომარეობა, მაგრამ ჩემი შვილი მონასტრის კედელზე მოხატული ფრესკა არ არის, რომ მხოლოდ ერთი მხრიდან უყუროთ, ან საღებავი გადაუსვათ, წაშალოთ და ზედ ახალი ფრესკა დახატოთ.

– როგორ ბრძანეთ? – ვკითხე მე.

– ადამიანი ფრესკა არ არის, შვილო, რომ ერთ სიბრტყეში უყურო, ადამიანს, როგორც ქანდაკე ბას, ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამა ზად იმზირება.

– მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, მაგრამ „მადაში“ ჩადენილი მკვლელობა ხელოვნება არ არის და ციხე – ხელოვნების ნიმუშთა საგამოფენო დარბაზი.

– კარგი პასუხია, ბატონო მინისტრო,მაგრამ სწორი არ არის. თუ ადამიანის აღზრდა ხელოვნე ბაა, მაშინ ადამიანს, როგორც ხელოვნების ნიმუშს, ისე უნდა მიუდგე და მოექცე.

– რატომ გგონიათ, ქალბატონო, რომ თქვენი შვილი ხელოვნების ნიმუშია, მე და ჩემი თანამ შრომლები და მოწმეები – საგამოფენო დარბაზში მოსული ბრიყვი მაყურებლები, რომლე ბიც შთაბეჭდილებათა წიგნში მარტო – არ ვარგას და არ მომწონს – წერენ! – მე ეგ არ მიკად რებია თქვენთვის, მაგრამ თქვენს გამომძიებელს, გაგუას, არ შეუძლია გაუგოს ჩემ შვილს.

– რატომ! – იმიტომ რომ მას სწორედ ის აკლია, რაც ჩემს შვილს სჭირდება.

– კერძოდ? – კაცთმოყვარეობა, გულისყური და მოთმინება.

– რაღა დარჩა საწყალ გაგუას? – შემეცოდა მე გაგუა.

– სისხლის სამართლის კოდექსი, – მიპასუხა მან.

– მერედა, ეგ ცოტაა? – ცოტაა, ძალიან ცოტა, კაცთმოყვარეობის, გულისყურისა და მოთმინე ბის გარეშე.– თქვენ გგონიათ, საქმე რომ სხვას გადავცე, თქვენს შვილს რამე ეშველება? – დარწმუნებული ვარ.

– პირველად ვხედავ საკუთარი შვილის სიმართლეში ასე დაჯერებულ დედას.

– მე შვილის კი არა, საკუთარი თავის მჯერა! – კარგია თუ ასეა.

– ასეა, იმიტომ რომ მე იგი მკვლელად არ გამიზრდია.

– არც ერთი დედა არ ზრდის შვილს მკვლელად, მორფინისტად და ქურდად.

– მე მას ოცი წლის განმავლობაში სახარებას ვასწავლიდი და ვუკითხავდი ძილის წინ.

– მეც დედაჩემი გერმანულს მასწავლიდა, ქალბატონო ანიკო, მთელი ათი წელი, გამიშვებდა ხოლმე გერმანულის მასწავლებელთან, გვარიც მახსოვს მასწავლებლის – ნეიგაუზი, მე კი გერმანულის ნაცვლად მთელი დღე ვიჯექი ვარაზის ხევში ბიჭებთან ერთად და ოთხი თი თით სტვენას ვსწავლობდი და ჩინებულადაც ვისწავლე...

– პატივცემულო მინისტრო, შემახვედრეთ ჩემს შვილს! – მთხოვა მან.– ეგ ყოვლად შეუძლებე ლია, ქალბატონო, ძიების დამთავრებამდე.

– შემახვედრეთ, შვილო, და მე მას ყველაფერს მართალს ვათქმევინებ.

– შეუძლებელია.

– როგორც გამონაკლისი.

– ასეთ გამონაკლისებს ჩვენ არ ვუშვებთ.

– მე მას ყველაფერს ვათქმევინებ! – თქვენ გგონიათ? – დარწმუნებული ვარ! – ისე თქვა ქალმა, რომ შემრცხვა, ნუთუ ამ ქალს ასე სჯერა თავისი ძალისა და შვილის, რომ იმას, რასაც მე უნ და ვპირდებოდე, თვითონ მპირდება. როგორი რეაგირება უნდა გავაკეთო მე? უნდა მეწყი ნოს თუ უნდა დავრთო ნება? – თქვენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით? – ვკითხე უცებ. ქალბატონს გაეღიმა.

– რატომ იღიმებით? – ვკითხე მე.

– თქვენ ადგილზე მე ყველა პატიმარს გავუშვებდი და ციხის ფანჯრებიდან თეთრ ბაირაღებს გადმოვფენდი, მაგრამ, ალბათ, ამიტომ არ ვარ თქვენს ადგილზე, – გაიღიმა ნაკაშიძის დე დამ.– აი, ხომ ხედავთ, ესე იგი მე მართალი ვარ! – ვუთხარი ნიშნისმოგებით.

– რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ, მაგრამ ახლა თქვენ წარმომიდგინეთ დედათქვენის ადგილზე! – მიპასუხა მან.

– მე დედაჩემს ასეთ დღეში, თქვენ რომ ხართ, არასოდეს ჩავაგდებ და ვერც წარმოვიდგენ. – ვუთხარი მე, ცოტა არ იყოს, ამაყად და უკმეხად.

– მაგას ნუ იტყვით, შვილო! – თქვა ქალბატონმა და თავი ჩაღუნა. მე ისევ შემრცხვა, ალბათ, ასე არ უნდა მეთქვა, და ამან გადაწყვიტა ყველაფერი.

– კარგი, ვეცდები, შეგახვედროთ, – ვთქვი მე.

– თქვენ, ალბათ, ძალიან ბევრი ხალხი გაწუხებთ, – მითხრა მან და ფეხზე წამოდგა.

– წინათ უფრო ბევრი ხალხი მაწუხებდა, ახლა თითქმის არ მაწუხებენ.

– რატომ? – მკითხა გაკვირვებით.

– არ ვიცი, ალბათ, იმიტომ, რომ იციან, სულ ერთია არ დავეხმარები.– ტყუილია ეგ, თქვენ ისე თი თვალები გაქვთ, არ შეიძლება ეგ მართალი იყოს.

– ნუ მეფერებით, ქალბატონო, თუ თქვენი შვილი მართალი არ არის, ვერაფერი ვერ უშველის.

– გმადლობთ, შვილო, მე მეტს არაფერს არ გთხოვ! – თქვა მან, შეტრიალდა და ისე გავიდა ოთახიდან, არც გამომშვიდობებია.

მე ყურმილი ავიღე და სისხლის სამართლის განყოფილების უფროსის ნომერი ავკრიბე.

– პოლკოვნიკი ასათიანი გისმენთ! – თქვა ყურმილმა.

– მინისტრი გელაპარაკებით, მომიტანეთ ბრალდებულ ზაზა ნაკაშიძის საქმე! – გისმენთ, ამხა ნაგო გენერალო! – მიპასუხა ყურმილმა. ბრალდებულ ზაზა ნაკაშიძის საქმე... ბრალდებულ ზაზა ნაკაშიძის საქმე... დაიძრა საქმე დერეფნიდან დერეფანში, ოთახიდან ოთახში, ხელი დან ხელში და უცებ მივხვდი, სად მენახა ადრე ეს ძუ ვეფხვივით პირგამეხებული ჭაღარა ქალი. იგი დედა იყო ჩემი, საკუთარი დედა, ვიდრე დამაპატიმრებდნენ და მე შვილი ვიყავი მისი, საკუთარი შვილი, ვიდრე მინისტრი გავხდებოდი.

ტანო, ტატანო

ტანო ტატანო

– დილა მშვიდობისა, მკვლელებო, დილა მშვიდობისა, ქურდებო, დილა მშვიდობისა, ყაჩაღე ბო, ჯიბგირებო, გამფლანგველებო, დილა მშვიდობისა, აფერისტებო, გარყვნილებო და გა თახსირებულებო, დილა მშვიდობისა, თქვე ჩემი ცოდვით სავსეებო, ადექით, გაკეთდა ქვე ყანა!..

– გაბმულად ყვირის შოშია, საკანი იშმუშნება, იზმორება, ცალ თვალს აღებს, ერთხანს უყუ რებს შოშიას, მერე იმედგაცრუებული ოხრავს და იღვიძებს, ვიღვიძებ მეც, რადგან ვიცი, ამ წუთიდან ძილი აღარ მიწერია. ვიღვიძებ და ვხედავ, ჩემი ბალიშის ყურზე რკინის მესერში გაჭირვებით შემომძვრალი, ეჭვმიუტანელი, თავისუფალი, მოწმენდილ ცასავით მართალი, თბილი, მაცოცხლებელი მზის სხივი თამაშობს.

– მამალი მაინც იყოს ეს შობელმაღლი, ყოველ დილით რომ მაღვიძებს! – კბილების ღრჭიალით ამბობს დევდარიანი და ნარზე ჯდება.– დილა მშვიდობისა, ზაზა! – ახლა მე გადმომძახის ქანდარიდან შოშია.

– დილა მშვიდობისა, შოშია! – ვპასუხობ მე და ვხედავ, როგორ გადადის მზის სხივი ბალიშის ყურიდან კედელზე და როგორ მიცოცავს აღმა. კიდევ ხუთი წუთი და წავა... სულ წავა.

– როგორ გეძინა, ზაზას შემოვევლე?! – ისე რა, შოშია.

– ჰა, ცუდი სიზმარი ხომ არ გინახავს? – უცნაური სიზმარი ვნახე, შოშია, ძალიან უცნაური.

– მაინც? – ვითომ შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი! – გამოვუტყდი შოშიას.

– მერე? – რა მერე! – როგორ თუ რა, შე ბემურაზო, შინაგან საქმეთა მინისტრი იყავი და არაფე რი გააკეთე? – რა უნდა გამეკეთებინა, შოშია, სულ ნახევარი საათი ვიყავი...

– როგორ თუ რა უნდა გაგეკეთებინა, ნახევარ საათში ობეხეესმა ოცდახუთი კაცი დაგვიჭირა, შენ ნახევარ საათში ცხრა კაცი ვერ გაუშვი? – ვინ უნდა გამეშვა? – გამიკვირდა მე.– ვინა და ჩვენ, შე ეგოისტო, უცხვირპირო, შენ დალპი ამ ციხეში, შენ მოუკვდი შენს გამომძიებელს, რა ჩემი ფეხების მინისტრი იყავი, თუ ძმაკაცები არ გაგახსენდით, მერე როგორი ძმაკაცები, ღმერთო, სამართალი არა გაქვს? ამ ლაწირაკს მინისტრად ნიშნავ, მე მთელი ღამე ასკილის წვენი მესიზმრება, ადექით და ჩაქოლეთ ეს არამზადა!!! – მოუწოდა შოშიამ ხალხს, თავს აშ კარა დამნაშავედ ვგრძნობდი, ხმა არ ამომეღებოდა და თავჩაღუნული ვდუმდი.

– შოშია, ერთხელაც გაგიღვიძებივარ ეგრე ადრე და, რაც მოგივა, შენს თავს დააბრალე! – გააფ რთხილა დევდარიანმა.

– კარგი, რა, ლიმონ, მართალი არა ვარ? – მართალი ხარ, მაგრამ მაინც გაფრთხილებ! – უპასუ ხა დევდარიანმა და ჩაცმა დაიწყო. შოშია ერთხანს დადუმდა. მერე ისევ ჩემკენ გადმოიხა რა.

– ზაზა, მართლა მინისტრი იყავი? – მკითხა და პასუხის მოლოდინში თვალები მოჭუტა.

– ჰო, შოშია, მინისტრი ვიყავი და მაპატიე, ეტყობა, მართლა ეგოისტი ვარ. – გამოვუტყდი და ნაშაულში. შოშია დაფიქრდა.– ჭკუით იყავი, ზაზას შემოვევლე, დიდი კაცის დასიზმრებამ ავადმყოფობა იცის. აი მე, 41 წელში, პატარა ვიყავი, ჩვენი სკოლის დირექტორი დამესიზ მრა და ომიც დაიწყო! – გამაფრთხილა შოშიამ და ფანჯარასთან მოკალათდა.

– აჰა, ეგეც მე ვარ? მოვიდა თუ არა? – რა იყო, შოშია? – ისევ ის ლოთი მოვიდა სალუდესთან, არ უსხამს, დაუსხი! დაუსხი, შე უსინდისო... ჰა, არ გაუშვა გაწბილებული, თორემ მოკვდე ბა... ნისიად დაუსხი... აბაზი რაა, შე უსინდისო, დაუსხი-მეთქი, რომ გამოვალ თუმანს მოგ ცემ... მიდი, შენი ჯიგარი დავხიე. კაცი კი არა, ღორი ხარ, დაუსხი-მეთქი... ეგრე! – ამოისუნ თქა შოშიამ.

– რა იყო, შოშია? – დაუსხა მაგ ბემურაზმა, ერთი ამას დამიხედე! რასა შვები, ეი, ტუტუცი, ისე დაც ნახევარი დაგისხა! – შემოირტყა თავში ხელი შოშიამ.

– რას შვება, შოშია? – სულს უბერავს ეგ იდიოტი, ზაზა, გენაცვალე, ხედავ? სულს უბერავს. – გადმოეკიდა ჩემკენ შოშია.

ნათია სოლომონია

–

რა ქნას, შოშია, მთელი მარილი სულის შებერვაშია, აბა, წარმოიდგინე, – მე ვაჩვენე, როგორ უბერავენ სულს ლუდის კათხას, მერე ნელ-ნელა როგორ წრუპავენ და უცებ ისე მომინდა ლუ დი, გული კინაღამწამივიდა.

– მართალი ხარ, ჩემო ზაზა, მართალი! – სინანულით დაიქნია თავი შოშიამ.

– შოშიაჯან! წუხელ სიზმარში საიათნოვა არ გინახავს? – ჰკითხა გულოიანმა.

– ვიცი, შენ სიმღერა გინდა, ტიგრან, მაგრამ არ მინახავს და რა ვქნა? – მიუხვდა შოშია.

– ეეე, მა რა ნახე? – გული დაწყდა ტიგრანას.

– წუხელ მთელი ღამე თბილისის ქუჩებში დავდიოდი, სიონში სანთლები დავანთე, მედუდუ კეებთან ერთად შევუბერე, მტკვარზე ვიქეიფე, სიონში შევედი, ღმერთს დავუჩოქე, ვუთხა რი – რადგან გამოსვლა მაღირსე, დღეიდან ფულის გამფლანგველის დედა ვატირე-მეთქი. ეკლესიიდან რომ გამოვედი, გამახსენდა, ცოტა თუ არ მოვიპარე, ცოლ-შვილი რითი ვარჩინო-მეთქი. ისევ შევედი ეკლესიაში, სამი სანთელი ავანთე, ისევ დავუჩოქე ღმერთს და ვთხოვე: – ღმერთო, ცოტა მოპარვის უფლება მომეცი, სულ ცოტასი, ბევრი არ მინდა- მეთქი. ასე მითხრა, შენი ცოტა კი ვიცი, რაც არისო. რა არის-მეთქი, ვკითხე, და ზუსტად ის თანხა მითხრა, რაც მოვიპარე, მილიონ ჩემტოო.კიდევ კარგი, ის ჩემტო არ იცოდა, ცხრაასი ათასი რომ იყო.

– ძველით თუ ახლით, შოშია? – ჰკითხა გაკვირვებულმა ჭეიშვილმა.

– ბრიყვო, ახლით მილიონ ცხრაასი ათასი საქართველოს ბიუჯეტია, რა თქმა უნდა, ძველით! – განუმარტა შოშიამ.

– მაინც ბევრია, – დაასკვნა ჭეიშვილმა.

– ბევრი როა, იმიტომ ვზივარ შენისთანა იდიოტთან. – აუხსნა შოშიამ.

– მე მოვითხოვ, ჩემთან საუბრის დროს ლამაზი გამოთქმები მოიმარჯვოთ, ახლა კი ამიხსე ნით, რატომ ვარ იდიოტი? – თქვა ჭეიშვილმა და ფეხზე წამოდგა.

– რამდენი გქონდა გარეთ ხელფასი? – ჰკითხა შოშიამ.

–

– მეე? – იკითხა გაკვირვებულმა ჭეიშვილმა.

– ჰო, შენ! – 120 მანეთი! – მაგის 25 პროცენტი რამდენია? – 30 მანეთი! – სწრაფად უპასუხა ჭეიშვილმა.

– ჰოდა, იდიოტი ხარ, მა რა ხარ? თვეში 30 მანეთის გულისათვის რომ ციხეში ზიხარ!– უთხრა შოშიამ.
შენისთანავეშაპისათვის და სოციალისტური საკუთრების მიმთვისებლისათვის ადვილი სათქმელია ოცდაათი მანეთი, როდესაც მილიონ ცხრაასი ათასი გაქვს მიტაცებული! – თითი ასწია მაღლა და თანხა გამოთქმით წარმოთქვა ჭეიშვილმა.

– ჭეიშვილი, შენ გარეთ რად მუშაობდი? – ჰკითხა უცებ გულოიანმა.

– ინჟინრად! – მეტი არაფერი? – საზოგადოებრივი დატვირთვაც მქონდა... – ჭეიშვილმა რატომღაც თავი შეიკავა.

– მაინც? – არ მოეშვა გულოიანი.

– აგიტატორი ვიყავი! – გამოტყდა ჭეიშვილი.

– ესე იგი დროშა იყავი და ტარი გაგიკეთეს? – ჰკითხა გულოიანმა, ჭეიშვილმა თავი დახარა. საკანში ხარხარი ატყდა.

– ხომ ვთქვი, ხალხო, იდიოტია-მეთქი, – იყვირა შოშიამ. – ჭეიშვილო, გამიშვი გარეთ და ხატზე დაგიფიცებ, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე შენც გარჩენ, შენს გამომძიებელსაც, შენს პროკურორსაც, შენსმოსამართლესაც და იმ შენს ნაბიჭვრებსაც მე გადავუხდი ალიმენტს, – დაჰპირდა შოშია.

– მომეცი ის ფული, რაც სახელმწიფოს წაღლიტე და მე თვითონ გადავიხდი ალიმენტს და მე თვითონ გარჩენთ შენ და შენს სირანას. – დაჰპირდა თავის მხრივ ჭეიშვილი.

–

– ქრთამს მთხოვ პატიმარ კაცს? – დაისაწყლა თავი შოშიამ. ურდულის ჩხაკუნი გაისმა. შოშია სასწრაფოდ ჩამოხტა ქანდარიდან და ჩემს ნარზე ჩამოჯდა. კარის დარაბა გადაიხსნა და სა კანში გაზაფხულმა შემოიხედა.

– გამარჯობათ, ბოროტმოქმედებო, – თქვა ნუნუ ექიმმა და ბნედისმომგვრელად გაგვიღიმა.

– ნუნუ ექიმს გაუმარჯოს! — ამოიგმინა საკანმა და ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

– რამეს ხომ არ უჩივით? რაო? ეს რა იკითხა ნუნუ ექიმმა, რამეს ხომ არ უჩივითო? ვუჩივით და მერე როგორ ვუჩივით, ნუნუ ექიმო, აბა, შემოგვხედე, როგორ ფიქრობ, არაფერს არ ვუჩი ვით?

უქალობას ვუჩივით, უსიყვარუ- ლობას ვუჩივით, უგულობას ვუჩივით, ქალის თვალთა ეშხი გვაკლია, ალერსი გვაკლია,სითბო გვაკლია, ცრემლი გვაკლია, ღიმილი გვაკლია, ყველაფერი გვაკლია...

შენ კი გაზაფხულივით მოსულხარ, კვირტი აგიფეთქებია, მკერდი გაგიღეღია, ორთავე მაჯა გადაგიხსნია ჩვენთვის, ჩვენს ადუღებულ სისხლს დასწაფებიხარ, სისხლისაგან დაგიცლი ვართ, თან უსინდისოდ გვეკითხები, – რამეს ხომ არ უჩივითო, რამე ხომ არ გტკივათო? გვტკი ვა და მერე როგორ გვტკივა, ნუნუ ექიმო! – რაო, რას გაჩუმებულხართ, არაფერი არ გტკივათ? – იკითხა ნუნუმ და გაკვირვებულმა წარბები მაღლა აზიდა. საკანმა ისევ ამოიგმინა, პატიმრე ბი დარაბას მიასკდნენ. თავი, ნუნუექიმო! – ლუმინალი! – კბილი, ნუნუ ექიმო! – ლუმინალი! – კუჭი, ნუნუ ექიმო! –

ლუმინალი! – გული, ნუნუ ექიმო! – ლუმინალი! – ყელი, ნუნუ ექიმო! – ვუთხარი მე და ყელი გავუწოდე.

– ბაწარი! – მითხრა ნუნუ ექიმმა და მაინც ლუმინალი მომცა. ყველას გაეცინა.

– ეს ვინ არის, რატომ წევს? – იკითხა ნუნუ ექიმმა და ნარზე წამოწოლილი დევდარიანისაკენ გაიხედა.

– მაგი დევდარიანი გახლავთ, პატივცემულო! – განუმარტა ჭიჭიკო გოგოლმა.– რატომ წევს? – ისევ იკითხა ნუნუ ექიმმა და ისევ აზიდა გაკვირვებით წარბები.

– თქვენისთანა ლამაზ ქალს რომ დაინახავს ზრდილობიანი კაცი, კი უნდა ადგეს ფეხზე, მკვდარი თუ არ არის, მაგრამ ეტყობა ძალიან უჭირს მაგას. დევდარიანი, ადექი! – მიუბრუნ და ჭიჭიკო დევდარიანს. დევდარიანმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

–

– ნამდვილად უჭირს! – დაასკვნა ჭიჭიკომ.

– ანდრო, ანდრო! – გასძახა დერეფანში ნუნუ ექიმმა ზედამხედველს.

– გისმენ, ნუნუ! – უპასუხა ზედამხედველმა.

– მოდი ერთი, კარი გამიღე, პატიმარია ავად, უნდა ვნახო! – საკეტი აჩხრიალდა, მერე უცებ კარი გაიღო და საკანმა ისევ ამოიგმინა. ზედამხედველის თანხლებით საკანში შემოვიდა კი არა, შემოცურდა რაღაც ღვთაების მსგავსი, რომელსაც დღემდე, როგორც უაღრესად მსასოვარს, მხოლოდ ჩარჩოში ვხედავდით სურათივით. იგი ახლა მთელი თავისი არსებით, ფეხის ფრჩხილებიდან ვიდრე თმებამდე, ჩვენსწინაშე იდგა, მაღალი მკერდით, მაღალი თეძოებით, გრძელი მკლავებით, ჩამოქნილი, ოდნავ მზედაკრული ფეხებით, მოკლე, სპეტაკ ხალათში გახვეული სავსე სხეულით, მხარზე წითელჯვრიანი ჩანთაგადაკიდებული. ჩვენს წინ იდგა დედამიწის ზურგზე მოსიარულე ქალთა შორის ყველაზე სრულყოფილი და ლამაზი ქალი, რომლის სილამაზის აღქმისა და შეგრძნების უნარი ღმერთმა, ალბათ, მხოლოდ პატიმრებს მიანიჭა.

– აბა, თქვენ თქვენს ადგილზე დასხედით! – ბრძანა ზედამხედველმა.

ჩვენ მონუსხულებივით ვიდექით და ადგილიდან არ ვიძროდით. ნუნუ ექიმი მიხვდა მის მიერ მოხდენილ ეფექტს და ოდნავ შიშნარევი სიამაყით გაემართა დევდარიანის ნარისაკენ.

– დასხედით! – გაიმეორა ბრძანება ზედამხედველმა და ჩვენც უცებ გონს მოვეგეთ. ჭიჭიკო გოგოლმა სკამი დაუდგა დევდარიანის საწოლთან ნუნუ ექიმს. ნუნუ ექიმი სკამზე დაჯდა და დევდარიანს ხელი შუბლზე დაადო. დევდარიანი დადნა.

– სიცხე არ უნდა გქონდეს, რა გტკივა? – ჰკითხა ნუნუ ექიმმა.

დევდარიანი დუმდა.– რას დადუმებულხარ, არაფერი არ გტკივა? – გაუკვირდა ნუნუ ექიმს. მე კი ის უფრო გამიკვირდებოდა, დევდარიანს რომ ახლა ხმა ამოეღო.

– მაინც რას გრძნობ? – ჰკითხა ნუნუ ექიმმა.

– სიკვდილის მოახლოებას ვგრძნობ, ნუ-ნუ ექიმო! – ძლივს ამოიღო ხმა დევდარიანმა.

– თუ კაცი ხარ, ექიმს ნუ მეძახი, ექთანი ვარ მე. – უთხრა ნუნუ ექიმმა.

– ჩვენთვის ექიმიც ხარ, პროფესორიც და დედოფალიც. – გაუცინა ლიმონამ.

– ჰო, კარგი, პროფესორი ვარ, ოღონდ მითხარი, როგორ გრძნობ სიკვდილის მოახლოებას? – აი, ასე, მოდის, მოდის, მომიახლოვდება, ვერ ვხედავ, სუნთქვა მესმის... – დაიწყო ლიმონამ.

უცებ დერეფანში საშინელი ყვირილი და ჩოჩქოლი ატყდა.

– არ გამოვალ, არ გამოვალ, გამიშვით, არ მინდა, სანამ პროკურორს არ მომიყვანთ, არ ვჭამ! – ყვიროდა ვიღაც. ჩვენი ზედამხედველი ცივად შეტრიალდა დადერეფანში გავარდა. გავარ და და აქ მოხდა მანამდე გუბერნსკის ციხის ისტორიაში გაუგონარი რამ. არავინ იცის, კარ თან მდგარმა გულოიანმა ჰკრა ხელი, თუ ზედამხედველი გასვლის დროს შემთხვევით გა მოედო, უცებ კარმა გაიჩხაკუნა, ნუნუ ექიმი გველნაკბენივით წამოიჭრა და მივარდა კარს, მაგრამ უკვე გვიან იყო, კარი გარედან ჩაიკეტა. ყველანი ადგილებს დავაცივდით. პატიმ რებს ნაცრისფერი დაედოთ, სუნთქვა შეგვეკრა, საკანი სამარეს დაემსგავსა. ნუნუ ექიმი კარს აეკრა და უზარმაზარი შეშინებული თვალებით გვიცქერდა. გაფითრებული დევდა რიანი ნარიდან წამოდგა და ნელი ნაბიჯით ნუნუ ექიმისაკენ დაიძრა. სისხლი გამეყინა ძარ ღვებში.

– არ მომეკარო, არ მომეკარო, არ მომეკარო! – იმეორებდა უაზროდ ამ ერთ სიტყვას ნუნუ ექი მი და თვალს არ აცილებდა დევდარიანს. დევდარიანი არ შეჩერებულა, იგი მიუახლოვდა ნუნუ ექიმს და მის წინ დადგა.

– არ დაგვღუპო, დევდარიანო! – მუხლებზე დაეცა ჭიჭიკო გოგოლი. დევდარიანმა ყურადღე ბა არ მიაქცია გოგოლს, ორთავე ხელი შეუცურა იღლიებში შიშისაგან ენაჩავარდნილ ნუნუ ექიმს, თავს ზემოთ ასწია, წამოიყვანა და შუა საკანში სკამზე დააყენა. ერთ ხანს ასე უყუ რაქვემოდან ზემოთ, მერე სამი ნაბიჯით უკან დაიხია, ორთავე ხელი მაღლა აღაპყრო, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა და ჩურჩულით დაიწყო: ტანო ტატანო, გულწარმტანო, უცხოდ მარებო! ზილფო მკლავებო, მომკლავებო, ვერ-საკარებო, წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალ

ნო, შემაზარებო, ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთ წამარებო, პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო...

ხელით ნარის რკინის საყრდენს ჩაფრენილი გაშეშებული ვიდექი. ნერწყვის გადაყლაპვას ვცდილობდი, მაგრამ პირი გამშრალი მქონდა და ენას ვერ ვაბრუნებდი... საკანი თითქოს მა ღალი ძაბვის დენში ჩართესო, ტანში ისე შემაჟრჟოლა და შეშინებულმა ნარს ხელი გავუშვი.

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულ მთვარეს, სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს, მოდით, მიჯნურნო –

დევდარიანი ახლა ჩვენსკენ შემობრუნდა ხელაპყრობილი, მას ორთავე ღაწვზე ცრემლები ეკი და...

მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს, მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამ ფალთ სამარეს, ვა, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო, –დევდარიანმა ცრემლი გადაყლა პა და გაბზარული ხმით გაიმეორა: – ვა, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო. – მერე შეტრი ალდა, თავის ნარზე დაჯდა და თავი ჩაღუნა.

ნუნუ ექიმი სკამზე იდგა მოჯადოებული, ცრემლით სავსე თვალებს ჩქარ-ჩქარა აფახულებდა და, რომ პატიმრების წინ ბავშვივით არ ატირებულიყო, სკამიდან სწრაფად ჩამოვიდა, კართან მივიდა და პატარა მუშტებით ბრახუნი დაიწყო ზედ.

კარი გაიღო, საკანში შეშინებული ზედამხედველი შემოვარდა.

– ვინ ჩაკეტა კარი?! – იბღავლა მან. საკანი ხმას არ იღებდა.

ნუნუ ექიმი სასწრაფოდ გავიდა საკნიდან.

– გოგოლო! ვინ ჩაკეტა კარი! – ახლა გოგოლს უყვირა ზედამხედ- ველმა. ყველა მიხვდა, შეში ნებულ ზედამხედველს ყვირილით საკუთარი დანაშაულის დაფარვა უნდოდა.

– წადით თქვენ, უფროსო, ნუ გეშინიათ, ცუდი არაფერი არ მომხდარა აქ. – უთხრა გოგოლ მა.– თუ რამე აწყენინეთ, კარცერში ამოგალპობთ ყველას! – დაგვემუქრა ზედამხედველი.

– მინამ ლამაზი ხარ, წადი რა, რომ გეუბნებიან! – სთხოვა ტიგრანამ, ფეხზე წამოდგა და ზე დამხედველს თვალი თვალში გაუყარა. ასე იდგნენ დიდხანს. უცებ ზედამხედველი შეტრი ალდა და საკნიდან გავიდა.

კარი გარედან გადარაზეს.

საკანმა შვებით ამოისუნთქა.

* * *

ჩვეულებრივ, საკანს ღამღამობით ათასნაირი ძილით ძინავს, ათასნაირად სუნთქავს, ბორგავს, ბრუნავს, ათასნაირად უცემს გული. ათასნაირ სიზმარსხედავს საკანი, ამიტომ მისი ძილი საოცრად მშფოთვარეა, ხოლო მაჯა არითმიული. საკანი ხან ოხრავს, ხან კვნესის, ხან რას წამოაბოდებს, ხან – რას, ხან ტირის, გულამომჯდარი დაკარგული ბავშვივით, ხანიცინის ისე და უდარდელად, გაგეღვიძება და შეგეშინდება.

დღეს მთელი დღის მძაფრი შთაბეჭდილებებით უზომოდ დაქანცული საკანი ადრე დაწვა და საძინებლად, მაგრამ იმ შფოთვაშიც ეტყობოდა ყველა პატიმარს, რომ ძილში თუ სიზმარში რაღაც ნეტარი და თბილი ახლდა მეგზურად. სხვებივით ადრე დავწექი და, აი, უკვე ორი საათია თვალდაჭყეტილი ვაგდივარ გულაღმა და ჭერში ჩამოკიდებულ მბჟუტავ ნათურას ვერ ვაცილებ თვალს, იგი რაღაც დღისა და ღამის გასაყარზე გზადაბნეულ ციცინათელას ჰგავს, არ იცის, ჩაქრეს თუ აინთოს, ჩაქრეს თუ აინთოს, ერთი კია, რომ, თუ დიდხანს, დიდ ხანს უყურებ, თვალის გუგებში გებუდება და ფიქრს ნათელსა და ფერადოვანს ხდის. ორ სულიერს არ გვძინავს – მე და ნათურას, მე იმიტომ, რომ არ მეძინება, ნათურას კი ეძინება, ძალიან ეძინება, მაგრამ არ აძინებენ. არ ძინავს კიდევ ერთ სულიერს, ეს სულიერი კარზე მრგვლად ამოჭრილი საკნის შუშის თვალია, საოცარი ციკლოპის თვალი, შუბლზე ამოსული ერთადერთი შუშის თვალი, რომელიც შიგნიდან გარეთ კი არა, გარედან შიგნით იყურება და მე ვგრძნობ, როგორ იღება ეს თვალი დროდადრო და როგორი დაჟინებით უცქერს ყველა ჩვენ განს.

ძინავს ყველას, ჩემს გარდა. თუ სადმესამართალია, დევდარიანსაც არ უნდა ეძინოს. მიუხედავად იმისა, რომ იგი გაუნძრევლად წევს და თვალს არ ახამხამებს, მე ხატზე დავიფიცებ, რომ დევდარიანს არ ძინავს.

– ლიმონ, – რაც შეიძლება წყნარად დავუძახე მე. ხმა არ გამცა.

– ლიმონ! ვიცი, რომ არ გძინავს, გამეცი ხმა! – რა გინდა? – მკითხა დევდარიანმა და ხელები თავქვეშ ამოიდო.

– არ მეძინება. – ვთქვი მე.

– ნანა ხომ არ გინდა? – მკითხა მან.

– ლიმონ, ნამდვილი სახელი რა გქვია? – კითხვაზე კითხვით ვუპასუხე.

– რა, ლიმონა არ მოგწონს? – მომწონს, მაგრამ ეგ ხომ არ შეიძლება, ნამდვილი სახელი იყოს.

– კაკო მქვია! – თქვა მან და შეიშმუშნა.

– აკაკი, კაკო, კაკი! – ვთქვი მე ჩემთვის.

– რა თქვი? – არაფერი, ისე. ლიმონას რატომ გეძახიან? – ბავშვობაში მაკაკას მეძახდნენ ბიჭე ბი, ლიმონა მეორე სროკზე შემარქვეს, აგარაკზე ნაღველი ჩამექცა დალიმონივით ყვითელი ვიყავი.

– ყვითელი ნესვიც არის, შე კაცო! – შევედავე მე.

– არა, ცოტა ხასიათიც მჟავე მაქვს! – გამომიტყდა ლიმონა.

– ჰოო! – მოისვენე? – მკითხა ლიმონამ.

– არა! – ვუთხარი მე.

– ახლა არ მითხრა, ყვითელი და მჟავე კიტრიც არისო, თორემ გავგიჟდები, – გამაფრთხილა ლიმონამ. გავჩუმდი. ასე გაჩუმებულები ვიყავით დიდხანს.

– ლიმონ! – დავიწყე მე.

– გისმენ! – შეგიყვარდა, ლიმონ? – ვკითხე მე და გული ამიფართხალდა პასუხის მოლოდინ ში.

– რაო? – თავი მოაბრუნა ჩემსკენ გაკვირვებულმა ლიმონამ.

– შეგიყვარდა-მეთქი? – ვინ? – მკითხა ლიმონამ.

– ვითომ არ იცი! – მაინც ვინ? – ნუნუ! – რომელი ნუნუ? – ნუნუ ექიმი! – ვუთხარი და სუნ თქვა შემეკრა. ლიმონა დიდხანს დუმდა.– შენ, ჩემო ზაზა, იმის გარდა, ჰარიფი რომ ხარ, სუ ლელიც ყოფილხარ, – მითხრა ბოლოს.

– რომ გენახა, როგორ მიხვედი, როგორ აიყვანე ხელში, როგორ წაუკითხე ლექსი და როგორ უყურებდი, მაგას არ მეტყოდი, – ვუთხარი მე.

– რასაც შენ ამბობ, ეგ ყველაფერი მაიმუნობაა და ბითურობა.

– რომ ტიროდი? – ყველა პატიმარს თვალები სველ ადგილას აქვს.

– მეც რომ ვტიროდი? – შენ რა, პატიმარი არა ხარ? – თვითონ ნუნუ? – იმას ყველა პატიმარი ერთნაირად ეცოდება.

– არასოდეს არ გყვარებია? – მიყვარდა პირველი კლასიდან მესამე კლასამდე, ერთი გოგონა, ნელი ერქვა. მასწავლებელი ქუჩაზე გადასვლის დროს რომ გვაწყვილებდა, ის სულ ჩემთან ხვდებოდა ხოლმე.

– მერე? – მერე არაფერი, იმის შემდეგ აღარავინ მყვარებია, უბრალოდ, შეყვარებას ვერ ვას წრებ, ძალიან მალ-მალე მიჭერენ! – ამოიოხრა დევდარიანმა.– მაშ, ამბობ, არ გიყვარს? – ჩავე კითხე ლიმონას.

– როგორ არ მიყვარს, ბიჭო, მიყვარს კი არა, ვგიჟდები, მაგრამ ნუნუ ექიმი კი არ მიყვარს, ჩემს სიყვარულს სათაური არა აქვს; ნუნუ, მანანა, ქეთინო, თამარი და ჟოზეფინა, მე საერთოდ მიყვარს, ქალი მიყვარს, გაიგე? ქალი და სილამაზე. – თქვა დევდარიანმა და ნარზე წამოჯ და. გულზე მომეშვა, თითქოს უზარმაზარი ლოდი ჩამომეხსნას მხრებიდან.

– ნუნუ ექიმი ძალიან ლამაზია, არა, ლიმონ! – ვკითხე.

– არა! – მიპასუხა.

– როგორ თუ არა? – გამიკვირდა მე.

– აი, ისე, ახლა მე და შენ პატიმრები ვართ, დამშეული, ქალსმონატრებული პატიმრები და ეგ ჩვენი ექთანი მზეთუნახავად გვესახება, თორემ გარეთ ეგ ჩვეულებრივზე უფრო ჩვეულებ რივი, საშუალო გოგოა! – თქვა დევდარიანმა.

– რას ამბობ, ლიმონ, ეგეთი ლამაზი გოგო ჯერ არ მინახავს! – გამიკვირდა მე.

– შენ, ლოთიანად, შეყვარებული ხომ არხარ? – მკითხა ლიმონამ.

– ვარ და მერე როგორ! – ვთქვი მე და სირცხვილისაგან ყურები ამეწვა.

– ვაა, გამოდის, რომ უყვარს!!! – თავისთვის თქვა ლიმონამ.

– მიყვარს, ლიმონ, მიყვარს! – დავუდასტურე მე.

– გესიზმრება ღამით? – როდის დამესიზმრება, მთელი ღამეები ჭოტივით მღვიძავს. – ვთქვი გულდაწყვეტილმა.

– მაშ, არ გესიზმრება? – ხილვები მაქვს, ლიმონ! – ხილვები რა ოხრობაა? – მელანდება, თქვენ რომ გძინავთ, მთელი ღამე დადის საკანში, ხან გამომეცხადება...

დევდარიანს უცებ გაეცინა.

– რა გაცინებს? – ვკითხე მე.

– ახლა კი მჯერა, მკვლელი რომ არა ხარ! – რატომ? – იმიტომ რომ მკვლელებს მთელი ღამე ქა ლები კი არა, მოკლულები ელანდებათ.

– შენ რა იცი? – ვიცი.

– საიდან? – დილით ტიგრანას ჰკითხე,გეტყვის. ახლა დაიძინე! – თქვა დევდარიანმა და გა დაბრუნდა. მეც გადავბრუნდი, ერთხანს ვიწრიალე.

– ლიმონ! – დავუძახე ისევ.

– კაცო, გძინავს მგონია, თუ ისევ ნუნუ ექიმთანა ხარ? – იქა ვარ ლიმონ, იქ! – ნეტაი შენ! – ლი მონ, მე მგონი, ქვეყნად ყველაზე დიდი გამოგონება მაინც ქალია, რას იტყვი შენ? – ვკითხე ლიმონას და პასუხის მოლოდინში გავიტრუნე.

– მე მგონი, ჰო! – თქვა ლიმონამ დიდი ხნის შემდეგ.

– ყველაზე დიდი გამოგონება ქვეყანაზე ანბანი, დროშა და ჰიმნია, რადგან სამთავე თავისუფ ლების სათავეა, – თქვა უცებ ბატონმა ისიდორემ ისეთი ხმით, რომ ჟრუანტელმა დამიარა.

– ძია ისიდორე, არ გძინავს? – ჰკითხა დევდარიანმა.

– არ მძინავს! – თქვენ რაღა მოგივიდათ, ძია ისიდორე? – მოკლული მელანდება, შვილო! – ხუმრობთ, ძია ისიდორე! – ვხუმრობ კი არა, კიდევ რამდენიმე ღამე და, მოვკვდები.

– რას ამბობთ, ძია ისიდორე,სიკვდილამდე ჯერ გრძელი გზაა. – დაამშვიდა დევდარიანმა.

– ყველაზე გრძელი გზა ის არის, რომ წახვალ და უკან ვეღარ დაბრუნდები. გაიგე? – ვერა! – უთხრა დევდარიანმა.

– საწყენია! – თქვა თავისთვის ძია ისიდორემ. და ხმა აღარ ამოუღია. არც მე და დევდარიანს გვითქვამს რამე, გატრუნულები ვიწექით...

მერე მე ისევ გამომეცხადა უზარმაზარი თბილი მზე. იმ დღეს იგი იმხელა იყო, ჩვენი საკნის ფანჯარაში ვერ შემოეტია, მაშინ მზემ სხივი გამომიწოდა ხელივით, ფრთხილად მომხვია მხრებზე, ნარიდან წამომაყენა და თან გამიყოლა…

ხილვა მეორე

ხილვა მეორე

ნუნუ ექიმი გულაღმა იწვა ლოგინში. თეთრი მკლავები თავქვეშ ამოედო და სისხლივით წი თელი თმები დაფენოდა გაღეღილ მკერდზე. თვალები ოდნავ გაეღო და ძილ-ღვიძილში საიდანღაც ნეტარებით ნახული შორეული სიზმრიდან მიცქერდა. მე წყნარად ვიჯექი მისი სა წოლის კიდეზე და მოთმინებით ველოდი, როდის გამოფხიზლდებოდა საბოლოოდ, როდის გაახელდა თავის დიდრონ, თაფლისფერ თვალებს, როდის წამოჯდებოდა გაკვირვებული სა წოლზე, გაშლიდა მკლავებს და იტყოდა თავისი თბილი და დაბალი ხმით – ზაზა, ჩემო ზაზა! დიდხანს ვიჯექი, მოლოდინით გატრუნული და ბოლოს მივხვდი, რომ მან უკვე დიდი ხანია გაიღვიძა, მხედავდა და სრულებითაც არ უკვირდა, რომ ვიღაც მის საწოლზე იჯდა, უცქერდა მის ლამაზ შიშველ მკერდს, რომ ეს მე ვიყავი, ზაზა, და სხეული არ გამაჩნდა.

– შენ მზის სხივს წამოჰყევი? – მკითხა მან და სარკმელში შემოსულ მზის სხივს თვალმოჭუ ტულმა ირიბად გახედა. – მზის სხივს წამოვყევი.

– რატომ პირველად დედაშენთან არ მიდი? – ისევ მკითხა მან.

– დედა მოიცდის, დედა სად წავა! – ვუპასუხე მე.

– საწყალი დედები, ალბათ, მეც, როდესაც დედა გავხდები და ჩემი შვილი – მკვლელი, მეც მოვიცდი. დედა ვიქნები და, აბა, სად წავალ, არა? – მკითხა მან და რაღაც უცნაურად, შიგნი დან გაიცინა. სახე არც გატოკებია, მხრები და მკერდი უთახთახებდა მხოლოდ.

– შენც ეჭვი გეპარება, რომ მე მკვლელი არა ვარ? – ვკითხე და ისე დამწყდა გული, თითქოს მე თვითონ შემპარვოდა ეჭვი ჩემს თავში.

– ორი თვე გავიდა, ორი შემზარავი მოლოდინის თვე, ეს ორი თვე შეიძლება ორ წლად, ექვს წლად, ათ წლად, თხუთმეტ წლად იქცეს.

– ამდენს არ გთხოვ, ერთ წელიწადს დაიცადე! – ვთხოვე მე.

– რატომ? – მკითხა მან.

– ერთ წელიწადში ყველაფერიგაირკვევა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

– რომ არ დაერქვას? – მერე თავისუფალი ხარ.

– ახლა რატომ არ ვარ თავისუფალი? – ახლა არ გაქვს უფლება, არ მოიცადო.

– მე ამ საქმეში არავითარი ბრალი და წილი არ მიდევს, მე არ ვარ ვალდებული, ვიცადო და ვერც ვერავინ მაიძულებს მოცდას.

– არც მე მიდევს ბრალი არაფერში, მაგრამ ვიცდი, მაცდევინებენ.

– შენ პატიმარი ხარ და ციხეში ზიხარ.

– შენც პატიმარი ხარ და ციხეში ზიხარ.

– საიდან, როგორ? – მე ვარ შენი ციხე, ურდული და საკანი.

– მე უბრალო ვარ, შენ კი – ეჭვმიტანილი.

– დღეიდან შენც ეჭვმიტანილი ხარ! – იქნებ ის არის ჩემი დანაშაული, რომ ყოველდღე მოვდი ვარ და ლუმინალს გასმევ, მაგრამ შენისთანა ხომ ათასი მყავს; ან ის, რომ ერთხელ ღამით დედაშენი იყოჩემთან, მუხლებში ჩამივარდა და მთხოვა, შენთვის წერილი გადმომეცა, და მე დავეთანხმე, მაგრამ მე, შენ კი არა, დედაშენი შემეცოდა მაშინ, იგი იმ წუთს ძალზე გავ და მომაკვდავ დედაჩემს, რომელიც ხელს არ მიშვებდა, მაგრამ ვეღარ მეუბნებოდა, რა უნ დოდა, რას მთხოვდა... და ამიტომ დავეთანხმე დედაშენს, წამომეღო წერილი... მე არც კი ვი ცი, რა ეწერა იმ წერილში. – თქვა ნუნუ ექიმმა და სინანულით შემხედა.

– იმ წერილში დედა მთხოვდა, ყველაფერი მართალი მეთქვა.

– რატომ? – იმიტომ რომ მხოლოდ სიმართლეა თავისუფლების სათავეო.

– თუ მკვლელი ხარ? – დედამ იცის, რომ მე მკვლელი არ ვარ.

– მე შენს შესახებ არაფერი ვიცი, ვინა ხარ შენ, საიდან მოდი ჩემს ცხოვრებაში, რა გინდა.

– მე ვარ ზაზა ნაკაშიძე, ძე ნოესი, მე და მამაჩემმა მივეცით კაცობრიობას მეორე დასაბამი და შენ ხარ მეუღლე ჩემი იმ დღიდან. მე შენ მიყვარხარ უხსოვარ დროიდან. მე ახლა ბრალს გდებ შენ.

– რაში? – ქმრის ღალატში,მკვლელობაში, მეძავეობაში, ქურდობაში, გამფლანგველობაში, მექ რთამეობაში, სამშობლოს ღალატში.

– კიდევ? – ყველაფერში. შენ ჩემთან ერთად მიგაყენებენ კედელთან და დაგხვრეტენ.

– მერე? – მერე შენ მოკვდები და არავის აღარ დააინტერესებს, ვინ იყავი, იყავი თუ არა დამნა შავე.

– მერე? – მერე შენ დაგმარხავენ.

– მერე? – მერე, მერე შენ არავინ დაგიტირებს, შენს საფლავს არავინ მოუვლის.

– მერე? – მერე შენ დალპები.

– მერე? – მერე შენს თავზე სხვას დაგამარხავენ.

– მერე? – მერე შენც იქცევი მიწად და რასაც დათესავენ შენზე, სულ შხამად და გესლად ამოვა.

– მერე? – მერე შენ მიწადაც არ ივარგებ და შენ გამოგწვავენ, აგურს გააკეთებენ შენგან.

– მერე? – მერე შენგან ააშენებენ სახლსდა ისიც დაინგრევა, დაემხობა და უამრავ უდანაშაულო ხალხს შთანთქავს.

– მერე? – მერე შენ შემოგღობავენ ეკლიანი მავთულით და მოწამლულ, დამღუპველ ზონად გამოგაცხადებენ.

– რატომ? – იმიტომ, რომ შენ იქნები ბუდე ყოველგვარი ბოროტებისა.

– ვინ მიყენებს ასეთ მძიმე ბრალდებას? – მე.

– შენ ვინ ხარ? – მე ვარ ეჭვმიტანილი, მაგრამცამდე მართალი კაცი.

–

მერედა, არ გეცოდები, რომ ცამდე მართალიკაცი ცამდე მართალ კაცს ასეთ უსაშველო, შემაძრწუნებელ ბრალდებას მიყენებ? – არ მეცოდები.

– რატომ? – იმიტომ, რომ მე არავის არ ვეცოდები.

– არ გრცხვენია? – არა.

– რატომ? – იმიტომ რომ ჩემს გარშემო ბევრს არაფრის არ რცხვენია.

– მერედა, ასე როგორ ცხოვრობთ? – ვინ გითხრა, რომ ვცხოვრობთ, ვჯახირობთ! – ან როგორ არსებობთ? – აი, ასე, როგორცხედავ.

– ყველანი კაცობრიობის მეორე დასაბამიდან შენსავით ეგოისტები იყვნენ თუ შემდეგ გახ დნენ? – ან გახდნენ, ან იყვნენ.

– შენ რაღა მოგივიდა? – არ ვიცი, ნუნუ, არ ვიცი. მიშველე რამე, თორემ ვიღუპები! – ვთხოვე მე, მის წინ დავიჩოქე, თავი მკერდზე დავადე და ავტირდი. მან მომხვია თავისი თბილი მკლავები, აბრეშუმივით შრიალა თმა თავზე გადამაფარა და ნანავი დაიწყო.

– ზაზა, ჩემო ზაზა, საწყალო ზაზა, ეს რა მოგსვლია, ბიჭო! ნუ გეშინია, ათას წელიწადს დაგე ლოდები. სიცოცხლის იქით თუ შეიძლება ლოდინი, იქაც დაგელოდები, როგორ მიყვარ ხარ, ზაზა, ოი, როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე, ასეთი, როგორიც ხარ, მტყუანიც, მართა ლიც, შეშინებული, მკვლელიც და მოკლულიც, ვაი, როგორ მიყვარხარ, როგორ, როგორ, რო გორ, აი, ასე უსხეულო, უსახო, თითქმის არაფერი, ერთი პატარა ამოსუნთქვა, მზის სხივზე დაკიდებული. ზაზა, ჩემო ზაზა... – ასე მოთქვამდა და დამტიროდა დიდხანს, მერე დადუმ და.

– ადექი ახლა და წადი, – მითხრა ბოლოს. – ოღონდ წასვლის წინ ფარდაჩამოუშვი, თორემ მზე თვალებში მიყურებს. – მე ავდექი და ფარდა ჩამოვუშვი. ნუნუმ თვალები დახუჭა და ძილში შებრუნდა.

ზნედაცემულ ანგელოზი

ზნედაცემულ ანგელოზი

დილით ზედამხედველმა გაგვაღვიძა.

– Подъем! – ცივი ხმით გაჰკიოდა დერეფანში, თან კარზე გასაღებს აკაკუნებდა უსაშველოდ.

–

ზანტად წამოვიშალეთ, ზედამხედველმა კარი გააღო.

– მამასახლისი რომელია? – მე ვარ! – თქვა გოგოლმა და თვალები მოიფშვნიტა.

– გამოდი, ბიბლიოთეკა წაიღე! – თქვა ზედამხედველმა. წავიდა და კარი ღია დატოვა.

ბიბლიოთეკა, თორემთქვენც სულ სახარებადა ღვთის რჯული გაქვთ. ჩერნიშევსკი, წადი, შენ
ამოარჩიე! – მიუბრუნდა გოგოლი გამცემლიძეს და ისევ წამოწვა. გამცემლიძემ საკნის კუთხე ში თაროზე დაწყობილი ათიოდე ძველი წიგნი აიღო და ახლის მოსატანად გავიდა. წიგნი სა კანში დიდად არავის ეპიტნავება. ძირითადად ბიბლიოთეკის კარტოტეკა უცვლელია და ერ თი კვირის შემდეგ უკვე წაკითხული წიგნი ბუმერანგივით უკან გიბრუნდება. მაგრამ ბიბ ლიოთეკის მოსვლა მაინც დიდ აჟიოტაჟს იწვევს. ბიბლიოთეკა მოვიდაო! რომ გამოაცხადებს ზედამხედველი, ასე გგონია, რაც მსოფლიოში საინტერესო წიგნებია, ყველამ ფეხი აიდგა და შენს სანახავად მოვიდა. გარდა ამისა, რაღაცის მოლოდინია, იმედია, რომ რაღაც უსაშველოდ საინტერესო შეგხვდება, რომელიც ერთი დღით მაინც დაგავიწყებს შენს გაჭირვებას და ამ ყელში ამოსულ სიფათებს. ციხეში წაკითხულ წიგნს ის უპირატესობა აქვს გარეთ წაკითხულ წიგნთან შედარებით, რომ ციხეში წიგნის გმირი ძალიან სწრაფად და უშუალოდ შემოდის შენს ცხოვრებაში, შენ მას არ სწონი აფთიაქის სასწორზე და კბილს არ უსინჯავ კრიტიკოსი ვით, ისე ღებულობ მას, როგორც არის, რადგან კაცი გაკლია, ახლობელი, მანუგეშებელი, და ამიტომ გარედან მოსული კაცი ნუგეშია შენთვის, თუნდაც იგი წიგნიდან იყოს მოსული.

გამცემლიძე ბუზღუნით შემობრუნდა საკანში, წიგნები მაგიდაზე დაყარა და თავის ნარზე წა მოწვა. პატიმრები წიგნებს ეცნენ. ჭიდაობის თავი არ მაქვს, ვიცადე, ვიდრე ყველამ ამოირჩია წიგნები და მერე მივედი მაგიდასთან. ორი წიგნი აღმოჩნდა უპატრონო: მაქსიმ გორკის წერი ლები „ Времена Короленко “ და ბროშურა„Русскому трамваю 60 лет “.

მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ მქონდა წაკითხული, მაინც გორკი ავიღე.

– ზაზაჯან, რაღაც Минеральный წიგნი შემხვდა, „მარილის აკვანი“, ხომ არ იცი, რა არის? – მკითხა ტიგრანამ, როდესაც გვერდით ჩავუარე.

– კარგი მოთხრობაა, წაიკითხე! – ვუთხარი მე და ნარზე წამოვწექი.

– ჩერნიშევსკი არ იყო? – ვკითხე გამცემლიძეს. გამცემლიძემ უნდობლად შემომხედა და რო დესაც მიხვდა, რომ არ დავცინოდი, ამოიოხრა.

–

– მაქსიმ გორკის ხომ არ წაიკითხავთ? – ვკითხე ისევ.

– წაკითხული მაქვს, – მომიჭრა და გადაბრუნდა.

– გამცემლიძე, რას ჩააცივდი ამ ჩერნიშევსკის, ხომ ხედავ, არ არის! – უთხრა ტიგრანამ.

– ჩემს გონებას, ბატონო, პოლიტიკური საზრდო ჭირდება, პოლიტიკური ლიტერატურა, თქვენსავით კი არ მაქვს გადაგლესილი ტვინის ხნულები...– კარგი, თუ ძმა ხარ, ხნულები, თორემ შენც სულ ტრაქტორები და კულტივატორები დაგიდის ტვინში, რაცა ხარ, ჩემსავით პარაზიტი ხარ და იმიტომ აგდიხარ აქ ჩემთან ერთად. ჩერნიშევსკის წაკითხვა თუ გინდო და, გარეთ უნდა წაგეკითხა, ციხე საჯარო ბიბლიოთეკა არ არის. თუ გინდა, რასაც ჩვენ ვკითხულობთ, ის წაიკითხე და თავო ჩემო იმღერე, თუ არა და, წადი.. – გაუშვა ტიგრანამ.

წადი კარგი სათქმელია, წავალ, დიახაც, რომწავალ, აქ ყველანი შენსავით მკვლელები კი არზიან!

– აღელდა გამცემლიძე.

– ზიან კი არა, სხედან! – გაუსწორა ტიგრანამ.

– ღმერთო, რას შემასწარი, ამის ქართული გამაოგნებს!!! – ააპარპალა თვალები გამცემლიძემ.

– ბოდიში, გამაოგნებს რა არის? – გულწრფელად ჰკითხა ტიგრანამ.

– ბოლვან! – თქვა გამცემლიძემ და კედლისაკენ გადაბრუნდა.

– ბალვანი მამაშენია! – გაუსწორა ტიგრანამ.– თავი დაანებე, ტიგრან, ხომ ხედავ, რომ სულე ლია! – დაამშვიდა ლიმონამ.

– ამხანაგო დევდარიანო, დაჟინებით მოვითხოვ ჩემი მიმართულებით გამოსროლილი იდიოტური ფრაზეოლოგიის დახვეწას! – მოითხოვა გამცემლიძემ.

– წადი შენი პოლიტიკოსი დედაც ვატირე... – შეუკურთხა ლიმონამ.

– ნუ გვაშინებთ, აქ ქურდების დიქტატურა არ გახლავთ! – არ შეეპუა გამცემლიძე.

–

– არც გლეხების დიქტატურაა! – წამოჯდა საწოლზე დევდარიანი.

– კარგი რა, გაჩუმდი, ხომ იცი, რომ ციხე ქურდებისაა! – გააფრთხილა გამცემლიძე ჭეიშვილ მა. – ასე არ არის, ჭიჭიკო? – ჰკითხა ახლა გოგოლს ჭეიშვილმა.

– მაგენისაა, მაგენის, გენაცვალე, ღმერთმა მოახმაროთ! – გადაულოცა გოგოლმა ციხე ქურ დებს. გამცემლიძე დადუმდა. ერთი საათით სიჩუმე ჩამოვარდა, პატიმრები ისხდნენ წიგ ნში თავჩარგულები, მაგრამ ღმერთმა იცის, წიგნს კითხულობდნენ თუ საკუთარ სატკივარ ში იყვნენ წასული. მე მგონი,ყველა თავისას ფიქრობდა, რადგან არც ერთი ფურცლის გადა ფურცვლა არ გამიგონია. მარტო ისიდორე ბატონის მხრიდან ისმოდა წიგნების შრიალი, ისიც გულაღმა იწვა და ჭეიშვილის მხრიდან მოსულ თამბაქოს კვამლს ინიავებდა.

საოცარია პირდაპირ, აი, ერთად ვსხედვართ რამდენიმე თვეა მანამდე უცნობი ადამიანები, თითქოსდა ყველაფერი ვიცით ერთმანეთის შესახებ, თითქოს გულახდილები ვართ ერთმანე თის მიმართ, თითქოს ვიხედებით ერთმანეთის სულში, და მაინც უზომოდ შორს ვართ ერ თმანეთისაგან და ეს სიშორე ჰორიზონტს ჰგავს, რამდენ ნაბიჯსაც წინ გადადგამ, ზუსტად იმ დენსავე ნაბიჯს ის დგამს უკან. ზოგი პატიმარი სელაპს ჰგავს. გლუვია, გულს ვერ მოუნახავ. ზოგი თევზივით არის, გგონია, რომ ხელში გყავს, ოდნავ მოუჭერ და კალმახივით გისხლტე ბა, იმის შიშით, რომ ლაყუჩში სტაცებ ხელს და ნაპირზე ამოათრევ, ზოგი პატიმარი მგელი ვით არის გატრუნული და გაბოროტებული, ზოგი გველივით გალურსული და იმის შიშით, რომ ფეხს დაადგამ, შხამი სულ მუდამ მზად აქვს. ზოგი შველივით არის დამფრთხალი, მაგ რამ გასაქცევი არ აქვს, არსად და იძულებულია, ხან სელაპად, ხან მგლად, ხან თევზად, ხან გველად, ხან რად და ხან რად მოგაჩვენოს თავი. ზოგი კი

გულღიაა, რაც არის ის არის, შეგუებულია თავისმდგომარეობას და უცდის რაღაცას, ის რაღაცა არავინ არ იცის, რა არის და როდის მოვა, მაგრამ ის რაღაცა მაინც მოდის ხან დროზე, ხან უდროოდ და ყველას, ვინც არ უნდა იყოს ის, რაც არ უნდა იყოს, ელოდება თუ არა, ერთ მშვენიერ დღეს გამოეცხადება და ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ყველას თავისას მიუზღავს და ყველას თავისას მიართმევს მისხლობით აწონილს.

ზოგი პატიმარი ამას ღმერთს ეძახის, ზოგი – ბედს, ზოგი – იღბალს, ზოგი – ვარსკვლავს და ზოგიც – სამართალს...

მეც პატიმარი ვარ და უკვე სამი თვეა ველოდები ამ სამართალს, ველოდები, როდის გაიღება კარი და როდის გამომეცხადება იგი, როდის დამადებს თავის მართალ ხელს მხარზე და მეტ ყვის: – ზაზა ნაკაშიძე, ადექი და გამომყევი!

* * *

– გამცემლიძე, საბრალდებო დასკვნა ჩაიბარე! – გამოუცხადა ზედამხედველმა და გაფითრებულ გამცემლიძეს ორად გაკეცილი ქაღალდების დასტა გადასცა. გამცემლიძემხელის კანკალით ჩამოართვა საბრალდებო დასკვნა, საკანს შეშინებული თვალი მოავლო, მერე ქაღალდები სწრაფად ჩაიკუჭა ჯიბეში და ადგილზე დაჯდა. ზედამხედველი წავიდა. საკანში ჯერ ჩოჩქოლი გაისმა, შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უჩვეულო რამ ხდებოდა. ციხის დაუწერელი კანონების თანახმად, ყველა პატიმარი ვალდებულია, საბრალდებო დასკვნა საკნის მამასახლისს გადასცეს წასაკითხად, რადგან პატიმრებმა უნდა იცოდნენ, ვისთან სხედან და რა დანაშაულისთვის ზის მათი თანამესაკნე. გამცემლიძემ კი ეს წმიდათაწმიდა წესი დაარღვია... სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ვიგრძენი, საკანში ჰაერი გახურდა და დაცხა... ყველა ნერვი ერთმანეთში გადაიხლართა და უკიდურესობამდე დაიძაბა, ახლა თითქოს ერთი ყველასათვის საერთო დედანერვი იყო გაბმული მთელი საკნის სიგრძეზე, ყოველი ჩვენთაგანი შეერთებული იყო მასთან უხილავი ძაფებით და საკმარისი იყო რომელიმე ჩვენთაგანს გაუფრთხილებლად მოეზიდა საკუთარი ნერვი, რომ ეს დედანერვი მაღალი ძაბვის დენში ჩართული მავთულივით გამსკდარიყო... და ამ ნერვს პირველად გოგოლი შეეხო, მაგრამ რაც შეიძლებოდა ფრთხილად, რადგან მამასახლისი იყო და იცოდა გაუფრთხილებლობას რა შეიძლებოდა მოყოლოდა.– გამცემლიძე, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ცოტა უხერხული ხომ არ არის შენი საქციელი? – ჰკითხა მან საქციელწამხდარ გამცემლიძეს.

– რაში გამოიხატება ჩემი საქციელის უხერხულობა, ამხანაგო მამასახლისო? – გაიკვირვა გამ ცემლიძემ.

– იმაში, რომ ჩვენ აქ ყველანი ერთნაირი უფლებებით ვსარგებლობთ, გამცემლიძე... – გოგოლ მა პაუზა გააკეთა. მერე დევდარიანისაკენ გაიხედადა დააყოლა: – ქურდების გარდა. ჰოდა, შენ თუ იცი, ვინ რაზე ზის...

– გოგოლმა ისევ გააკეთა პაუზა და ახლა ტიგრანას გახედა. ტიგრანას ხმა არ ამოუღია. ის და დევდარიანი ფეხი ფეხზე გადადებულები იწვნენ და საქმეში არ ერეოდნენ.

– ვინ რაზე სხედს, – გაასწორა გოგოლმა, – და ვის რა დანაშაული ჩაუდენია, ამიტომ, მოგვეცი უფლება, ჩვენც ვიცოდეთ, რაზე ზიხარ, ბოლოს და ბოლოს და ვინ ხარ შენ! – დაამთავრა გო გოლმა.

– ვერ გავიგე, რა გინდათ ჩემგან! – ნერვიულად თქვა გამცემლიძემ.

– საბრალდებო დასკვნა ჩააბარემამასახლისს, როგორც წესია. – უთხრა შოშიამ.

– რის საბრალდებო დასკვნა, რა საბრალდებო დასკვნა, ვინ არის აქ ბრალდებული და ბრალ მდებელი, ვინ არის დამნაშავე და უდანაშაულო! – აყვირდა გამცემლიძე.

– წაგვიკითხე! – დაჟინებით მოითხოვა შოშიამ.

– აქ შეიძლება ათასი სისულელე ეწეროს! – ააფრიალა საბრალდებო დასკვნა გამცემლიძემ. – რა არის საბრალდებო დასკვნა?! აი, შენ, – მიუბრუნდა იგი ტიგრანას, – მკვლელობას გაბრა ლებენ, მოკალი კაცი? – ჰკითხა გამცემლიძემ. ტიგრანა უხერხულად შეიშმუშნა.

– მოკლა! – თქვა დევდარიანმა.

– შენ რა იცი? – ჰკითხა გამცემლიძემ.

– ვიცი! – მოუჭრა ლიმონამ.

– მართლა მოკალი? – ჩაეკითხა გამცემლიძე ისევ ტიგრანას. ტიგრანამ თავი ჩაღუნა.

– შენ აიღე ქრთამი? – ეცა ახლა მებურიშვილს გამცემლიძე.– გააჩნია, რას უძახი შენ ქრთამს! – ვერ გაბედა მთლად უარის თქმა მებურიშვილმა.

– შენ? – ეცა იმედგაცრუებული გამცემლიძე ჭეიშვილს.

– გამცემლიძე, აქ მხოლოდ ორი კაცია, რომელსაც არ მოუკლავს, არ მოუპარავს, ქრთამი არ აუღია და საერთოდ არაფერი დაუშავებია: ბატონი ისიდორე და ზაზა ნაკაშიძე. აბა, ადგეს რომელიმე თქვენგანი და თქვას, რომ მე მართალი არა ვარ! – თქვა დევდარიანმა.

– მე, მე ვარ უდანაშაულო! – იკივლა გამცემლიძემ.

– ჯერ შენ არ გითქვამს რაში გედება ბრალი! – უთხრა ლიმონამ, – მიეცი მამასახლისს საბრალ დებო დასკვნა! – არავის არაფერს არ მივცემ, მე არ მყავს მამასახლისი, ჩემი თავის მამასახ ლისიც მე ვარ, მე პაპუასი არ ვარ, წინამძღვრები და ბელადები რომ მჭირდებოდეს. ეს ტირა ნიაა. და ნუ მაშინებ! – მიუბრუნდა იგი ლიმონას. – მე არავისი არ მეშინია. „მე ფიცი მაქვს დადებული ღვთის საკურთხეველთან, რომ ადამიანის გონებაზე ტირანიის ნებისმიერი გა მოვლინების დაუძინებელი მტერი ვიქნები მარად“. თქვა ამერიკის თავისუფლების დეკლა რაციის მამამ ტომას ჯეფერსონმა დამეც ვიმეორებ ამას.

ლიმონამ ხმა არ გასცა.

– წაართვით მაგას მაგი საბრალდებო დასკვნა! – თქვა ჭიჭიკო გოგოლმა.

გამცემლიძემ საბრალდებო დასკვნის ერთხელ გადახევა მოასწრო და პარაშისაკენ გაიქცა, რომ შიგ ჩაეყარა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ჭეიშვილსა და გულოიანს იგი ჯვარცმულივით ჰყავდათ გაკრული კედელზე. ჭიჭიკო გოგოლმა ძირს დაპნეული ქაღალდები აკრიფა, მერე ზედა ნარ ზე აძვრა და გამცემლიძის საბრალდებო დასკვნის წასაკითხად მოემზადა.

– გაუშვით! – თქვა მან, ვიდრე კითხვას დაიწყებდა. ჭეიშვილმა და გულოიანმა გამცემლიძეს ხელი გაუშვეს. იგი ადგილიდან არ დაძრულა, იქვე ჩაცურდა კედელთან, ცემენტის იატაკზე დაჯდა და საკუთარ ფეხებს დააშტერდა.

– ტომას ჯეფერსონი, რაც წეღან თქვი, იმას რომ ამბობდა, გამცემლიძე, პრეზიდენტი იყო, ორი მილიონი ჯარი ჰყავდა და ორასი მილიონი კაცი უჭერდა მხარს კიდო! – შეახსენა გო გოლმა და საბრალდებო დასკვნის კითხვა დაიწყო: ეს იყო ქაღალდზე გადატანილი მჭევ რმეტყველების უბადლო ნიმუში დასაბრალდებო დასკვნა – შედევრი.

საბრალდები დასკვნა ბრალდებისა გამო ვიაჩესლავ რაჟდენის ძე გამცემლიძის მიმართ დანა შაული გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 118 მუხლის გამო.

წინამდებარე საქმე აღიძრა ამა წლის 20 ნოემბერს ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის პროკურატურაში.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია შემდეგი: ამა წლის 24 ოქტომბერს, დაახ ლოებით 23 საათსა და 30 წუთზე, ვიაჩესლავ რაჟდენის ძე გამცემლიძე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მივიდა ჭავჭავაძის პროსპექტ მ 761-ში მდებარე თავისი მეგობრის ვახტანგ კირილეს ძე გამყრელიძის ბინაში (რომელიც ამჟამად პატიმრობაში იმყოფება) და მის მეუღლეს ელენე აბი ბოს ასულ გაჟონიას გადასცა ფული 100 მანეთი. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც დაზარალე ბული გაჟონია უჩვენებს, ბრალდებულ გამცემლიძეს, როგორც ადრე მისი მეუღლის უახლო ეს მეგობარს, ადრეც აღმოუჩენია დაზარალებულისთვის მატერიალური დახმარება, მაგრამ, ამჟამად, 100

მანეთის საფასურად, ანუ სანაცვლოდ ბრალდებულმა გამცემლიძემდაზარალებულ გაჟონიას მასთან სქესობრივი ურთიერთობის დამყარება შესთავაზა. დაზარალებულმა გაჟონიამ, მიუხე დავად იმისა, რომ აგერ რამდენიმე წელია ქმარგარეშე მდგომარეობაში იმყოფება, სასტიკი უარი განუცხადა ბრალდებულ გამცემლიძეს, მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებაზე, თუმცა ადრევეც ამჩნევდა ბრალდებულს არაგულგრილ გამოხედვას. მაშინ ბრალდებული (ცოლშვილიანი) ვიაჩესლავ რაჟდენის ძე გამცემლიძე ხარივით ეცა დაზარალებულ ელენე გა ჟონიას სქესობრივი ჟინის მოსაკლავად. დიდხანს ითმინა დაზარალებულმა გაჟონიამ, რათა ხმაურით მეზობლების ყურადღება არ მიეპყრო. მაგრამ ბრალდებული გამცემლიძე არა და არ მოეშვა, მაშინ დაზარალებული გაჟონია იძულებული შეიქმნა, ისე გამეტებით ეკბინა ბრალდე ბული გამცემლიძი- სათვის მარცხენა მხარზე, რომ მას ბღავილი აღმოხდა. უკანასკნელის ბღა ვილზე მეზობლები შემოცვივდნენ და მოწმენი გახდნენ იმისა, თუ როგორ ახევდა ტანზე კა ბას ბრალდებული გამცემლიძე დაზარალებულ გაჟონიას, როგორ სცემდა მას და როგორ მიიწევდა მასზე, მასთან სქესობრივი, ინტიმური კავშირის დასამყარებლად...

გოგოლმა კითხვა შეწყვიტა და საკანს თვალი მოავლო. პატიმრები მუნჯებივითისხდნენ და ფართოდ გახელილი, გაკვირვებული თვალებით უცქერდნენ გამცემლიძეს, ყოველივე ეს ისე ვე მოულოდნელი იყო მათთვის, როგორც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა. გოგოლი ჩამოვი და ნარიდან, მივიდა თავჩაქინდრულ გამცემლიძესთან და მის წინ დადგა. გამცემლიძემ უმწე ოდ ამოიხედა.

– ტყუილია! – უთხრა მან გოგოლს და ისევ ჩაქინდრა თავი. მაშინ გოგოლმა ხელის ერთი დაქ ნევით ჩამოგლიჯა გამცემლიძეს მარცხენა სახელო და ჩვენ ყველამ დავინახეთ მის შიშველ მხარზე მუქი ლურჯი ლაქა. ეს იყო ნაკბენი. და გაწყდა ის ნერვი, საერთო ნერვი... შემდეგ მე თითქმის არაფერი არ დამინახავს, პატიმრები ზრიალით მიცვივდნენ იმ ადგილს, სადაც გამცემლიძე იჯდა, და ლელოს მოთამაშეებივით შეჯგუფდნენ. ისმოდა მათი ხვნეშა და გამ

ცემლიძის გაბმული ზმუილი. სისხლი თავში ამივარდა, მივვარდი შეჯგუფებულებს და მუშტის ცემა დავუწყე.

– რას შვებით, მკვლელებო, დაანებეთ თავი, მოკვდება, მოკვდება, მოკვდება, რას შვებით! – მე რე მე მივვარდი კარს და გიჟივით დავუწყე მუშტებისა და წიხლების ბრაგუნი. – უშველეთ, მოკლეს! – ვკიოდი მე, ვიღაცამ მომგლიჯა კარს. რომ შევხედე, ჩემს წინ შეშლილი გოგოლი იდგა. მე ისევკარისაკენ გავიქაჩე. მაშინ მან ძლიერად დამარტყა სახეში თავისი გაშლილი უზარმაზარი ტორი და მე გონება დავკარგე.

თვალი რომ გავახილე, საკანში უჩვეულო სიწყნარე იდგა. ყველანი თავიანთ ადგილებზე ის ხდნენ, გოგოლისა და გამცემლიძის გარდა. სასთუმალს ბატონი ისიდორე მეჯდა.

– მე მართლა იმის დედა ავატირე, ვინც შენ მკვლელობა დაგაბრალა! – თქვა ტიგრანამ, თვალ გახელილი რომ დამინახა და უიმედოდ ხელი ჩაიქნია.

– რა მოხდა, ძია ისიდორე? – ვკითხე მე და საკუთარი ხმა ვერ ვიცანი.

– ამ პატიმრებს რომ უყურებ, შვილო, ნახევარზე მეტს ცოლები მეგობრის იმედზე ყავს დატო ვებული!..
– თქვა ძია ისიდორემ.

– მოკლეს? – არა! – გჯერათ თქვენ, ძია ისიდორე, რაც იქ ეწერა? – ვკითხე მე.

– არ ვიცი. ტოლსტოი ამბობს – Дьявол это падший ангел! – თავიდან ისიც ანგელოზი ყოფი ლა, შემდეგ გამხდარა ზნედაცემული. მე ტოლსტოისა მჯერა. – მითხრა ძია ისიდორემ, ად გა ჩემი ნარიდან და საკუთარ ნარზე გადაჯდა.

პაემანი

ვიწრო და გრძელია პაემანის ოთახი. შიგ იმავე ოთახივით ვიწრო და გრძელი მაგიდა დგას, ასევე გრძელი ხის სკამებით შემოწყობილი. პაემანის დროს პატიმრები ერთ მხარეს სხდებიან, ჭირისუფალნი კი – მეორე მხარეს, ზედამხედველები მაგიდის თავსა და ბოლოში დგანან, თამადა-მოადგილესავით და დროდადრო აჩქარებენ მაგიდასთან მსხდომთ, მალე მორჩითო, პატიმრები და ჭირისუფლები ძალიან ხმადაბლა ელაპარაკებიან ერთმანეთს, რა თქმა უნდა, საკუთარ საქმეზე. პატიმრები, როგორც წესი, მეტს ლაპარაკობენ, რაღაცას აბარებენ, ეხვეწები ან გაუთავებლად ჭირისუფლებს და ისინიც, შეუძლიათ თუ არა დანაბარების ასრულება, მა

ინც თანხმობის ნიშნად, თავებს უქნევენ, იმახსოვრებენ და ცრემლჩამდგარ თვალებს მჯიღე ბით ისრესენ, ამიტომ, გვერდიდან რომ შეხედო, პაემანი საოცრად ჰგავს ქელეხს, აქაც ისევე, როგორც ქელეხში, როგორც კი მაგიდასთან მსხდომნი ჩურჩულიდან ხმამაღლა ლაპარაკზე გა დავლენ და ბოლოს ხელების ქნევასაც კი დაიწყებენ, თამადა და მისი მოადგილე წამსვლელ-დამრჩენის სადღეგრძელოს სვამენ, ჭირისუფალი მეორე ოთახში გაყავთ, ხოლო შეხვედრით მთვრალი პატიმრები თითო-თითოდ – თავთავიანთ საკანში და პაემანი მთავრდება.

პაემანს თავისი დრო და წესი აქვს, ამიტომ, ზედამხედველმა რომ დამიძახა, ცოტა არ იყოს, გა მიკვირდა, მაგრამ მაინც გავყევი. რომ მიმიყვანეს, პაემანის ოთახი ცარიელი დამიხვდა. ზედამხედველმა დამტოვა და სადღაც წავიდა. ესეც ძალიან გამიკვირდა, გრძელი მაგიდის ერთ თავში დავჯექი და მოპირდაპირე მხარეს კარს დავაშტერდი. კარი არ იღებოდა. მოლო დინისაგან გული გამიწვრილდა და ამიფართხალდა. უნებურად მაჯაზე მოვიკიდე ხელი და თვითონვე გამეცინა. მაჯა რად მინდოდა, გულს ისეთი დაგადუგი გაჰქონდა, რომ, ალბათ, კარს იქით მდგარ ზედამხედველსაც კი ესმოდა. მერე ის კარი გაიღო და ოთახში თოვლივით სპეტაკი ჩემი დედა შემოვიდა, მას ძველისძველი, მაგრამ კარგად შენახული კოვერკოტის პლაშჩი ეცვა, ყელზე თეთრწინწკლებიანი ლურჯი ყელსახვევი ეხვია, ხელში კი შავი საკ ვოიაჟი და თერმოსი ეჭირა. იგი არ გამოქანებულა ჩემსკენ ვაითი და ვიშით, არც გულში ჩა ვუკრივარ, უბრალოდ მაგიდის იმ თავში ჩამოჯდა სკამის კიდეზე, თერმოსი და საკვოიაჟი მა გიდაზე დააწყო და წყნარადმითხრა: – გამარჯობა, შვილო! – გაგიმარჯოს, დედა! მერე მან საკ ვოიაჟიდან ასანთი და სიგარეტი ამოიღო, ასანთს გაჰკრა და, სიგარეტთან მოსაკიდებლად რომ მიიტანა, უცებ ხელიცა და ნიკაპიც აუთრთოლდა.

– ოღონდ ნუ იტირებ, დედა. – ვთხოვე მე და ნერწყვთან ერთად ცრემლიც გადავყლაპე.

– ნუ გეშინია, შვილო, არ ვიტირებ, აღარა მაქვს ცრემლი, გამითავდა! – თქვა დედამ და, რო გორც იქნა, სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა, მერე ადგა, თავისი ბარგი აიღო და შუა მაგიდას თან გადმოჯდა.

... ღმერთო, რამდენი სალაპარაკო მაქვს ამ ქალთან, რამდენი რამ მინდა, დავაბარო, რამდენი რამ მინდა, მოვუყვე და ვთხოვო, როგორ მინდა თავი ჩავუდო კალთაში, პატიება ვთხოვო იმ ტკივილისათვის, რაც მივაყენე, და მერე ვიტირო დიდხანს, ვიდრე მასავით ცრემლები არ გა მითავდება, როგორ ვნატრობდი ამ წუთს და, აი, ზის ახლა იგი, ჩემი დედა ჩემს წინ და მე დამ ბლადაცემულივით არც კი შემიძლია, წამოვდგე, მოვეხვიო და გულში ჩავიკრა მისი თეთრი თავი. იგი, თითქოს მიმიხვდაო გასაჭირს, წამოდგა თავის ბარგი ბარხანიანა და სულ გვერ დით მომიჯდა. და უცებ დამიბრუნდა ის ველური,პირველყოფილი ყნოსვის ინსტინქტი, რომ ლითაც დედა და შვილი ცნობენ ერთმანეთს. მან სწრაფადდა ქურდულად გაიხედ-გამოიხედა ოთახში, მერე სასწრაფოდ მოხადა თავი თერმოსს, მოხდილი სახურავი წინ დამიდგა და ხე ლის კანკალით დამისხა ცხელი, ქაფქაფა ყავა, ჭიქიდან ავარდნილმა ორთქლმა თავბრუ დამახ

ვია და უდაბნოში დაკარგული, ერთ თვეს მაცოცხლებელი წყლის ძებნაში ხახაგამშრალი ბე დუინივით დავეწაფე თუნუქის ჭიქას. ცხელი ყავა მწვავდა თითებს, ტუჩებს, ენას, სასას და მე ვერ ვგრძნობდი, ეს იყო ისეთი ნეტარება, რომლის აღწერა შეუძლებელია და, ვიდრე მე ყავას ვსვამდი, დედაჩემი, როგორც ძროხა ლოკავს ჩვილ ხბოს ჭამის დროს და სხვა არაფერი არსე ბობს მისთვის იმჟამად დედამიწაზე, ისე მისვამდა თავზე თბილ ხელს და ხმას არ იღებდა. მე რე ჩვენ დაგვიბრუნდა მეტყველება.

– კიდევ გინდა, შვილო? – მკითხა დედამ. მე თავი დავუქნიე, მან ისევ დამისხა ყავა და მხო ლოდ ახლა დავუწყე სმა ადამიანურად.

– კარგია? – კარგი! – ყავა მართლაც დიდებული იყო, უფრო დინჯად და მდორედ მიდიოდა ძარღვებში.

– დედა, როგორ მოახერხე პაემანი,ძიება ხომ არ დაამთავრეს? – ვკითხე გაუბედავად, რადგან გამოძიების ამ ეტაპზე დამთავრება ჩემთვის დაღუპვას ნიშნავდა.

– არა, შენთან, ალბათ, ახალი გამომძიებელი მოვა. – მითხრა დედამ და ისევ გადამისვა თავზე ხელი. – გადაგხოტრეს? – გამიღიმა მან.

– რა იცი, რომ ახალი გამომძიებელი მოვა? – მინისტრთან ვიყავი! – თქვა დედამ. ჟრუანტელმა დამიარა.

– რომელ მინისტრთან? – შინაგან საქმეთა მინისტრთან, აბა, სხვასთან ვისთან უნდა ვყოფილი ყავი?
– როდის, დედა? – 14 ივნისს.

საოცარი რამ ხდებოდა, ეს ზუსტად ჩემი სიზმრის დღე იყო. უნდა მოვუყვე დედას სიზმარი, მაგრამ ახლა მაგის დროა? ალბათ უკვე ერთი საათი გავიდა, მალე პაემანის დროც ამოიწურე ბა, ალბათ ამოიწურა კიდევაც, ესეც რომ არ იყოს, დამიჯერებს კი? – იცი, დედა, ის მინისტრი მე ვიყავი! – ვუთხარი დედას.

– რომელი, შვილო? – მკითხა დედამ ისე, რომ არც კი გაკვირვებია.

– აი, შენ რომ ელაპარაკე, ის მინისტრი მე ვიყავი! – გავუმეორე მე და გამეცინა.– კარგია, შვი ლო, ხუმრობის ხასიათზე რომ ხარ! – გამიღიმა დედამაც.

– მართლა გეუბნები! – სხვათა შორის, რაღაცაში გგავდა, – თქვა დედამ. – მაგრამ მინისტრ კაცს როგორ ვაკადრებდი ჩემს პატიმარ შვილს გავხარ- მეთქი, ისე, შვილოს ვეძახდი. – დე და დაფიქრდა. – მე შევპირდი, რომ შენ ყველაფერს მართალს მომიყვები. – თქვა დედამ და თვალი თვალში გამიყარა. – არ დამაღალატო, შვილო! – მთხოვა მან. მის ხმაში იმდენი მუდა რა იყო, მე ყელში ბურთი გამეჩხირა, მაგრამ თავი შევიკავე და ის ბურთი ნერწყვთან ერთად ჩავყლაპე.

– დედა, მე და როსტომი არაფერ შუაში არ ვართ, რასაც ვამბობთ, ცამდის მართალია. ამას ხა რაბაძე დაადასტურებს.

– იმ ჩვენი ცოდვით სავსე როსტომ ამილახვარს ისე დაურტყია ხარაბაძისათვის, შვილო, ეჭვი მეპარება, გონს მოვიდეს, და, თუ მოვიდა, ნორმალურად იაზროვნოს. – თქვა დედამ.

– შენ ნახე? – ვკითხე მე.

– ვნახე, შვილო, და ნეტავ არ მენახა! – ამოიოხრა დედამ.– რა სჭირს? – უმიზეზოდ იცინის, შვილო, ხანდახან ამბობს, ენას გვართმევენო.

– იმ ღამითაც ასე ლაპარაკობდა. ისევ იქ არის! – უნივერსიტეტის დახასიათებას მთხოვს ვექი ლი.

– ჩემი ფაკულტეტის დეკანთან არ იყავი? – ვიყავი, შვილო! – რაო? – ადგილკომის თავმჯდომა რესთან გამგზავნა.

– რატომ? – დახასიათებას ადგილკომები აძლევენო! – მერე? – ადგოლკომმა მითხრა, ვერ მოგ ცემ დახასიათებასო! – რატომ? – ცნობა მომიტანე, რომ მკვლელი არ არისო, და მოგცემო.

– საიდან მომიტანეო? – საიდანაც გინდაო! – მერე? – მეზობლებისაგან მივუტანე შენი დახა სიათება და არ მიიღო, მრგვალი ბეჭედი არა აქვსო, – გაეღიმა დედას.

– იდიოტი! ჩემი არჩეულია! – ვინანე მე.

– ეტყობა, შვილო, შენი არჩეული რომ არის. – თქვა დედამ.

– ახლა რა გვეშველება, დახასიათება არა გვაქვს, ის კაცი გონს ვერ მოდის... – ვთქვი სასოწარ კვეთილმა.– წამალი ყოფილა რაღაც იაპონური ანგინინი, ის უშველისო, – თქვა დედამ.

– მერე? – მომეცა იმედი.

– მერე რა, შვილო, სულ ორი ფლაკონი ყოფილა საქართველოში – ერთს უკვე ასმევენ ვიღაცას და ერთს ვიღაცისათვის ინახავენ, ვაითუ დასჭირდესო.

– სპეკულანტებში არ არის? – არ ვიცი, რომც იყოს, ისე ძვირი ღირს თურმე.

– დედა, შენი ჭირიმე, ხარაბაძეს ცნობიერება უნდა დაუბრუნდეს, გესმის, შენ?! – იქნებ არ ღირს, შვილო? – შენც ასე ფიქრობ? – ვკითხე მე და გული შემეკუმშა.

– არა, შვილო, იმიტომ კი არ გითხარი, ვაითუ თქვენ დაგაბრალოთ.

– არა, დედა, არა, შენი ჭირიმე, გაყიდე მთელი საცხოვრებელი, რაც გვაბადია და წამალი იშო ვე, დედა. იშოვე, თორემ ვიღუპებით.

– როგორ ფიქრობ, შვილო, ხარაბაძის ჭირისუფალი არ ეძებს ამ წამალს? მაგრამ არ არის! – დე და,
გაყიდე ყველაფერი...

– რა გავყიდო, შვილო? – მკითხა დედამ.მართლაც რა გაყიდოს? რაც დედა მახსოვს, სულ ვყი დით ყველაფერს. ჯერ არაფერი გვიყიდია და ახლა რა უნდა გაყიდოს საწყალმა დედამ? გა ნა არ ვიცი, რომ არაფერია გასაყიდი?..

– ისესხე, დედა, და, რომ გამოვალ, პროცენტით გადავუხდი! – კარგი, შვილო! – მიდი ვინმეს თან, თხოვე! – მივალ, შვილო! – ხარაბაძის ჭირისუფალთანაც მიდი...

– მივალ, შვილო...

– მიდი და უთხარი, რომ მათი დამპალის ბოთლით არის მკვდარი ის კაცი! – ვეტყვი, დედა, ვეტყვი! – უთხარი, როგორც უნდათ, ისე მოარჩინონ. არადა, თუ გამოვედი, მოვკლავ, ძაღ ლივით მოვკლავ, სულ ერთია მაინც მკვლელის სახელი მაქვს არაფრის გულისათვის.

– ვეტყვი, შვილო, ვეტყვი! – შენ გგონია, მეშინია?! – არა, დედა, არ გეშინია! – მე არ მინდა, მკვლელის სახელი მქონდეს! – ვიცი, შვილო! – უთხარი ყველას – გამომძიებელს, მინისტრს, მოსამართლეს, ხარაბაძის პატრონს, ექიმს, მის მოწმეებსაც უთხარი, იმ რვა კაცს, გაიხსენონ, ყველაფერი გაიხსენონ, ყველას უთხარი ან დამიჯერონ, ან მოვკლავ, ყველას მოვკლავ და მე რე თავს მოვიკლავ! – ვეტყვი, შვილო! – რაუნდოდა ჩვენგან? ვიჯექით ჩვენთვის და თითო ჭიქას ვსვამდით, ვინ დაუძახა, რას გვერჩოდა, მითხარი, რა უნდოდა?! – არ ვიცი, შვილო, დაწყნარდი, ყველაფერს გავაკეთებ, ოღონდ შენ დაწყნარდი...

– არა, არა! – ვიკივლე მე და მივხვდი, რომ ეს ისტერიკა იყო. დედა წამოხტა, გულში ჩამიკრა და დამშვიდება დამიწყო.

– დაწყნარდი, შვილო, დაწყნარდი, ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს ვიზამ, მათხოვრად წა ვალ, ქადაგად დავვარდები, მონაზვნად აღვიკვეცები, ღმერთს ზვარაკად შევეწირები, სადაც წახვალ, იქ წამოგყვები, მარტო არ დაგტოვებ, რამდენიც არ უნდა მიგისაჯონ, სადაც არ უნ და გადაგასახლონ, მუხლებში ჩავუვარდები მოსამართლეს და ვთხოვ, შენთან ახლოს ყოფ ნის უფლება მომცენ, ან მეც დანაშაულს ჩავიდენ და შენთან ერთად ვიქნები, ნუ გეშინია, შვილო!.. – დედას სახე შეეშალა. მე მუხლებში ჩავუვარდი და ხელებზე დავუწყე კოცნა.

– მაპატიე, დედა, შენი ჭირიმე, მაპატიე! – ვთხოვე მე, თავი ვეღარ შევიკავე და ავტირდი.

–

– სუ, შვილო, სუ, საპატიებელი რა გჭირს, პატიებას მე უნდა გთხოვდე, მოვედი, აგაფორიაქე, ნუ გეშინია, დედა, ყველაფერიკარგად დამთავრდება.

კარი გაიღო და ზედამხედველი შემოვიდა.

– ქალბატონო, პაემანის დრო ამოიწურა, – თქვა მან და თვალი აგვარიდა.
კიდევ ერთი წუთი, შვილო, კიდევ ერთი წუთი! – თხოვა დედამ. ზედამხედველი უხმოდ გა ვიდა, –
ადექი, შვილო, ადექი. დაჯექი, დაწყნარდი, დაწყნარდი. აი, ასე. აბა, შემომხედე! ყველაფერს გავაკეთებ, რაც მითხარი, ნუ გეშინია.

– მადლობელი ვარ, დედა! – ვუთხარი მე.

– ხვალ ან ზეგ ახალი გამომძიებელი დაგიძახებს.

– მადლობელი ვარ, დედა! – არ ეჩხუბო, შვილო! – არა, დედა! – ეცადე, მშვიდად იყო, იქნებ აუხსნა, დააჯერო...

– ვეცდები, დედა! – კარგად იყავი, შვილო! – ვიქნები, დედა! – არ მომატყუო! – არა, დედა! – მოდი ახლა დაგემშვიდობო.

მე ავდექი და დედას მივუახლოვდი. მან ისევ ჩამიკრა გულში და მხრები აუცახცახდა.მე მოვი ცილე იგი და სახეზე შევხედე, იგი ტიროდა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა და ნიკაპთან ეკ ვრებოდა, ბოლოს გული ამოუჯდა და მე გამიხარდა, რომ დედა ისევ ტიროდა, რომ ჩემს დე დას ჩემი წილი ცრემლი არ გათავებოდა. სკამზე დავსვი, იგი მაგიდას დაემხო და ახლა ასე გა ნაგრძო ტირილი.
ერთი წუთი, ალბათ, გავიდა, ორიც და სამიც, დედა დაწყნარდა, მაგრამ ზედამხედველი არ შე მოდიოდა. მაშინ მე მივედი კართან და რაც შემეძლო, მაგრად დავაბრახუნე. კარი სწრაფად გაიღო და ზედამხედველი შემოვიდა.

– წამიყვანე, თუ ძმა ხარ! – ვთხოვე მე. მან დედას შეხედა. დედამ ცრემლები მოიწმინდა ცხვირსახოცით, ზედამხედველს გაუღიმა და თანხმობისა და მადლიერების ნიშნად თავი დაუქნია.
ზედამხედველმა ოთახიდან გამიყვანა. დერეფანი უხმოდ გავიარეთ. ეზოში რომ გავედით, ზე დამხედველმა ონკანთან გამაჩერა, წყალი დალია და სველი ნიკაპი სახელოთი შეიხოცა.

–

– დალიე! – მითხრა. არ მინდოდა წყალი, მაგრამ მაინც დავლიე, რადგან მივხვდი, რომ ჩემი გულისათვის გაჩერდა ონკანთან, თვითონ სულ არ სწყუროდა.

– პირზე შეისხი, თვალები დასიებულიგაქვს ქალივით, უხერხულია.

– ცივი წყალი შევისხი სახეზე. თითქოს დაგვალული ბალახისათვის წყალი დაესხათ ფესვზე, ისეთი შვება ვიგრძენი. მადლობის ნიშნად გავუღიმე.

– დედაა? – მკითხა ზედამხედველმა.

– დედაა! – ვუპასუხე მე.

– აი, ახლა რომ გაიღიმე, გავდი.

– ჰო! – მერე, არ გრცხვენია? – მკითხა, მე გავჩერდი და თვალებში შევხედე.
რას მიყურებ, არ გრცხვენია-მეთქი, გეკითხები! – გამიმეორა მან. მე არაფერი ვუპასუხე, ხელე
ბი
უკან დავიწყე, როგორც პატიმრის წესია, და წავედი.
სენტიმენტალურ ჰუმანიზმი

სენტიმენტალურ ჰუმანიზმი

ციხეში ქურდი ხელშეუხებელია, მას სრული ავტონომია აქვს. იგი შენს საქმეში იშვიათად ჩაერევა, თავის საქმეში ხომ არ ჩაგრევს და არ ჩაგრევს. ამ მხრივ, რა პარადოქსადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ქურდებთან ჯდომა გაცილებით სასიამოვნოა, ვიდრე ათასი ჯურის, ხასიათის, ბედის, პროფესიის, განათლებისა და ეროვნების ხალხთან. საკანი, რომლებშიც ქურდები არ სხედან, წარღვნად გამზადებულ კუნძულს ჰგავს, რომელზეც დაღუპული გემიდან გადარჩე ნილი ადამიანები ბინადრობენ და მაშველი გემის მოლოდინში ერთმანეთს ჭამენ. ქურდი – ქურდია, მათი თანასწორუფლებიანობა ხანდახან განცვიფრებას იწვევს.

ქურდები ერთმანეთისაგან მხოლოდ განათლებით განსხვავდებიან, რაც მათ კონსტიტუციაში საყოველთაო სწავლების მუხლის არარსებობითაა გამოწვეული და მიუხედავად ამისა, განათ ლება არავის არავითარ უპირატესობას რა ანიჭებს. სხვა მხრივ ქურდები ერთნაირად უბედუ რები არიან.
მათში არ არსებობს არც წოდებრივი,არც ქონებრივი, არც ეროვნული ცენზი, მესოპოტა მიელია ქურდი, ტანგანიკელი თუ ჩოხატაუ- რელი, ქურდი – ქურდია, მათთვის შავი, თეთ

–
რი, წითელი, ყვითელი ფერი არ არსებობს, ყველა ქურდი შავია, ქურდი არ მუშაობს, აქედან გამომდინარე არ არსებობს პროფესია, ამიტომ ქურდებს შორის რაიმე პროფესიული დარგობრივი ქიშპი ან უპირატესობაც გამორიცხულია. ქურდის ერთადერთი პროფესია ქურდობაა. თუ რომელიმე ქურდი ზედმეტ პატივს სცემს მეორე ქურდს, უკანასკნელის მაღალი ღირსებების გამო, ეს ყველა ქურდის პირადი საქმეა. ქურდები ერთად ჭამენ, უკანასკნელ ლუკმას იყოფენ, მხარში უდგანან ერთმანეთს და, რამდენადაც მშიშრები და გაუტანლები არიან გარეთ, იმდენად ვაჟკაცები და გამტანები – ციხეში.
ციხე მორევია მათი და თავად შიგ მოცურავე ღლავები არიან. ყოველივე ზემოთქმულის გამო ქურდები არც საკნის დალაგება- დასუფთავებაში იღებენ მონაწილეობას, ამიტომ გოგოლის მიერ კედელზე გაკრულ სამორიგეო სიაში ყველანი ვართ, დევდარიანისა და გულოიანის გარდა.

დღეს შოშიასი და მებურიშვილის მორიგეობაა, უკვე პარაშა გაიტანეს, წყლის რეზერვუარი აავსეს, ახლა შოშიას ცოცხი უკავია და ბუზღუნით ხვეტს საკანს, მე და ტიგრანა ისევ ჭადრაკს ვუსხედვართ, დანარჩენები ნარებზე სხედან,ფეხაკრეფილნი, შოშიას ხვეტაში ხელი რომ არ შეუშალონ.

– მე, რა, მაგათზე ნაკლები ქურდი ვარ, მაგათზე ნაკლებს ვიპარავდი თუ რა? – მოუმატა ხმას შოშიამ და მტვერი ფეხებში მოგვაყარა მე და ტიგრანას. მე თავიდანვე მივხვდი, რა აბუზღუნებდა შოშიას, და ხმას არ ვიღებდი. ტიგრანას ლაზიერი შეაცივდა ხელში, ჯერ მე შემხედა, მერე შოშიას გახედა.

– პატივცემულო შოშია, ვიზე ამბობ მაგას? – ჰკითხა ტიგრანამ. შოშიამ ყურადღება არ მიაქცია, თავისთვის განაგრძო.

– ქურდი ხარ, მაო ძე-დუნი ხარ თუ ალექსანდრე დიდი, სისუფთავე ყველას გვინდა. მე მაგა თი ნაგავი რატომ უნდა ვხვეტო, ეგ არის სამართალი? – ზაზაჯან! ხომ არ იცი, ვიზე მეტყვე ლებს? – ახლა მე მკითხა ტიგრანამ.

– თუ ძმა ხარ, ითამაშე, თორემ გამანთავისუფლებენ და პარტია დაუმთავრებელი დაგვრჩება. – ვუთხარი ტიგრანას.

– ხაშ ვოსემ! – მითხრა მან.

– ქაბაბ ჩეტირე! – ვუპასუხე ხუმრობაზემე და მის ლაზიერს მხედრით დავემუქრე...

– იხუმრე, იხუმრე, რა გენაღვლება! – ვეღარ მოითმინა შოშიამ და მეცა მე.

– ჩემგან რა გინდა, შოშია, გუშინ არ ვიყავი მორიგე? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– შენზე ვინ რას ამბობს, აი, ზოგიერთი რომ...

– მაშ, ჩემზე ამბობ? – ჰკითხა ტიგრანამ.

– შენზე ვამბობ, ჰო, შენზე და დევდარიანზე!!! – ვეღარ მოითმინა შოშიამ.

– რაო, რას ამბობ, საყვარელო შოშია? – დაანებე, შოშია, თავი, ხომ იცი, ციხე მაგათია. რას იტ ყვი, ბატონო ჭიჭიკო? – ჰკითხა მებურიშვილმა გოგოლს, როგორც მამასახლისს.

– შენ რას გადამეკიდე, გენაცვალე, რამდენჯერ გითხარი, მაგათია, ღმერთმა მოახმაროთ-მეთქი, და მეორეჯერ აღარ მკითხო მაგი, თორემ ამოგგლიჯავ მაგ ენას, რომ გადაგიგდია მხარზე ღვედივით, და გათავდება საქმე! – წამოჯდა ნარზე გოგოლი.

– ცუდი რა გითხარი, ბატონო ჭიჭიკო, ციხე მაგათია-მეთქი... – იმართლა თავიმებურიშვილ მა.

– როგორ თუ მაგათი! – იკივლა შოშიამ. – მუშაობა არა, დახვეტა არა, დასუფთავება არა, პარა შის გატანა არა, წყლის შემოტანა არა, მარტო ჭამა?! – ახლა არ თქვა, შოშია, ვინც არ მუშაობს, არ ჭამსო, თორემ მოგეჭრა თავი! – გავაფრთხილე მე. საკანში ხარხარი ატყდა.

– ციხე მაგათია, – დაიწყო თითებზე ჩამოთვლა შოშიამ, – ის მაგათია... ეს მაგათია... – შოშიას სათვალავი გაუთავდა და უხერხულად შეიშმუშნა.

– მერე, მერე, კიდევ რა არის ჩვენი? – ჩაეკითხა ტიგრანა.

– ციხე რა, ცოტაა? მაშინ გამოგვეყავით, ბატონო, და გამოაცხადეთ „საბჭოთა კავშირის ქურდე ბის ავტონომიური რესპუბლიკა“, – იპოვა გამოსავალი შოშიამ. ისევ ხარხარი ატყდა.

– შენ დაგავიწყდა, მე და ლიმონა რომ ქურდები ვართ? – თქვა ტიგრანამ და ხელის მოსმით ფიგურები გადაყარა დაფიდან.

– ხალხო! – მიუბრუნდა შოშია ხალხს, – ჰკითხეთ ერთი, რა მოიპარეს ამან და ლიმონამ ისე თი, რომ თავს გვამადლიან, ერთს კაცი ჰყავს მოკლული, თუმნისგულისათვის, მეორემ ყვე ლი მოპარა გლეხს დახურულ ბაზარში. იმდენი ფული მაქვს მოპარული, გულოიანო! – მი უბრუნდა ახლა ტიგრანას, – მთელი შენი საგვარეულო და ჯილაგი რომ დაჯდეს, ათ წელი წადს ვერ დაითვლის, მილიონ დევიატსოტ ტისიაჩ! ეს რაზეც დამიჭირეს! დანარჩენს, რა ზეც ვერ დამიჭირეს, კიდევ ათი წელი უნდა. ახლა მითხარი, ვინ უფრო დიდი ქურდია – მე თუ შენ? ან რითი მჯობიხართ შენ და ლიმონა? – შოშიამ ცოცხი იატაკზე დაანარცხა და დო ინჯშემოყრილი შუა საკანში დადგა. ტიგრანა გაფითრდა: – შოშია, ვიცოდი, რომ ფურუნკუ ლი იყავი, მაგრამ როდის გასკდებოდი, არ ვიცოდი! – თქვა ტიგრანამ, მივიდა თავის ნარ თან, გარღვეული ლეიბიდან სამართებელი დააძრო და გაშალა. საკანი გაიტრუნა, ისევ დაიძაბა ის საერთო ნერვი, არავინ იცოდა საკანში სამართებლის არსებობა. შოშია წახდა, კე დელს გაეკრა. დევდარიანი ადგა და ტიგრანას წინ გადაეღობა.

– ნაბიჭვარივით იქცევი, ტიგრან. მოიტა სამართებელი! – მიმიშვი, ლიმონ, მაგის დამპალი სისხლის ფერი უნდა ვნახო როგორია! – თხოვა ტიგრანამ.

– მომეცი სამართებელი! – გაუმეორა თხოვნა დევდარიანმა, ტიგრანამ გაუწოდა სამართებელი და ჩემს პირდაპირ დაჯდა. შოშია ამასობაში თავის ქანდარაზე აძვრადა იქიდან იყურებოდა დასაკლავ ხბოსავით დამფრთხალი. დევდარიანმა სამართებელი დაკეცა და ბატონ ისიდო რეს დაუგდო ნარზე.

– შემინახე, ძია ისიდორე! – სთხოვა მან, მერე შოშიას მიუბრუნდა, იგი ქვევიდან ზევით უყუ რებდა შოშიას, შოშია ხეზე ავარდნილ დაფეთებულ კატას ჰგავდა, ლიმონა კი ქვევიდან მიმ დგარ პირდაღებულ, ენაგადმოგდებულ ნაგაზს, რომელსაც ნებისმიერ წუთს შეეძლო ამ კა ტის ქანდარიდან ჩამოთრევა და ნაკუწ-ნაკუწ დაგლეჯვა.

– გოგოლაძე, მე გეტყვი, რა განსხვავებაა ჩვენსა და თქვენს შორის და რითი გჯობივართ ჩვენ თქვენ. – უთხრა მან შოშიას, იგი პირველად მიმართავდა შოშიას გვარით და მე უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა ტანში. შოშია უფრო მოიბუზა და სიღრმეში წავიდა.

– ჯერ ერთი, იმით გჯობივარ, რომ დევდარიანი ვარ, მეორე, შენსავით მაიმუნი არა ვარ, მესა მე, ქურდმა რომ მილიონი იშოვოს, თავის დღეში ფულს აღარ მოიპარავს, თქვენ, თქვენ რას აკეთებთ?! შენს საქმეში გასულ გვარამაძეს ერთი მილიონი მანეთი ფული მიწაში უპოვეს, ხის ძირში დამარხული, რატომ? იმიტომ, რომ დამპალი თესლიდან იყო ამოსული. შენცეგ რე ხარ, ალბათ, შენც გაქვს ფული დამარხული და, თუ მოკვდი, შენი შვილები ვერასოდეს ვერ იპოვნიან იმ ფულს. მერე მოვლენ და შიგ საფლავში ჩაგაფურთხებენ.

– რატომ, კაცო, რატომ? – წაიშინა თავში ხელები შოშიამ.

– იმიტომ, რომ შენც დამპალი თესლის ნაყოფი ხარ, ფულს მიწაში რა უნდა, ან ნათესავი არ გყავდა გაჭირვებული, ან მათხოვარი არ შეგხვედრია ქუჩაში?! ქაშუეთში მისულიყავი, ერ თი სანთელი მაინც აგენთო იმის სამადლოდ, რომ დადიხარ და ფეხქვეშ მიწა არ გენგრევა. მიწაში როგორ მარხავთ ფულს, თქვენი პარაზიტი დედა ვატირე, კიდევ ბედავ და მე მედრე ბი... შენ რაიცი თავისუფლების ფასი... შენ გარეთ რა გინდა, აქ უნდა მოკვდე, ფანჯარასთან, მესერში გაკვეხებული ღორივით.

– ვკვდები და ეგ არის! – შესტირა შოშიამ.

– მოკვდი, შენი დამტირებლის დედაც ვატირე, ის კაცი რა სიცოცხლის ღირსია, ზომიერების გრძნობას რომ კარგავს, დღეს მილიონი იშოვა, არ ყოფნის, ხვალ ორი უნდა, ზეგ – სამი, მა ზეგ – ოთხი...

– მე სახელმწიფოს ვპარავ, თქვენ კი –გაჭირვებულ კაცს. – იმართლა თავი შოშიამ.

– გაჭირვებულს კი არა, შენისთანა დამპლებს ვპარავთ, საკუთარ ფულში რომ არ დაიხრჩონ! – ვშრომობ და ვშოულობ! – წეღან არ თქვი, ვიპარავო? – შენ რაღად მპარავ? – იმიტომ, რომ ქურდის ქურდი ცხონდაო.

– მე სახელმწიფოს ვპარავ, სახელმწიფო მაინც სხვაა.

– შენ გგონია, სახელმწიფო კაცი არ არის? სახელმწიფოს ფული არ უჭირს? მიკვირს, სული რო გორ უდგას, შენისთანა ვირიშვილები ვენიდან სისხლს რომ სწოვენ, სახელმწიფოს ვპარავ, – გამოაჯავრა ლიმონამ, – სახელმწიფო შენ, რა, მეწველი ძროხა გგონია? თუ არ მეცოდებო დეს, შობელძაღლი ვიყო! არ ვიცი, თვითონ დევდარიანი რას ფიქრობდა იმ წუთში, მე კი ნამ დვილად შემეცოდა საწყალი სახელმწიფო, როდესაც წარმოვიდგინე, როგორ წუწნიდნენ ვე ნიდან სისხლს შოშია და მისი ძმაკაცები.

– არ დამსვა ახლა, დევდარიანო, არ ჩამაცვა შავები და არ მატირო სახელმწიფო. რა ჭირს სა ხელმწიფოს შენი საჭირისუფლო! – გაუკვირდა შოშიას.

– ჭირს, ალბათ. მაინც ვისთვის დარისთვის გინდათ ამდენი ფული, შპალერად ხომ არ ხმა რობთ, თქვე ჩათლახებო! – კბილებში გასცრა დევდარიანმა.

– შვილებისათვის, ლიმონ, შვილებისათვის! – მოთქმით თქვა შოშიამ.

– ვიცი, შვილებისათვის. კარგ ქართველებად ზრდი, არა? ინტელიგენტებად. ინგლისურს ას წავლი, მუსიკას ასწავლი, ცეკვას ასწავლი, ერთი აგარაკი მთაში, ერთი – ბარში, ერთი – ზღვაზე. მანქანა, დიპლომი, სამსახური, თბილისში სახლი, თვითონ არაფერი არ გააკეთოს? ხელის გასანძრევს არ უტოვებ? ვის უნდა ეგეთი იმპოტენტი შვილი? ეგეთი იმპოტენტი შენ გყავდეს და შენ მოიხმარე... მერე ტიგრანასი გიკვირს, კაცი მოკლა თუმნისათვისო, ტიგრა ნამ ერთი კაცი მოკლა და პასუხსაც აგებს, შენ ათას კაცსა კლავ უსისხლოდ, ფერებ-ფერებით, კოცნა-კოცნით, ახრჩობ, გუდავ და პასუხისგებაც არ გინდა? ოთახის დალაგება არ გინდა, პარაშის გატანა არ გინდა? ახლა ჩამოდი, იმ პარაშაში თავით უნდა ჩაგაყუდო და ჩე მი ხელით გაგიტანო, შე მაიმუნო! – დევდარიანმა სული მოითქვა.

– არც შენ ხარ ანგელოზი და ოქროს თესლიდან აღმოცენებული! – იშოვა დრო შოშიამ.– ვინ გითხრა, რომ ანგელოზი ვარ და ოქრის თესლიდან აღმოცენებული? მე ერთი უნაყოფო კაცი ვარ, მოვკვდები და დევდარიანების ეს შტოც მოკვდება. შენ კი ის არ გყოფნის, ორიშენსა ვითნაბიჭვარირომ გეზრდება, აქედან რომ გახვალ, ცოლის გაშვებას და ვიღაც სირანუშას მოყვანას აპირებ, გემრიელი ტოლმა რომ ჭამო და ახალი ნაბიჭვრები აჩინო...

– მაინც მოვიყვან! – ისე თქვა შოშიამ, თითქოს ის ტოლმიანი ქალი იღლიაში ჰყავდა ამოჩრი ლი და ლიმონა ართმევდა.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, დაძაბული ნერვი ან უნდა გამწყდარიყო, ან უნდა მოშვე ბულიყო და შოშიას ბოლო სიტყვებმა გადაარჩინა ნერვი გაწყვეტას, იგი მოეშვა და საკანში თავშეკავებული სიცილი გაისმა.

– ვა, მე ვთქვი, შეჭამენ ერთმანეთს, გიჟი არ იყო, დასხდნენ და იცინიან, ნეტა რა აცინებთ!!! – თქვა ტიგრანამ და ფინალით უკმაყოფილო ნარზე წამოწვა. დევდარიანი თავის ადგილას დაბრუნდა. მე მივედი და ბატონ ისიდორეს ნარზე ჩამოვჯექი.

– ეს ლიმონა კი არა, მარატი ყოფილა, ძია ისიდორე! – ვუთხარი მე.

ბატონმა ისიდორემ თავი დამიქნიათანხმობის ნიშნად, მერე დაფიქრდა, უცებ ხელი მაღლა ას წია და მსახიობივით პათეტიურად წარმოთქვა: – უამრავი ნაკლის მიუხედავად ქართველს ისეთი თაკარა გული, უმზესი სული და მაღალი ბუნება აქვს, მთელ სამყაროს დასწვავდა. კავ კასიონის მარადიული თოვლი რომ არ აგრილებდეს და აშოშმინებდეს.

* * *

სენტიმენტალისტი – ფრ. 1 გულჩვილი, ცრემლმფრქვეველი; ჰუმანისტი – ლათ. კაცთმოყვარე, – კაცობრიული გრძნობითა და ადამიანთა თანაგრძნობით გამსჭვალული ადამიანი.

არ ვიცი, სიტყვა ჰუმანიზმი რიგით მერამდენეა იმ ბიბლიურ უპირველეს სიტყვათა მწკრივში ან კაცობრიობის გაჩენის დღიდან პირველად რომელ ათასწლეულში იქნა წარმოთქმული ეს საოცარი სიტყვა, მაგრამ ერთი რამ კი ნაღდად უცილოა, ჰუმანური საქციელი დედამიწაზე პირველად თვით მაღალმა ღმერთმა ჩაიდინა სამოთხის ბაღში, როდესაც სულწაწყმედილი ევა და ადამიგააძევა თავისი სასუფეველიდან და არ გასწირა უშფოთველ, გაზულუქებულ და ნეტარ მარადიულ არსებებად. მაშინ ეს საქციელი ღმერთს ზოგიერთმა, თვით ადამმა და ევა მაც კი, აუწერელ და გაუგონრად მკაცრ საქციელად ჩაუთვალეს. ახლა, როდესაც ამ ამბავს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სიმაღლეებიდან ვჭვრეტ, პირადად მე ადამისა და ევას სა მოთხიდან გაძევება, მათთვის მიწიერი და ხორციელი სიცოცხლის ბოძება, მათი ძარღვისა და უჯრედის სისხლითა და ოფლით გაჟღენთვა, სამოთხის ჰანგებითა და ჰიმნებით მიძინებული სულის გამოღვიძება და შეშფოთება დღემდე სწორუპოვარ ჰუმანურ, კაცთმოყვარულ საქ ციელად და უდიდეს ღვთის წყალობად მიმაჩნია, რისთვისაც ჩვენი ზეციერი მამისათვის ადა მისა და ევას გონიერ ნაშიერთა სახელით უუმდაბლესი თაყვანიმიცია და უუმაღლესი მადლი მომიხსენებია.

სენტიმენტალური ჰუმანიზმი მოგვიანებით წარმოშობილი ცნება და ტერმინია. იგი უკვე ადა მიანებმა მოიგონეს ღმერთის მიბაძვით და, რაც ყველაზე შემზარავია, ადამიანთა ურთიერთო ბის ეს პირმშო ციხეში დაიბადა.

ციხეში ეცოდებათ ყველა და ყველაფერი: მაგალითად, გულოიანი სამ საათს გულამოსკვნილი დასტიროდაროდიონ ქორქიას მოთხრობის „მარილის აკვნის“ პატარა გმირს: – ეგ არის საქმე? პატარა ბიჭი ან ჯარში როგორ წაიყვანეს, ან თოფი როგორ ესროლეს, ან ცხენიდან რომ ვარდე

ბოდა, ხელი როგორ არ შეაშველეს, ან რომ გადმოვარდა, უკან როგორ არ მოიხედეს, ეგა ხართ, აი, ქართველები! – ტირის ტიგრანა.

– ქართველებზე არ არის ეგ მოთხრობა, ტიგრან! – ვახსენებ მე.

– სულ ერთია, ვინც იქ იყო, მაინც ყველა კედელთანაა მისაყენებელი და დასახვრეტი. აბა, შენ იწექი 15 წელიწადი მარილში, თუ კარგია! – განაგრძობს გულამოსკვნილი ტიგრანა, ტიგრა ნა, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, ისე შემოაკვდა 5 თვის წინ თონეთელი მეტყევე, თვალი არ დაუხამხამებია.

ციხეში მკვდრებიც ეცოდებათ: მებურიშვილი ლავრენტი პავლეს ძე, გადამდგარი თუ გადაყე ნებული მაიორი, სასაფლაოს ყოფილი დირექტორი, გვარწმუნებს, რომ დღეში სამჯერ ჩამოუვ ლიდა ხოლმე ყველა საფლავს, ზოგის საფლავზე ცრემლსაც დაღვრიდა ხოლმე, ზოგისაზე ნორჩ ნერგს წყალს დაუსხამდა, მტვერს კი, როგორც წესი, თითქმის ყველა ნაცნობის ძეგლი დან ჩამოფერთხავდა, აი, ამ აბრეშუმისცხვირსახოცით, რომელიც შემთხვევით ციხეში გამოჰ ყვა.

– ეე, საიქიოს დირექტორო! იმას რატომ არ ყვები, ოცდაათი ფალსიფიცირებული საფლავი რომ აღმოგიჩინეს თავისი წარწერებით, მკვდარზე მკვდარს რომ ასაფლავებდი და ჭირისუ ფალს ღმერთის მიერ მიჩენილ საუკუნო სასუფეველში უღმერთოდ ფულს რომ ართმევდი! – ახსენებს მებურიშვილს თავის უმწიკვლო წარსულს შოშია.

– მე, გენაცვალე, ფალსიფიცირებული საფლავი ჩემთვის კი არ შემინახავს, ან რად მინდოდა ოცდაათი საფლავი! ისევ მეგობრებისთვის, თქვენთვის ვზრუნავდი, ბუნების შვილნი ვართ!.. ყველა მომავალი ოდესღაც აწმყო გამხდარა, შემდეგ წარსულად ქცეულა და ეს წარ სული ჩვენი მომავალია... – უხსნის მებურიშვილი შოშიას.

– ვერ გავიგე! – თავს იქნევს შოშია.

– მაგას მაშინ გაიგებ, ოთხი კაცი რომ გაგიდებს მხარზე გაჭიმულს, რომ მიგასვენებს ვაკეში და იმ ფალსიფიცირებულ საფლავში რომ ჩაგასვენებ, – ამშვიდებს ლავრენტი პავლეს ძე.– ხალხო!!! – კივის შოშია, – რა უფლებით ყიდის ეს კაცი ფალსიფიცირებულ საფლავებს? – ფალსიფიცირებული რა არის ლოთიანად! – აწყვეტინებს შოშიას ტიგრანა.

– ფალსიფიცირებული, ესე იგი – ვითომ! საფლავი გათხრილია, ზედრკინის ფირფიტა დაწარ წერაა: „აქ განისვენებს ქურდი ტიგრან გულოიანი მ 23041“, სინამდვილეში კი რა ხდება? საფ ლავში არავინ არის...

– გამოდის, რომ ცოცხალ ხალხს მარხავს?.. – ისევ აწყვეტინებს მოყვანილი მაგალითით შეწუ ხებული ტიგრანა.

– დაახლოებით ეგრეა, ასეთი ლიპა საფლავი 30 აქვს, შემდეგ ამ საფლავებს ყიდის... ქრთამს იღებს... – უხსნის შოშია.

– არ დაუჯეროთ, ეგ უვიცი და ბნელია, ქრთამი რას მიქვია, გაჭირვებულ ადამიანს რომ ხელი მოვუმართო და იმან რომ პატივი მცეს, ქრთამია ეგა? რამდენისათვის უფასოდ მიმიცია, იმ დენი სიკეთე მე. როგორ? რომელიმე თქვენგანი რომ მოვიდეს ჩემთან და მთხოვოს, ერთი, თუ ძმა ხარ, კარგი ადგილი შემინახეო, უარით გავისტუმრო? არ შევუნახო ადგილი? – კით ხულობს განცვიფრებული ანგელოზივით ლავრენტი პავლეს ძე.

– შემზარავია, მაგრამ ჰუმანური!ამბობს ჭეიშვილი და სადღაც იმქვეყნიურ ბურუსში აპირებს რაღაცის დანახვას მოჭუტული თვალებით.

– ტყუილად გგონია მაგი შენ, მებურიშვილო, რომ გულს აგვიჩუყებ აქ. წმინდანივით რომ ჩა მოგიკიდია ეს პატიოსანი ჯვარი გულზე, რაც არ უნდა იქადაგო, მაინც გადაგვარებული, ზნედაცემული და გახრწნილი მექრთამე ხარ შენ. – ჩაერია ლაპარაკში ჭიჭიკო გოგოლი. ჭე იშვილის ფორმულა „შემზარავია, მაგრამ ჰუმანური“ ჭიჭიკო გოგოლს არც ესმის და არც უნ და შეისმინოს. მართალია, გამცემლიძის ცემის შემდეგ იგი ექვსი დღე ჰყავდათ კარცერში და იმ დღიდან ცდილობს, რაც შეიძლება თავშეკავებული და თავაზიანი იყოს ამხანაგებ თან, მაგრამ მებურიშვილის მიმართ ზიზღს მაინც ვერ ფარავს.

– გოგოლო, ცოტა უხერხული ხომ არ არის, რომ შენ თვითონ ბოროტმოქმედი, მე, მეორე ბო როტმოქმედს მათახსირებ ისეთ ხალხში, რომელთაგან ვერც ერთი ვერ ადგება და ვერ მეტ ყვის, გჯობივარო! – თავის მხრივ მებურიშვილსაც ახსოვდა ჭიჭიკოს მიერ ნაცემი გამცემლი ძე, ამიტომ ზემოთქმული, რაც შეეძლო, თავაზიანად წარმოთქვა.

– მებურიშვილო, ხომ არ გინდა ავდგე? –ჰკითხა დევდარიანმა.

– მე ქურდებს არ ვგულისხმობ! – სწრაფად გაასწორა შეცდომა მებურიშვილმა.

– ტყუილია მაგი, შენზე ბინძური კაცი მე არ მეგულება აქ, მებურიშვილო! – უთხრა გოგოლმა.

– რატომ, გოგოლო, რატომ, ვინმეში ხომ არ გეშლები? – გამოაჩინა კლანჭები მებურიშვილმა და გაფითრდა.

– როგორ, შენ ის მებურიშვილი არ ხარ, ღამღამობით ჩუმად რომ ჭამ საჭმელს, კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი, ამხანაგი მებურიშვილი? ახლა რომ ჯვარი გკიდია გულზე და ქრისტეს სახელით ქრთამს ართმევ საფლავში გაჭირვებულ ხალხს, ის არ ხარ? თუ მეშლება? – ჰკითხა გოგოლმა და მე გავიგონე, როგორ დაიჭიმა უკიდურესობამდე ისევ ის საერთო ნერვი.

– გოგოლო, ნუ იკატუნებ თავს და გულუბრყვილო ბავშვს ნუ თამაშობ. შენთვისაც და ჩემთვი საც პარტიის მანდატი იმ ეტაპზე პურის წიგნაკი იყო და, საერთოდ, ჯვარი მეკიდება გულ ზე თუ აგური, ეგ ჩემი საქმეა. – თქვა მებურიშვილმა.

– არ არის მაგი მარტო შენი საქმე,მებურიშვილო! – უთხრა გოგოლმა.

– აბა, კიდევ ვისი? – ირონიულად ჩაკითხა მებურიშვილმა.

– ჩემი საქმეც არის მაგი, მებურიშვილო! – ახალა გოგოლმა.

– ვინ დაგნიშნა შენ, ჩემსა და პარტიას შორის მედიატორად! ერთბაშად მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები არ გაწუხებდეს. მე თავის დროზე, ვიდრე გამწირავდნენ, ნამდვილი პარტიული ვიყავი.

– რაზე გაგწირეს, მებურიშვილო, ქრთამის აღების უფლება რომ არ მოგცეს? – მე მექრთამედ არ დავბადებულვარ.

– უმწიკვლო იყავი, ხომ? – დიახ, უმწიკვლო! – ვიცი, ვიცი, ისეთი უმწიკვლო და ერთგული იყავი, რომ ქრთამიდანაც იხდიდი თურმე პარტიის საწევროს.

– ისევე, როგორც შენ! – უთხრა მებურიშვილმა.

– ტყუილად გაგყავარ საქმეში, მებურიშვილო, ჩემთვის მანდატი პურის წიგნაკი არასოდეს ყო ფილა, იმიტომ რომ უპარტიო ვარ მე, არც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები მაწუხებს, ახლა ის მაწუხებს,მებურიშვილო, ოცდაათ ყალბ საფლავში რომ გაყიდე შენი პარტია და მანდა ტი, მე რაღას მიზამ, მე ხომ მთლად თხასავით გამყიდი და თხასავით გაყიდი ყველას ამათ! – მებურიშვილი გაშეშებული იდგა და არ იცოდა, რა ეთქვა.

– შენ, მებურიშვილო, საკუთარი სული რომ წაიწყმიდე, ახლა ჯვარი გინდა, წაბილწო? – მე კონსტიტუციის ძალით ვარ უფლებამოსილი მწამდეს ღმერთი! – იყვირა მებურიშვილმა.

– იმისათვის, რომ მერე ისიც გაყიდო? – თქვა გოგოლმა, ფეხზე ადგა და მებურიშვილისაკენ გაემართა. მებურიშვილმა თვალების ცეცება დაიწყო აქეთ-იქით, ეტყობა მძიმე საგანს ეძებ და, ვერაფერი რომ ვერ იპოვა, სკამს დაავლო ხელი და მაღლა აღმართა.

– არ მომეკარო, თორემ გაგათავებ! – იყვირა მან.

– გოგოლო, გეყო! – თქვა დევდარიანმა.

– დევდარიანო, თავი დამანებე, მე არ ვერევი ქურდების საქმეში! – თხოვა გოგოლმა. დევდა რიანი გაჩუმდა. მერე ჩვენ მოგვიბრუნდა და გაგვაფრთხილა: – ვინც მომეკარება, მოვკლავ! – არ მომეკარო! – თქვა მებურიშვილმა, სკამი იატაკზედააგდო და კარსმივარდა. გოგოლმა ზედ კართან მიუსწრო, ვეებერთელა ხელი კისერში დაავლო და თავისკენ შემოატრიალა.

– ამოიღე ჯვარი! – უბრძანა გოგოლმა, მებურიშვილმა უბეში ჩაიყო ხელი და ოქროს ჯვარი ამოიღო, გოგოლმა ხელისგულზე დაიდო ჯვარი, ერთხანს უყურა და შემდეგ მებურიშვილს ჰკითხა: – ათი ცნება თუ იცი შენ, მებურიშვილო? ქრისტეს ათ ცნებას გეკითხები! – გოგო ლო, აქ სასულიერო სემინარია არ არის, ციხეა და თავი დამანებე.

– თქვი! – მოკლედ მოუჭრა გოგოლმა და მუშტი მაღლა ასწია.

– არა კაც ჰკლა! – თქვა მებურიშვილმა და ხმა აუკანკალდა.

– ნუ გეშინია, არ მოგკლავ, მაგრამ მაგი მეხუთეა, მებურიშვილო, თავიდან დაიწყე! – დაამშვი და გოგოლმა.

– არ იმრუშო! – მაგი მეექვსეა. თავიდან თქვი! – თავიდან არ ვიცი.

– ის მაინც მითხარი, რამდენია სახარება! – განაგრძო გამოცდა გოგოლმა.

– ოთხი, ოთხთავია! – თქვა გაუბედავადმებურიშვილმა.

– მაგი გცოდნია, კია ოთხთავი! – გოგოლმა უცებ სილა გააწნა მებურიშვილს. – ეს ერთი! შენი გაყიდული პარტიის სახელით! – ეს მეორე შენი გაყიდული ღმერთის სახელით! – გოგოლმა მეორე სილა გააწნა მებურიშვილს და ჯვარი ჩამოგლიჯა, – არ ხარ ამის ტარების ღირსი შენ! – ეს მესამე ვაკის სასაფლაოს მიცვალებულების სახელით! – გააწნა მესამე სილა.

– ეს მეოთხე კი – ჩემი სახელით, – უთხრა გოგოლმა და მუშტი ჩათხლიშა თავში მებურიშ ვილს. მებურიშვილმა ერთი დაიზმუილა და მუხლებზე დაეშვა. გოგოლმა ჯვარი გვერდით დაუგდო და კარზე დააბრახუნა. მერე მოგვიტრიალდა და გვითხრა: – ბოდიში პატივცემუ ლებო, ძალიან დიდი ბოდიში, შეგაწუხეთ, მაგრამ უნდა მაპატიოთ, ასეთ დამპალ ხალხს ბავშვობიდან ვერ ვიტან. ასეთი იყო ჩემი მეურნეობის დირექტორი, რომ გავლახე და ამ ხნის კაცი ხულიგნობაზე რომ ჩავჯექი, მეტი კი არაფერი. ახლა იმის ჯავრი მომკლავს, ეს რომ გაუშვან და მერე მე რომ მოვკვდე და ამის სასაფლაოზე რომ მიმიტანონ, ხომ დამტო ვებს ეს შობელძაღლი დაუმარხავს?!! კარი გაიღო და ზედამხედველმა შემოიხედა.

– რაშია საქმე? – იკითხა მან.– ჯერ ეს გაათრიე, უფროსო, მერე მოდი და მე წამიყვანე, ჩემი გა ლახულია მაგი! – უთხრა გოგოლმა და მებურიშვილის გათრევაში მიეხმარა ზედამხედ ველს.

– ოðîèçºîë! – თქვა ჭეიშვილმა, გოგოლი რომ გაიყვანეს.

* * *

ათასნაირია ჰუმანიზმი. ვიდრე დამაპატიმრებდნენ, ერთ კვირა დღეს მე და ჩემი მეგობარი ნო დარ ებრალიძე ბეთანიაში მივდიოდით ფეხით. გზაში ვირი შემოგვეფეთა, უპატრონო, გაზი ზინებული ვირი.
ყურების პარტყუნით მოდიოდა.

– ახლა ჩვენს მაგივრად გზაში მგელი რომ შეხვედროდა! – ვთქვი მე და ვირს გავაყოლე თვა ლი. ნოდარს გაეცინა. რა გაცინებს-მეთქი, და მაშინ მომიყვა: თურმე გასულ წელს ექსპედი ციაში მიმავალ მის ნაცნობ, ახლა აღარ მახსოვს, გეოლოგებსა თუ არქეოლოგებს, რომელი ღაც სოფელში ვირი უყიდიათ ხუთ თუმნად და თან წაუყვანიათ, რა თქმა უნდა, ტვირ თისსაზიდრად. ადგილზე რომ მისულან, დაბანაკებულან, ვირიდან ტვირთი რომ ჩამოუხ სნიათ და კარვები გაუშლიათ, აღმოჩნდა, რომ ვირი საჭირო აღარ იყო.

– რა ვქნათო? – უკითხია ერთს.

– გავუშვათო! – უთქვამს მეორეს.

– რას ამბობთ, მგლები დაგლეჯენ ტყეშიო! – გული აჩუყებია მესამეს.

– თუ ასეა, დავიტოვოთო! – გადაუწყვეტია მეოთხეს.

– მერე მაგის მოვლის თავი ვის აქვსო! – უკითხავს მეხუთეს.

– თუ მასეა, მოვკლათო! – დიდი ფიქრის შემდეგ გადაუწყვეტია მეექვსეს.

– რითი, თოფი რომ არ გვაქვსო? – უკითხავს სულ პირველს. მერე ყველას ერთად მოუფიქრე ბია: ვირისათვის მუცელზე დინამიტები მიუბამთ, ფითილისთვის ცეცხლი მიუციათ და აუფეთქებიათ. ასე გადაარჩინეს ვირი მგლების დაგლეჯას. დაუჯერებელია, შემზარავია, მაგრამ ჰუმანურია.

ციხეში ბაღლინჯო და ტილიც ეცოდებათ. მაგალითად, შოშიადარწმუნებულია, რომ დუსტმა დაღუპა კაცობრიობა, დუსტმა მოსპო ბაღლინჯო და მკბენარი, რომლებიც ზედმეტსა და უვარგის სისხლს წოვდნენ ადამიანებს და ამით სისხლის მიმოქცევას არეგულირებდნენ. მათ მა მოსპობამ კი რა გამოიწვია?! ჰიპერტონია, ლეიკემია, ათეროსკლე- როზი, მიოკარდის ინ ფარქტი, სტენოკარდია, სისხლის შედედება, ინსულტი და სხვა მრავალი უბედურება, რაც ჯერ კიდევ არ ვიცით.

– ვინ კვდებოდა ადრე ასეთი ავადმყოფობით? – გვეკითხება შოშია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვი ცით და ვდუმვართ.

– აგაშენათ ღმერთმა! – უხარია შოშიას. – ასე არ იყო, ჩინეთში მოსპეს ბეღურები და მოისპო ბრინჯის მოსავალი! – გვიხსნის შოშია.

–
ტილები? – ეკითხება ტიგრანა. ეს უკვე შოშიამ არ იცის და დუმს.

ციხეში ყველაფერი ეცოდებათ, ყველაფერი, საკუთარი ნერვების გარდა.

ჭიჭიკო გოგოლი ამჯერად ბარგიანად გაიყვანეს. იგი ყველას გვიყვარდა, ამიტომ საკანში სევ დიანი დუმილი ჩამოვარდა. მხოლოდ ბატონმა ისიდორემ დაარღვია ეს დუმილი ძილის წინ.– ცოტა ნერვებს თუ არ მოვუფრთხილდით, სახელმწიფოს საქმე აღარ დარჩება. ჩვენ თვი თონ გამოვუყვანთ ერთმანეთს წირვას. – თქვა მან და კედლისკენ გადაბრუნდა.
Ესევ – ვაითუ?!

სევ ვაითუ

დედა მართალი გამოდგა. ერთი კვირის თავზე ახალმა გამომძიებელმა დამიძახა. იგი გა გუაზე ოდნავ ახალგაზრდა იყო. არც გამარჯობა უთქვამს, არც სკამზე დაჯდომა შემოუთავა ზებია და არც სიგარეტი მოუწოდებია. ყველაფერი მე თვითონ გავაკეთე – ჯერ გამარჯობა ვუთხარი, მერე სკამზე დავჯექი, ბოლოს მაგიდაზე დაგდებული კოლოფიდან სიგარეტი „ივე რია“ ამოვიღე, ფეხი ფეხზე გადავიდე, თითქოს უდარდელად ვიყავი, და გავაბოლე, არ ვიცი, რატომ ვიქცეოდი ასე თავხედურად, ალბათ, იმიტომ, რომ ახალი გამომძიებლისათვის მეგ რძნობინებინა, არაფერ შუაში ვარ და არც არავისი მეშინია-მეთქი. ან ხაზი გამესვა იმისათვის, რომ დავიღალე, აღარ შემიძლია და დღეიდან ხელი ჩავიქნიე, რაც გინდათ და როგორც გინ დათ, ისე მოიქეცით-მეთქი. თუმცა კარგად მახსოვდა დედის თხოვნა, თავი შემეკავებინა და წესიერად მოვქცეულიყავი, მაინც გამომწვევად მეჭირა თავი. გამომძიებელი ოდნავ გაღიმებუ ლი და დამცინავი თვალებით მიყურებდა, ეტყობა, ამ ჩემს უმარტივეს და უპრიმიტიულეს სვლას, რომელიც, ალბათ, ათასჯერ უნახავს, მიმიხვდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევ და, უბრალოდ მათვალიერებდა. ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენი თავი და წესიერად დავჯექი.

– მე ხელაძე ვარ, – გამომიცხადა მან. – შენი და ამილახვრის საქმე მე გადმომცეს ხელახალ ძიებაში!
– ძალიან სასიამოვნოა! – გავუღიმე მე.

– რატოა სასიამოვნო? – მკითხა მან.

– არ ვიცი! – თუ არ იცი, რაღას ამბობ? – ისე, ზრდილობისათვის ვთქვი! – ეგ კარგია! – თქვა ხე ლაძემ და ისევ დუმილი ჩამოვარდა, ხელაძე არაფერს მეკითხებოდა, მე, აბა, რა უნდა მეთ ქვა? ერთი სიგარეტი ბოლოში ჩავიყვანე. სხვა კი აღარ იყო. ხელაძემ შემატყო, რომ კიდევ მინდოდა სიგარეტი, საკუთარი ამოიღო, ერთი თვითონ ჩაიდო პირში და მეორე მე მომაწო და.

–

– გმადლობთ! – ვუთხარი მე.

– არაფრის! – მითხრა მან და ცეცხლი გამომიწოდა.

– ჯერ თქვენ მოუკიდეთ! – გადავიქეცი ზრდილობად.– მე არ ვეწევი! – მითხრა ხელაძემ და სიგარეტი მაგიდაზე გააგორა. – ხუთი წელია აღარ ვეწევი, ისე, იცოცხლე, სიზმარში ვაბოლებ და ვაბოლებ. ციხიდან რომ გავალ, მეც გავანებებ! – დავპირდი მე. ხელაძეს გაეცინა. მივხვდი, რომ სისულელეს

ვლაპარაკობდი, მაგრამ რაზე უნდა მელაპარაკა, როდესაც თვითონ სისულელეს მელაპარაკებოდა და საქმეზე კრინტს არ ძრავდა. მეორე სიგარეტიც რომ ბოლოში ჩავიყვანე, მოთმინების ფიალა აივსო.

– დავიწყოთ, ბატონო გამომძიებელო! – ვუთხარი მე და სიგარეტი საფერფლეზე დავაჭყლიტე.

– რა დავიწყოთ? – მკითხა მან და საქმეს უზარმაზარი ტორი დაადო.

– საქმე დავიწყოთ! – ავუხსენი მე.

– რა საქმე? საქმე 5 თვეა დაწყებულია! – მიპასუხა მან და გამიღიმა.

– დამკითხეთ! – დავაკონკრეტე.

– ახალი რამე გაქვს სათქმელი? – მკითხა მან.

– ახალი არაფერი! – ვუპასუხე და თავიჩავღუნე.

– მაშ, ძველი აქ არ წერია? – მკითხა ხელაძემ და ახლა მეორე ტორი დაადო საქმეს. არ ვიცოდი, რა მეპასუხა.

– მაშ, რისთვის მობრძანდით? – ისე მოვედი, მინდოდა, მენახეთ შენც და ამილახვარიც! – თქვა მან და ფანჯარაში გაიხედა.

–

– რაღას მოდიოდით, სურათი მანდ არ გქონდათ? ათასჯერ გადაგვიღეს! – ვუთხარი მე და ის პატარა იმედი, რომელიც თავიდან მომეცა, შევატყვე, რომ თვალსა და ხელს შუა მიქრებო და.

ხელაძემ საქაღალდე გახსნა და საქმეში ჩაიხედა, უყურა, უყურა, მერე ისევ დახურა.

– ნაკაშიძე, სურათში მკვლელსა ჰგავხარ! – მითხრა მან. მკლავებსა და ყვრიმალებზე ბუსუსებ მა დამაყარა, ისეთი ბოხი და გამჭოლი ხმა ჰქონდა, – დავუჯერო სურათს? – მკითხა დუმი ლის შემდეგ და თვალი თვალში გამიყარა. ბევრი ვეცადე, თვალი არ დამეხამხამებინა, რო გორმე გამეძლო, მეჯობნა, მაგრამ ვერ მოვერიე, ვერ მოვერიე და ავარიდე თვალი. როდესაც ისევ შევხედე, მისი გამოხედვა გამარჯვებას არ ზეიმობდა, თვალები სევდანარევი კითხვით ჰქონდა სავსე.– რა ვქნა, ნაკაშიძე? – რასაც სინდისი გიკარნახებთ, ბატონო, ის ქენით! – საქ მეს რა ვუყო? – რასაც საქმე და სინდისი გიკარნახებთ, ის ქენით! – შენს სასარგებლოდ მხო ლოდ სამი ფაქტორი ლაპარაკობს, ნაკაშიძე! მე პირველად გავიგონე, რომ თურმე რაღაც ჩემს სასარგებლოდაც ლაპარაკობს, და ვიდრე მეტყოდა გამომძიებელი, თუ რას გულის ხმობდა ამ სამ რაღაცაში, გული კინაღამ ბუდიდან ამომივარდა. მაგრამ ხელაძე არ ჩქარობ და.

– რა, რა ლაპარაკობს ჩემს სასარგებლოდ? – ვერ მოვითმინე მე.

პირველი ის, რომ ამილახვარისა და შენი ჩვენებები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმა ნეთს,

ერთმანეთთან მოლაპარაკებისა და შეთანხმების დრო და საშუალება კი, როგორც საქმის მსვლელობა ადასტურებს, თქვენ არა გქონდათ. მეორე – თქვენ ბრალად გედებათ დაზარალე ბული ხარაბაძის ფულის, 1500 მანეთის მითვისება, რაც აგრეთვე გამორიცხულია, რადგან მე ბუფეტემ თქვა, ნისიად ქეიფობდა, ვიცნობდი და ვენდეო. და ყველაზე მთავარი – მესამე, ამ დილით ამილახვარმა დანაშაული თავის თავზე აიღო. აი, ჩვენებაც! – თქვა ხელაძემ და ამი ლახვარის ჩვენება წინ დამიდო. მე პირი გამიშრა, ენა ვეღარ მოვაბრუნე, რამე რომ მეთქვა, აკანკალებული ხელით ამილახვარის ჩვენება ავიღე და კითხვა დავიწყე. ეს იყო გაუგონარი დამაჯერებლობით დაწერილი გაუგონარი სიცრუე.

– ეს არ არის სიმართლე, ბატონო, გამომძიებელო! ამილახვარს სინდისი აწუხებს ჩემს გამო, რადგან მან ჩამიყვანა რესტორანში და მან დაარტყა ხარაბაძეს. მისი მიზეზით დაკარგა ხარა ბაძემ მეტყველება და იგი არის ერთადერთი მოწმე, რომელსაც შეუძლია ჩვენი გამართლე ბა, მაგრამ რადგან ეს არ ხერხდება, ამიტომ ამილახვარი თავისთავზე იღებს ყველაფერს მხო ლოდ და მხოლოდ ჩემი გადარჩენის მიზნით. მკვლელი კი ხარაბაძეა, ხარაბაძე, ხარაბაძე!!! – ავყვირდი მე. ამილახვარის ჩვენება ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და მაგიდაზე დავყარე. – დაწე რეთ, დაწერეთ, რასაც გეუბნებით, ერთადერთი სიმართლე ისაა, რასაც მე ვამბობ, თუ არა და, დამანებეთ თავი, დამაბრალეთ რაც გინდათ, მიმიფურთხებია თქვენი სამართლისათ

–

ვის, თქვენი გამოძიებისათ- ვის, თქვენი ჰუმანიზმისათვის და კოდექსისათვის, მე მოვკალი ის საწყალი კაცი და იმის მოკვლას ის ღორი ხარაბიძე მომეკლა მერჩია, მაგრამ ვერ მოვასწა რი, ვერა და, რომ გავალ, მოვკლავ და, თუ ჩაძაღლდა მანამდე, მოკვდეს, მოკვდეს, ახია მაგა ზე, ახი. თქვენკი, გვიჭერდეთ კი არა, ორდენებს უნდა გვაძლევდეთ მე და ამილახვარს, საპა ტიო ნიშნის ორდენებს, პრემიებს, ჯილდოებს, მედლებს, ძეგლს უნდა გვიდგამდეთ გმირ თა მოედანზე ასეთი ნაძირალას ცემისათვის, მაგრამ სად არის სამართალი, შემირცხვენია თქვენი სამართალი, მიმიფურთხებია. დაწერეთ, რას უყურებთ, დაწერეთ! რას ერიდებით, ვის ერიდებით, ხარაბაძეს? გიყიდეს? აგავსეს ოქროებით? მოეფერეთ, მოეფერეთ, არ დაღუ პოთ, არ გაგიცივდეთ, ნიავი არ მიაკაროთ ხარაბაძეს, ნიავი, ტვინის შერყევა არ გაურთულ დეს, უტვინოს, კრეტინს, წნევა გაუსინჯეთ დღეში სამჯერ, ამერიკიდან ჩამოუტანეთ წამა ლი, მისწერეთ საელჩოს – იღუპება საქართველოს სინდისი და ნამუსი, ხელიდან გვეცლება ბურჯი და მოამაგე-თქო, მისწერეთ, ჩვენ კი გვაწამეთ და ამოგვალპეთ. რატომ არ წერთ, და წერეთ! აღიარა ნაკაშიძემ დანაშაული. ძიება დამთავრდა და საქმე დაიხურა-თქო!.. დაწე რეთ!!! ... მე ილაჯგამოცლილი დავეგდე სკამზე, მთელი სხეული მიკანკალებდა, თვალებში მოწოლილი სისხლი ქუთუთოებს მწვავდა, გული მერეოდა: ჩემი თავშეუკავებლობის, საქ მის, როსტომის ჩვენების, გამომძიებლის, ციხის, ხარაბაძის, თამბაქოს, თავისუფლების, ჰაერის, იატაკის, საკნის, ჭერის, სკამის, სისხლის, ყელში მომდგარი ბოღმის, გაწეპილი და გამომშრალი ხახის, ოფლის და ყველაფრისგამო. ახლა სიკვდილი მინდოდა, მხოლოდ სიკ ვდილი, ყველაფერს მოწყვეტილი, ყველაფრის უარმყოფელი და არაფრის ბადალი.

მთელი ეს დრო ხელაძე თავაუღებლად მიგდებდა ყურს, თავი მხოლოდ მაშინ ასწია, როდე საც ამილახვარის ჩვენება დავხიე და თავზე გადავაყარე, იგი ნელა შეუდგა ჩვენების ნაგლეჯე ბის მოგროვებას და შეკოწიწებას, არაფერი რომ არ გამოუვიდა, ისევ მოკრიბა და სანაგვე კა ლათში ჩაყარა.

– რა დღეში გაქვს, ბიჭო, ნერვები, თავი არ გეცოდება? – მკითხა მან და სინანულით გაიქნია თავი.

– მაპატიეთ! – ვთხოვე მე, ცოტა გონს რომ მოვედი.

– ვერც წარმოვიდგენდი, რომ ასეთ დღეში გექნებოდა ნერვები... – თქვა მან, ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

– მაპატიეთ, ბატონო გამომძიებელო, ჩემი ბრალი არ არის, თქვენ ალბათ თქვენით ზომავთ, ციხეში კი... აქ სხვა საზომებია, ნერვები დაწყვეტაზე გვაქვს ჩვენგან დამოუკიდებლად, საკუ თარ თავს ვერ ვერევით, მე, გარეთ რომ ვიყავი, უფრო დინჯი და ძლიერი მეგონა ჩემი თა ვი,მაგრამ არ ვყოფილვარ...

– რაც მთავარია, ნაძირალა არ ყოფილხარ... სხვას შეეძლო, ასეთ შემთხვევაში დაეღუპა ამი ლახვარი.

– ამილახვარს არ მოუკლავს და როგორ დავაბრალებდი?! – ვკითხე მე გაკვირვებულმა.

– ნაკაშიძე, გამოძიების პრაქტიკაში არის რამდენიმე ფრაზა: „შეიძლება“, „მაგრამ“, „არ დამინა ხავს“, „კარგად არ მახსოვს“, „ზუსტად ვერ მოგახსენებთ“ და სხვა, რომელიც ძალიან ჰგავს გათქმას.

ხანდახან ეს ნახევრად არგათქმაც საკმარისია თავის გადასარჩენად...

– მე რასაც ვამბობ, იმას დაგიწერთ კიდევაც...

– მე შენთან დასაკითხავად არ მოვსულვარ, ნაკაშიძე... მე შენი ჩვენება არა მჭირდება. რაც ახ ლა ილაპარაკე, იმაზე უკეთესს შენ ვერაფერს იტყვი...

– აბა, რისთვის მობრძანდით, ბატონო გამომძიებელო? – ვკითხე მე.

– უნდა დამეხმარო და რჩევა მომცე! – მითხრა მან და ისევ გამიყარა თვალი თვალში, კვლავ უსიამო ჟრუანტელმადამიარა. ესეც მე მატყუებს-მეთქი, გავიფიქრე, აღარ არის საშველი, სად გაგონილა, გამომძიებელი რჩევას თხოვდა პატიმარს? ან რომელი გულუბრყვილო პატი მარი დაუჯერებს ამას გამომძიებელს. ჯერ არ დაბადებულა ისეთი გამომძიებელი, არ შეპი რებოდეს პატიმარს – თქვი და გაპატიებთ, თქვი და შეგიმსუბუქებთ დანაშაულს, თქვი და ვერავინ გაიგებს, დაგვეხმარე და დაგეხმარებით, შეგვიწყე ხელი და შეგიწყობთ ხელსო.

– ყველაფერი ეს მოსმენილი მაქვს ასჯერ და ათასჯერ, მეც და ყველა პატიმარს, პატიმრის და გამომძიებლის გაჩენის დღიდან არსებობს ეს დაპირება, მაგრამ ის, რომ გამომძიებელს რჩე

ვა ეთხოვოს პატიმრისთვის, პირველად მესმოდა და ისიც საკუთარი გამომძიებლისაგან! – რჩევას გთხოვ, ნაკაშიძე, როგორ მოვიქცე? – გამიმეორა მან, თან თვალს არ მაცილებდა, ერ თხანს ისევ შევყოყმანდი, კინაღამ გამექცა თვალები, კინაღამ კვლავ ვერ გავუძელი მის მზე რას, მაგრამ ახლა, სწორედ ახლა უნდა მეცქირა მისთვის თვალებში, ახლა უნდა გამეძლო მი სი გამჭოლი, შანთივით გავარვარებული გამოხედვისათვის, თვალებიც რომ ამომშრეტოდა, რომ დავფსებულიყავი, დავბრმავებულიყავი იმის ფასად და უნდა გამეგო, რას ფიქრობდა იგი ამ წუთში, ალალი იყო თუ არა მისი სიტყვები...ღმერთო, გამაძლებინე მისი მზერისათ ვის და, თუ სტყუის ის, დაე, მან პირველმა ამარიდოს თვალი, პირველმა, ღმერთო... და მე გავუძელი მის მზერას, მან კი, არ ამარიდა თვალი, არა, და მე მივხვდი, რომ იგი ნამდვი ლად მთხოვდა რჩევას.

– მე, აბა, რით უნდა დაგეხმაროთ? – ვკითხე დაბნეულმა.

– იქნებ რამე დეტალი გაიხსენო, პატარა ხავსი მომეცი, რომ მოვეკიდო, კენჭი დამიგდე, რომ ფეხი გამოვდო, არ დავცურდე, არადა, ამ ჩვენებების მიხედვით წყალს მივყავართ, ბიჭო, შენც და მეც. – თქვა და საქმე ხელში აიღო.

– ეს თვეები მეტს არაფერს არ ვფიქრობ, ბატონო გამომძიებელო, ერთადერთი იმედი ხარაბა ძეა, გონს თუ მოვიდა, ის იტყვის...

– იტყვის კი? – თავისთვის დაეჭვდა გამომძიებელი.

მე აღარაფერი არ ვუპასუხე, რადგან უკვე აღარაფრის იმედი აღარ მქონდა, აღარაფრის აღარ მჯეროდა და, საერთოდ, ხარაბაძის გადარჩენის იმედიც არ მქონდა. თავი ჩავღუნე.

– გუშინ ვიყავი საავადმყოფოში,ხარაბაძე გონს მოდის, მაგრამ ჯერ დაკითხვა არ შეიძლება, – გამომძიებელი თავისთვის ლაპარაკობდა, – ერთ კვირაში, როგორც ექიმი ამბობს, მთლიანად დაუბრუნდება აზროვნებაც და მეხსიერებაც, მაგრამ გაიხსენებს კი? მოინდო მებს იმ ამბის გახსენებას? რომ გაიგებს, მისი ხელიდან კაცი მოკვდა, იტყვის სიმართლეს? ან იქნებ იცის უკვე, რომ კაცია მკვდარი... – გამომძიებელი დაფიქრდა და მე შემომხედა.

– არ იცის, არა, ბატონო გამომძიებელო, საიდან ეცოდინება, როგორც კი ისროლა მეორე ბოთ ლი, ამილახვარმა დაარტყა...

– რა დაარტყა ასეთი, რა მუშტი აქვს იმ ამილახვარს, ექსპერტმა დასკვნა გადმომცა, მძიმე, ბლაგვი საგანი აქვს ჩარტყმული თავშიო...

– არა, მუშტი დაარტყა, ბატონო გამომძიებელო.

– მაშ, შენ ამბობ, რომ არ იცის? – მკითხა მან.

– არ იცის, ბატონო გამომძიებელო, არ იცის...

– ხომ გაიგებს? – არ უნდა გაიგოს! – როგორ? – არ უთხრათ! – მოვატყუილოთ? –ეგ ტყუილი არ იქნება, ბატონო გამომძიებელო. მას ხომ კაცის მოკვლა არ უნდოდა; რომ გაიგოს, შეშინ დება და არ იტყვის სიმართლეს, არ უთხრათ, ბატონო გამომძიებელო, თქვენი ჭირიმე, გეხ ვეწებით, გემუდარებით, არ უთხრათ. ნუ ეტყვით, თორემ შეშინდება და აღარ იტყვის მარ თალს, ბატონო გამომძიებელო! არ უთხრათ, – ვემუდარებოდი მე.

– ჰო, დაწყნარდი, არ ვეტყვი, არ ვეტყვი, დაწყნარდი. არ ვეტყვი, – მამშვიდებდა გამომძიებე ლი. – არ ვეტყვი, თუ არ უთხრეს უკვე. – თქვა მან. თავზარი დამეცა და მხრები მოწყვეტი ლივით ჩამომიცვივდა. ხელაძე ერთხანს ფიქრობდა, მერე საქმე აიღო, იღლიაში ამოიდო და წასვლა დააპირა, უცებ საქმე მაგიდაზე დააგდო და ყურმილი აიღო, ნომერი აკრიბა სასწრა ფოდ.

– ალო, მიმინოშვილი, ხელაძე ვარ, ახლავე კამოს ქუჩაზე სასწრაფოში კაცი გააგზავნე, ჰო, მი ლიციელი, მერვე პალატასთან დადგეს და, ვიდრე მე არ მივალ, კაციშვილი არ შეუშვას, გეს მის, კაციშვილი! მერვე პალატასთან! ხარაბაძეა ავადმყოფი... მარტო წევს... არავინ... არც ჭი რისუფალი, არც ექიმი... – ხელაძემ ყურმილი ჩამოკიდა და ახალი ნომერი აკრიბა: – თუ შე იძლება, მთავარი ექიმი... გამარჯობათ, ბატონო შალვა. ხელაძე გაწუხებთ, გამომძიებელი ხე ლაძე...გამარჯობათ, ბატონო შალვა... მე მილიციელი გამოვგზავნე. თქვენც გთხოვთ, არავინ არ შეუშვათ ხარაბაძის პალატაში... თქვენ იცით, მერვეშია... დიახ, მალე მოვალ და ყველა ფერს მოგახსენებთ... არავინ, არავინ, გმადლობთ, ბატონო შალვა!.. – ხელაძემ ყურმილი და კიდა, ხმამაღლა ამოისუნთქა და შუბლზე დაყრილი ოფლი მოიწმინდა სახელოთი. მერე ელექტრო- ღილაკს დააჭირა თითი. ოთახში ზედამხედველი შემოვიდა.

– წაიყვანეთ! – უბრძანა მან და ისე წავიდა, არც გამომშვიდობებია.

ყოფნა-არყოფნა

ყოფნა არყოფნა

ტიგრან გულოიანი დაკითხვიდან ნაცემი ძაღლივით კუდამოძუებული და ყურებჩამოყრილი დაბრუნდა. იგი პირდაღმა დაეგდო ნარზე და, ჩვენი ლაპარაკი რომ არ გაეგო, ბალიში თავსზე ვიდან დაიდო.
თანაგრძნობისა და სოლიდარობის გამო ერთხანს ვდუმდით. დუმილი ჭეიშვილმა დაარღვია:
– მდაა, მძიმე სურათია! – თქვა მან.

– რაო, ტიგრან? – ვკითხე მე.

– თავი დაანებეთ, ვერა ხედავთ, კაცი გუნებაზე არ არის! – ჩაერია ლაპარაკში შოშია, – დაუწყე ბენ ახლა, რაო, ტიგრან, რა გითხრაო, შენ რა უთხარიო, იმან რა გითხრაო, რამდენს გის ჯიანო, დახვრეტას თუ გადაურჩი, თხუთმეტ წელიწადს მოგცემენო, გამომძიებელს ტიგრა ნა ფეხებზე ჰკიდიაო, კაცს რომ კლავდი, მა რა გეგონაო, კაცის მოკვლას, ჩემსავით ფული გა ეფლანგა, ის არ ერჩიაო, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ასი ათასს რომ ასცდება, აქაც და იქაც ხვრეტენო, ცოლ-შვილს რა ეშველებაო, მაგაზე ადრეუნდა გეფიქრაო, ვაი, ტიგრანა, უი, ტიგ რანაო... მაინც რაო ტიგრან, რა გითხრა იმ შობელძაღლმა?!! – ვეღარ მოითმინა თვითონ შო შიამ.

– რაო და შოშია გოგოლაძის ოხერი დედაც ვატირეო! – ამოყო თავი ბალიშიდან ტიგრანამ.

– ეგრე გითხრა? – ჰკითხა გამშრალმა შოშიამ.

– ჰო, ეგრე მითხრა, მილიონ შჩემტა გაფლანგვაზე რომ ზის, აი, იმ შოშია გოგოლაძის ოხერი დედაც ვატირეო. გაიგე? – მარცვალ- მარცვალ გაუმეორა ტიგრანამ.

– რათაო, მე მართლა მაგისიოხერი დედაც ვატირე და მაგისი ყველა პატიმარი ვნახე გაქ ცეული, ყველა საქმე დაუმთავრებელი და თვითონ მაგი იმ მეტყევესავით ყელგამოღადრუ ლი ტიგრანა გულოიანის ხელით, – იკითხა ისევ შოშიამ.

– ეგრეო და, აბა რა ვიცი! – მხრები აიჩეჩა ტიგრანამ.

– აღარ იტყვი, რა მოხდა? – ჰკითხა დევდარიანმა.

– რაღა რა მოხდა, ლიმონჯან, თვრამეტ კაცში ამომიცნო ერთმა დედაბერმა.– ვავა! – თქვა ჭეიშ ვილმა.

– შენს ამოცნობას რა უნდა ბიჭო, გაჭყლეტილ ნავთის ბიდონს გიგავს თავი! – უთხრა შოშიამ.

– შოშია, შენს ხასიათზე არა ვარ! – გააფრთხილა ტიგრანამ. შოშია დადუმდა.

– მერე? – ჩაკითხა დევდარიანმა.

– მე ვუთხარი, ეგრე როგორ იქნება-მეთქი, ამოსაცნობებში ჩვიდმეტი რიჟა რუსი იყო, ერთი მე ვიყავი ტარაკანივით შავი სომეხი. გამომძიებელი ეუბნება, დედიჯან, აბა, გამოიცანი, ამ ბიჭებში ტიგრან გულოიანი რომელიაო?!! – იმან რაო? – რა რაო! მოვიდა და პირდაპირ ხელი დამადო, ეგ არისო. მე ვუთხარი, დედიჯან, ნუ აჩქარდები, დაფიქრდი და ისე დამადე ხელი, ხომ იცი, რომ მღუპავ-მეთქი! – მერე? – ვიცი, შვილო, რომ გღუპავ, მაგრამ რა ვქნა, შენ იყავი, შენ სახეს რა დამავიწყებსო.

– ესეც მე ვარ? – თქვა კმაყოფილმა შოშიამ. ტიგრანამ გახედა, მაგრამ არაფერი უთხრა, სიტყვა გააგრძელა. – მე ვუთხარი – მაინც დაფიქრდი-მეთქი! – კარგი, შვილო, დავფიქრდები და ამ რუსს დავადებ ხელს, მაგრამ შენ არ შეგრცხვებაო? მკითხა. მევუთხარი – შენ მიდი, ხელი დაადე და, შემრცხვება თუ არა, ეგ მე ვიცი-მეთქი... გიჟი არ იყო, მაინც მე დამადო ხელი.

– მერე? – რა მერე, ტაში დავუკარი, საღოლ, დედიჯან, როგორ მიცანი- მეთქი.

– ახლა რას აპირებ? – ჰკითხა ჭეიშვილმა.

– რას ვაპირებ? თბილი ტანსაცმლის შეგროვება უნდა დავიწყო. ერთ კვირაში სასამართლოა, ალბათ, თხუთმეტ წელს მომცემენ.

– თხუთმეტს? – ვკითხე მე.

– ჰო, განზრახ ხომ არ მომიკლავს, შემომაკვდა, წესით არ უნდა დამხვრიტონ! – ისეთი სიმშვიდით თქვა ტიგრანამ, რომ სიცივემ დენივით დამირბინა სხეულში. იგი დაიხარა, ცალი ფეხ საცმელი წაიძრო, იქიდან რამდენიმეჯერ გაკეცილი გაზეთის საფენი ამოიღო და დიდი სიფრთხილი- თა და სასოებით დაუწყო გაშლა. – გამომძიებელს მოვპარე, მიდი, ზაზა, წაგ ვიკითხე, – თქვა მან და გაზეთი გადმომაწოდა.

–

ახალია? – ვკითხე მე.

– რა მნიშვნელობა აქვს, ამ წლისგაზეთი ჩვენთვის ყველა ახალია.

– თქვა ტიგრანამ და ახლა გულაღმა წამოწვა ნარზე, ხელები თავქვეშ ამოიდო და მოსასმენად გაემზადა. მე გაზეთს დავხედე, მაისის თვისა იყო, პირველი, მეორე და მესამე გვერდი სტა ტისტიკური სამმართველოს ცხრილებით იყო სავსე, „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურ ნეობებში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმის შესრულების მიმდინარეობა“, კირო ვის 10-ით იყო აწყობილი სათაური.

– იღბალი არ გინდა? სულ ცხრილებია! – ვთქვი მე.

– ბოლო გვერდი ნახე! – მირჩია დევდარიანმა. გაზეთი გადმოვატრიალე: „სიახლე სოფლის ტექნიკაში“, – წავიკითხე მე.

– მიდი, მიდი! – გამამხნევა შოშიამ.

„გურჯაანის რაიონის სოფელ თელიანის აგრონომ-მექანიკოსმა გივი ივანეს ძე ბატიაშვილმა მოიგონა საკუთარი კონსტრუქციის, ერთდროული მოქმედების ვაშლის სათლელი და ნიგ ვზის სატეხი მანქანა. მანქანის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. თუ წინათ ერთი ტონა ვაშლის გათლას ათი კაცი 4 სამუშაო დღესა და 8საათს ანდომებდა, მანქანა ამას ერთ დღეში აკეთებს. ამრიგად, ახალმა მანქანამ ამ მძიმე სამუშაოდან გამოანთავისუფლა 9 მუშახელი და მეხი ლეობის რაიონებს მილიონობით მანეთის ეკონომია მისცა. როგორც აღვნიშნეთ, მანქანა ვაშ ლის თლასთან ერთდროულად ნიგოზსაც ამტვრევს, თუ წინათ ერთი ტონა ნიგვზის (კაკლის) მტვრევას 8 კაცი (ნიგვზის მტვრევაზე ძირითადად ქალები მუშაობენ) ორ დღეს ანდომებდა, ახლა ამას მანქანა ერთ დღეში აკეთებს. მართალია, მანქანა ჯერჯერობით დამტვრეულ კა კალს ვერ არჩევს, მაგრამ, როგორც ბატიაშვილი გვპირდება, მალე მანქანა მოდერნიზებული იქნება... მანქანა მარტივი კონსტრუქციისაა, იგი 120- ვოლტიან დენთან შეერთებულ დაზგაზე მიმაგრებული ვაშლის სათლელი რამდენიმე დანისა და ნიგვზის სამტვრევი ორი მექანიკური ჩაქუჩისაგან შედგება. მანქანისადმი ვაშლისა და ნიგვზის მიწოდება ჯერჯერობით არ არის მე ქანიზებული, უახლოეს დროში მანქანა ფართოდ დაინერგება ჩვენი სოფლის მევაშლეობისა და მეკაკლეობის რაიონებში“.

– სახელმწიფო პრემიაზე იქნება წარდგენილი! – თქვა ჭეიშვილმა.

– არ ვიცი, აქ მეტი არაფერი არ წერია. – ვთქვი მე.– მეტი რაღა უნდა ეწეროს. – თქვა შოშიამ. – რაც შეეძლო, გაუკეთებია იმ კაცს, აუშენებია თავისი რაიონი და ეგ არის.

– ღმერთს ქვეყნად ადამიანზე ზარმაცი არაფერი გაუჩენია. – ჩაერია ჩვენს საუბარში ბატონი ისიდორე, – საცოდავი კაცობრიობის გაჩენის დღიდან რას არ შვრება, წელებზე ფეხებს იდ გამს, ოფლად იღვრება, იტანჯება, ოთხში ძვრება, დღე და ღამეს ასწორებს, რას არ იგონებს – ატომს, გასაოცარ მანქანა-იარაღებს, რობოტებს, მექანიკურ ძრავებს, მუსიკის დამწერ, რომა ნის დამწერ, ლექსის დამწერ, წიგნის წამკითხველ, თავის მოსაფხან, ფეხის საბან, ყურის გა მოსაჩიჩქნ მანქანებს და რობოტებს. ფანტასტიკურ ენერგიას ხარჯავს, დედამიწის გულში მიძვრება, ზღვის ფსკერზე ჩადის, მზეზე ადის და რისთვის? არ იკითხავთ? ბოლოს მხართ-ეძოზე რომ წამოწვეს და არაფერი რომ არ აკეთოს, ტყუილად რომ იყოს, არ იშრომოს, ხე დავთ? ბატიაშვილს ნიგვზის გატეხვაც და ვაშლის გათლაც არ უნდა, ეზარება, მანქანა მოუგონებია, მე რომ ვიყო, პრემიას კი არა, იმ ვაშლის ხეზე ჩამოვკიდებდი მაგ მაიმუნს, – თქვა აღელვებულმა ისიდორე ბატონმა და ნარზე წამოჯდა.

– მართალია, საღი გონებით თუმივუდგებით საკითხს, მოვლენათა ლოგიკური კავშირი იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ საბოლოო ჯამში ან სულ გადავგვარდებით და გადავშენდე ბით, ან მოვსპობთ ერთმანეთს, ან ღმერთი თვითონ მოგვსპობს, როგორც გახრწნილებს და კვლავ იმ ტალახად გვაქცევს, რომლიდანაც მოგვზილა, – გადაუსვა ხაზი კაცობრიობას ჭეიშ ვილმა.

– ტალახიდან მოზელილი და ფურთხიდან გაკეთებული შენ თვითონ ხარ, ჭეიშვილო! მე მამა ჩემის გაკეთებული ვარ! –ეწყინა შოშიას.

– რა უნდა ველაპარაკო, ბატონო ისიდორე, ამ ბნელსა და გაუნათლებელ ანტრაციტს? – ჰკით ხა ჭეიშვილმა ბატონ ისიდორეს.

– მე ვარ ანტრაციტი? – ჰკითხა დბნეულმა შოშიამ ჭეიშვილს.

– შენ ხარ, შენ, ბრიყვი და გაუნათლებელი, ორი წიგნი არ გაქვს ერთმანეთზე მიყოლებით წა კითხული.

– შენ რომ ჩერნიშევსკი გაქვს წაკითხული, იმიტომ ვერ ზიხარ, აი, ჩემს გვერდით, შე ალიმენ ტის ურჩო გადამხდელო! – დატუქსა შოშიამ ჭეიშვილი.– მე ვამტკიცებ, რომ ადამიანები ერ თმანეთს მოსპობენ, მით უმეტეს, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებული აქვთ ტიგრან გულოიან სა და ზაზა ნაკაშიძეს, – გააგრძელა თავისი თეორია ჭეიშვილმა და ხელი ჩვენკენ გამოიშვი რა, ისე როგორც გიდები იშვერენ ხოლმე ხელს ზოოპარკში ექსკურსიის დროს მტაცებელი ცხოველებისაკენ.

–

– ჭეიშვილო, ახლა მოკეტე, თორემ ხომ იცი, სასამართლოსათვის სულ ერთია – გინდა ბატა ლიონი მომიკლავს, გინდა ერთი კაცი. – გააფრთხილა ტიგრანამ. შეშინებულმა ჭეიშვილმა ნერწყვი გადაყლაპა.

– ცუდი არაფერი მითქვამს, მე ვამბობ, ან ერთმანეთს დავერევით და გავწყვეტთ, ან ღმერთი მოგვსპობს-მეთქი. დამიმოწმეთ, ბატონო ისიდორე, რომ მართალი ვარ! – თხოვა მან ბატონ ისიდორეს.

– ღმერთს არ შეუძლია მოსპოს კაცობრიობა. – თქვა ისიდორე ბატონმა.

– რატომ? – ჰკითხა ჭეიშვილმა.

– ადამიანმა აღმოაჩინა ღმერთი და იმ დღიდან ღმერთი გახდა ღმერთი. იმ დღიდან არსებობს იგი კაცობრიობისშეგნებაში, იმ დღიდან განივთდა იგი ადამიანში და, ახლა რომ მოსპოს კა ცობრიობა, თავადაც შეწყვეტს არსებობას.
ვერ გავიგე, ბატონო ისიდორე, ხომ მოსპო ერთხელ ღმერთმა კაცობრიობა? – შეედავა ისევ ჭეიშვილი.

– როდის? – ჰკითხა ისიდორემ.

– წარღვნა რაღა იყო? – თავის მხრივ ჰკითხა ჭეიშვილმა.

– წარღვნა ბლეფი იყო.

– როგორ? – წარღვნა მაშინ იქნებოდა განკითხვის დღე, ნოეც რომ ზედ მიეყოლებინა, მაგრამ ღმერთს ნოე ფეხებზე ეკიდა, ამით მან თავი გადაირჩინა.

– არ ბრძანდებით მართალი, ბატონო ისიდორე, ხომ არსებობდა ღმერთი სამყაროს გაჩენამ დე? – მერედა, ვინ იცოდა ეს? – ჰკითხა ისიდორე ბატონმა. ჭეიშვილმა, როგორც ეტყობა, არ იცოდა, თუ ვინ იცოდა ღმერთის არსებობა სამყაროს შექმნამდე, ამიტომ მხრები აიჩეჩა, ქვე და ტუჩი გადმოაბრუნა და ხელები გაშალა. – მხოლოდ მან იცოდა ეს, თვითონ ღმერთმა და მეტმა არავინ. მაგრამ ერთი გამრავლებული და გაყოფილი ერთზე ერთია, ამიტომ უბრალო არითმეტიკა იყო საჭირო, მიმატება. ჯერ მიმატება და შემდეგ გამრავლება. ღმერთს არ აწ ყობდა მხოლოდ თავისთავში არსებობა და თავისთავისადმი დითირამბების გალობა. იგი კიდევ რაღაცაში უნდა განსახიერებულიყო, რომ ეარსება მარად...

– ბატონი ისიდორე მართალს ამბობს, – თქვა ტიგრანამ. – მე რომ მოვკვდები, ჩემთვის აღარც ღმერთი იქნება, აღარც პროკურორი, აღარც მოსამართლე. გინდა მიუმატე, გინდა გამოაკლე, ბოლოს ყველაფერი ნულია. რას იტყვი, შოშია? – ჰკითხა ქანდარაზე შემომჯდარ შოშიას.

– შენისთანა სულელი, ტიგრანჯან, ღმერთს სამი მილიარდი ჰყავს, 2000 წელს კი რვა მილიარ დი ეყოლება. – არ დაეთანხმა შოშია.

– ჩემისთანა? – გაუკვირდა ტიგრანას.

– ჰო, შენისთანა და უარესიც.

– რვა მილიარდი? – ნუ, რვა თუ არა, ნახევარი მაინც ეყოლება! – ნახევარი მილიარდი? – არა, იმ რვის ნახევარი, ოთხი მილიარდი.

– ღმერთმა მოახმაროს! – დაილოცა დევდარიანი.– ვაა, ოთხი მილიარდი ტიგრანას გაძლება არ გინდა? – გაუკვირდა თვითონ ტიგრანას.

– ამიტომ ვამბობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო ტიგრანად გადაიქცე ვა, ღმერთს შერცხვება თავისი ნახელავისა და მოსპობს კაცობრიობას. – დააგვირგვინა ჭეიშ ვილმა კამათი.

– ჭეიშვილო, შენ კარანტინშინემსი თუ გაგიკეთეს? – ჰკითხა უცებ დევდარიანმა.

– რა ნემსი? – აი, ჩვეულებრივი ნემსი თუ გაგიკეთეს კარანტინში? – ნემსი რა შუაშია? – რომ გე კითხები, ალბათ, არის! – იდუმალი ხმით უთხრა დევდარიანმა.

– გამიკეთეს, მერე რა? – უპასუხა ჭეიშვილმა.

– პატარა თუ დიდი? – დიდი! – სწრაფად უპასუხა ჭეიშვილმა.

– ჰოოო... – დიდმნიშვნელოვნად გააგრძელა დევდარიანმა.

– რა ჰოო? – დადარაჯდა ჭეიშვილი.

– რაო, რისთვის გიკეთებთო, რაგითხრეს? – განაგრძო დაკითხვა ლიმონამ.

– ეპიდემიის, კერძოდ ტიფის, შავი ჭირისა და ხოლერის საწინააღმდეგოდ.

–

– ჰაჰა! – ნაძალადევად და ირონიულად გაიცინა დევდარიანმა.

– რაშია საქმე, დევდარიანო, რას ხედავთ ამაში ცუდს? – ანერვიულდა ჭეიშვილი.

– გამოდის, რომ სამი ნემსი გაგიკეთეს? – ჰკითხა ისევ დევდარიანმა.

– არა, ერთი აცრა და ორი ნემსი. – დააზუსტა ჭეიშვილმა.

– აუჰ! – შემოირტყა ხელი თავში დევდარიანმა.

– აღარ მეტყვით, რაშია საქმე, დევდარიანო? მეც ადამიანი ვარ! – ხმა აუკანკალდა ჭეიშვილს. დევდარიანი დუმდა და თან თავს აქეთ- იქით იქნევდა სინანულით. ბოლოს ისეთი თვალე ბით შეხედა ჭეიშვილს, რომ პირადად მე გული ამიჩუყდა და რაღაც მოულოდნელობისა და შიშის გრძნობამ შემიპყრო, რადგან ის ნემსი, რომელზედაც დევდარიანი ასეთი ტრაგიკუ ლი ტონით ლაპარაკობდა, მეც მქონდა გაკეთებული და, ალბათ, ყველას.– ან მომკალი, ან თქვი, რაშია საქმე, დევდარიანო! – შეეხვეწა ჭეიშვილი.

– რამდენი ხანია, ჭეიშვილო, სიზმარში ქალი არ გინახავს? – ჰკითხა დევდარიანმა ბოლოს და ბოლოს გამოცვლილი ხმით. ჭეიშვილს ჯერ გაეღიმა, მერე გაეცინა, ცოტა ხანს ასე იცინოდა, მერე უცებ გაფითრდა და ყბა ჩამოუვარდა.

– დევდარიანო, ნუთუ?! – აღარ დააბოლოვა კითხვა ჭეიშვილმა, დევდარიანმა უზომო სინანუ ლის გამომხატველი თავის დაქნევით დაუდასტურა ეჭვი.

– ტყუილია, ტყუილია, ტყუილია! – თანდათან აუწია ხმას ჭეიშვილმა და დაფეთებული თვა ლებით გადმოგვხედა. – როგორ? – იკითხა ბოლოს.
რამ შეგაშინა, ჭეიშვილო, გაივლის ათი წელი და!.. – დაამშვიდა ლიმონამ.

– როგორ თუ ათი წელი?! – ასე, ძვირფასო, თითო ნემსი ხუთ წელიწადზეა განსაზღვრული. ვერც გაამტყუნებ ციხის ადმინისტრაციას, ჩვენ აქ მამაკაცები ვართ, მოგეხსენებათ, მამაკაცი როგორ განიცდის უდედაკაცობას. საუბედუროდ ჩვენდა, პატიმართა მომსახურების ნუსხა ში არ არისაღნიშნული მათი დედაკაცებით მომსახურება, ამიტომ ჩვენი ნერვული სისტემის უსაფრთ- ხოების მიზნით...

– К черту нервы! – იკივლა ჭეიშვილმა. – ვის უნდა მაგათი ნერვები. ათი წელიწადი ცვედანი, საჭურისი, სკაპეცი, ევნუხი, დაკოდილი, ვის უნდა ათი წლის შემდეგ სიცოცხლე, რა უფლე

ბა ჰქონდათ, სადაური რასპუტინი მე მნახეს ან ჩეზარე ბორჯია, დასაოკებელ ნემსებს რომ მიკეთებდნენ. Ïðîèçâîë! ათი წლის შემდეგ, ათი წლის შემდეგ მე თვითონ გავიკეთებ მაგ ნემ სებს. აწი ვაპირებ მე ოჯახის შექმნას, რას ჰგავს ეს, რატომ უნდა იყოს დამოკიდებული ჩემი შთამომავლობის ყოფნა-არყოფნა ვიღაც ვიგინდარა, უზნეო ციხის უფროსის ნება- სურვილ ზე, როდის შევაწუხე, ბატონო, ჩემი ტემპერამენტით? არა, თქვენ გეკითხებით, რატომ დუმ ხართ, ხალხო!! თქვენ რა, თქვენთვის არ გაუკეთებიათ ნემსები? – მოგვვარდა ჭეიშვილი. – შენ რას იღიმები, სულელო, შენთვის არ გაუკეთებიათ? – ჰკითხა მან შოშიას.

– მე რა, ორი შვილი უკვე მყავს, თანაც ისეთი მუხლით ვზივარ, ქალი კი არა, ანგელოზი რომ დამანახო, ადგილიდან ვერ დამძრავ. ჩემი ცხოვრება გათავდა! – გადაუწურა წყალი შოშიამ.

– თქვენ, ისიდორე ბატონო? – ეცაისიდორეს ჭეიშვილი. ისიდორემ ირონიულად გაუღიმა და ჭაღარა, მოხუც თავზე მოისვა ხელი. ჭეიშვილი გაწითლდა.

– შენ? – მომიბრუნდა ახლა მე.

– მე პატარა ნემსი გამიკეთეს! – ვთქვი ანგარიშმიუცემლად.

– პატარა? – ჰო! – პატარა რას ნიშნავს, დევდარიანო? – ეცა ჭეიშვილი.

– პატარა ერთწლიანია! – განუმარტა ლიმონამ.

– ჩემი, ჩემი ნემსი გაუკეთებიათ შენთვის, მე ვარ ერთწლიანი, შეშლიათ, რაც არ უნდა გაწე ლონ, ერთ წელიწადზე მეტს ვერ მომისჯიან. პატარა ნემსი უნდა გაეკეთებინათ, რა ვქნა ახ ლა მე? – გაშალა ხელები სასოწარკვეთილმა ჭეიშვილმა, მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, ნარ ზე დავემხე და თავი ბალიშში ჩავრგე, რომ არ გადამეხარხარა.

– განცხადება! – შეაშველა ვიღაცამ ტვინი.

– რა განცხადება? – იკითხა განცვიფრებულმა ჭეიშვილმა.

– რა და, რომ აღგიდგინონ მამაკაცობა. –უთხრა დევდარიანმა.

–

ამდენ ხანს სად იყავით, ახლა რაღას მიშველის განცხადება? – იკითხა განწირული ხმით ჭეიშვილმა.

– განცხადება-მეთქი, სანამ დროა! – დააჩქარა დევდარიანმა.

– ქაღალდი! – იყვირა ჭეიშვილმა. მიაწოდეს. – ფანქარი! – ისიც მიაწოდეს. იგი მიუჯდა მაგიდას, ცოტა ხანს იფიქრა, ფანქრის ბოლოს ღრღნა დაუწყო და უცებ იკითხა: – ვის სახელზე დავწერო? – ციხის უფროსის! – პროკურორის! – პრეზიდენტის! – ექიმის! – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის! – რასპუტინის! –ეძახდნენ აქეთ-იქიდან.

– მაო ძე-დუნის სახელზე დაწერე, იმას ჟენ-შენი აქვს, ამბობენ, ძალიან უხდებაო! – ურჩია ბოლოს შოშიამ.

– Провокатор! – თქვა ჭეიშვილმა და მზერა კვლავ დევდარიანს მიაპყრო.

– ციხის უფროსის სახელზე, ეცადე, რაც შეიძლება მკაცრი და კატეგორიული იყოს! – კაცი ხარ, ლიმონ! – ცრემლნარევი ხმით უთხრა ჭეიშვილმა. – კაცი, დანარჩენები პირუტყვები არიან – გადაგვავლო თვალი და გამალებით შეუდგა განცხადების წერას.– ზაზაჯან, ვიდრე ეგ წერს, შენ გაზეთი გააგრძელე! – მთხოვა ტიგრანამ. სიცილმა ცოტათი გადამიარა და გაზეთი ავიღე.

– „ადამიანი ჯანმრთელი რომ იყოს“ – დავიწყე მე.

– სწორედ ეგ გვჭირდება! – თქვა შოშიამ და სმენად გადაიქცა.

„ძნელად თუ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელსაც თავის ტკივილი არ განეცადოს“.

– ტყუილია, მე არ ამტკივებია არასდროს თავი! – შემაწყვეტინა ტიგრანამ.

– აქ ადამიანებზეა, ტიგრან, ლაპარაკი! – ვუთხარი მე. კითხვა გავაგრძელე: „უმრავლესობას თავის ტკივილი ხანმოკლე, მსუბუქი აქვს.

სხვა საქმეა მკვეთრი, მტანჯველი ტკივილი, რომელიც შრომის უნარზეც მოქმედებს. ეს, როგორც წესი, დაავადების ნიშანია. ამიტომ მიმართეთ ექიმს. ასევე უნდა მიმართოთ ექიმს, თუ უმიზეზოდ მოგდით ოფლი, გტკივათ კბილი, ბრმანაწლავი, კუჭი, ღვიძლი, გაქვთ სერიოზული მოტეხილობა და ინფექციური დაავადებები, მუცლის ტიფი, ყვავილი, ქოლერა. თვით

–

მკურნალობა სპობსადამიანის ჯანმრთელობას“. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ექიმი დოლგორუკოვი.

– ეს გაზეთი სულ გაგიჟდა ამ ბოლო დროს! – თქვა ბატონმა ისიდორემ.

– კარგ რამეებს წერს, აი, ახლა ეგ რომ არ იცოდეს, ხომ დაიღუპება კაცი? – ჰკითხა ტიგრანამ ლიმონას. ლიმონამ თავი დაუქნია.

– „საინტერესო ამბების სამყაროში“, – წავიკითხე ახალი სათაური.

– მიდი, მიაწექი! – გამამხნევა შოშიამ.

– დავიწყე: „მეტად საინტერესო გამოკვლევები ჩაატარეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბ ლიკის ორნითოლოგებმა“.

– ორნითოლოგებმა რა არის, ზაზაჯან? – მკითხა ტიგრანამ.

– არ ვიცი, ტიგრანჯან! – ვუპასუხე მე.

– ორნითოლოგია ფრინველების შესახებ სწავლა-მეცნიერება გახლავთ! – თქვა მექანიკურად ჭეიშვილმა და კვლავ განცხადებაში ჩარგო თავი.– ვა, კროსვორდია? – გაუკვირდა ტიგრანას.

„რომლებმაც მაგალითებით დაამტკიცეს, რომ არა მარტო ქალაქის, არამედ ტყის ფრინველე ბიც ბუდეებისათვის ტრადიციულ მასალებთან ერთად იყენებენ ულტრა-თანამედროვე მასა ლებს, – გავაგრძელე მე, – ალუმინს, პენონპოლიუტერანის, პოლიეთილენის ნაჭრებს, საიზო ლაციო სადენებს, მინაბამბას, ნეილონის ბოჭკოს“.

– აგურს არ ხმარობენ? – მკითხა შოშიამ. მე ყურადღება არ მივაქციე.

„ბეღურის ერთ-ერთ ბუდეში აკურატულად იყო ჩაქსოვილი რადიოდეტალების წვრილი ვერ ცხლის მავთულები“.

– ტყუილს ამბობ, ნაკაშიძე, რაღაცას მასხრობ, ეგრე არ ეწერება, – მითხრა დევდარიანმა.

– ჩემს დედას გეფიცები, თუ ეგრე არ ეწეროს! – დავირტყი გულზე მჯიღი.

– მაშინ მაგ ბეღურას ტელეფონიც ექნება და, თუ ძმა ხარ, ნომერი მითხარი, რომ გავალ აქე დან, უნდა დავურეკო! – მთხოვა დევდარიანმა. საკანში ხარხარიატყდა.

– გაგახარა ღმერთმა. ამდენი არ მიცინია, რაღაც მეწყინება. – თქვა შოშიამ.

– „როგორ უნდა მოვიქცეთ სტუმრად“, – წავიკითხე კიდევ ერთი ახალი სათაური.

– ეგ ჩვენ რაში გამოგვადგება! – თქვა შოშიამ.

– მიდი, კაცო, იქნებ სასწაული მოხდეს. ქვეყანა გადაბრუნდეს და გაგვიშვან! – თქვა ოცნებით ტიგრანამ.

„არასდროს სტუმრად ყოფნისას მასპინძელზე ადრე არ მიუსხდეთ გაწყობილ სუფრას, არც ბო ლო ლუკმა აიღოთ თეფშიდან. გახსოვდეთ, რომ ბოლო ლუკმა უზრდელისა და ღორმუცელა სია, აცალეთ, სხვამ აიღოს!“

ვინ სხვამ? – მკითხა გაკვირვებულმა შოშიამ.

– მე რა ვიცი, ჩემო შოშია, ასე წერია, სხვამ აიღოსო, – გულწრფელად გამიკვირდა მეც.

– კი, ბატონო, იყოს უზრდელი და ღორმუცელა ის სხვა ვიღაცა, მაგრამ ის სხვა ვიღაცა ვინღა არის?

– იკითხადევდარიანმა.

– ალბათ, ის, ვინც ამ გაზეთს არ კითხულობს! – თქვა ბატონმა ისიდორემ.

– შეწყვიტეთ, შეწყვიტეთ კითხვა! – წამოხტა ჭეიშვილი.

– რაშია საქმე? – შემაცივდა ხელში გაზეთი.

– დავამთავრე! – თქვა ჭეიშვილმა და ძალიან ღრმად ამოისუნთქა. სამარისებური სიჩუმე გა მეფდა საკანში. ჭეიშვილი ძალზე აღელვებული ჩანდა, სახე აჭარხლებოდა და ცხვირი ოფ ლით ჰქონდა დაცვარული. ხელი, რომელშიც განცხადება ეჭირა, ოდნავ უთრთოდა, მისი ღელვა ყველას გადმოგვედო... ისეთი სიწყნარე იყო, რომ ცარიელი ვედროს ფსკერზე წყლის ქვაბის ონკანიდან გამონაჟური წყლის წვეთის ვარდნა დოლის ცემასავით ისმოდა.

– დაიწყე! – ღამის წყვდიადში მტრის ზურგში ჩაწოლილ პარტიზანთა სადივერსიო ჯგუფის მეთაურის იდუმალ ბრძანებასავით გაისმა დევდარიანის ათრთოლებული ხმა და ჭეიშვილ

–

მა დაიწყო: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამი ნისტროს, დროებით ძიებაში მყოფ პატიმართა ორთაჭალის საპატიმროს (ციხის) უფ როსსმოქ. ა. ი. გაბედავას

დროებით პატიმრობაში და სავსებით უსამართლოდ, უდანაშაულოდ აყვანილ, ძიებაში მყოფ, ამჟამად ოჯახური პირობების გამო არსად არ მცხოვრებ, თქვენდამი რწმუნებული ციხის მე ხუთე კორპუსის მეათე საკნის, ვიმეორებ – სავსებით უდანაშაულოდ მოთავსებული „პატიმ რის“

გალაქტიონ ვარლამის ძე ჭეიშვილის

კატეგორიული მოთხოვნა-განცხადება

მოგახსენებთ, რომ 1950 წლის, ესე იგი დაბადებიდან 24 წლისთავზე ჩემდა სავალალოდ, და ვარღვიე რა ჩვენი ქართული, უაღრესად არქაული, პატრიარქალური და უზურპატორული, ოჯახის დაჟანგებული, დახავსებული და დაობებული ტრადიციები, ჩემი მომავალი ცხოვრე ბა დავუკავშირე სხვა ეროვნების, ერთი შეხედვით სანდომიანი სახის და თვინიერი ხასიათის მქონე, ჩემივე ასაკის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტე ტის კურსმოსმენილ ასულს, შეგნებულად ვიკავებ თავს ისეთი სპეტაკი გამოთქმებისაგან, რო გორიც არის „ქალწული“ და თუნდაც „მანდილოსანი“, რისთვისაც დავკარგე ნათესავები და მშობლები. ამის შემდეგ, ბუნებრივია, შეგვეძინა, სიტყვა შეგვეძინას პირობითად ვხმარობ, რადგან ჩემი უმტკიცესი რწმენით ეს პროცესი არ შეიძლება ორთავეს მოგვეწეროს, რადგან ორ თავე შემთხვევაში ჩემს მიერ ჩატარებული სასიყვარულო თავდავიწყების აქტი, არავითარ და არც ერთ შემთხვევაში არ ემთხვევა ორი სრულიად უმანკო და უდანაშაულო არსების დაბადე ბას. ამიტომ ხაზგასმით აღვნიშნავ, ჩემს მეუღლეს შეეძინა, სხვადასხვა დროს, ორი ვაჟი, რო მელთა წარმოშობის ჩემთავადი საწყისი გამოვრიცხე და ბავშვთა ჩემისეულობა უარვყავი, ანუ უარი ვთქვი ბავშვების მამობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ცოტათი მგვანან კიდევაც, მაგრამ ეს თავისთავად არაფერს არ ნიშნავს, რადგან ბრძნული ქართული ანდაზა ღაღადებს: ხარი ხართან რომ დააბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო, რის გამოც უარი ვთქვი ოჯახზეც, ბავშვებ ზეც, ალიმენტზეც და რის გამოც ახლა აქ ვზივარ, მაგრამ ახლა ამას არ მოგახსენებთ, ამ საათ სა, და თუ შეიძლება ამ წუთში, ჩემთვის ცნობილი გახდა, სრულიად ავტორიტეტულ და კომ პეტენტურ პირთაგან, – ჭეიშვილმა ამაყად გადახედა დევდარიანს, დევდარიანმა თანხმობისა და მხარდაჭერის ნიშად დინჯად დაუქნია თავი. ჭეიშვილმა განაგრძო: – ესე იგი, ფრიად ავ ტორიტეტულ და კომპეტენტურ პირთაგან ჩემთვის ცნობილი გახდა, ერთი შეხედვითჰუმანუ რი, მაგრამ მეორე მხრივ, ჯერ არსმენილი, აუწერელი თავისი ბარბაროსული კაცთმოძულუ რი ხასიათისა და საწყისშივე მალთუსის შემაძრწუნებელი თეორიის მატარებელი აქტი, რომ ლის მსხვერპლნი ვართ ჩვენ, ამ შემთხვევაში კი პირადად მე, ძიების დამთავრებისა და ჩემი „დანაშაულის“ ვადის დადგენის მიუხედავად. საქმე იმაშია, რომ კარანტინში ყოფნის დროს

თქვენი განკარგულებით გამიკეთეს ანტისქესობ- რივ-აღგზნებადი ნივთიერება, იმის გაუთვა ლისწინებლად, რომ ჩემი სასჯელი, უკიდურეს შემთხვევაში, არ აღემატება ერთ წელს, ისიც იძულებით მუშაობას, რომლის ნახევარი, თქვენი საგამომძიებლო ორგანოების, ასე ვთქვათ, „ენერგიული“ მუშაობის გამო, ჩემთვის შეუფერებელ მდგომარეობაში გავატარე. ნემსი გამიკე თეს დიდი, რომელიც როგორც ირკვევა, გათვალისწინებულია ხანგრძლივ პატიმრობაზე, კერ ძოდ 10-15 წელზე, გამოდის, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ 14 წლის განმავლობაში მე უძლუ რი უნდა ვიყო და თქვენი წინდაუხედაობის გამო უნებურად უარი უნდა ვთქვა უმაღლეს ადა მიანურ გრძნობაზე, რომელიც, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აუცილებელი პირო ბაა ბუნების განვითარების უწყვეტი ციკლის შენარჩუნებისა და მამრი და მდედრი სქესთაშო რისი აუცილებელი ბალანსის რეგულირებისათვის. თქვენ შეგიძლიათ უარყოთ ეს შემზარავი ფაქტი, მაგრამ მამხილებელი ფაქტი სახეზეა, აი, უკვე 5 თვეა, ჩემი ორგანიზმი, ჩემდა საუბე დუროდ, არავითარ ემოციონალურ ფიზიკურ სქესობრივ იმპულსებს არ ამჟღავნებს, რასაც შე იძლება ტრაგიკული შედეგი მოყვეს. მე, როგორც ჯერჯერობით სრულიად ჯანსაღი და სრულყოფილი მამაკაცი, რომელიც აწი ვაპირებ ნამდვილი ჰარმონიული ოჯახის შექმნას, რო მელსაც ჯერ არ მომიხდია ჩემი მამაკაცური ვალი ჩვენი საგვარეულოს წინაშე, შთამომავლო ბის გენეტიკური გაგრძელების თვალსაზრისით, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ და კატეგო რიულად მოვითხოვ, მიიღოთ რაც შეიძლება სასწრაფო და ენერგიული ზომები ჩემი მამაკაცუ რი ღირსების, ანუ სქესობრივი პოტენციის აღდგენის საკითხში, ხოლო დამნაშავე პირები სას ტიკად დასაჯოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაცხადებ შიმშილს.

განმცხადებელი გ. ჭეიშვილი თბილისი, ციხე, 1972 წ.“

საკანში შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა, ხმას არავინ იღებდა. ყველა მიხვდა, რომ მოხდა რაღაც საშინელი გაუგებრობა, რომელიც ხუმრობიდან რაღაც ამაზრზენ, საოცრად გულუბრყვილო და ტირილისმომგვრელ, ტრაგიკულ, ძნელად ასახსნელ საცირკო ნომრად იქცა. საცირკო ნომ რად იქცა, მაგრამ ის უფრო ძნელი გასაგები იყო, ჩვენ ვიყავით ჯამბაზები და ტაკიმასხარები, თუ ეს ჯერ კიდევ აღგზნებული, გონსმოუგებელი, პატარა ტანისა და ტვინის კაცი, რომლის გაფითრებული სახიდან ორი დაფეთებული, დამფრთხალი და ანთებული თვალი დაცოცავ და ჩვენს დაბლადახრილ შერცხვენილ თავებზე. მე აღარ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს დუმილი, მე უბრალოდ ვიჯექი, თავჩაღუნული, გულში რაღაც ლურსმანივით მქონდა გარჭო ბილი და სუნთქვამეკვროდა.

ახლა ეს რომ ექიმებს გაასინჯო, ჯანმრთელიაო იტყვიან! – გავიგონე ტიგრან გულოიანის გაბზარული ხმა.

– გულოიანო ტიგრან! – თქვა უცებ ისიდორე ბატონმა ძალიან დაბალი ხმით, – ნაძირალა ხარ შენ და მეზიზღები! – ტიგრანას ხმა არ ამოუღია, თავი ჩაღუნა, – დევდარიანო, შენც ნაძირა ლა ხარ და შენც მეზიზღები. – დევდარიანი კედლისკენ გადაბრუნდა, – შენც ნაძირალა ხარ, ნაკაშიძე, შენც შოშია და ორთავე მეზიზღებით. – გაფითრებულმა შოშიამ თვალი აარიდა

–

და ქუჩაში დაიწყო მზერა, მე კი, რომ არ მეტირა, თავი ბალიშში ჩავრგე. – შენც ნაძირალა ხარ და შენ მეცოდები, შე უბედურო! – მიუბრუნდა იგი ჭეიშვილს. – მაგრამ ყველაზე მეტი ნაძირალა მე ვარ დაყველაზე უფრო ჩემი თავი მეზიზღება! – თქვა ბატონმა ისიდორემ და თავი სინანულით დაიქნია.

– რაშია საქმე, ბატონო ისიდორე? – იკითხა შეშინებულმა ჭეიშვილმა, მერე უცებ მიხვდა რაღა ცას, ყბა საოცრად ირონიულმა, საცოდავი, მოტყუებული კაცის ღიმილმა მოუქცია, მკლავე ბი ჩამოუცვივდა, პატარა თავი მხრებში ჩაუვარდა და თავის ნარზე ჩამოჯდა. ერთხანს ასე იჯდა, მერე ნაკუწ-ნაკუწ ნელა, უგულოდ დაუწყო ხევა განცხადებას და არაფრის მთქმელი გამომეტყველებით იკითხა: – რა არის ეს, რა ჰქვია ამას?! – არაფერი არ ჰქვია, მაგას სახელი არა აქვს! – უპასუხა ბატონმა ისიდორემ. მერე ურდულის ხმა გავიგონე, კარი გააღო ზედამ ხედველმა, სარძევე ქვაბით უხორცო ხარჩო შემოიტანა და, როგორც ყოველთვის, შუა საკან ში დადგა. საჭმელს რომ არ მივცვივდით, გაუკვირდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. საღამოს ქვაბის წასაღებად რომ მოვიდა და ქვაბი ხელუხლებელი დახვდა, უფრო გაუკვირდა.

– აჰ, ეგეთები არ იყოს, შიმშილობა ხომ არ გამოაცხადეთ? – იკითხა შეშინებულმა.

– ნუ გეშინია, წაიღე და მზარეულს უთხარი, ხორცის ჩაყრა დაგვიწყებია-თქო. – დაამშვიდა დევდარიანმა. ზედამხედველმა თავისუფ- ლად ამოისუნთქა.– ხბოს ხორცს ინებებთ თუ ბატკნისას? – ჰკითხა მან ღიმილით დევდარიანს.

– კაცის ხორცს! – უპასუხა დევდარიანმა. ზედამხედველმა სასწრაფოდ გაიხურა კარი.
წყარ~~ი~~ დაბეჭდულ~~ი~~

წყარ დაბეჭდულ

ერთი კვირის წინ ჭეიშვილს თავის ბარგი-ბარხანიანად დაუძახეს. იმ შემთხვევის შემდეგ ხმას არ გვცემდა არც ერთს. ზედამხედველმა რომ კარი გააღო და მისი გვარი ამოიკითხა დავთარ ში, ჭეიშვილმა უნდობლად შემოგვხედა. ესეც ჩვენი მოწყობილი ოინი ეგონა, როდესაც დააჩქა რეს, ბარგი აიღე და მალე გამოდი, შენს გარდა სხვა საქმეც გვაქვსო, დაიბნა, ხან რას ეცა, ხან – რას, ხან რა გაუვარდა ხელიდან და ხან – რა, როგორც იქნა, მოხიკა თავისი ნივთები და კარის კენ დაიძრა, მერე უცებ მობრუნდა, სათითაოდ ჩამოგვიარა, ჩაგვკოცნა, გული აგვიჩუყა და, ვიდრე რამეს ვეტყოდით, გარეთ გავარდა. ხუთნიღა დავრჩით საკანში – მე, ტიგრანა, ლიმონა, შოშია და ბატონი ისიდორე. პატიმრის საკნიდან წასვლა სიხარულიც არის და სევდაც განუ ზომელი, თავისებური შურიც, ამ დროს ყველას ავიწყდება საკუთარი დანაშაულის სიმძიმე და სინანულითა თუ იმ უბოროტო შურით ფიქრობს თავისთვის – რა იქნებოდა, ამის მაგივ რად ჩემი გვარი ამოეკითხაზედამხედველსო, თუნდაც ეს სასწაულს უდრიდეს, მაინც ასე ფიქ რობსყველა პატიმარი, სიკვდილმისჯილი პატიმარიც კი ასე ფიქრობს, რადგან არ არსებობს ქვეყნად სულიერი, რომელსაც პატიმარზე უფრო სჯეროდეს სასწაულის. წავიდა ჭეიშვილი

და ხუთნიღა დავრჩით, არც არავინ მოყავთ ჩვენს საკანში, არც არავინ მიჰყავთ. ერთი რამ უც ნაური თვისება გააჩნია ციხეს, პარადოქსული და ყველაფერთან შეუსაბამო თითქოს. რაც უფ რო მეტი პატიმარია საკანში, მით უფრო მარტო ხარ და უკაცრიელი გგონია ქვეყანა, მით უფ რო მოწყვეტილი ხარ სამყაროს და პატარა, მივიწყებული ნემსივით ხარ გაბნეული უამრავ ნივ თებსა და საგნებს შორის, ისე ჩაივლის ხოლმე შენს გვერდით ათასი მოვლენა და ათასი კაცი და ისეთი შეუმჩნეველი რჩები მისთვის, როგორც შენ თვითონ შესულხარ ხოლმე ძველი ნივ თებით, ხარახურითა და ნაგავ- ნუგავით სავსე საკუჭნაოში გაღუნული ლურსმნის საძებნე ლად, ათასჯერ გადაგიქოთებია იქაურობა, თავდაყირა დაგიყენებია ყველაფერი და მაინც ვერ გინახავს ხოლმე ის გაღუნული და ჟანგიანი ლურსმანი, რომელიც თურმე შენს ცხვირწინ დევს. ასეა ციხეშიც. ახლა კი, როდესაც ხუთნიღა დავრჩით, თითქოს ყველაფერი გაიტანეს საკ ნიდან: მაგიდა, სკამებიც, კედლის კარადაც, წყლის ქვაბიც, ვედროც, ჭადრაკიც, დომინოც, პა რაშაც, უფრო მეტი, თითქოს სამოსიც კი გაგვხადეს და ბადეს მოყოლილი ხუთი თევზივით ამოგვყარესჭერეხზე და ლაყუჩებში კაკვები გაგვიყარეს. ჩვენ ახლა, როგორც არასოდეს, ვგრძნობდით ტკივილს, როგორც არასდროს, ისე ვხედავდით ერთმანეთს და, როგორც არას დროს, ისე ვკითხულობდით ერთმანეთის ფიქრს. სიტყვაძვირები, პირქუშები და გაუტანლე ბი გავხდით. მე ვატყობ, რომ უკვე ერთი- მეორის ნერვებზე ვმოქმედებთ, და არაადამიანური ენერგიის და ნერვების ფასად გვიჯდება წონასწორობის შენარჩუნება. საოცარია, საკანში, რო მელიც 30 კაცზეა გამიზნული, ხუთი კაცი ვეღარ ვეტევით, ერთი რამ, მხოლოდ ერთი რამ გვა კავებს, კაცობრიობის კერპი, სალოცავი, ხატი და საგალობელი, პური ჩვენი არსობისა – პური.

არ არსებობს მსოფლიოში ტაბლა უფრო მირონცხებული, უფრო საპატიო და სათაყვანო, ვიდ რე პატიმართა ტაბლა. ცნება – ერთად პურის ჭამა, ერთად პურის გატეხვა – აქ რელიგიის ხა რისხშია აყვანილი, ციხეში ერთად პურნაჭამი ხალხი ფიცვერცხლნაჭამ ხალხს უდრის, ციხის პური ფიცვერცხლია, ციხის პური მირონია. ციხის ტაბლაზე სიტყვა – ბოლო ლუკმა უსინდი სოსიაო – არ არსებობს, რადგან თვით ბოლო ლუკმა არ არსებობს, ბოლო ლუკმას ყველა ერ თად ჭამს, ყოფს ორად, სამად, ათად, მერე ერთად იღებს და ერთად ჭამს. ამიტომ ციხეში ბო ლო ლუკმა არასოდეს არ არსებობს. ბოლო ლუკმამხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც მხო ლოდ ერთი პატიმარია.

პატიმრები ამანათს ჭირისუფლებისაგან ადრე ათ დღეში ერთხელ იღებდნენ, შემდეგ ეს შუალედი გაურკვეველი მიზეზის გამო ოცი დღით გაიზარდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ზედამ ხედველმა ციხის ადმინისტრა- ციის ახალი ბრძანება გამოგვიცხადა, რომლის შინაარსის ღრმა ანალიზისა და საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ შინიდან მო სული ამანათები პატიმრებში მწარე მოგონებების, ისტერიკების, აპათიისა და ცრემლის გარ და თითქმის არაფერს არ იწვევენ, ხოლო სახელმწიფო მსგავსი ოჯახური დახმარებისაგან მა ინცდამაინც ვერაფერ ეკონომიურ შეღავათს ვერ ხედავს. ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ პატიმრებმა დღეიდან ამანათი ექვს თვეში ერთხელ მიიღონ, ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმ ჰუმანური მოსაზრებით, რომ ზოგიერთ ფაქიზი და დახვეწილი კულინარული გემოვნების პატიმარს დედის ან მეუღლის გაკეთებული საჭმლის გემო არ დაავიწყდეს. სხვა მხრივ სახელ

–

მწიფოს მის მიერ ერთ პატიმარზე გამოყოფილი ულუფა თავისი კალორიული შემადგენლო ბით სრულიად საკმარისად მიაჩნია იმისათვის, რათა პატიმარი, ვიდრე იგი ციხეშია, ნათ ლად ხედავდეს მის გარშემო შექმნილ სიტუაციას,კარგად გრძნობდეს მის გარშემო არსებულ გარემოს და კარგად ახსოვდეს, რისთვის ზის. ასე რომ მეც, შოშიასაც და ბატონ

ისიდორესაც ჩემს სახელზე დღეს დილით მიღებული ამანათი თავისუფლად შეგვეძლო ამ წელს უკანასკნელად მიღებულ ამანათად ჩაგვეთვალა, რადგან ფაქტიურად ამანათებს მხო ლოდ ჩვენ სამნი ვღებულობდით. დევდარიანი და გულოიანი ადმინისტრაციის ამ ბრძანებას მაინცდამაინც არ აუღელვებია, რადგან, როგორც დევდარიანმა ამიხსნა, ამანათი კი არა, დევ დარიანთა გენეალოგიის, საგვარეულო ხის ის ტოტი, რომელზედაც მისი სახელისა და გვა რის აღმნიშვნელი ფირფიტა ეკიდა, საერთოდ მოახერხა მისგან თავლაფდასხმულმა მისმა ამ პარტავანმა ნათესაობამ. ტიგრანას კი... ტიგრანას, თურმე, ერთადერთი მამიდა ჰყავს ამ ქვეყა ნაზე, ისიც ლენინაკანში გათხოვილი და ძალიანაც რომ უნდოდეს ამანათის გამოგზავნა საწ ყალს, სულ ერთია, ტოლმა თბილისამდე გზაში გაფუჭდება. ესეც არ იყოს, მიჩვევის საქმე არ არის? ცოდვა გამხელილი ჯობია, ტიგრანასა და ლიმონას სახლში იმის მეათასედიც არ უსა დილიათ, რაც ციხეში, და ისე შეეჩვივნენ აქაურ საჭმელს, გარეთ რომ არიან ხოლმე, ისე მოენატრებათ თურმე აქაურობა, ერთი სული აქვთ, როდის დაიჭერენ.

ვიდრე მე დედაჩემის გამოგზავნილპატარა ბარათს ვკითხულობდი, შოშია უკვე ხელების ფშვნეტით აწყობდა სუფრას. ამანათს ყოველთვის მოყვებოდა პატარა ბარათი, ოღონდ შიგ არაფერი ეწერა, გარდა გამოგზავნილი პროდუქტების სიისა.

შვილო ზაზა! – მწერდა დედა – გიგზავნი შემდეგ პროდუქტებს: 1) პური – 1 ცალი.

2) კატლეტი – 8 ცალი.

3) მწვანილი – (ხახვი, ნიორი, ტარხუნა, წიწმატი, ბოლოკი – თითო კონა).

4) ვაშლი – 4 ცალი.

5) ძეხვი – 1 ცალი.

6) შაქარი – 1 კოლოფი.

7) თამბაქო – 2 კოლოფი. მაპატიე, დედიკო, გკოცნი.

წერილი ბავშვური ხელით, მრგვალი ლამაზი ასოებით იყო დაწერილი რვეულის გაქონილ ფურცელზე და მე ახლა ჭამა კი არა, სულ მარტო ყოფნა და გულამომჯდარი ტირილი მინდო და.

– საზოგადოებას ს უფრა სთან ვთხოვ! – მიგვიპატიჟა შოშიამ. წერილი ჯიბეში ჩავიდე და მა გიდას მივუჯექი. ყველანი მოვიდნენ და უხმოდ მოუსხდნენ მაგიდას. ერთხანს მონუსხუ

ლივით ვუცქეროდით პურ-მარილს, უცხოს რომ შეეხედა, ეგონებოდა, მღვდლისაგან სუფ
რის კურთხევას ელოდებიანო.

მერე, თითქოს დათქმული გვქონდაო, ყველამ ერთად გადავყლაპეთ ნერწყვი.

– დაიწყე! – მთხოვა შოშიამ.

– მე რატომ უნდა დავიწყო? – ვკითხე შოშიას.

– დედაშენის ნახელავია, დაიწყე, თორემ დამახრჩო ნერწყვმა. – ისევ მთხოვა შოშიამ.

– თქვენ დაიწყეთ, ბატონო ისიდორე! – ვთხოვე მე. ბატონმა ისიდორემ წიწმატის მოზრდი
ლი, ლორთქო ღერი აიღო, მარცხენა ხელისგულზე დაიცოცხა. მერე ოთხად გაკეცა, მარილ
ში ჩააწო და ისე მადიანად შეახრამუნა, გიჟებივით ვეცით სუფრას, სულმოუთქმელად და
გამალებით ვჭამდით, მეორე მისვლა უფრო დინჯი და საზრიანი გვქონდა, მესამედ რომ წა
ვიღეთ ხელი სუფრისაკენ, სამი კატლეტი და ძეხვის პატარა ნაჭერიღა ეგდო ზედ.

– მალე გათავდა! – ვთქვი მე დამნაშავესავით და გავწითლდი.– ჩვენ ნახევარ-ნახევარს შევ
ჭამთ, შენ კი მთელი შეჭამე. – თქვა დევდარიანმა.

– ალბათ, დედაშენს გონია, აქ მარტო ჭამას გაცლიან, არა? – სიცილით მკითხა ტიგრანამ.

– ალბათ! – ვუთხარი მე.

– თუნდაც ეგრე იყოს, რვა კატლეტი ერთ კაცსაც არ ეყოფა. – თქვა შოშიამ. გული ჩამწყდა.
უცებ დედაჩემი წარმოვიდგინე, საღამოს, ბაზარში, მეხორცის დახლთან მდგარი, როგორ ეხ
ვეწებოდა ფაშვგად- მოგდებულ და ქამარში უზარმაზარ დანაგაყრილ, ბრიყვთვალებიან ყა
საბს, სამ მანეთად მიეცა დახლზე დაყრილი, დარჩენილი ხორცგაცლილი ძვლები.

– შოშია, რვა კატლეტზე მეტს ბევრი ფული უნდა! – ვუთხარი დაბოღმილმა და, რამე ცუდიც
რომ არ მიმეყოლებინა, ჩემი წილი კატლეტი ჩავიტენე პირში.

– ფულის მეტი რა არის, ჩემო ზაზა, ფული აი, ასეა ერთ ადგილას! – თქვა შოშიამ და ხელი
წარბებს ზევით გაისვა ხერხვით.

– სად? – დაინტერესდა ტიგრანა.

– ლომის უკანალში, ოღონდ ხელის შეყოფა უნდა და გამოღება, მეტი არაფერი!– ასწავლა შო შიამ.

– მეტი არაფერი, ხელის შეყოფა და გამოღება? – ჩაკითხა გაწბილებულმა ტიგრანამ.

– ჰო, მეტი არაფერი, აი, ასე, ხელის შეყოფა და გამოღება. – შოშიამ მარჯვენა სახელო კისრამ დე დაიკაპიწა და აჩვენა ტიგრანას, როგორც უნდა გამოეღო ფული ლომის უკანალიდან.

– რა ჩიტიცა ხარ, ისეთ გალიაში ზიხარ, შე დამპალო, – გადააფურთხა ტიგრანამ. შოშიამ არა ფერი არ უპასუხა. მაგიდაზე 336

სასწაულად გადარჩენილი ბოლოკი აიღო, მარცხენა ხელისგულზე დაიდო, როგორც ჰამლეტ მა საფლავიდან ამოგდებული თავის ქალა, მარჯვენათი მიგვითითა და მწარედ წარმოთქვა: – ეს გახლავთ, მეგობრებო, ის წითელი წერტილი, რომელიც დღეს საბოლოოდ დაესვა ჩემს ცხოვრებას. ვაი, შე საწყალო შოშია, ვაი თქვენ, ჩემო სიჭაბუკის ზმანებანო და ოცნებანო, ვაი შენ, ჩემო ბედის ბორბალო, მთაზე სიმწრით აგორებულო და უკან დაგორებულო,უმოწყა ლოდ, ისე, ისე უმოწყალოდ დაგორებულო, რომ ვერაფერი ქვის შეყენება ვეღარ გიშველის და შეგაჩერებს. ორმოცი წელიწადიდან, რომელიც ჩემშია, ოცდაათი წელიწადი ხახვით, ბოლო კით, მდოგვითა და შავი პურით მქონდა ამომწვარი თავ-ღრანჭი და ცხვირ-პირი. ხალხო, ორ მოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა თეთრი პური, კარაქი, ხიზილალა, ჩაქაფული, ბატ კნის მწვადი, ბასთურმა, სუკი, მწყერი და ხოხობი, ორსართულიანი რვაოთახიანი სახლი, ფი ქალით გაწყობილი აბაზანით, სამზარეულოთი და საპირფარეშოთი. ორმოციდან ოცდაათი წელი მესიზმრებოდა შავი ვოლგა, მწვანე ათთუმნიანები, ლურჯი აგარაკი შავ ზღვაზე, ბამბა სავით თეთრი ქალი და ბროწეულივით ლოყაწითელი შვილები.
ოცდაათი წლის სიზმარი ათ წელიწადში ცხადად ვაქციე და მერე როგორ ცხადად... რომელ თქვენთაგანს უჭამია სამნაირი ხიზილალა, შავი, წითელი და ყვითელი, შემწვარი კარაქი გიჭა მიათ? წვერის გაპარსვაში თუმანი გადაგიხდიათ? ათთუმნიანი ჩაგიკუჭიათ მედუდუკისათ-ვის დუდუკის ტუჩში? ბოზი დედაკაცის ძუძუების ღარიდან შამპანური დაგილევიათ? არა? ახლა ეს ბრიყვი ტიგრანა მკითხავს – საიდან ამდენი ფული, შოშიაო? იმ ლომის უკანალიდან, ტიგრანჯან, იმ ლომის უკანალიდან. ახლა შენ მეტყვი, დევდარიანო, ჩვენც ეგრე არა ვართო? ჩვენფული ლომის უკანალიდან გამოგვაქვსო, მართალია, მაგრამ თქვენ ხელით გამოგაქვთ, მე კი – თავით. თქვენ იმ ლომმა დიდი-დიდი ხელი მოგაჭამოთ, მე კი თავი, თავი უნდა მომაჭა მოს, ახლა ბატონი ისიდორე მკითხავს, რისთვისო? იმისთვის, ჩემო ბატონო ისიდორე, რომ ათი წლის შემდეგ ის შავი პური, ბოლოკი, ხახვი, მდოგვი და ლობიო, რომელიც ოცდაათი

წლის განმავლობაში კუჭ-ნაწლავს მილპობდა და მწვავდა, ათი წლის შემდეგ ისევ სანატრე ლი გამხდომოდა, ყველა ის სიზმარი წყალს წაეღო და ორსართულიანი რვაოთახიანი სახლი, ოთხსართულიან, ხუთკორპუსიან, ასსაკნიან ბინათ გადამქცეოდა და ამ დიდი სასახლის მეათე საკანში მეცხოვრა პარაშას ხელმარჯვნივ, ჩემი ლამაზი ცოლ-შვილის ნაცვლად, თქვე ნისთანა მახინჯებთან, ბინძურებთან და ნაძირალებთან, რომ იცოდეთ, რას გიგავთ სიფათე ბი, თქვენს დანახვას ვეღარ ვიტან. კიდევ ხომ არ გაქვთ შეკითხვები, ბატონებო?
– გვკითხა მან და მდაბლად დაგვიკრა თავი.

– მასხარა ხარ შენ, შოშია! – უთხრა დევდარიანმა.

– მე, მასხარა კი არა, სასიკვდილოდ გახაზირებული კაცი ვარ, დევდარიანო! – თუ გგონია, გუ ლი მწყდება, შოშია, და თვალებს დავითხრი შენს პანაშვიდებზე ტირილით,ცდები, ტყუილად იჭაჭები, გულს მაინც ვერ ამიჩუყებ.

– რატომ, დევდარიანო? – მე და შენ, აი, ესეც, – ხელი გაიშვირა მან ტიგრანასაკენ, – უნდა და ვიხოცოთ.

– ლიმონჯან, შენ შენს მძორს მიხედე, მე როდის მოვკვდები, ეგ მე და ჩემმა მოსამართლემ ვი ცით.

– მოიცა, ტიგრან. – თხოვა დევდარიანმა, – ოღონდ შენ ცოტა ჩემზე ადრე უნდა მოკვდე. – მი უბრუნდა ის შოშიას.

– რატომ? –ჰკითხა შოშიამ.

–

იმიტომ, რომ შენ ყველა სიზმარი აგხდენია, მე კი – ჯერ არც ერთი, ამხდენია კი არა, ჯერ ნახევარი არც კი დამსიზმრებია...

– ეგ რა მიზეზია, მე მაინც არ მინდა სიკვდილი, – იუარა შეშინებულმა შოშიამ.

– რატომ? – ჰკითხა თავის მხრივ დევდარიანმა.

– მე ჯერ უამრავი საქმე დამრჩა გასაკეთებელი... – თქვა შოშიამ.– მაინც რა საქმე? – ჰკითხა დევდარიანმა. შოშია დაფიქრდა.

– ბევრი საქმე, ლიმონ! – დაიწყო მან ფიქრის შემდეგ. – ძალიან ბევრი საქმე... სახლი დასამთავ რებელი სამადლოზე, – ჩაღუნა ერთი თითი შოშიამ, – მეორე სახლი გადასახურავი მარ ტყოფში, სიდედრის სოფელში. – მიაყოლა მეორე თითი, – ორი ბიჭი ერთად უმაღლესში მო საწყობი, – ორი თითი ერთად მოღუნა შოშიამ, – ახლა იმათი ამხანაგობაში შეყვანა... მამაჩე მის ოროთახიანი ბინა სოლოლაკში უნდა გადამეცვალა ჩემს ზევით სართულზე ერთოთახი ანში, მერე მე უნდა ავსულიყავი იმ ერთოთახიანის გვერდით სამოთახიანში, რომელშიც ორი ოჯახი ცხოვრობს, ერთისთვის ჩემი ოროთახიანი ბინა უნდა მიმეცა, მეორესთვის – სი დედრის ერთოთახიანი იზოლირებული, მაგრამ მეორე არ ჩამოდის, აი ის, რომელიც ორ ოთახში ცხოვრობს, ამბობს: ეს, რომელიც ერთ ოთახში ცხოვრობს, ბებერია, მალე მოკვდება, ეს ერთი ოთახი მაინც მე დამრჩება და რაღა ზევით-ქვევით ვირბინო, ბარემ მოვიცდიო. ვე უბნები: – ტელეფონს დაგიდგამ! არ შვება, ათი ათასს დაგიმატებ! არ შვება, რემონტს გაგიკე თებ! არ შვება! მაშ, მოკვდი და მე დაგმარხავ-მეთქი, ვუთხარი, თან დედა, ჯილაგი, საგვა რეულო, სამოყვრო, სანათლო და სამირონე მივუკურთხე. არ მოვკვდები შენს ჯინაზეო,ვი რიშვილმა... ეს საქმე მოსაგვარებელი არ არის? არის! ახლა ჩვენი ცეხი უნდა დახურულიყო, იქიდან წილი ხომ უნდა გამომეტანა და სხვაგან შემეტანა... მერე ის ვოლგა, ცოლისძმის სა ხელზე რომ მაქვს გამოტანილი, ჩემი რიგი რომ მოვა, ხომ უნდა გადავაფორმო სხვაზე, რომ ორი ვოლგა...

– შენ საქმე არა გქონია, ჩემო შოშია, შეგიძლია, მშვიდად მოკვდე! – შეაწყვეტინა ბატონმა ისი დორემ.

– როგორ თუ საქმე არა მქონია, ძია ისიდორე, ამდენი რამე რომ ჩამოვთვალე, საქმე არ არის? – ჰკითხა გაკვირვებულმა შოშიამ.

– საქმეს, რომელსაც უშენოდაც გააკეთებენ, საქმე არ ჰქვია. საქმე ის არის, უშენოდ რომ არ გა კეთდება. შენს მეტი სხვა რომ ვერავინ ვერ გააკეთებს, ის საქმე, რომელიც მხოლოდ შენთვი საა გაჩენილი და მხოლოდ შენი ხელიდან გამოვა.

–

– ასეთი რა საქმეა? – ცოტა, ძალიან ცოტა, თითებზე ჩამოსათვლელი. ერთი, ოჯახის და შთა მომავლობის შექმნა, შვილების გაჩენა, ოღონდ ჭეიშვილივით კი არა, საკუთარი შვილების გაკეთება, ისეთების, დრო რომ ემთხვეოდეს და შენ რომ გგავდენ. მეორე, მეორე... – ძიაისი დორე დაფიქრდა. – მეორე ციხეში ჯდომა და მესამე სიკვდილი, მეტი არაფერი... ისიც იმდე ნად არის შენი საქმე, რამდენადაც უშუალოდ შენ გეხება, მხოლოდ შენ ერთს და მეტს არა ვის.
მაშ, სამსახური? მისვლა-მოსვლა? შენება? ფულის კეთება? ბავშვების გაზრდა? – აკი გითხა რი,
საქმეს, რომელსაც უშენოდ გააკეთებენ, საქმე არ ჰქვია.

– მაშ, რა ჰქვია? – არაფერი, უბრალოდ ადამიანთა ურთიერთობა, თანამშრომლობა ადა მიანებს შორის. გასაგებია? – არა! – ჯიუტად გაიქნია თავი შოშიამ.

– ასეც ვიცოდი! – თქვა ისიდორემ და სუფრიდან ადგა. ადგა შოშიაც და თავის ქანდარაზე აძ ვრა.

– გამოდის, რომ სიკვდილის გარდა სხვა საქმე აღარ დამრჩენია? – თქვა მან თავისთვის, ფანჯა რაში გაიხედა და ძალიან ღრმად ამოისუნთქა. იგი გაფითრებული იყო და, რომ შევხედე, შე მეცოდა, დაპატარავებული, მუშტისხელა, მობუზული იჯდა თავის ნარზე, როგორც შეცივე ბული, მშიერი და დაავადმყოფებული, გაქუცული ჩიტი გალიაში, და ნაღვლიანი იცქირებო და სადღაც, აგვისტოს ბუღით დანისლულ სივრცეში.– ნუ გეშინია, შოშია, გეხუმრება ძია ისიდორე! – ვუთხარი მე, – ხომ ეხუმრე, ძია ისიდორე? – ვკითხე ახლა ძია ისიდორეს და თვალებით ვთხოვე დამთანხმებოდა. ისიდორე ბატონმა მწარედ გაიღიმა.

– ვეხუმრე, ზაზა, ვეხუმრე! – თქვა მან და ნარზე წამოწვა.

– გაიგე, შოშია? – ვკითხე შოშიას რიხიანად.

– გათავებულია შოშიას სიმღერა! – თქვა შოშიამ ისე, რომ ჩემკენ არც გამოუხედავს.

– ამას რა ვუყო? – მკითხა ტიგრანამ და ბოლო დარჩენილი კატლეტი მაჩვენა.

– შეჭამე! – დავრთე ნება. ტიგრანამ კატლეტი ხელში შეათამაშა და ადგილზე დადო.

–

* * *

საღამოს საკნის კარი გაიღო და ზედამხედველმა შემოიხედა. ყველანი სასწრაფოდ წამოვჯე ქით საწოლებზე.– წევხართ? – გვკითხა მან. ხმა არ გავეცით. – კარცერი ხომ არ მოგენატრათ? – ისევ გვკითხა მან და ისე უხალისოდ, რომ მივხვდი, სულ არ უნდოდა ახლა ამის თქმა, მაგ რამ, რადგან ზედამხედველი იყო, ხოლო ჩვენ ძილის საათამდე ნარზე წოლისათვის კარცე რით ვისჯებოდით, მოვალე იყო ეთქვა. ისევ არ გავეცით ხმა. მაშინ დავთარში ჩაიხედა, იყუ რა, იყურა შიგ, მერე დაღლილი თავი ასწია და გვკითხა: – მამასახლისი ვინ არის? – არ გვყავს მამასახლისი. – უპასუხა დევდარიანმა.

– რატომ? – ადრე გოგოლი გვყავდა და გაიყვანეს, მერე არ აგვირჩევია და არც გვჭირდება. როგორ თუ არ გჭირდებათ, წესი წესია! – მკაცრად უნდოდა ეთქვა ზედამხედველს, მაგრამ ისე

თქვა, რომ მივხვდი, ესეც მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ ზედამხედველი იყო.

– ხუთ კაცს რად გვინდა მამასახლისი? – ვკითხე მე.

– შენ რა გვარი ხარ? – მკითხა ზედამხედველმა და დავთარში ჩაიხედა.

– ნაკაშიძე! – ვუპასუხე მე.– შენ იქნები მამასახლისი! – დამნიშნა ზედამხედველმა. – თქვენ ხომ არ ხართ წინააღმდეგი? – მიუბრუნდა იგი ჩემს ამხანაგებს.

– თუ აუცილებელია, მას თუ უნდა და თანაც შენ თუ გინდა, იყოს! – თქვა დევდარიანმა.

– მაშინ მოხიკე ზეწრები და ბალიშის პირები და წამოიღე, უნდა გამოგიცვალოთ. – მითხრა ზედამხედველმა და გარეთ გავიდა. ზეწრები და ბალიშის პირები მოვაგროვე და ზედამხედ ველს გავყევი.

* * *

–

ლოგინებს ყოველ ათ დღეში გვიცვლიდნენ აბანოსთან ერთად. ზეწარი და ბალიშის პირიო რომ ვამბობ, გაქათქათებული, ქარზე მოტკარცალე თეთრი ბაირაღივით და იალქანივით გაშ ლილი ზეწარი არ უნდა წარმოიდგინოთ. ჩვენი ზეწრები და ბალიშის პირები ნაცრისფერი ნაჭრისაგან არის შეკერილი და ასეც უნდა იყოს, ჭუჭყი რომ ადრე არ დაეტყოს, ათ დღეში მა თი გამოცვლა კისაკმაოდ ნორმალურია.

პატიმრისათვის ზედმეტად მუხლის გაშლა და ზედამხედველის თანხლებით ეზოში გავლა, გარეთ მყოფი კაცის პირობებს თუ შევუდარებთ, უცხოეთში მოგზაურობას თუ არა, რუსთავე ლის პროსპექტზე შეყვარებულთან ერთად გასეირნებას მაინც უდრის, ამიტომ ზედამხედ ველს დიდი ხალისით გავყევი. ზედამხედველი იგივე იყო, ადრე დაკითხვაზე რომ დავყავ დი. დერეფანი უსიტყვოდ გავიარეთ, კიბეზე დავეშვით. ზედამხედველი ხმას არ იღებდა, მე – მით უმეტეს. ეზოში გავედით და აბანოსკენ გავუხვიეთ, რადგან სამრეცხაო აბანოს გვერდით იყო, სარდაფში, საიდანაც ორთქლი ამოდიოდა და ქალების გნიასი ისმოდა ხოლმე, ახლა რა ტომღაც სიწყნარე იყო. ცოტაღა გვაკლდა სამრეცხაომდე, რომ მთავარი კორპუსიდან პატიმა რი გამოიყვანეს.

– კედელთან! – მითხრა ჩემმა ზედამხედველმა. მე გავჩერდი და კედლისკენ მივბრუნდი. ის ზედამხედველი და პატიმარი მოგვიახლოვდნენ. ვიცანი, ისევ ის ზედამხედველი იყო, ად რე რომ შეხვდა ჩემსას.

– არსენს გაუმარჯოს! – მიესალმაჩემსას.– გაგიმარჯოს! – უპასუხა ჩემმა.

– რაღაც ხასიათზე ვერა ხარ! – უთხრა მან.

– მამა მიკვდება! – უთხრა ჩემმა და თვალები ცრემლებით აევსო.

– რა მოუვიდა? – შეწუხდა ის.

– კვდება! – ექიმი არ მიუყვანე? – მივუყვანე, მაინც კვდება.

– რაო ექიმმა? – გათავდაო, გაცვდაო.

– რამდენი წლისაა? – ოთხმოცდაექვსის! – უთხრა არსენამ.

– შე კაცო! – გაუღიმა მან.

– მაინც მამაა, ხომ იცი! – იმართლა თავი ჩემმა.

– როგორ არ ვიცი! – შენი ბიჭი როგორღა არის? – ჰკითხა უცებ ჩემმა.

– კარგად, გამოკეთდა, ისეთი ვირეშმაკაა მამაძაღლი, რო! – თვალები აენთო სიხარულით.

– ღმერთმა გაგიზარდოს! – დალოცა ჩემმა.– აი, გუშინ... – დაიწყო ამბის მოყოლა მან.

– მოიცა, – გააჩერა იგი არსენამ, – ჩადი სამრეცხაოში, უთხარი, მეხუთე მეათედან ვარ-თქო, და მოგცემს სარეცხს, ეგ თვლით ჩააბარე და ხელიც მოუწერე. გაიგე? – მომიბრუნდა მე.

– ქურდია? – ჰკითხა მან.

– არა, მკვლელობას აბრალებენ. შენი? – ჩემი მორფინისტია! – რას მიყვებოდი? – ჰკითხა ჩემმა.

– ჰო, იმას გეუბნებოდი, გუშინ ვხედავ, მოდის სახლში, მარცხენა ყური წითელი აქვს და გა სიებული. ვეუბნები...

– რაღას უყურებ, წადი! – მომიბრუნდა არსენა. მე წავედი. კიბეზე რომ ჩავედი, უცებ ორ თქლის მჟავე, სველი სარეცხის, გავარვარებული უთოს, დამწვარი ტილოსი და კიდევ რაღა ცის სუნი მეცა ერთმანეთში არეული. ანაზდად უკან დავიხიე, მერე, რომ შევეჩვიე სუნს, კა რი ფეხის კვრით გავაღე და სწრაფად შევედი, კარი ზამბარებზე იყო და ძლივს შევასწარი, სა

რაგველასავით გაადინა ჭახანი ჩემს უკან. სარდაფში ბურუსი იდგა. ჯერ ვერაფერი დავინა ხე, მერე თანდათან თვალი შევაჩვიე. სარდაფიოროთახიანი აღმოჩნდა. პირველში მე ვიდე ქი ზეწრებითა და ბალიშისპირებით ხელში, მეორე, სამრეცხაო ოთახი კი უფრო ღრმად იყო, ამ ოთახის მიღმა, სამრეცხაოში გასასვლელი კარი ღია იყო და იქიდან ნახევრად გაგრილე ბული ქვაბების შიშინი ისმოდა. ეტყობოდა, რეცხვა დამთავრებულიყო და პატიმრები თავ თავიანთ საკანში წაეყვანათ. ამ ოთახის მარჯვენა კუთხეში, რომელშიც მე ვიდექი, უზარმა ზარიხის მაგიდა იდგა, მაგიდაზე დასტა-დასტად დაწყობილი დაუთოებული ზეწრებისა და ბალიშისპირების გორები ეწყო, იქვე წელზევით შიშველი, უზარმაზარი თახთახა მკლა ვებით, გასკდომაზე დაჭიმული ვეებერთელა ძუძუებით გატენილი ლიფითა და ლამაზ, სის ხლით სავსე, შავთმაჩამოშ- ლილ სახეზე ოფლდასხმული, ორმოციოდე წლის დედაკაცი იდ გა.

თავბრუ დამეხვა, და რომ არ წავქცეულიყავი, იქვე უზურგო სკამზე ჩამოვჯექი.

მას ჩემი შემოსვლა არ შეუმჩნევია, მხოლოდ მაშინ შემომხედა, აკოჩებული სკამის ხმა რომ გაიგონა. არც შეუკივლებია, არც თავისი სიშიშვლის შერცხვენია, უბრალოდ განცვიფრებული და უზომოდ ცნობისმოყვარე თვალებით შემომხედა. თანდათან თვალებში გაკვირვება გაუქ რა და ის გაკვირვება ცნობისმოყვარეობად ექცა, შემდეგ – სითბოდ და შემდეგ –სიხარულად. ეს ყველაფერი ან ერთ წამში მოხდა, ან მომეჩვენა.

– მე მეხუთე მეათედან ვარ, აი, სარეცხი მოვიტანე! – ვუთხარი მე ენის ბორძიკით. მან არაფე რი მიპასუხა, ისე გაიღიმა, რომ ვიგრძენი, როგორ გადამევლო გულზე მდუღარე. – აი, ეს არის სულ, ხუთი ზეწარი და ხუთი ბალიშისპირი. სად დავდო? – დადე მანდ! – მითხრა მან და კარისაკენ გაიხედა. – მარტო ხარ? – გარეთ იცდის, ამხანაგს ელაპარაკება! – ვუთხარი მე და სარეცხი სკამზე დავაწყვე.

– რა გქვია? – ზაზა! – მოდი! – იგი ღრმად სუნთქავდა და თვალს არ მაცილებდა. მე შევცბი და უკან, კარისაკენ გავიხედე.

– ნუ გეშინია, მოდი! – სად დევს ჩვენი სარეცხი, მითხარი! – მოდი ჩემთან! – მომეცი თეთ რეული და წავალ! – მოდი! – სად დევს მეხუთე მეათეს თეთრეული? – მოდი და წაიღე! – მე მივუახლოვდი.

– სად, სად დევს, ხელი უნდა მოვაწერო ჩაბარებაზე...

– მოდი ჩემთან. – მან უთო დადო და ხელები ჩემსკენ გამოიწოდა. მე ადგილზე გავშეშდი.

– მოდი, სულელო, სანამ დროა, მოდი. –მას ხმა უთრთოდა და გაშიშვლებულ მკერდზე წითელი ლაქები დააყარა. – მოდი, მოდი მალე, მოდი ჩემთან... – ჩურჩულებდა იგი და მე მივედი.

ჯერ მისი ათრთოლებული და სველი და მხურვალე ძლიერი მკლავები ვიგრძენი მხრებზე და ყელზე.
მერე მისი ნაკვერჩხლებივით გავარვარებული სქელი და სველი ტუჩები, შემდეგ – გახურებული მკერდი, ოფლიანი, გახურებული და ათრთოლებული მთელი სხეული, სასიამოვნო, უზომოდ, უსაშველოდ, უსასრულოდ სასიამოვნო სისველე, სიმხურვალე, სუნი, მერე ვიგრძენი, როგორ მომეკვეთა მუხლები, როგორ დავეშვით ორთავე სველ იატაკზე, როგორ ავიზილეთ ოფლში, ხვნეშაში, კვნესაში, ჩურჩულში, ალერსში, ცრემლებში, როგორ გახდა ყველაფერი ვარდისფერი, როგორ ვცურავდი ამ ვარდისფერ ლოკოკინასავით სლიპ, და უფორმო სიმხურვალეში, რომელიც თანდათან მისხლტებოდა ხელიდან და ჩვენ ჩქარა, ძალიან ჩქარა, თითქოს გვეშინოდა ერთმანეთისათვის უთქმელი არ დაგვრჩენოდა რამე, ვიდრე ეს ვარდისფერი სიცოცხლე გაგვისხლ- ტებოდა ხელიდან, ვეჩურჩულებოდით ერთმანეთს: – სიცოცხლეო! – მზეო! – ღმერთო... მომკალი, ღმერთო!..

– რა კარგი ხარ, ღმერთო!..– შენიჭირიმე!..
– არ წახვიდე...

– არა...

– ხომ არ წახვალ?! – არა, არა, არა...

– ღმერთო, ღმერთო, ღმერთო!..

მერე უცებ ტვინში ორი ნერვი შეერთდა, ძლიერმა დენმა დაიარა სხეულის ყველა უჯრედში, ყველა ფოსოში და ყველაფერი თავის ადგილზე დაბრუნდა. უცებ საოცარი სიგრილე ვიგრძენი, თითქოს საიდანღაც სიომ დაუბერა. შევხედე, იგი იღიმებოდა და ათრთოლებული ხელით მწმენდდა შუბლიდან ცივ ოფლს.

– რა გქვია? – ვკითხე მე.

– ადექი, თორემ ჩამოვა.

– რა გქვია? – მარო! – რაზე ზიხარ? – ადექი, თორემ ჩამოვა...

– სარეცხი უნდა ჩაგაბარო! – ჩაბარებულია, ადექი.

– ხელი უნდა მოვაწერო რაღაცაზე.– არ გინდა, ადექი! – მე ავდექი. – აი, იქიდან აიღე ხუთი ზეწარი, ხუთი ბალიშისპირი და წადი.

– რაზე ზიხარ, მარო? – საპონი მოვიპარე! – გაიღიმა მან.

– ტყუილია.

– მილიციელს ენა გამოვუყავი...

– თქვი, რაზე ზიხარ...

– შენ პატიმარი ხარ თუ პროკურორი? – მაინტერესებს.

– მე ხომ არ გეკითხები, რაზე ზიხარ-მეთქი, შენც ნუ მეკითხები. აიღე თეთრეული და წადი.

– ვეღარ გნახავ? – ვკითხე.

– რამდენი წლისა ხარ? – ოცის! – გეტყობა! – მითხრა მან ღიმილით.

– ვერც გარეთ? – ვკითხე საქციელწამხდარმა.
– წადი, გარეთ თუ მომენატრე, მოგნახავ. – გამიღიმა მან დაწამოდგა მთელითავისი უზარმა ზარი, ლამაზი და ჯანსაღი სხეულით. მივედი და ლოყაზევაკოცე, ლოყა ნამიანი ჰქონდა და გრილი.

გარეთ რომ გამოვედი, ზედამხედველები ისევ ლაპარაკობდნენ. გამიკვირდა, ამდენ ხანს რაზე ლაპარაკობენ-მეთქი.

– მორჩი? – მკითხა ჩემმა.

– ჰო! – ვუთხარი და მშვიდად ამოვისუნთქე.

– რა გჭირს, კაცის ფერი არ გადევს! – მკითხა ზედამხედველმა.

– ცუდი ჰაერია იქ! – ავუხსენი მე.

– მართალია, ჭირის დღესავით მეზიზღება იქ ჩასვლა, ქალების სუნია აუტანელი. წავედით! – მითხრა მან. – კარგად იყავი, გოგი, – დაემშვიდობა იგი მეორე ზედამხედველს.

– კარგად, არსენ! – დაემშვიდობა ისიც.

საკანში რომ შევედი, დევდარიანი და გულოიანი ჭადრაკს თამაშობდნენ. ბატონი ისიდორე წიგნს კითხულობდა, შოშია კი მუმიასავით იჯდა და ჭერს მიშტერებოდა.

– რა ჰქენი? – მკითხა დევდარიანმა.– მოვიტანე! – ვუპასუხე, თეთრეული ნარზე დავყარე და ღონემიხდილი წამოვწექი.

– ქალები ნახე? – მკითხა მან.

– რა ქალები? – ვკითხე მე.

– მრეცხავი ქალები! – არა, წასულები იყვნენ...

– ჰოო, ერთხელ ვიყავი მეც საცვლის ამოსატანად. საშინელებაა წელზევით შიშველი ქალების ყურება, ნამდვილი ანანიზმია, ნერვები დამაწყდა... – თქვა დევდარიანმა და წამოდგა.

– სად მიდიხარ, ითამაშე! – გააჩერა ტიგრანამ.

– რა უნდა ვითამაშო, ერთ სვლაში მატი გაქვს, კრეტინო! – უთხრა დევდარიანმა და ნარზე წა მოწვა.

* * *

მე და დევდარიანი გვერდიგვერდვწევართ. იგი თითქმის ყოველთვის თავქვეშ ხელამოდებუ ლი და თვალდახუჭული წევს ნარზე. ვერ გაიგებ, სძინავს თუ არა. დავაკვირდი, ქუთუთოებს ქვეშ თვალებს თუ ამოძრავებს, ესე იგი არ სძინავს-მეთქი. არ ამოძრავებს. მაშასადამე, სძი ნავს. მე კი
დღევანდელი ამბის შემდეგ არ მძინავს, ან რა დამაძინებს, ვინმესთან საუბარი მინდა, იმიტომ კი არა, რომ მომხდარი მოვუყვე, არა, ეგ ამბავი რომ მოვყვე, ისედაც ბოღმით ყელამდე სავსე ბიჭებს გულები დაუსკდებათ, ან არ დამიჯერებენ, ესეც არ იყოს, ასეთი ამბების მოყოლა არც

მიყვარს. დევდარიანს სძინავს, შოშია სადილის შემდეგ მკვდარივით არის, იქნებ არც სძინავს, მაგრამ მაგასთან ლაპარაკი არც ღირს, მაგასთან რომ ვლაპარაკობ, სულ ტირილი მინდა, თავი მეზარება, სიკვდილი მენატრება და კაცობრიობა მეცოდება. ტიგრანა ნამდვილი ავაზაკია, რა ამბავსაც არ დაიწყებს, უეჭველად მკვლელობით ამთავრებს. ერთი კია, კაცის მოკვლის ამბავს ისე მოგიყვება, იფიქრებ, რა ადვილი ყოფილა სიკვდილიო. ასეთი კაცი ონკოლოგიურ საავად მყოფოში უნდა მუშაობდეს მთავარ ექიმად. იცოცხლე, ისიდორე ბატონთან საინტერესოა საუბარი, მაგრამ სძინავს, ისე ხვრინავს, რომ უეჭველად ძილშია, წყალი არ გაუვა. ამოვიოხრე და გვერდზე გადავბრუნდი, თვალი ავარიდე ამ მარადიულ ნათურას,ვერ იქნა და ვერ შევეჩ ვიე, ნერვებს მიშლის.

– რა მოგივიდა, ბიჭო! – მკითხა დევდარიანმა. გამიხარდა, ასეც ვიცოდი, რომ არ ეძინებოდა.

– არ მეძინება, ლიმონ! – შეყვარებული ხარ? – რა ვქნა, ლიმონ, საკმარისია ერთხელ ვნახო ქა ლი, დაველაპარაკო, გამიღიმოს და მიყვარდება.

– უბედური კაცი ყოფილხარ! – კიდევ უარესი, ას კაცში რომ ვიდგე და ლამაზმა ქალმა გაიაროს და შემოგვხედოს ასივეს, ასე მგონია, მე შემომხედა, შევუყვარდი და, რომ მივიდე და ვთხოვო, ცოლად თუ არა, ერთი ღამით მაინც გამომყვება ჩემგან გონებადაკარგული და ჭკუადაკარგული. ვიცი, რომ სულელი ვარ, მაგრამ რა ვქნა.

– ბედნიერი კაცი ყოფილხარ! – ამოიოხრა ლიმონამ.

– რატომ? – ვკითხე.

– თუნდაც იმიტომ, რომ იცი, სულელი რომ ხარ.

– აი დღეს მრეცხავი ქალი ვნახე და შემიყვარდა, სულ თვალწინ მიდგას. – ვთქვი მე.– ნუნუ ექიმი აღარ გიყვარს? – მკითხა დევდარიანმა.

– ისიც მიყვარს, მაგრამ ეს უფრო ნაღდად მიყვარს, მარო...

– მარო ჰქვია? – ჰო! – ლამაზია? – რაც ციხეში ვარ, ულამაზო ქალი არ მინახავს. ამ დასაწვავში ყველა ლამაზია.

– ეგ ეგრეა.
– ალბათ. – დუმილი ჩამოვარდა. მერე ლიმონამ დაიწყო, ისედაიწყო, თითქოსმე კი არა, თა ვის საკუთარ თავს უყვებოდა.

– ის, ასე არ იყო, მართლა ლამაზი იყო, მერედა, როგორი ლამაზი...

– ლიმონა თავის წარსულს იგონებდა; ისე გავინაბე, თითქოს ქვეყნად აღარ ვარსებობდი, მივ ხვდი, რაღაც დიდი, ბევრი წლების მანძილზე დაგროვილი და დაგუბებული გადმოდიოდა ჯებირს, რაღაც უსაშველო აღსარება იწყებოდა.

– მერედა როგორი ლამაზი... – გაიმეორა მან და განაგრძო: – მაიდანში ერთი მწითური ურია ცხოვრობდა. ბაბალიკაშვილი ეფრემა, ნაჯიბგირალი, ჩემთან ერთად დარბოდა 10 ნომერ ტრამვაიზე.

მერეოქროთი ვაჭრობა დაიწყო. ახლა ისრაელში წავიდა. იმან ერთი საქმე მომცა სოლოლაკში, კოჯრის ქუჩაზე, კბილის ტექნიკის ბინა. ის კბილის ტექნიკი, თურმე ეფრემასაგან ყიდულობ და ოქროს. მომცა და ავიღე. ათი წლის წინანდელი ამბავია, გუშინდელივით მახსოვს. ივნისი იყო, ჩრდილში 40 გრადუსს უჩვენებდა, მთელი თბილისი ათესილი იყო აგარაკებზე. ის კბი ლის ტექნიკი კი იმ პაპანაქებაში სახლში იჯდა და მუშაობდა. ბელეტაჟზე ცხოვრობდა. შაბა თი დღე იყო, მიღება ჰქონდა. საქმეზე მარტო წავედი. ყბაახვეული მივედი და მოსაცდელ დე რეფანში გრძელ ხის სკამზე ჩამომწკრივებულ სახედაღმეჭილ ავადმყოფებს მივუჯექი. ბოლო ვინ არის-მეთქი, მაინც ვიკითხე ზრდილობისათვის. პასუხი რომ არავინ გამცა ამ სულელურ კითხვაზე, დავჯექი. არსად ადამიანები ისე ზრდილობიანად არ ეპატიჟებიან ერთმანეთს – არა თქვენ მიბრძანდით, ბატონო, პირველი, არა თქვენო, – როგორც კბილის ექიმის კართან. იმდენი ზრდილობა გამოვიჩინე, ყველა ჩემს შემდეგ მოსული შევაგზავნე ექიმთან. ჩემი რიგი რომ მოვიდა, დაბნელდა. ოთახიდან ჩია ტანის, სისხლით მოსვრილხალათიანი და მკლავებდაკაპიწე- ბული, სახედაჭმუჭნილი კაცი გამოვიდა. დერეფანში სინათლე აანთო, ერ თხანს მიყურა, მერე თავის გაქნევით მანიშნა,შემომყევიო. მე შევყევი, კარი რომ გავიხურე, სწრაფად და შეუმჩნევლად გასაღები გადავატრიალე და ჯიბეში ჩავიდე. ექიმი სავარძელთან მივიდა და ხელით მანიშნა, დაჯექიო. კბილის საბურღავი მანქანა და კბილის დასაძრობი ხელსაწყოები რომ დავინახე, ბავშვობიდან გამოყოლილი ინსტინქტით შემაჟრჟოლა და შუბ ლზე ცივმა ოფლმა დამასხა. მაინც ჩავჯექი. ექიმმა შუბლზე ნიკელის პრიალა თეფში გაისწო რა, ყბაზე აკრული სახვევი მომხსნა, თეთრზეწარგადაფარებულ ტახტზე დააგდო. ნიკაპზე მარჯვენა ხელის ცერი დამაჭირა. ქვედა ყბა ჩამომიწია და გულმოდგინედ ჩამხედა პირის ღრუში.

– რომელი კბილი გტკივათ? – ოდნავ გაკვირვებულმა მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

– არც ერთი! – ვუთხარი მე, როდესაც ცერი ამიშვა ნიკაპიდან და დალაპარაკების საშუალება მომეცა.

– მაშ, რაზე მობრძანდით? – მკითხა ახლა ნამდვილად გაოცებულმა.

– როგორ მოგახსენოთ... – დავიწყე მე.

– ამხანაგო, ძალიან დაღლილი ვარ, თან არ მცალია, მითხარით, რა გინდათ?! – მითხრა მან მკაცრად და ხალათის გაძრობა დაიწყო. სავარძლიდან წამოვდექი.მართალი გითხრა, ვღელავდი, მუხლებიც მითრთოდა ოდნავ და ხმაც, ხელები კი, არვიცოდი, სად წამეღო. ასეთ საქმეზე პირველად ვიყავი მარტო. თან საქმემ ისეთი ხასიათი და ტონი მიიღო, კინოში გადაღებულ დეტექტივს ემსგავსებოდა თანდათან.

– მე ფული მინდა! – გამოვუტყდი როგორც იქნა. ექიმს თვალები შუბლზე აუვიდა. – ოქროც! – დავაყოლე მე და გამშრალი ტუჩები ენით გავილოკე.

– რომელი ფული და ოქრო? – გაგიჟდა ექიმი.

– ქაღალდის ფული და ბაჯაღლო ოქრო! – გავუღიმე მე.

– თქვენ სულელი ხომ არ ხართ? – მკითხა მან საოცარი გულწრფელობითა და ცნობისმოყვარეობით.

სხვა გზა აღარ მქონდა, პიჯაკი გავიხსენი და ქამარში გაჩრილი ნაგანი ამოვიღე... კბილის ექიმი მოულოდნელობისაგან ჯერ გაფითრდა, მერე სავარძელში ჩაჯდა, რომ არ წაქცეულიყო, და დაელამდა. ოდნავ რომ მოსულიერდა, მინის კარადაზე მიმითითა და მთხოვა: – ის ბოთლი მომაწოდეთ, თუ შეიძლებაო. ვიდრე მივაწოდებდი, ცხვირთან მივიტანე, ნიშადურის სპირტი აღმოჩნდა, უნებლიეთ გამეღიმა დაგადავეცი. გაღიმებული რომ დამინახა, ცოტა იმედი მიეცა, სპირტს უყნოსა, მერე ვაჭრობა და დროს გაყვანა დაიწყო.

– რამდენი გნებავთ? – მკითხა მან.

– მე აქ ფულის სასესხებლად არ მოვსულვარ, რაც გაქვთ, სუყველა მინდა და რაც შეიძლება სწრაფად! – ვიყვირებ! – დამემუქრა ის.

– აქ ყვირილი არ გამოვა, კბილის ტექნიკის ბინაა და ყველა იფიქრებს, კაცს კბილს აძრობენო! – ავუხსენი მე. ექიმს საქციელი წაუხდა.

– არ მაქვს არც ფული, არც ოქრო! – თქვა მან გამშრალი ხმით.

დრო სწრაფად მიდიოდა. სპექტაკლიც უნდა დასრულებულიყო, სხვა გზა არ მქონდა, ნაგანი ფეხზე შევაყენე და დავუმიზნე. ნაგანს, გარდა იმისა, რომ უტყუარია, სხვა იარაღთან ის უპი

რატესობა აქვს, რომ შიშველ ქალს ჰგავს, მისი ლულიდან კბილდაკრეჭილი სიკვდილი გიყუ
რებს, ბარაბანიდან შვიდივე ტყვია ჩანს და ეფექტიც საოცარია. ამიტომ ყველა საქმეში მხო
ლოდ ნაგანი დამაქვს ხოლმე.
ამ შემთხვევაშიც თავისი გააკეთა ნაგანმა, ექიმი სავარძლიდან ჩამოცურდა და მუხლებში ჩამი
ვარდა...– არა, თქვენ არ მომკლავთ მე... რა სისულელეა, რა ოხრად მინდა ფული, ოქრო, ვერ
ცხლი, პლატინა, სპილენძი, მიირთვით, აი ფული! – იგი მივარდა კარადას, ასმანეთიანების
შეკვრა წინ დამიგდო, მერე უჯრა გამოაღო და რამდენიმე გადამდნარი ზოდი დამიდო წინ, –
ესეც ოქრო, წაიღეთ, წაიღეთ, – მერე მეორე ოთახში გავარდა, – აი, ჩემი, ჩემი ქალიშვილის ოქ
როს საათი, სამაჯური, საყურე, ბრილიანტის ბეჭედი, ორკარატიანია, ოცდაათი ათასი ღირს,
წაიღეთ, წაიღეთ... – მე უკან დავყვებოდი ჭკუაზე გადასულ ექიმს და ყველაფერს ჯიბეებში
ვიწყობდი... – კიდევ რა? კიდევ რა მაქვს, აი, ბროლის ჭურჭელი, წაიღეთ, წაიღეთ... – მან ბუფე
ტის ორთავე კარი გააღო და თითქოს საკომისიო მაღაზიის დირექტორი ყოფილიყოს, ისე მი
ქებდა საქონელს, – ჩეხური ბროლია, ოქროს ფასი აქვს... წაიღეთ, წაიღეთ! – უცებ საშინელი
ზიზღი ვიგრძენი ამ კაცისა და ჩემი თავის მიმართაც, რაღაც აუწერელი სიბინძურითა და ჭუჭ
ყით სავსე მომეჩვენა ეს სახლი, რომლის შუაგულში ვიდექი ყელამდე ჩაფლული და ვიხრჩო
ბოდი, ექიმსზურგი შევაქციედა კარისაკენ წავედი სწრაფად და აქ მოხდა ის, რაც არც ერთ
ჩემს ამქარს არ სჯერა და, თუ სჯერა, სასაცილოდ არ ყოფნის...

– დევდარიანი დადუმდა. მე ხმისამოღებას ვერ ვბედავდი, რომ მისი ფიქრი არ გამეწყვიტა.
დევდარიანმა ისევ დაიწყო: – ...იმათ კი არა, ხანდახან თვითონ მეც არ მჯერა, არადა, იმ დღემ
გახადა ყველა ჩემი სიზმარი აუხდენელი... შეიძლებოდა კი სულ სხვანაირად წასულიყო საქ
მე... ექიმი ისევ რაღაცას ქაქანებდა, მე უკვე აღარ მესმოდა, ყურს აღარ ვუგდებდი, ნაგანი ქა
მარში გავირჭვე, პიჯაკი შევიკარი და, წასვლას რომ ვაპირებდი, ოთახის კედელზე ჩამოკიდე
ბულ ვეებერთელა სარკეში დავინახე საკუთარი თავი, ცოტა დავმშვიდდი. შენ ახლა შეიძლე
ბა უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ არაფერი ისე არ ამშვიდებს ადამიანს, როგორც საკუთარ
ორეულთან შეხვედრა და საუბარი. მე ბევრჯერ მილაპარაკია სარკეში საკუთარ თავთან ხმა
მაღლა და ხელებით, მიჩხუბია კიდევაც და მიგვემია კიდევაც საკუთარი თავი სარკეში. და ახ
ლაც რომ დავინახე საკუთარი თავი, ცოტათი დავმშვიდდი, რადგან სარკიდან უფრო ლამაზი,
უფრო უშიშარი და ძლიერი კაცი მიყურებდა, ვიდრე ამ წუთში ვიყავი მე. ასე მეჩვენებოდა,
ყოველ შემთხვევაში, რადგან სარკეში უსულო კაცი იდგა და ამ უსულო კაცმა, თითქოს ცივი
ტილოა, ისე შემახო თავისი სარკესავით ცივი ხელი გახურებულ შუბლზე და დამამშვიდა.
..სარკის კუთხეში, როგორც იციან ხოლმე ნახევრად- პროვინციულ ოჯახებში, ორი ყელმოღე
რებული ქალიშვილის ყავისფერიფოტოსურათი იყო შეკვეხებული. შევხედე და თვალები და
მიბნელდა...

სურათიდან ჩემი ღვიძლი და ლეილა მიყურებდა, სურათი მოვგლიჯე სარკეს და ექიმს მივუ
ტანე. ის განცვიფრებული მიყურებდა.

– ვინ არის ეს ქალიშვილი? – ვკითხე მე ხმის კანკალით.

– ეს მარჯვნივ ჩემი ქალიშვილია, დინარა, ეს კი მისი უნივერსი- ტეტის მეგობარი – ლეილა დევდარიანი. – მიპასუხა მან. მე უხმოდ დავაგდე სურათი როიალის თავზე და ჯიბიდან ნა ძარცვი ნივთების ამოლაგება დავიწყე, ჯერ ფული დავდე როიალის თავზე.

– რაშია საქმე?!! – დაიბნა ექიმი.

– თქვენთან არავინ არ ყოფილა! – ვთქვი მე. ფულს ოქრო მივაყოლე...

– არა, ბატონო! – თქვენთან არავინ არ ყოფილა! – ოქროს გვერდით ჯერ ოქროს სამაჯური დავ დე, მერე ოქროს საათი.

– როგორ გეკადრებათ! – არავინ! – საათს ბრილიანტის საყურე მივუწყვე გვერდით.– არავინ, ბატონო! – ჩურჩულებდა ექიმი. მე აღარ მახსოვს, რას ვაკეთებდი, გადმოვიტრიალე ყველა ჯიბე – პიჯაკისაც და შარვლისაც. ექიმი რაღაცას ჩურჩულებდა...

– ეს ჩვენი არ არის, – მითხრა მან და პორტსიგარი და ოქროს ბეჭედი დამიბრუნა. – ეს ჩვენი არ არის, ეს თქვენია, პორტსიგარი ჩემი არ არის, მე არვეწევი... არც ბეჭედია ჩვენი.. თქვენ იგი

თითიდან წამოიძვრეთ, ეს ცხვირსახოციც და ასანთიც თქვენია!.. – მე მექანიკურად ჩამოვარ თვი მოწოდებული ნივთები და კარისაკენ დავიძარი...

– ნახვამდის, ბატონო, რაშია საქმე, ცუდად ხომ არ ხართ? რამე ხომ არ დაგალევინოთ?... – კა რებს მივადექი და უცებ დარეკა ზარმა. შევცბი, ფანჯრისკენ გავიხედე, გაქცევა უაზრობა იყო. ფანჯრები მაჯისსიმსხო გისოსებით იყო ამოჭედილი, როგორც ყველგანაა პირველი სართულის ფანჯარა თბილისში. ექიმიც შეკრთა და შეშინებული თვალებით შემხედა.

– ნუ გეშინიათ, ნუ გეშინიათ, არაფერია, ოღონდ თქვენ არაფერი ჩაიდინოთ, მე არაფერს არ ვიტყვი, გეფიცებით პატიოსნებას, არაფერს არ ვიტყვი, ალბათ ავადმყოფია, ან მეზობელი, ნუ გეშინიათ, მომეცით გასაღები, აი, ნახეთ, მე არაფერს არ ვიტყვი! – გასაღები გადავეცი. ექიმმაკარის გასაღები გადაატრიალა და კარი გაიღო.

– აი, ხომ გითხარით, ეს ჩემი ქალიშვილი დინარაა! – თქვა მან უზომოდ ბედნიერი ხმით. კარ ში შავი საყელოთი, შავი სამაჯურებითა და შავი ქამრით გაწყობილ თეთრ კაბაში შემოსილი ანგელოზი იდგა და მიღიმოდა.

– გამარჯობათ! – თქვა მან. დევდარიანი გაჩუმდა. გავიდა წუთი, ორი, სამი, იგი ხმას არ იღებ და. საკანში პატიმრების ზომიერი ფშვინვა ისმოდა. მე ამბის დასასრულს ველოდებოდი, დევდარიანი კი ხმას არ იღებდა. ხომ არ ფიქრობს, რომ დამეძინა? გავიფიქრე და ხმაურით გადავბრუნდ-გადმოვბრუნდი. დევდარიანი მაინც დუმდა. თვითონ ხომ არ დაეძინა-მეთქი, გამიელვა თავში, მაგრამ უცებ მივხვდი, რომ სისულელეს ვფიქრობდი. მეტის მოთმენა აღარ შემეძლო.

– მერე, მერე რა მოხდა, ლიმონ? – ვკითხე ვედრებით.

– ... იმ დროს სახლიდან წასული ვიყავი... – დაიწყო მან ცოტა ხნის შემდეგ. – ორი წლის წასუ ლი ვიყავი. ამ ორი წლის განმავლობაში დედაჩემს სამჯერ ვყავდი ხატზე გადაცემული დი დუბის ეკლესიაში.და, ლეილა ჩუმად მხვდებოდა ხოლმე ხან სად და ხან სად, უფრო ხში რად ვაკეში, მრგვალ ბაღთან. მოვიდოდა, მაკოცებდა, გამლანძღავდა, გამთათხავდა, მიწას თან გამასწორებდა, ჯიბგირს, დედის მკვლელს, გველს, ეგოისტს, კაციჭამიას და პირუტყვს მეძახდა, მერე დამადებდა თავს მხარზე და დიდხანს, დიდხანს ტიროდა, ამბობდა, თავმოყ ვარეობა არ მაქვს და იმიტომ გხვდები, დედამ რომ გაიგოს, მომკლავსო. შენ, ალბათ, გაგიკ ვირდება კიდევაც, მაგრამ ვატყობდი, ჩემი და ყველაფერ ამას რომანტიკულად უცქერდა და ცოტას ამაყობდა კიდევაც, ჩემნაირი ძმა რომ ჰყავდა. დედა ამაყი ქალია, ოი, რა ამაყი, ინა ლიფას ქალი. და მაინც ვიცოდი, რომ მისი გამოგზავნილი იყო ჩემი და, თვითონ კი სადღაც, რომელიღაც სადარბაზოში იდგა და ქურდულად მიყურებდა ისე, რომ არ დამენახა. ამას გუ

–

–

მანით ვხვდებოდი, რადგან ჩემი და მარტო არასოდეს მტოვებდა ბაღში, ვიდრე არ წავიდო დი, თვითონ არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა. პირველი მე უნდა წავსულიყავი, ის კი დარჩენილიყო. და კიდევ იმით ვხვდებოდი დედის სიახლოვეს, რომ ბავშვობაში ცივი კატ ლეტი მიყვარდა გაგიჟებით, თეთრ პურთან ერთად, და ის ცივი კატლეტი და თეთრი პური სულ თან მოჰქონდა ჩემს დას. ერთხელ, ბაღში რომ ვიჯექით, ვკითხე, რატომ არ თხოვდები- მეთქი და – შენი შიშით ვერც ერთი ბიჭივერ მეკარებაო, – მითხრა. ლამაზი იყო ჩემი და ძალიან, ახლა გათხოვილია, სამი შვილი ჰყავს. ლამაზი იყო ჩემი და... – თქვა დევ დარიანმა... – მაგრამ ის დინარა ზღაპარი იყო... ისევ დადუმდადევდარიანი, ისევ დაიწყო მოლოდინის დაუსრულებელი წუთები.
ნუ მომკალი, დევდარიანო, მერე? – შევევედრე მე.

– მერე, გამაბედინა იმ დინარამ და ჩემი დის დაბადების დღეზე მივედი 29 აგვისტოს, იმ იმე დით, რომ დინარა იქ მოვიდოდა.

– მერე? – დილით მივედი სახლში. კარი ლეილამ, ჩემმა დამ გამიღო და იკივლა. მერე სამზა რეულოში მთელი საათი ვეგდე დედაჩემის ფეხებში და აღარ მახსოვს, რას ვლუღლუღებ დი, პატიებას, ბოდიშს, გამოსწორე- ბას, ცხოვრების თავიდან დაწყებას და ათასგვარ სისუ ლელეს, რაღაცას სიყვარულზეც ვლაპარაკობდი, აღარ მახსოვს... მერე დედაჩემის ბედნიერი სახე მახსოვს.

საღამომდე... მხოლოდ საღამომდე... საღამოს სტუმრებმა იწყეს მოსვლა, სტუმრებმაო ვამბობ, თორემ რა სტუმრები იყო ლეილას ხუთიოდე ამხანაგი გოგონა და სამიოდე ბიჭი. ზოგიერთმა მათგანმა იცოდა ჩემი ამბავი და ცოტა დაბნეულები მესალმებოდნენ, ზოგიცპირველად მხე დავდა... უცებ კარში გამოჩნდა ის, დინარა, ზუსტად ისე ჩაცმული, როგორც იმ დღეს, შემოვი და და ქალღმერთივით შემომანათა. გვერდით შავ დაკრონის კოსტუმში და თეთრ პერანგში გამოწყობილი მოხდენილი ვაჟი ედგა. დინარას რაღაც კერამიკა ეკავა ხელში. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მის კუპრივით შავ თვალებში ჯერ განცვიფრება, ხოლო შემდეგ აუწერე ლი შიში გამოიხატა, იგი გაფითრდა და ახლა ჩემს დას მიაშტერდა. მე დავმუნჯდი და დავ ბრმავდი. მისი შეშინებული შავი თვალების მეტს ვერაფერს ვერ ვხედავდი.

– გაიცანი, ეს ჩემი ძმაა, კაკო, ეს კი ჩემი მეგობარი დინარა თავისი მეუღლით. – გვაცნობდა ერ თმანეთს ჩემი და. მერე მე დავინახე, როგორ გაუვარდა დინარას ხელიდან კერამიკა და რო გორ დაიმსხვრა მის ფეხებთან, დავინახე მხოლოდ და არ გამიგონია, მერე მან თვალებზე ხე ლები აიფარა, შებრუნდა და კარში გავიდა.

დევდარიანი დუმდა.

–

–

– მერე? – ვკითხე მე ჩურჩულით.

– მერე ყველაფერი გათავდა, სახლი დაცარიალდა, ყველანი წავიდნენ, არავინ არ იცოდა, რა მოხდა, ვიცოდი მხოლოდ მე და გუმანით 35223. ნ. დუმბაძე, ტ. ი‌ი

ხვდებოდა რაღაცას ჩემი და. ახლა დედაჩემი ეგდო ჩემს ფეხებში და ტირილითა და გოდებით მთხოვდა, არ წავსულიყავი, სახლიდან არ წავსულიყავი, და თუ წავიდოდი, ჯერ და და დედა დამეხოცა, სახლისთვის ცეცხლი წამეკიდებია და შემდეგ წავსულიყავი.

– და მაინც წადი? – ვკითხე მე.

– წავედი! – თქვა ლიმონამ. პირუტყვი ხარშენ, დევდარიანო! – ვუთხარი მე. ვიცი! – მშვიდად

მიპასუხა მან. – ქურდებზე უნებისყოფო ხალხი ქვეყნად არ არსებობს. ტყუილად

ჰგონია ხალხს, თითქოს ქურდებს დიდი ნებისყოფა გვაქვს. გვაქვს, ოღონდ იქ არა, საიდანაც საჭიროა, სულ სხვა მხრიდან გვაქვს ნებისყოფა.

– მაინც საიდან? – ვკითხე მე.

– უკუღმიდან! – მიპასუხა მან და ზურგი შემაქცია.

გთხოვთ, ადგეთ, სასამარ~~ა~~ლო მოდ~~ი~~ს!

გთხოვთ ადგეთ სასამარ ლო მოდ ს

დარბაზში მხოლოდ ერთი კაცი ადგა. ისიც ბრალდებული. თავმჯდომარემ სევდიანი თვალე ბი მოავლო ცარიელ დარბაზს, მჯიღში ჩაახველა და თავის დაქნევით ანიშნა ბრალდებულს – დაბრძანდითო. ბრალდებული დაჯდა.

– სასამართლო წინასწარ უაღრესად დიდ ბოდიშს იხდის დამსწრე საზოგადოებისა და ბრალ დებულის წინაშე, რადგან სერიოზული და ფრიად საპატიო, მისგან დამოუკიდებელი მიზე ზების გამო, არ აქვს საშუალება მთლიანად დაიცვას სისხლის სამართლის საპროცესო კო დექსით გათვალისწინებული მისი ყველა მუხლის ყველა პუნქტი და, აქედან გამომდინარე,

–

–

სამსჯავრო სხდომის ნორმალური მსვლელობის სრული ეტიკეტი. – თავმჯდომარემ შუბ ლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა სახელოთი.

დარბაზში თავიდანვე დუმილი იყო.

– დღეს, – დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ მან, – ამა წლის 12 აგვისტოს, განიხილება საქმე სის ხლის სამართლის ბრალდებისა გამო ისიდორე იოსების ძე სალარიძის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სა მართლის კოდექსის 104 მუხლით. – ისევ დუმილი. თავმჯდომარე დაჯდა.

– ბრალდებულო, ადექით ფეხზე! – მიმართა მან სალარიძეს. სალარიძე ადგა.

– რა გვარი ხართ? – სალარიძე! – სახელი, მამის სახელი! – ისიდორე იოსების ძე.

– ასაკი? – 1910 წლის 11 მაისს დაბადებული ქალაქ ხაშურში, დილის ექვს საათზე. განათლება მაქვს უმაღლესი. ვიცი ორი უცხო ენა – ფრანგული და გერმანული. პროფესიით ვარ ეკონო მისტი, ვმუშაობდი სტატისტიკურ სამმართველოში. ვიყავი ცოლშვილიანი, მეუღლე გარდა მეცვალა 1960 წელს, დამრჩა ქალიშვილი და შვილიშვილი. ვცხოვრობდი ვაშლოვანის ქუჩა მ 151-ში. ვარ პარტიის წევრი 1930 წლიდან. – მიაყარა ბრალდებულმა, რათა რაც შეიძლება მალე მოღებოდა ბოლო ფორმალურობას.

– იყავით პარტიის წევრი! – შეაწყვეტინათავმჯდომარემ, ეტყობა მას არსად არ ეჩქარებოდა.

ვარ! – ჯიუტადგაიმეორა ბრალდებულმა. თავმჯდომარემ არაფერი არ უპასუხა. სამართალ

ში მიცემულო სალარიძე, ჩაგბარდათ თუ არა საბრალდებო დასკვნა და როდის? –

ჰკითხა თავმჯდომარემ.

– დიახ, ჩამბარდა, გასულ კვირას.

– სამართალში მიცემულო სალარიძე, სასამართლო სამარჩიელო ბიურო არ გახლავთ, დააზუს ტეთ რიცხვი! – გააფრთხილა თავმჯდომარემ.

სამართალში მიცემულმა ჭერს მიაპყრო თვალები და ტუჩები აამოძრავა, ეტყობოდა, 12 აგვის ტოდან შვიდ დღეს ითვლიდა უკან გუნებაში.

–

–

– ხუთ აგვისტოს! – დააზუსტა სალარიძემ.

– გაეცანით თუ არა საბრალდებო დასკვნას? – დიახ, გავეცანი! – სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ თქვენდამი რწმუნებულ ბრალდებაში? – არა! – ეტყობა ასეთი პასუხი მოულოდნელი იყო თავმჯდომარი- სათვის, მან დაბნეულისახით გადახედა მაუდგადაუფარებელ ხის გრძელ მაგიდასთან, მის გვერდით მსხდომთ და რაღაც ჰკითხა თვალებით, მათ თანხმობის ნიშნად თავები დაუქნიეს თავმჯდომარეს. თავმჯდომარე ცარიელ დარბაზს მიუბრუნდა: – ვიწყებთ საქმის განხილვას. საქმეს განიხილავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შემდეგი შემადგენლობით: 1. ნაკაშიძე – თავმჯდომარე 2. დევდარიანი – სახელმწიფო ბრალმდებელი 3. გულოიანი – სახალხო მსაჯული 4. გოგოლაძე – სახალხო მსაჯული ყველაფერ ამას თავმჯდომარე, რატომღაც, თავჩაღუნული ამბობდა. სასამართლოს შემადგენლობის ჩამოთვლას რომ მორჩა, დადუმდა. ისევ მოავლო სევდიანი თვალები ცარიელ დარბაზს, დიდხანს უცქირა უზურგო ხის სკამზე (ტაბურეტზე) შეციებულ ბეღურასავით მობუზულ ქუთუთოებ- დასიებულ და უპეებჩამოცვენილ, ხანში შესულ სამართალში მიცემულს, ნელ-ნელა მზერა სასამართლოს შემადგენლობაზე გადაიტანა, ისევ ჩაახველა მჯიღში და განაგრძო: – სამართალში მიცემულო სალარიძე, აცილებ ხომ არა გაქვთ სასამართლოს ზემოთ მოხსენებული შემადგენლობის რომელიმე წევრის მიმართ? – არა! – წამოდგა სამართალში მიცემული.– სხვა რამ პრეტენზიები ხომ არ გაგაჩნიათ სასამართლოს მიმართ? – არა! – როგორც სასამართლოსათვის ცნობილია, საქმის წინასწარი გამოძიების დროს თქვენი უარი განაცხადეთ დაცვაზე! – დიახ! – ხომ არ გნებავთ სასამართლომ სახელმწიფოს ხარჯზე ახლა დაგინიშნოთ დამცველი? – არა! – ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, მისცეთ სასამართლოს ჩვენება წაყენებული ბრალდებისა და საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რომელნიც თქვენთვის ცნობილია. – თავმჯდომარე იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, თავი ხელებში ჩარგო, თვალები მოჭუტა და მოსასმენად მოემზადა. მოსასმენად მოემზადნენ სახელმწიფო ბრალმდებელი და სახალხო მსაჯულებიც.

სამართალში მიცემულმა დაიწყო: – ღამის პირველი საათი იქნებოდა. ზარის გაბმულმა ხმამ გამაღვიძა. მივხვდი, ჩემი სიძე იყო და ყურადღება არ მივაქციე, თუმცა დაველოდე, როდის ადგებოდა ჩემი ქალიშვილი, ეტყობა ეძინა. სიძე ელექტროზარიდან თითს არ იღებდა. ბოლოს ფეხის ხმა გავიგე.
კარი ჩემმა ქალიშვილმა გაუღო. ღიღინით შემოვიდა. გძინავს, არა?.. არ მელოდებით? –

თქვა სიძემ გამომწვევი ხმაურით და რაღაც ნივთი დააგდო.

–

–

ნუ ხმაურობ, ხალხს სძინავს, გვიანიაახლა, დაწექი და დაიძინე! – უპასუხა წყნარად ჩემმა ქალიშვილმა.

– ვინ ხალხს? მამაშენ ეკონომისტს? ისვენებს, სძინავს და ნუ გააღვიძებ არა? – ჰკითხა სიძემ ჩემს ქალიშვილს.

– ბავშვსაც სძინავს! – უპასუხა ჩემმა ქალიშვილმა.

– ბავშვი ჩემია, მინდა გავაღვიძებ, მინდა არა! – ისევ გამომწვევად თქვა ჩემმა სიძემ და ხმაურით გაიარ-გამოიარა კარის წინ. მივხვდი, ნასვამი იყო... შემდეგ ისინი თავიანთ ოთახ ში შევიდნენ, კვლავ დიდხანს მესმოდა იქიდან ხმამაღალი ლაპარაკი, სიტყვებს ვერ ვარჩევ დი, ჩემი ქალიშვილი რაღაცას ეხვეწებოდა, ბოლოს მუდარაზე გადავიდა, იგი არ ცხრებო და, რაღაცას ამტვრევდა, რამდენჯერმე ჩემი ქალიშვილის შეკივლება მომესმა, ბოლოს ბავ შვის ტირილიც გავიგონე. მივხვდი, სცემდა. ვეღარ მოვითმინე. ავდექი, დერეფანში სინათ ლე ავანთე და ქალიშვილისა და სიძის ოთახში შევედი. ჩემი ქალიშვილი საწოლზე იჯდა, გამსკდარ ტუჩიდან გამოდენილ სისხლს იწმენდდა ცალი ხელით, მეორეთი კი ბავშვს აწყნა რებდა.

– დაგხოცავთ, თქვენი უმადური დედაც ვატირე! – ყვიროდა იგი აღელვებული,ტახტზე იჯდა პერანგის ამარა, – გაეთრიე გარეთ! – მიღრიალა მან, როდესაც დამინახა და ფეხზე წამოდგა. – გაეთრიე გარეთ, შენი ბებერი ოხერი დედა ვატირე! – გაიმეორა. მე სილა გავაწანი. იგი უცებ გაშრა მოულოდნელობისაგან. მერე, როდესაც გონს მოეგო, რაც ძალი და ღონე ჰქონ და, დამარტყა და იატაკზე დამაგდო. ჩემმა ქალიშვილმა შეკივლა და საწოლიდან წამოხტა. მე უცებ წამოვდექი, თავბრუ მეხვეოდა.

– მხეცო, ნადირო, პირუტყვო! – ქვითინებდა ჩემი ქალიშვილი. – ბაბუ, არ წახვიდე! – წიოდა ჩემი შვილიშვილი. მე ბარბაცით გავედი ჩემი ქალიშვილისა და სიძის ოთახიდან, ჩემს ოთახში შევედი და კედლიდან ორლულიანი 12 ყალიბრის სანადირო თოფი ჩამოვხსენი. – სამართალში მიცემულმა ცოტა ხნით სული მოითქვა და ისევ განაგრძო.

– თოფი ჩამოვხსენი და სიძესთან შევედი... თოფით რომ დამინახა, გაშტერდა.

– გაეთრიე ჩემი სახლიდან! – ვუთხარი მე.

– დააგდე თოფი! – თქვა ჩემმა სიძემ.

– გაეთრიე ჩემი სახლიდან! – გავიმეორე მე.– დააგდე თოფი, ბებერო იდიოტო!!! – ისევ თქვა მან და ჩემკენ წამოვიდა.

სახალხო მსაჯულ გულოიანს კისერზე და შუბლზე ძარღვები დაებერა, მერე უცებ მიტკალი ვით გაფითრდა და ფეხზე წამოდგა. სახელმწიფო ბრალმდებელმა დევდარიანმა მხარზე ხე ლი დაადო და ძალით დასვა, თავმჯდომარე ათრთოლებულ თითებზე ფრჩხილებს იკვნეტ და.

– მე თოფი მუცელზე მივიბჯინე და ორთავე ჩახმახი ფეხზე შევაყენე! – განაგრძო სამართალ ში მიცემულმა. სახალხო მსაჯული ისევ ადგა ფეხზე, ამჟამად სახელმწიფო ბრალმდებელმა დევდარიანმა ვეღარ დასვა.

– იგი ორთავე ხელით ჩააფრინდა ლულას და ჯაჯგური დამიწყო და მაშინ მე ორთავე ჩახმა ხის სასხლეტი დავუშვი... – სახალხო მსაჯული გულოიანი დაჯდა. – მე თოფის ხმა არ გამი გონია, დავინახე მხოლოდ, როგორ გადავარდა გულშეღონებული ჩემი ქალიშვილი და რო გორ იფეთქა სისხლმა ჩემი სიძის პირიდან. სულ ბოლოს დავინახე ჩემი პატარა შვილიშვი ლის გადარეული თვალები და ყოველივე ეს სიზმარი მეგონა, არ იყო კაცი დედამიწაზე, რო მელიც იმ წუთში დამაჯერებდა, რომ ეს ყველაფერი ცხადად მოხდა...

– რატომ? – ჰკითხა აკანკალებული ხმით თავმჯდომარემ.

– საქმე იმაშია, რომ თოფი ცარიელი იყო!.. – სამართალში მიცემულმა ისე შვებით ამოისუნ თქა, თითქოს დედამიწა იმ წუთამდე მის მხრებზე ესვენა და ახლა ვიღაც შეეშველაო.

განცვიფრებული სასამართლო კრინტს ვერ ძრავდა! – როგორ თუ თოფი ცარიელი იყო?! – ჰკითხა ბოლოს ჩურჩულით თავმჯდომარემ.

– თოფი ცარიელი იყო, ორი დღის წინ მე გავწმინდე, ჩემი ხელით, თოფი ცარიელი იყო.

– მერედა, ვინ ჩააწყო შიგ ტყვიები? – ჩემმა სიძემ.

– ვინ გითხრათ? – თვითონ მითხრა, სიკვდილის წინ, მკლავზე რომ მეწვა, თვალებით მით ხრა, მე მივხვდი, რომ მითხრა, სხვა ვერავინ მიხვდებოდა, სხვა ვერავინ...

– ვინ დაადასტურებს ამას? – ჰკითხა თავმჯდომარემ.– არავინ! – უპასუხა სამართალში მიცე მულმა და მწარედ გაიღიმა.

– შემდეგ? – შემდეგ ყველაფერი უჩემოდ მოხდა, მე მეტი არაფერი არ ვიცი! – არაფერი არ გაქვთ დასამატებელი? – არაფერი! – სულ არაფერი? – სულ არაფერი! – დაუდასტურა სამარ

თალში მიცემულმა. მოსამართლემ მხრები აიჩეჩა და სახელმწიფო ბრალმდებელს გადახე და. იმანაც მხრები აიჩეჩა.

– იქნებ მაინც გაიხსენოთ რაიმე დეტალი, ბრალდებულო? – თხოვა თავმჯდომარემ.

– რა დეტალი? – გაუკვირდა ბრალდებულს.

– თავის გასამართლებელი დეტალი, ბრალდებულო! – არ არსებობს ასეთი დეტალი! – გაიღი მა ბრალდებულმა მწარედ.

– ასეთ შემთხვევაში, ნება მომეცით, სიტყვა სამართალში მიცემულის დასაკითხავად სახელ მწიფო ბრალმდებელს, იუსტიციის უფროს მრჩე- ველს, პროკურორ დევდარიანს გადავცე! – მიმართა ცარიელ დარბაზს თავმჯდომარემ. – გთხოვთ! – მიუბრუნდა იგი პროკურორს, შემ დეგ წინანდელი მდგომარეობა მიიღოდა კვლავ მოსასმენად მოემზადა. პროკურორი სამარ თალში მიცემულის დაკითხვას შეუდგა: – სამართალში მიცემულო სალარიძე, თქვენ ბრძა ნეთ, რომ არ იცოდით, იყო თუ არა თოფში ვაზნები, თქვენ თოფი ცარიელი გეგულებოდათ.

– დიახ.

– მაშინ ხომ არ აგვიხსნით, რატომ გახვედით თქვენი ქალიშვილის და სიძის ოთახიდან თო ფის მოსატანად? – სიძის შესაშინებლად! – დარწმუნებული იყავით, რომ თქვენ სიძეს ცა რიელი თოფით შეაშინებდით? – არა, ჩემ სიძეს ცარიელი თოფით ვერ შეაშინებდა კაცი.

– მაშ, რაღად მოიტანეთ თოფი? – ჩემმა სიძემ არ იცოდა, რომ თოფი ცარიელი იყო.

– მაშინ ის უნდა ცოდნოდა, რომ თოფი დატენილი იყო.

– არც ეს უნდა ცოდნოდა! – სალარიძე, დაფიქრდით, რას ლაპარაკობთ, ჯერ ისეთი თოფი არ გამოუგონებიათ, რომ ერთდროულად დატენილიც იყოს და დაუტენელიც. – გააფრთხილა სახელმწიფო ბრალმდებელმა. სალარიძე დაფიქრდა.

– მართალი ბრძანდებით, ჩემი სიძე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომთოფში ტყვიები ელაგა.

– რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას თქვენთვის, სალარიძე, თუ თქვენ იცოდით, რომ თოფი ცა რიელია? – ჰკითხა პროკურორმა.

– მე მეგონა, რომ იგი შეშინდებოდა და პატიებას ითხოვდა.

– მაგრამ ეს არ მოხდა?! – არ მოხდა! – და რომ მომხდარიყო, თქვენ აპატიებდით ქალიშვილი სა და საკუთარ შეურაცხყოფას? – სალარიძე დაფიქრდა და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ თავი დააქნია.

– ვაპატიებდი, ვაპატიებდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავინახავ- დი მუხლებზე დაცე მულს...

– სალარიძე, როგორც თქვენი ჩვენებიდან ირკვევა, სიძეს არ შეეშინდა და თქვენზე წამოვიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დარწმუნდა, რომ თოფი ცარიელი იყო? – დიახ! – მაშ რაღად შეაყენეთ ჩახმახები ფეხზე, რა აზრი ჰქონდა ამას, თუ თქვენც და თქვენი სიძეც ორთავე დარ წმუნებული იყავით, რომ თოფი ცარიელი იყო? – მე, მე უკანასკნელი ცდა გავაკეთე, შეიძლე ბა უაზრო, მაგრამ მაინც.

– რატომ გაგაფრთხილათ სიძემ, რომდაგეგდოთ თოფი, თუ მას თოფის არ ეშინოდა? – არ ვი ცი.

– როდესაც სასხლეტი დაუშვით, დარწმუნებული იყავით, რომ თოფი არ გავარდებოდა? – დი ახ...

– მაშ, რაღად დაუშვით სასხლეტი? – მექანიკურად! – რომ არ გავარდნილიყო თოფი, რას აპი რებდით? – არ ვიცი.

– ხომ დარწმუნებული იყავით, რომ სიძე წაგართმევდათ თოფს? – სალარიძე დაფიქრდა.

– დიახ! – თქვა მან ბოლოს.

– სალარიძე, დაუშვებდით თუ არა სასხლეტს, თოფში ტყვიები რომ ყოფილიყო? – სალარიძემ წყალი მოითხოვა, ერთ-ერთმა მსაჯულმა დაუსხა, სალარიძემ გამშრალი ხახა გაისველა და უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია.

– არ ვიცი! – სიტყვით კი ასე თქვა.

– სალარიძე, ადრე თუ გიფიქრიათ იმის შესახებ, რომ ადამიანის მოკვლა შეგეძლოთ? – არ არის კაცი, რომელსაც ამაზე არ ეფიქროს! – თქვა სალარიძემ.

– რა დასკვნამდე მისულხართ? – შედეგითუ გაინტერესებთ, ფაქტი სასაფლაოზეა, ჩემი სიძე მკვდარია! – მწარედ გაიღიმა სალარიძემ.

– ფაქტი სასაფლაოზეა, სალარიძე, მაგრამ ჩვენ ის გვაინტერესებს, განზრახ მოხდა ეს თუ უნებ ლიეთ. – თქვა პროკურორმა თავისთვის. სალარიძემ არაფერი უპასუხა. – კიდევ ერთი კით ხვა, სალარიძე, ხმარობდა თუ არა თქვენი სიძე თქვენს თოფს? – დიახ, ხმარობდა! – რადგან ასეა, ერთ შეკითხვასაც მოგცემთ, ხომ არ გაუფრთხილები- ხართ თქვენს სიძეს სულ ბოლო წუთში, თუნდაც სულ ბოლო წამში, რომ თოფში ტყვიებია? – არა, არა! – იყვირა სალარიძემ, – ეს ყველაფერი მითხრა შემდეგ, ისიც თვალებით, გესმით თუ არა თქვენ? თვალებით... მით ხრა და მე მივხვდი, სხვა ვერავინ მიხვდებოდა, რადგან იგი ჩემს მკლავზე იწვა და ჩვენ ერ თმანეთს ვუყურებდით თვალებში. – სალარიძეს თავი ჩაუვარდა მხრებში და სახეზე ორთა ვე ხელი აიფარა.

– ბატონო თავმჯდომარე, მე დაკითხვა დავამთავრე, მეტი შეკითხვა აღარ მაქვს. – მიუბრუნ და თავმჯდომარეს სახელმწიფო ბრალმდებელი. თავმჯდომარემ თავი დაუქნია და თავის მხრივ მსაჯულებს მიუბრუნდა.

– თქვენ ხომ არ გექნებათ, ბატონებო,შეკითხვები?! – გაფითრებულმა გულოიანმა თავი გაუქ ნია უარყოფის ნიშნად, სახალხო მსაჯულმა გოგოლაძემ კი – თანხმობის ნიშნად. – ბრძანეთ! – დართო ნება თავმჯდომარემ.

– სამართალში მიცემულო სალარიძე, მიპასუხეთ, მოსულა თუ არა შინ თქვენი სიძე მთვრალი ისე გვიან, როგორც შემთხვევის დღეს? – დიახ, მოსულა.

– თქვენ როგორღაც თქვით, „მივხვდი, ჩემს ქალიშვილს სცემდაო“, ხომ არ გნებავდათ ამით ის გეთქვათ, რომ ადრეც ხშირად უცემია თქვენი ქალიშვილი თქვენს სიძეს? – სალარიძე უხერხულად შეიშმუშნა.

– ცემის რა მოგახსენოთ, მაგრამ ბოლო დროს ცუდი სიმთვრალე დასჩემდა, ხშირად ჩხუბობ და.

– დააზუსტეთ, ხშირად სვამდა, ხშირად ჩხუბობდა, თუ სცემდა? – ვაზუსტებ, ბოლო დროს ხშირად სვამდა და ხშირად ჩხუბობდა, – ნერვიულად თქვა სალარიძემ.

– სამართალში მიცემულო სალარიძე, ტყუილად ნერვიულობთ, ჩვენ ვეძებთ თქვენი დანა შაულის შემამსუბუქებელ გარემოებებს, ასე რომ, ნუ გვიჯავრდებით, როდესაც ასეთი წვრილმანი შეკითხვებით გაწუხებთ, ყველაფერი თქვენსსასარგებლოდ კეთდება. – გააფ რთხილა სახალხო მსაჯულმა გოგოლაძემ.

– გმადლობთ! – უფრო ნერვიულად უპასუხა სალარიძემ.

– დიახაც, მადლობელი უნდა იყოთ, – დააყვედრა ამაგი სახალხო მსაჯულმა. – ახლა მიბრძანეთ, რას ნიშნავს ბოლო დროს ხშირად სვამდა და ხშირად ჩხუბობდა? – კარგად ვერ გავიგე! – ჯიუტად თქვა სალარიძემ.

– სალარიძე, რომ ამბობთ „ბოლო დროსო“, როდის დაიწყო ეს „ბოლო დრო“? – შარშან, შარშან წინ, იმის წინ თუ გუშინ? – გაუმარტივა კითხვა გოგოლაძემ.

– შარშან, ერთი წლის წინ! – დააზუსტა სალარიძემ.

– როგორ ფიქრობთ, რა მოხდა ერთი წლის წინ, რა უნდა ყოფილიყო თქვენი სიძის შეცვლის მიზეზი?
– სალარიძე თავჩაღუნული იჯდა და ხმას არ იღებდა.

– მოახსენეთ, სალარიძე, სასამართლოს, რა უნდა ყოფილიყო, თქვენი აზრით, ამის მიზეზი? – არ ვიცი! – აი, თქვენ როგორღაც ხაზგასმით აღნიშნავთ ხოლმე, ჩვენების მოცემის დროს, ჩემი ქალიშვილისა და სიძის ოთახიო, მეგაკვირდებით, თქვენ ყოველთვის ჯერ თქვენს ქალიშვილს ამბობთ, შემდეგ სიძეს.

– დიახ, სიძეს შემდეგ ვამბობ.

– რატომ? – იგი ჩემთან ზედსიძედ იყო შემოსული.

– გასაგებია! – თქვა მსაჯულმა.

– რა არის გასაგები? – იფეთქა სამართალში მიცემულმა, – მაშ, როგორ უნდა მეთქვა, – ჩემი სიძის და ჩემი ქალიშვილის ოთახში? და, თქვენი აზრით, ეს უფრო სწორი იქნებოდა? – არა, უფრო სწორი იქნებოდა, ასე რომ გეთქვათ „მათი ოთახი“.

– სალარიძემ ამოიოხრა.

– ახლა ეს მითხარით, როდესაც პატივცემული სახელმწიფო ბრალმდებელი გეკითხებოდათ, თქვენ ბრძანეთ, რომ სიძეს ასე მიმართეთ: „გაეთრიე ჩემი სახლიდან“-ო, მართალია? – დიახ, ვუთხარი! – სამართალში მიცემულო სალარიძე, ადრეც ხომ არ გიგრძნობინე- ბიათ სიძისათ

ვის, რომ იგი სხვის სახლშია, უცხოა და სტუმარია? – ეს მან უჩემოდაც იცოდა, რომ სხვის სახლში ცხოვრობდა.

– სხვის სახლში, არა? – ვიდრე მეცოცხალი ვარ, ის სახლი ჩემია და როდესაც მოვკვდე- ბი... – სალარიძე მიხვდა, რომ რაღაც საოცრად ურიგოს, უაზროს და სულელურს ამბობდა და გა ჩუმდა... მსაჯული მიხვდა, რომ ეს სისულელე მან ათქმევინა და ახალი კითხვა შეაგება გა მარჯვებული იერით: – ხომ არ ფიქრობთ, სალარიძე, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი ბოლო დროს თქვენი სიძის ხშირი სიმთვრალისა და უხასიათობისა? – არა, არა მგონია! – ჯიუტად თქვა სალარიძემ.

– მაშ, რა, მეგობრები? – არა! – ღვინო? – არა! – ქალები? – არა! – ოჯახზე გული აიცრუა! – არა.

– საყვარელი გაიჩინა! – უარესი.

– რა? – ფული! – სახალხო მსაჯულს სახე მოეღრიცა.

– ფული? – დიახ, ფული! – დაუდასტურა სამართალში მიცემულმა.

– არ მესმის! – დაბნეულად თქვა მსაჯულმა.

– ერთი წლის წინ, – დაიწყო სალარიძემ, – ჩემი სიძე აბრეშუმის ჭიასავით თვინიერი, უხმო და უწყინარი ბიჭი იყო, ერთი წლის წინ. – გაიმეორა მან. – ერთ დღეს იგი ნასვამი მოვიდა, შუა ოთახში დადგა, ოდნავშემცბარი, გაფითრებული, მაგრამ მაინც ამაყი იმით, რომ ეს დღეც დადგა მის ცხოვრებაში და მაგიდაზე 25 მანეთიანების დასტა ისროლა.

– რა არის ეს? – ჰკითხა ჩემმა ქალიშვილმა.

– ჩემი წილია! – უპასუხა მოკლედ ჩემმა სიძემ. ჩემმა ქალიშვილმა ფული აიღო და თავის ოთახში გაიტანა.

– საიდან? – ვკითხე მე.

– ვეფხვის უკანალიდან – ასე მიპასუხა მან, პატივცემულო სახალხო მსაჯულო. – მიუბრუნდა იგი გოგოლაძეს. გოგოლაძეს ხმა არ ამოუღია...

– იმ დღიდან დაიწყო ჩვენი ოჯახის ნგრევა. ერთი კვირის თავზე მან შეამჩნია, რომ სადილად ხაშლამა არ იყო, შემდეგ მან, როგორღაც, თქვა, რომ ის ოჯახი რა ოჯახია, სადაც სარდაფში

ერთი ტონა ღვინო, ათი ყუთი ბორჯომი და ოცი ყუთი პილზენის ლუდი, ათი აცმა ვობლა და ტარანი არ აგდიაო. შემდეგ ფულის მოტანაზე, როდესაც ვკითხე საიდან-მეთქი, მან კვლავ ვეფხვის უკანალში მიმასწავლა, თან დაუმატა, რომ მე სამსახურში ადგილს ვაცდენ და რომ ჩემმა თაობამ ცხოვრება არ იცის...– უკაცრავად! – შეაჩერა იგი მოსამართლემ. – სა მართალში მიცემულო, თქვენი ქალიშვილი თუ ეკითხებოდა თქვენს სიძეს, ფული საიდან მოგაქვსო? – საუბედუროდ, ცოლები არ ეკითხებიან მაგას ქმრებს! – თქვა სამართალში მიცე მულმა. – სახალხო მსაჯულმა გოგოლაძემ ბრალდე- ბულს თავი დაუქნია თანხმობის ნიშ ნად და ცალყბად გაიღიმა.

– შემდეგ? – ჰკითხა თავმჯდომარემ.

– შემდეგ მე გავაფრთხილე იგი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მას დაიჭერენ. ყველაფერ ამას უკ ლებლივ მოკითხავენ. ამაზე მან მიპასუხა, რომ ჩვენ ყველანი უკვე დიდი ხანია დაჭერილე ბი ვართ და სასჯელს ვიხდით, ოღონდ, ვერ ვგრძნობთო, როდესაც ვუთხარი, რომ მე არავი თარ სასჯელს არ ვიხდი, და რომ ჩემი პატიოსნება მაძლევს იმის უფლებას, ღამით მშვიდად ვიძინო-მეთქი, იგი სიცილით მოკვდა.

– რატომ? – ჰკითხა თავმჯდომარემ.

– წნევა 180-100-ზე, მძაფრი სტენოკარდია, მარილების დაგროვება, ბრონქიალური ასთმა, ემ ფიზემა, მთელი ღამე ხროტინი, რომელ წუთში გაგძვრება სული, არ ვიცით მე და შენმა ქალიშვილმა,ეს არის მშვიდი ძილი? ამას ეძახი შენ მშვიდ ძილსო? – ასე მიპასუხა, – თქვა სა მართალში მიცემულმა. მოსამართლეს გაეღიმა უნებურად და სამართალში მიცემულს რომ არ შეემჩნია, თავი ჩაღუნა და მაგიდის ქვეშ დაიწყო განგებ რაღაცის ძებნა. – შემდეგ... – გა ნაგრძო სამართალში მიცემულმა, – ერთ დღეს მან ისიც შეამჩნია, რომ თურმე ჩემს ქალიშ ვილს დაბალი წელი, ოდნავ მეჩხერი კბილები და სასაცილოდ პატარა ცხვირი აქვს და, რო გორც ზოგიერთი ქალი, ისიც ჭორიკანა და კაროჟნაა, წიგნებს დღედაღამე იმიტომ კითხუ ლობს, რომ საზოგადოებაში კამათში ჩაებას და ნაკითხი ქალის შთაბეჭდილება დატოვოს. მთელი ამ ხნის განმავლობაში არც მე, არც ჩემს ქალიშვილს მისთვის ერთჯერაც არ შეგვიხ სენებია, რომ იგი ჩვენს ოჯახში დაკერებული შარვლით, დახეული ფეხსაცმელითა და გა დაბრუნებული პიჯაკით მოვიდა და არც ის, რომ იმ სამსახურში, საიდანაც ახლა მისი სიკ ვდილის ფასად ღირებული ფული მოჰქონდა, ჩემი გამონაცვალი შარვლით მივიდა.

– ადამიანებს ცუდი მახსოვრობა აქვთ! – ჩაურთო სიტყვა თავმჯდომარემ.

– პირიქით, ადამიანებს იმდენად კარგი მეხსიერება აქვთ, რომ არ ავიწყდებათ ყველაფრის და ვიწყება, აბსოლუტურადყველაფრის.

– უკან მოხედვა არავის არ უყვარს, რადგან ეშინია წინ რამეს არ შეასკდეს, ან ორმოში ფეხი არ ჩაუვარდეს. – თქვა სახელმწიფო ბრალმდებელმა.

– ამიტომ უნდა გაჩერდე და ისე მოიხედო, თან წინ სირბილი და თან უკან ცქერა არ გამოდის, უნდა გაჩერდე და ისე მოიხედო უკან, მით უმეტეს, თუ წინ გზა აღარ არის, ხრამია; ჭაა, ორ მოა, უფსკრულია... გასაგებია? – იკითხა სამართალში მიცემულმა.

– სამართალში მიცემულო სალარიძე, შეკითხვებს აქ თქვენ კი არა, ჩვენ ვიძლევით! – შეახსენა თავმჯდომარემ და უხერხულად შეიშმუშნა.

– ბოდიშს ვიხდი! – თქვა სამართალში მიცემულმა.

– განაგრძეთ! – უთხრა თავმჯდომარემ. სამართალში მიცემულმა თავი დაუქნია, ცოტა ხანს ფიქრობდა, ალბათ, იმას იხსენებდა, სად გავჩერდიო და რომ გაიხსენა, განაგრძო: – ერთ დღეს ისიც თქვა სინანულით, რომ ჩემი ქალიშვილი სულ მე მგავს. იგი კატასტროფული სიჩქარით იცვლებოდა ცუდისაკენ და ხელიდან გვეცლებოდა. მოჰქონდა სახლში უამრა ვისაჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, მარტო ნახევარ წელიწადში უყიდა ჩემსქა ლიშვილს სამი ქურქი, ათი წყვილი ჩექმა და ფეხსაცმელი და ოცი კაბა, ძალიან ძვირფას თვლიანი ბეჭდები და საყურეები. ყველაფერი ეს მოჰქონდა მთვრალს, დგებოდა ბარბაცით შუა ოთახში და ნანადირევივით ყრიდა იატაკზე. მე სერიოზულად შევშინდი. ერთ დღეს შე შინდა ჩემი ქალიშვილიც და მაშინ... გაილახა ის პირველად. ერთ ღამეს სიძემ მოულოდნე ლად დაჭრა მაკრატლით ცოლისათვის მისი მოტანილი ყველა კაბა და ქურქი, დაჩეხა ნაჯა ხით მისი მოტანილი ყველა ფეხსაცმელი და ჩექმა და სახლიდან წავიდა. ერთი თვის თავზე დაბრუნდა ამხანაგებით, ბევრი ფულითა და ტირილით. ჩემი ქალიშვილი დადნა, ლანდად იქცა, უზარმაზარი თვალები გაუხდა, თვალს მარიდებდა შეხვედრისას და თუ უნებურად შემხვდებოდა, განგებ მიღიმოდა, თავს იყოჩაღებდა და ასეთ დროს მე ტირილი და თავის მოკვლა მინდოდა, რადგან იგი საკუთარ უბედურებას შეგუებულ და საკუთარი ბედით კმა ყოფილ, გამოთაყვანებულ, უსაშველოდ უიმედო გიჟს ჰგავდა. ეს შემდეგ ორჯერ განმეორ და და ორივეჯერ ცემით დასრულდა. ყველა ასეთ შემთხვევაში მე ვიჯექი ჩემს ოთახში თავ ლაფდასხმული, კაცობაშეგინებული, სულში ჩაფურთხე- ბული, მიწასთან გასწორებული, ტალახში ამოსვრილისაკუთარი ქალიშვილის თხოვნით, ხელებს ვიჭამდი, გულში მყავდა ჩაკრული შვილიშვილი და ვცდილობდი, ბავშვს არაფერი გაეგონა... მაგრამ მას ყველაფერი ესმოდა და ესმოდა ჩემზე კარგად, რადგან მას უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა იქ – დედისა და მამის ოთახში... და ეს ასე გრძელდებოდა იმ დღემდე... ის დღე მესამე შემთხვევა იყო და იმ ღამეს დამთავრდა ყველაფერი... მეტი მე არაფერი არ ვიცი. – თქვა სამართალში მიცემულმა, დაჯდა და ამის შემდეგ, ვიდრე საბოლოო სიტყვა არ მისცეს, იგი არ ამდგარა.

სხდომის მონაწილენი თავჩაღუნული ისხდნენ და შეთქმულებივით დუმდნენ. სამართალში მიცემულმა, რაც იცოდა ბრალდების გამო, თქვა და ახლა მისგან დამატებით რაიმეს გაგება უაზრო მოქმედებას ნიშნავდა. ერთი შეხედვით, თითქოს კიდევ და კიდევ უამრავი საკითხი იყო გასარკვევი, კიდევ და კიდევ უამრავი გამოუცნობი საკითხი ტივტივებდა ამ საოცარი და ნაშაულის ზედაპირზე, მაგრამ ყოველივე ეს ერთი შეხედვით გამოიყურებოდა ასე, ფაქ ტიურად საკითხი მთლიანად ამოწურული იყო.

– პატივცემულ სახელმწიფო ბრალმდებელს ან სახალხო მსაჯულებს ხომ არ სურთ, შეავსონ სამსჯავრო გამოძიება და, თუ სურთ, სახელდობრ, რითი? – ისეიკითხა თავმჯდომარემ, რომ თავი არ აუწევია.

– არა! – არა! – არა! – თქვეს ცალ-ცალკე ბრალმდებელმაც და მსაჯულებმაც.

– ასეთ შემთხვევაში ნება მიბოძეთ, სამსჯავრო გამოძიება დამთავრებულად ჩავთვალო და სიტყვა კამათისათვის მივცე სახელმწიფო ბრალმდებელს, იუსტიციის უფროს მრჩეველს, პროკურორ დევდარიანს. გთხოვთ! – მიუბრუნდა იგი დევდარიანს. დევდარიანი ადგა.

– დიდად პატივცემულო საზოგადოებავ, პატივცემულო მოსამართ- ლევ, პატივცემულო მსა ჯულებო! უხსოვარ დროში, როდესაც ადამიანი კანიბალი იყო, ადამიანის მიერ ადამიანის მოკვლას საზოგადოების თვალში რაღაც გამართლება ჰქონდა, მაგრამ ახლა, როდესაც ჩვენ ერთმანეთის ხორცს აღარ ვჭამთ, ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინება ყოვლად გაუმარ თლებელ და ყოვლად შეუწყნარებელ ცოდვად მიმაჩნია. ცივილიზაციის ისეთ მაღალ საფე ხურზე, როგორზედაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, როდესაც შექმნილია არათუ ადამიანთა, არა მედ კატათა, ძაღლთა, თაგვთა, თევზთა, ზღარბთა, მაჩვთა, ფრინველთა, ხოჭოთა, ბუზთა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქვეწარმავალთა დაცვის კომიტეტები დასაზოგადოებები, ადა მიანის მკვლელსთამამად შეგვიძლია ვუწოდოთ კანიბალი – კაციჭამია! პრეისტორიულ ხა ნაში, კაცის მოკვლის სამიოდე ხერხი თუ არსებობდა – მუშტი, კეტი და ქვა. შემდეგ ცივილი ზაციის უსაშველო განვითარებასთან ერთად კაცის კვლის საშუალებათა ფანტასტიკური ზრდა, ევოლუცია და მოდერნიზაცია მოხდა, კერძოდ: პატეფონის ნემსიდან ვიდრე წყალბა დის ბომბის რადიაქტიულ წვიმამდე. ყველაფერი ეს ამ თითქოს სასწრაფო და გადაუდებე ლი საქმის სამსახურში ჩადგა. დღეისათვის უკვე კაცის მოკვდინების იმდენი ხერხი არსე ბობს, რამდენი კაციც ცხოვრობს და დადის ამ ცოდვილი დედამიწის ზურგზე. ამ ხერხებს შორის ისეთი პარადოქსული ხერხიც არსებობს, როგორიც დღევანდელი სამსჯავროს მსჯე ლობის საგანი გახლავთ, კერძოდ, – ადამიანის მოკვლა ცარიელი თოფით!!. – პროკურორმა ცარიელ დარბაზს მოავლო თვალი, თითქოს მსმენელთა რეაქციას ელისო, მაგრამ, მხოლოდ გაკვირვებული ბრალდებულის თვალებს რომ შეხვდა, თავი ჩაღუნა და ისე განაგრძო. – გუ ლუბრყვილოა ფაქტი იმისა, თითქოს ელექტრონის სკამი, სახრჩობელა ან ტყვია სავსებით მოსპობს მკვლელობებს, მკვლელობა ძალადობის ისეთი კატეგორიაა, რომელიც თვით სიკ

ვდილსაც კი არ ექვემდებარება. რაც შეეხება ადამიანის მიერ ადამიანის უნებლიეთ მოკვდი ნებას, ამაზე ლაპარაკიცზედმეტია, ეს მოვლენა ისეთივე მარადიულია, როგორც ბუნებრივი კვდომა. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანის უნებლიეთ მკვლელის მი მართ სასჯელის ზომა განკიცხვით, საზოგადოებისაგან მოკვეთით ან სხვა წმინდა ზნეობრი ვი ფაქტორით უნდა განისაზღვროს. მაგრამ, და კიდევ მაგრამ, ვაითუ ადამიანმა ისწავლა ყველა მკვლელობის, განსაკუთრებით კი განზრახ მკვლელობის, უნებლიე მკვლელობად კვალიფიცირება და ეს ფაქტი ბოროტად იქნეს გამოყენებული პროფესიონალი მკვლელის მიერ.

მე ვერ ვიტყვი, თითქოს დღევანდელ სამსჯავროზე განხილული მკვლელობის ფაქტი უპრეცე დენტო იყოს, მაგრამ იგი საკმაოდ ორიგინალურია და, მართლაც უნებლიე მკვლელობის ილუზიას გვიქმნის. მკვლელობის ეს ფორმა იმდენად ორიგინალურია, რომ მკვლელობის სა ყოველთაოდ ცნობილი ფორმულის „შემომაკვდას“ ყალიბშიაც კი არ ეტევა. მკვლელობის ეს შემთხვევა გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე დამნაშავის მიერ აღიარებული განზრახ მკვლე ლობა. რადგან აღიარებული განზრახ მკვლელობის დროს სამსჯავროს მიერ უსამართლო განა ჩენის გამოტანის შესაძლებელი კოეფიციენტი თითქმის ნულზეა დაყვანილი. უნებლიე მკვლელობის დროს კი ასი გამოტანილი განაჩენიდან ორმოცდაათი საეჭვოა და პატიმრისათ ვის უმართებულო, დამღუპველი და საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს. დაშვებული შეცდო მა ადვილი შესაძლებელია, ასევე დამღუპველი აღმოჩნდეს საზოგადოებისათვისაც.

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში? როგორი უნდა იყოს არჩევანი? საზოგადოება თუ პიროვნება? თუ გადავხედავთ კაცობრიობის ისტორიას, ძნელია არჩევანის გაკეთება, რადგან ბალანსი დაახლოებით ერთნაირია. ისტორიაში უამრავი მაგალითია იმისა, თუ როგორ ეწირე ბოდნენ საზოგადოების ინტერესებს მზესავით ნათელი ინტელექტები, ღმერთის ბადალი პი როვნებები, სწორუპოვარი გენიოსები და სათაყვანებელი კერპები, არანაკლები მაგალითია იმისა, თუ როგორ ეწირებოდნენ ქვეყნები, ქალაქები, სოფლები, ერები და ცივილიზაციებიც კი პიროვნებათა ვნებებს, სიბრიყვესა და ამღვრეული გონების ნება-სურვილს. აქ ძნელია არჩე ვანის გაკეთება. მე მთელი არსებით მეზიზღება მკვლელი თუნდაც იმ უპირატესობის გამო, რომ მას შეუძლია კაცი მოკლას, მე კი არ შემიძლია. პირადად მე იმდენად წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი სისხლიანი ძალადობისა და იმდენად დიდ დანაშაულად და ცოდვად მიმაჩნია ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინება,მისთვის ღვთის მიერ მინიჭებული და ნაბოძარი სი ცოცხლიდან თუნდაც ერთი მზიანი დღის წართმევა, რომ ჩემთვის მხოლოდ ერთი არჩევანია და სხვა არჩევანიარ არსებობს: მე, კაკო დევდარიანი, პირველ რიგში, როგორც მოქალაქე, ხო ლო შემდეგ, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი მოვითხოვ: სამართალში მიცემული სალა რიძე მიჩნეულ იქნას დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეს პუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა! – პროკურორი დაჯდა და დადუმდა. იგი გაფითრებული იყო. ხელები უკანკალებდა და ამიტომ სიგარეტს დიდხანს ვერ მოუკიდა ცეცხლი. ბოლოს, რო გორც იქნა, გააბოლა. არანაკლებ გაფითრებულმა და აღელვებულმა თავმჯდომარემ მსაჯუ

ლებს გადახედა, გულოიანი ნერვიულად იკვნეტდა ფრჩხილებს, გოგოლაძეს კი პირი დაეღო და შეშინებული თვალებით უცქერდა სახელმწიფო ბრალმდებელს, მხოლოდ ბრალდებული სალარიძე იჯდა თავჩაქინდრული, მას თვალები დაეხუჭა და ისე იყო საკუთარ ფიქრებში ჩაფლული, ისე ირხეოდა სკამზე, თითქოს პატარა ნავით ზღვაში იყო გასული ძალიან შორს, შორს და, რაც ამ ქვეყანაზე ხდებოდა, სრულებითაც არ ეხებოდა მას.– სამართალში მიცემულო სალარიძე! – თქვა თავმჯდომარემ.

სამართალში მიცემულს არ ესმოდა.

– სამართალში მიცემულო სალარიძე! – ახლა უფრო ხმამაღლა გაიმეორა თავმჯდომარემ. სალარიძემ თავი ასწია და დაბნეულმა შეხედა თავმჯდომარეს.

– სამართალში მიცემულო სალარიძე, თქვენ გეძლევათ საბოლოო სიტყვა! სალარიძე ერთხანს გაშტერებული უცქერდა თავმჯდომარეს, მერე უცებ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად, და თითქოს მადლობას ეუბნება თავმჯდომარესო, გაუღიმა და სწრაფად წამოდგა.

– მე საბოლოო სიტყვა არ მაქვს! – თქვა მან ჩაწყვეტილი ხმით.

– მე მაქვს თხოვნა, ხუთი თვის წინ ვაშლოვანის ქუჩაზე მ 151-ში მე დავტოვე კუბოზე დამხობილი ორი ადამიანი – ჩემი ქალიშვილი ნათელა და შვილიშვილი მეგი. ბიჭებო, დედას გაფიცებთ, გაფიცებთ ყველაფერს, რა საფიცარიც გაქვთ ამ ქვეყანაზე, თუ გეღირსათ აქედან გასვლა, მიმიხედოთ იმ ორ ადამიანს! – სამართალში მიცემულმა ისევ გაიღიმა უხერხულობისა და მადლობის ნიშნად, ისევ დაჯდა და ისევ ძველებურად დაიწყო რწევა, თით ქოსკვლავ ნავში ჩაჯდა და ნაპირიდან შორს, შორს გასცურა. თავმჯდომარემ თვალები მოისრისა და ყელში მობჯენილი ცრემლნარევი ნერწყვი გადაყლაპა.

– სასამართლო გადის სათათბირო ოთახში განაჩენის დასადგენად! – თქვა მან და ადგა.

– მოიცა, ნაკაშიძე! – შეაჩერა იგი ტიგრანა გულოიანმა, – მოიცა, განაჩენი არ იქნება! – იგი უცებ დევდარიანს მიუბრუნდა. – ეგ რა ჰქენი, ლიმონ? მაშ, ქვეყნად სამართალი აღარ არსებობს, მაშ, გული აღარ გაქვს, ეგ არის შენი კაცობა, ეგ არის შენი კარგი ბიჭობა, ეგ არის შენი მართალი სიტყვა? ლიმონას განთქმული ოქროს სიტყვა? ეს 368

– რა ჰქენი, ლიმონ? – ლიმონა დევდარიანი განცვიფრებული უცქერდა ტიგრანას.

– ტიგრან, ეგ ყველაფერი ფარსია, წარმოდგენა, სპექტაკლი. – უთხრა შეწუხებულმა დევდარიანმა.

– რა არის ფარსი და სპექტაკლი, მაშ,შენ ნამდვილ სასამართლოს რაღას ეძახი, ერთი წუთის წინ ჩემს თვალწინ კაცი მოკალი. – თქვა გულოიანმა და სალარიძეზე მიუთითა. – შეხედე! – მორჩი ახლა ბაზარს, გეყოფა მაიმუნობა! – გააფრთხილა დევდარიანმა.

– არა, განაჩენი არ იქნება! – თქვა გულოიანმა ჯიუტად, მერე ადგა, მაგიდას შემოუარა, თავჩა ღუნულ სალარიძესთან მივიდა, წინ ჩაუცუცქდა და აღელვებული ხმით დამშვიდება დაუწ ყო.

– ნუ გეშინია, ძია ისიდორე, არაფერიც არ მოხდება. შენ ლიმონას რას უყურებ, ლიმონა გიჟია, სასამართლოც გიჟი ხომ არ იქნება? ა, ძია ისიდორე, ნუ გეშინია, არადა, მე დამაბრალე იმ შე ნი ნაბიჭვარი სიძის მკვლელობა, მე დამაბრალე, მე ვკისრულობ მაგის სიკვდილს, მაგის ოხერი დედაც ვატირე, მე დამაბრალე, ძია ისიდორე, შენი ჭირიმე, ჩემთვის სულ ერთია, გინდა ერთი მომიკლავს და გინდა ორი, გესმის, ძია ისიდორე, მე დამაბრალე, მე ვკისრუ ლობ შენი სიძის მკვლელობას. ოღონდ შენ თქვი სასამართლოზე, რომ მე მოვკალი, გესმის, ძია ისიდორე, ოღონდ შენ თქვი! – ბავშვივით ეხვეწებოდა მის წინ დაჩოქილი გულაჩუყებუ ლი ტიგრანა გულოიანი ისიდორე ბიძიას. ბიძია ისიდორე თავზე ხელს უსვამდა მის მუხ ლებში თავჩარგულ და ატირებულ ტიგრანას, თვითონ ისიდორეტიროდა.

ტიროდა სასამართლოს მთელი შემადგენლობა: სამართალში მიცემული – სალარიძე.

სასამართლოს თავმჯდომარე – ნაკაშიძე. სახელმწიფო ბრალმდებელი – დევდარიანი.

და სახალხო მსაჯულები – გულოიანი და გოგოლაძე.

* * *

– ადექით, ადექით!!! – ჩამესმა ძილში. ჯერ სიზმარი მეგონა და წავუყრუე.

– ნაკაშიძე, ადექი, დევდარიანო, გულოიანო, გოგოლაძე, ადექით!!! – დაჟინებით იმეორებდა ხმა.

მივხვდი, რომ სიზმარი არ იყო, და სწრაფად წამოვჯექი ნარზე. დევდარიანი, გულოიანი და გოგოლაძე უკვე წამომსხდარიყვნენ და თვალებს ისრესდნენ გაკვირვებულები, შუა საკანში

საცვლების ამარა მოჩვენებასავით სიფრიფანა და გამჭვირვალე ბატონი ისიდორე იდგა.– გაიღ ვიძეთ? – გვკითხა მან.

– რაშია საქმე, ძია ისიდორე? – ვკითხე მე განცვიფრებულმა. ბატონმა ისიდორემ თავი დახა რა, ასე თავდახრილი იდგა დაახლოებით 5 წუთს, რომელიც მაშინ 5 საათად მომეჩვენა, ასე თი საშინელი შემაძრწუნებელი და შემზარავი დუმილი ჩემს სიცოცხლეში არ მომისმენია და საოცარმა შიშმა ამიტანა. ბიჭებს გადავხედე, ისინი ჩემზე უფრო შეშინებულები და გა ფითრებულები იყვნენ. ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერ ვბედავდით. უცებ ისიდორე ბატონმა თავი ასწია და სრულიად გამოცვლილი, ჟრუანტელის მომგვრელი, სუფთა, დაწყნარე- ბუ ლი, მშვიდი ღვთაებრივი ხმით დაიწყო: – დასაბამიდან ყველა დროშა თეთრი იყო, თეთრი, სპეტაკი. თეთრი ფერი უკეთილშობილესი ფერია დედამიწაზე, ხოლო თეთრი ბაირაღი უკე თილშობილესი ფერის ბაირაღი. იგი თავიდან, თავისი სისპეტაკით მშვიდობას, სიყვა რულს, ძმობასა და სათნოებას გამოხატავდა. ოცი საუკუნე იქით და ოცი საუკუნე აქეთ თეთ რი დროშები თავისას მოითხოვენ და მოელიან, თეთრი დროშები თეთრი თოვლიანი მწვერ ვალების მსგავსად სამყაროს თავზე უნდა იყვნენ აღმართულნი. ერთი დიდი, თეთრი ბაირა ღი უნდა ფრიალებდეს ამაყად ჯომოლუნგმაზე ნიშნად უსაზღვრო სათნოებისა, სიკეთისა და სიყვარულისა,ერთი თეთრი დროშა, ვეებერთელა თეთრი ბაირაღი! ახლა დაწექით და დაიძინეთ, ჩემო მეგობრებო! – თქვა მან პატარა პაუზის შემდეგ. თითქოს მისი ბოლო სიტ ყვები არ გაგვეგონოს, ისე პირდაღებული ვუცქერდით ბატონ ისიდორეს. ხმა რომ არ გავე ცით, მან თავისთვის დაიქნია თავი, არ ვიცი კმაყოფილების, თანხმობისა თუ უკმაყოფილე ბის ნიშნად. მერე უცებ შეტრიალდა, თავის ნართან მივიდა და დაწვა. ძილი დიდხანს, დიდ ხანს არ მოდიოდა. არ მახსოვს, რომელმა როდის დავიძინეთ, ის კი მახსოვს, ასე ცარიელი, ასე ყველაფრისაგან დაცლილი და უსიზმრო ძილი ჩემს სიცოცხლეში არ მქონია.

დილით კვლავ ყვირილმა გამაღვიძა, მაგრამ ეს უკვე შოშია იყო: – ბანდიტებო, გათახსირებუ ლებო, ვირიშვილებო, შობელძაღლებო, სულთამხუთავებო, მკვლელებო, ადექით ადექით, შე ხედეთ!!! – კიოდა იგი ქანდარიდან. გიჟებივით წამოვცვივდით.

ბატონი ისიდორე თავის ნარზე იწვა მიტკლისფერი და ძალიან მშვიდი სახით. მკლავები აქეთ-იქით გადაეყარა, ორთავე მაჯა გადახსნილი ჰქონდა, ტიგრანას სამართებელი მარჯვენა ხელის ქვეშ ედო, იატაკზე კი შედედებული სისხლის გუბე იდგა. ცივმა ოფლმა გამომჟონა და მთელი სხეული სველი ჩვარივით გამიხდა.– ჩვენი ბრალია! – თქვა შოშიამ.

– ჩემი ბრალია! – თქვა ტიგრანამ.

– მაგის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი! – თქვა დევდარიანმა, მერე მივიდა და კარზე მუშტე ბის ბრახუნს მოჰყვა მთელი ძალითა და ღონით.

არ გაფრინდე შოშია

ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე ატარეს ტიგრანა გულოიანი სასამართლოზე. მეოთხე დღეს, დილით ადრე, შოშიას სთხოვა – შოშია, რაღაც გული მიგრძნობს, უკანასკნელად გხედავთ და, თუ ძმა ხარ, საიათნოვა მიმღერეო. შოშიამ თვალები დახუჭა და სიმღერა დაიწყო, ისე დამ წვრისად იმღერა შობელძაღლმა, რომ ციხის კედელი ხომ ქვისაა? აი, ის ციხის ქვის კედელიც კი აატირა. საღამოთი გულოიანი საკანში აღარ დაბრუნებულა. მარტო ზედამხედველი მოვი და და მისი ბარგი წაიღო.
მივხვდით, გულოიანის სასამართლო დამთავრდა, მაგრამ რამდენი მიუსაჯეს, სად გადაიყვა ნეს ან რა მოუვიდა, ვერ გავიგეთ. ღამით დევდარიანმა მისჯილების საკანში დააკაკუნა. არა ვინ არაფერი იცოდა. დილით თვითონ დევდარიანი გაიყვანეს სასამართლოზე და საღამოთი არც ის დაბრუნებულა.
საკანში მარტო მე და შოშია დავრჩით.

* * *

შოშიას მოთმინება თითქმის გაუთავდა, შოშიას იმ მთავარ ნერვთან შემაერთებელი თითქმის ყველა ნერვი დააწყდა. ალბათ, ამიტომ შოშიამ დღეს ბოლომდე გამიღო გულის კარი და შიგ შემახედა:
შოშიას მამა კლიმენტი გლახუნის ძე გოგოლაძე 1925 წლის 13

იანვარს, დილის 6 საათზე, ქალაქ სამტრედიაში, მისი უფროსი და ერთადერთი ვაჟის შოშია კლიმენტის ძე გოგოლაძის მშობიარობას გადაყვა... ჰო, ჰო, მშობიარობას გადაყვა და აქ სასაცილო და გასაკვირი არაფერი არ არის. 1925 წლის 13 იანვრის დილის 6 საათზე, როდესაც ბებიაქალმა კლიმენტი გოგოლაძეს ქვეყნად შოშია გოგოლაძის მოსვლა ახარა, სიხარულისაგან ჭკუაზე გადასულმა კლიმენტი გოგოლაძემ ზალის კედლიდან უხმარი ფილთა თოფი ჩამოხსნა, აივანზე გამოიტანა, ფეხზე შეაყენა და ცაზე ობლად შერჩენილ თავის ბედის ვარსკვლავს დაუმიზნა. თოფი გასკდა და ლულამ კლიმენტი გლახუნის ძეს თავის ქალა ახადა. ზუსტად წლისთავზე შოშიას დედა მარიამი ქელეხზე მოსული ნათესავებისა და სტუმრების უჩუმრად მაგიდიდან ადგა, ზალის კარში გარედან როკის სარი გაუყარა,წაბლის ოდას ნავთი შეასხა და ცეცხლი მისცა. ძლივს გამოამტვრიეს კარ-ფანჯარა და ძლივს გამოასწრეს აბრიალებულ სახლიდან სატირლად მოსულმა ჭირისუფალმა და სტუმრებმა. იმ ღამით შოშია მამის, კლიმენტის ნათესავებმა თბილისში წაიყვანეს, ჭკუას გადამცდარი დედამისი მარიამი კი – სურამში.

შოშიას უმაღლესში არ უსწავლია, იმიტომ კი არა, რომ შოშია ზარმაცი იყო, არა, შოშია ობოლი იყო. ესეც რომ არ ყოფილიყო, იქ, სადაც შოშია მუშაობდა, უმაღლეს განათლებას არავინ ით ხოვდა, რაც მთავარია, შოშიამ თვლა ისწავლა ჯერ ათამდე, მერე ასამდე, მერე ათასამდე, მერე კი მილიონამდე და უფრო ზევით.

შოშია ულამაზოა, იმიტომ რომ კაცია და ჩიტსა ჰგავს. აი, შოშია რომ ჩიტი ყოფილიყო, მაშინ ლამაზიც იქნებოდა, რადგან შოშიასა ჰგავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც შოშიამ მილიონამდე და უფრო ზევით თვლა ისწავლა, შოშია უცებ ლამაზი გახდა, ჭკვიანი გახდა, შოშიამ ორი უმაღ ლესი დაამთავრა, ლამაზი ქალი შეირთო, მსოფლიოში ყველაზე ლამაზი შვილები გაუჩნდა, მანქანა გაუჩნდა, აგარაკი გაუჩნდა, რომ მარტო მისი ოჯახი ვერ მოერია და საყვარელი გაიჩი ნა შოშიამ – სირანა. რა მოხდა ასეთი შოშიას თავზე? რა მოუვიდა შოშიას? ნატვრისთვალი იპო ვაშოშიამ? არა, შოშიამ ოქროს თევზი დაიჭირა.

– გამიშვიო, სთხოვა ოქროს თევზმა, და, რასაც ინატრებ, აგისრულებო, – ჯერ ამისრულე და მერე გაგიშვებო, – არ ენდო შოშია. – კარგი ინატრეო, – უთხრა თევზმა და ინატრა შოშიამ, ინატრა შოშიამ და ვეღარ მოისვენა, ვეღარ გაჩერდა, მუხრუჭები მოეშალა შოშიას. დიდხანს ფიქრობდა შოშია, კიდევ რა ვინატროო და, ვიდრე ფიქრობდა, თევზის გაშვება დაავიწყდა, ხელში ჩააკვდა ოქროს თევზი შოშიას.

ახლა ორი ნატვრაღა დარჩენია შოშიას, მხოლოდ ორი ნატვრა.

ფაქტიურად ეს ორი ნატვრა ერთი ნატვრაა, ხოლო ყველა დანარჩენი იმ ერთიდან გამომდინა რე. პირველი ნატვრა მაშინ გაუჩნდა შოშიას, ნარზე გულაღმა რომ იწვა და უყურებდა, როგორ ეშვებოდა თავისსავე აბლაბუდათი ობობა ჭერიდან, – ობობად უნდა იქცეს შოშია ერთი საათით მაინც. თუმცა ერთი საათი რას ეყოფა, ერთ საათში მეხუთე სართულის ფანჯრიდან ბაწრით უნდა დაეშვას, ეზო გაიაროს, ადმინის- ტრაციის კორპუსში შევიდეს, იქ ქვეყნის ხალ ხი ირევა, მთავარ ჭიშკრამდე ვიდრე მივა, იქნებ ვინმემ ფეხი დააბიჯოს და გაჭყლიტოს ობობა-შოშია, ამიტომჭერ-ჭერ და კედელ-კედელ უნდა იაროს. არა, რა თქმა უნდა, ერთი საათი არ ეყოფა, ორი საათი მაინც უნდა შოშიას. ნეტავი ორ საათს ობობად აქცია შოშია, მეტი არაფერი უნდა... ორ საათში მთავარ კართან მივა, გავა და... იქიდან სახლამდე რაღაა... იმასაც ფიქრობს შოშია, სულ ობობა ხომ არ იქნება, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იქცეს კაცად შოშია. მერე რაღას იზამს შოშია?.. ამიტომ შოშიას შოშიად გადაქცევა ურჩევნია, გაშლის ფრთას შო შია, გაფრინდება და ჰაიდა... – სად ობობად ყოფნა და სად ჩიტად ყოფნა, თუ ძალიან გაჭირ და, სულაც არ უნდა კაცად ქცევა შოშიას, იყოს ჩიტი შოშია, დარჩეს ჩიტად, დღეში ორჯერ, სამჯერ მიფრინდება შოშია სახლში, შვილებს დახედავს, იჭიკჭიკებს, იჭიკჭიკებს, მერე ისევ გაფრინდება, მერე ისევ მიფრინდება და ასე იფრენს, ვიდრე არ მოკვდება შოშია. სულაც არ უნ და კაცად გადაქცევა შოშიას, რითია ცუდი შოშიობა? მაგრამ ვაითუ მოკლეს შოშია, ან თოფით მოკლეს, ან შურდულით თავისსავე შვილებმა. სისულელეა, შოშიას ვინ კლავს, პირიქით, სახ

ლებს უშენებენ და საკენკს უყრიან შოშიებს, მაგრამ რად უნდა ან ერთი, ან მეორე, ან ობობო ბა, ან ჩიტობა. კაცად უნდა შოშიას დარჩენა, კაცად ყოფნა ურჩევნია შოშიას, ოღონდ ახლა თა ვი დაანებონ შოშიას და ახალ ცხოვრებას დაიწყებს, ახლად დაიბადება შოშია, სახელსაც გამო იცვლის და მერე უყურეთთქვენ შოშიას...

მაგრამ კაცი ხელახლა რომ დაიბადოს, ამისათვის ჯერ უნდა მოკვდეს. ვაი რომ, ასეა და, ვაი რომ, შოშიამ ეს არ იცის...

* * *

გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო, არა მკითხო, რა ზარია, რა არი, ორთაჭალის ციხის დარბა ზებიდან მოისმინე ჩემი დილის საარი...

უწმინდესო ზარო სიონისაო, ხიზანი ვარ ციხის კედლებისაო, გაყიდული ერთგულ მეგობრი საო, არ გეგონოს ჩემი ფეხით მოვედი...

დიდო მტკვარო, ამ ამღვრეულ დროშია, როგორც ღლავი ბადეს მოჰყვა შოშია. აღარ შერჩა აღარც ერთი გროშია, ახლა ზის და რა იღონოს, არ იცის...

სამარისკენ გამქცევია თვალია, თან მიმყვება უთვალავი ვალია, თუმცა არ ვარ ქვეყნად შესაბ რალია, შემიბრალე მოდი, ფრთები მომეცი...ზის შოშია ქანდარაზე და მღერის, ფრთებს ნატ რობს შოშია, მაგრამ სად არის ფრთები. ფრთები ახლა შოშიას კი არა, თვითონ ანგელოზებს აღარ აქვთ და შოშიას ფრთებს ვინ მოუტანს. ეს იცის შოშიამ, მაგრამ მაინც მღერის. ახლა რომ ტიგრანა აქ იყოს, ეტყოდა, – შოშიაჯან, ეგ ლექსი ხომ იეთიმ გურჯისაა, ოღონდ ეგრე არ არი სო, – ესეც იცის შოშიამ.
მაგრამ მაინც მღერის, რადგან იეთიმ გურჯი თავისას სტიროდა, შოშია კი თავისას სტირის.

– შოშია, თუ ძმა ხარ, ნუ სტირი, რამე მხიარული იმღერე ან მოყევი. – ვეხვეწები შოშიას.

– დაჭერამდე ერთი ადგილი მქონდა ამოჩემებული თათრის მაედანში.

– ყვება შოშია. – ის ადგილი ქართველებიდან მე და რამდენიმე კაცმა ვიცოდით. ადრე არ გეტ ყოდი, ახლა აზრი აღარ აქვს, რომ დაგიმალო, ციხიდან რომ გახვალ, უეჭველად მიდი, ჩემი სახელი ახსენე, რა დროც არ უნდა იყოს, კარს გაგიღებენ.

– ციხიდან მე ვინ გამიშვებს, შოშია! – შენ გაგიშვებენ.

– რატომ? – იმიტომ, რომ უდანაშაულო კაცის დაჭერაზე დიდი ცოდვა და დანაშაული არ არ სებობს.

– ვითომ მე პირველი და უკანასკნელი ვარ, შოშია? – არა, ზაზა, არც პირველი ხარ, არც უკანას კნელი. რაც მსოფლიოში პატიმარია, ნახევარი ტყუილად ზის, ყოველ შემთხვევაში – შემ თხვევით, შენ კი, შენზე გული მიგრძნობს, დღეს არა და ხვალ გაგიშვებენ, – ისე მითხრა შო შიამ, თითქოს ჩემი განთავისუფლების ქაღალდი ჯიბეში ედო და იმიტომ მიმალავდა, რომ მარტო დარჩენა ეზარებოდა.

– ღმერთმა კარგი ყურით გისმინოს, – დავილოცე მე.

– იმას გეუბნებოდი, დაჭერამდე ერთი ადგილი მქონდა ამოჩემებული. ჭრელი აბანოების ზე ვით, აქედან რომ მიდიხარ – ხელმარცხნივ, ერთსართულიანი სახლია, ლურჯად შეღებილი ხის ჭიშკარი აქვს და ნიკოლოზის შაურიანის ხელა ეზო. აზიზა ჰქვია იმ კაცს, აზიზა, დაიმახსოვრე, თათარია, თავისი კერძო საჩაიე აქვს, თავისი თექვსმეტი წლის გოგოებითა და 56 წლის დედაკაცებით. მე იქ, თუ დამიჯერებ, მარტო ჩაისათვის დავდიოდი, დღისი თაც და ღამითაც კარგია ჩაი დალოცვილი, მაგრამ ახლა მაგას არ ვამბობ. ერთი ოთახი აქვს აზიზას, სადაც მუშტარს ღებულობს.– როგორ, კაცო, კერძო დუქანი აქვს, დუქანი კი არა, ბარდელი და არავინ იჭერს? – გამიკვირდა მე.

– ეჰ, ჩემო ზაზა, რამდენი წესით იმის დამჭერი რომ უნდა ყოფილიყო, ისეთი კაცი მე იქ მენა ხოს, იმდენი თუმანი რომ მოგვცა ახლა მე და შენ, იმ ფულით საკუთარ ციხეს ვიყიდიდით. – ამოიოხრა შოშიამ.

– არ მჯერა! – მაინც არ დავუჯერე მე.

– რომ დაგენიძლაო, სად გადამიხდი, არადა, ხომ გეუბნები, როდესაც გახვალ აქედან, ჩემი სა ხელით მიდი და ყველაფერს შენი თვალით ნახავ, ოღონდ აზიზას ჩაი, უნივერსიტეტის წინ რომ საჩაიეში ჩაია, ცოტათი იმაზე ძვირი ღირს, გასაგებია? – მკითხა შოშიამ.

– გასაგებია! – ვუთხარი.

– ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ერთი ოთახი აქვს აზიზას, სადაც მუშტარს ღებულობს. ხუთი პატა რა მაგიდა დგას ამ ოთახში, მაგიდას მხოლოდ ორ-ორი კაცი უზის, უფრო ხშირად კაცი და ქალი, ჭერში ყველა მაგიდის თავზე აზიზას იადონის გალია უკიდია. ესე იგი ხუთი გალია. ამ ხუთი იადონიდან ათ ოქტავაზე ნაკლებს არც ერთი არ იღებს, ზოგი თორმეტსაც იღებს, 150 მანეთიდან 200 მანეთამდე ღირს თითოასეთი იადონი. გეცოდინება, ალბათ, ბულბული წელიწადში სამ თვეს სტვენს მხოლოდ, ვარდობის თვიდან გადათვალე, მერე დუმდება. იადონი კი სასწაულია, ზამთარ-ზაფხულ გალობს განუწყვეტლივ. ახლა წარმოიდგინე, მაგ რად მოხარშული ჩაის, ჩეფირის და ათასნაირი სიგარეტის კვამლით, სითბოთი, სიყვარუ ლითა და ჭერში გამოკიდებული გადარეული ხუთი იადონის გალობით სავსე ოთახი და ყველაფერი ეს აზიზას თაფლში ჩაწობილი თურქული ენით შეზავებული, წარმოიდგინე? – მკითხა შოშიამ. მე თავი დავუქნიე. – ჰოდა, მე სხვა სამოთხე არც გამიგია და არც მინახავს. წამოსვლისას 100 მანეთს ვუტოვებდი აზიზას, მარტო აზიზას. ახლა არ მკითხო, გამომძიებე ლივით, საიდან მოგქონდაო, სად შოულობდიო... ხომ იტანჯება ხალხი? ხომ ეწამება მთელი სიცოცხლე იმისათვის, რომ სამოთხეში მოხვდნენ? მეც ვეწამებოდი, ვიტანჯებოდი, რომ სა მოთხეში მოვმხვდარიყავი, და ჩემი სამოთხეც ეს იყო. მაგრამ ახლა სხვა რამეს გიყვები... ის იადონები ისე არიან გალიას შეჩვეული, გარეთ რომ გამოუშვა, მოკვდებიან. მოკვდებიან, იმიტომ, რომ თავისით საჭმელს ვერ იშოვნის. თუ გამოდგა ათასში ერთი ისეთი იადონი, რომელიც თავისით იშოვის საჭმელს, სულ ერთია, რომ გაუშვა გალიიდან, კატა შეჭამს და არ იკითხავ რატომ? ეგ უბედური, როდესაც გალობს, ისეთი გრძნობითგალობს, თვალებს ხუჭავს და, გარშემო რა ხდება, ვერცა გრძნობს და ვერც ხედავს. სწორედ მაშინ ეპარება კატა. მოკლედ, იადონი და გალია განუყოფელია, იადონის სახლი გალიაა. მაგრამ ამ გალიაში რომ კვდება იადონი? თავისი სიკვდილით კი არა, უდროოდ. აზიზა ამბობს, – ამ იადონებმა გამყიდესო, ყველა ორ-სამ თვეში კვდებიანო. – რათა-მეთქი და – დახუთულ ჰაერს, თამბა ქოს კვამლსა და ჩეფირის ოხშივარს ვერ უძლებენო. აი, მხოლოდ ის ორი იადონი შეეჩვია და მერვე თვეა უძლებენო, დანარჩენები სულ იხოცებიან და იხოცებიანო, გესმის შენ თუ არა? იადონები სამოთხეში იხოცებიან, შენ კი გინდა, მე აქ გავძლო და მხიარული ამბები მო გიყვე! არ გამოვა, ზაზას ვენაცვალე, არ გამოვა, თორემ ჰო! – დაამთავრა შოშიამ.

– რა უნდა გელაპარაკო, შოშია, ტვინი უკუღმა გაქვს ჩადებული თავში. – ვუთხარი მე.

– ვიცი და მერე ვინ არის ამის უკან გადმომბრუნებული? – მკითხა შოშიამ.

– არ ვიცი, შოშია, მაგრამ, ვინც მაგ ოპერაციას ხელს მოკიდებს, ძალიან სუფთა ხელები უნდა ჰქონდეს, ხომ იცი, ჭკუა რა აზიზია.– არც ისე უიმედო ავადმყოფი ვარ, ჩემო ზაზა, შენ რომ გგონია, აი, ახლა სასწაული თუ მოხდა... თუ მაპატიეს...

– რა გაპატიეს, შოშია? – არა, კი არ მაპატიეს, ცოტა თუ მომისაჯეს...

– ცოტა რამდენია, შოშია? – თხუთმეტი, არა თხუთმეტი ბევრია, ათი, ცხრა... შვიდი... ხუთი.

– შოშიამ ნაცემი ძაღლივით შემომხედა, მე თვალი ავარიდე, შოშიას შერცხვა და ხუთზე გაჩერდა.

– რას იზამ, შოშია, ხუთი წელი რომ მოგისაჯონ? – ვკითხე მე.

– ხუთი წელი რომ მომისაჯონ, რომ დავბრუნდები, ჯერ შვილებს ვნახავ...

– მერე, შოშია? – მერე, გინდ გათხოვილი დამხვდეს, გინდა არა, ცოლს გავაგდებ სახლიდან...

– მერე, შოშია? – მერე მივალ სირანასთან და ვეტყვი – სირან, წამოდი ჩემთან...

– ოცნებაში წასულმა შოშიამ, წეღან რომ იადონზე ყვებოდა, იმ იადონივით დახუჭა თვალები. მე თავი ვერ შევიკავე დაგამეცინა. დამფრთხალმა შოშიამ უცებ გაახილა თვალები და შემომ ხედა.

– რა გაცინებს? – მკითხა მან.

– რა მაცინებს და მაგ შენი სირანათი იმ გიჟის ანეგდოტს გავხარ, ფანჯრებს რომ ამტვრევდა... – ვუთხარი მე.

– რომელი გიჟის? – მკითხა შოშიამ.

– ძალიან ძველი ანეგდოტია.

– მომიყევი, ჩემთვის ყველა ახალია, – მთხოვა შოშიამ.

* * *

ერთი გიჟი დადიოდა თბილისის ქუჩებში და შუშებს ამტვრევდა, მეტს არაფერს არ აშავებდა, დადიოდა და შუშებს ამტვრევდა, სხვა მხრივ კეთილიც იყო, სუფთადაც ეცვა და სხვა გიჟები ვით არ მათხოვრობდა.

– როგორ თუ დადიოდა და შუშებს ამტვრევდა, მერე მილიცია სად იყო? – გაუკვირდა შოშიას.– მეც მაგას ვამბობ, თუ მაცლი... – ვუთხარი.

– მიდი! – დამრთო შოშიამ ნება.

– დაიჭერდა მილიცია, წაიყვანდა საგიჟეში, ჰყავდათ იქ ერთი კვირა. რომ შეატყობდნენ, ცოტა დაწყნარდაო, ჭკუაზე მოვიდაო, ხელწერილს დაადებინებდნენ, ფანჯრებს აღარ დავამტვრევო და გაუშვებდნენ.

– მერე? – ვერ ითმენს შოშია.

– მერე, გაგიგონია? როგორიც შეყავდათ საგიჟეში, ზუსტად ისეთი გამოდიოდა, დღეში 15 ფანჯარაზე ნაკლებს არ ამტვრევდა, იმდენი ჭკუა კი ჰქონდა, ახლა სხვა უბანში ემტვრია ფანჯრები, რადგან ძველ უბანში უკვე იცნობდნენ.

– ვაა! – გაუკვირდა შოშიას.

– ეგრე მოიარა ერთ წელიწადში თბილისის ყველა უბანი. ახლა იანგარიშე, წელიწადში თორმეტი თვეა, თვეში ხან 30, ხან 31 დღე, იქაც თებერვლის 28-29, ერთი წინ, ერთი უკან, სულ 365 დღე, დღეში 15 ფანჯარა, ესეც შენი… 365x15

5475

ხუთი ათას ოთხას სამოცდათხუთმეტი ფანჯარა.

– რით ამტვრევდა, თუ ძმა ხარ, ამდენ ფანჯრებს? – დაინტერესდა შოშია.

– შურდულით! – ვუპასუხე მე.

– ვაა! – ისევ გაუკვირდა შოშიას. – მერე? – ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ფანჯრის ჩაყენება 3-დან 5

მანეთამდე ღირს და აქედან საშუალოს ოთხ მანეთს გამოვიყვანთ, ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ ზარალს აყენებდა იგი ქალაქს:

5475 ფანჯარა 4 მანეთზე 21.900

ოცდაერთი ათას ცხრაასი მანეთი ახალი ფულით. ეს, ჩემო ბატონო, ზოგიერთი რაიონის წლიური ბიუჯეტია. ბოლოს დაიჭირეს და ისევ საგიჟეში წაიყვანეს.ამჯერად დიდხანს ყავ დათ საგიჟეში. უცადა გიჟმა ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე, ერთი წელიწადი, რომ აღარ გაუშ ვეს, ბოლოს თვითონ მივიდა ექიმთან და ჰკითხა.

– რას მიპირებთო.

– შენ თვითონ რას აპირებო, – ჰკითხეს ექიმებმა, – თავს როგორ გრძნობო.

– თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი, ახლა მით უმეტესო, – გაახარა ექიმები გიჟმა.

მიიყვანეს მთავარ ექიმთან.

– გამარჯობა, პატივცემულო გიჟო! – მიესალმა მთავარი ექიმი.

– გაგიმარჯოთ, ბატონო ექიმო! – მიესალმა გიჟი.

– როგორ ბრძანდებით, პატივცემულო გიჟო? – ჰკითხა გადარეულს საგიჟის მთავარმა ექიმმა.

– გმადლობთ, არა მიშავს, თქვენ როგორ ბრძანდებით, ჩემზე უფრო დიდად პატივცემულო სა გიჟის მთავარო ექიმოო, – ჰკითხა გიჟმა საგიჟის მთავარ ექიმს.

– რას იზამ, ახლა სახლში რომგაგიშვათო? – ჰკითხა მთავარმა ექიმმა.

– იმას, რასაც თქვენ, ბატონო ექიმოო! – უპასუხა გიჟმა.

– მაინც, მაინცო! – დაინტერესდა ექიმი.

– სახლში წავალ, ბატონოო! – უყურეთ ამასო! – მიუბრუნდა გახარებული მთავარი ექიმი სხვა ექიმებს.

– მერე? – ჰკითხა ისევ გიჟს.

– მერე ჩავდგები ისეთ სამსახურში, თვეში რომ ასე, ოთხასი- ხუთასი მანეთი ვიშოვო, მეტი მე არ დამჭირდება, მარტოხელა კაცი ვარო და დავიწყებ მშვიდად ცხოვრებასო! – თქვა გიჟმა.

– უყურე შენ, მერე და ვინ მოგცემს ასეთ მშვენიერ სამსახურს შენო? – გაუკვირდა მთავარ ექიმს.

– ვითომ რატომ, ბატონო, მე სხვა გიჟებზე ნაკლები ვარ თუ რაო? – ეწყინა გიჟს.

– რატომ, რატომ, სრულებითაც არაო... – გაუღიმა მთავარმა ექიმმა გიჟს.

– მერე ცოლს მოვიყვან, ბატონოო! – ყოჩაღ, ყოჩაღ! მერეო? – მერე ქორწილსგადავიხდიო.

– მერეო? – მერე... მერე... – დაიმორცხვა გიჟმა, – მერე სტუმრები რომ წავლენ, მოვკიდებ ამ ჩემს ქალს ხელს, შევიყვან ოთახში, ჩავაქრობ სინათლეს და...

– გასაგებია, გასაგებიაო! – შეაწყვეტინა მთავარმა ექიმმა.

– რა არის, ბატონო, გასაგები? – ჰკითხა გაკვირვებულმა გიჟმა მთავარ ექიმს.

– საკმარისია, აღარ არის საინტერესო, შემდეგ რა მოხდაო. – გაუღიმა მთავარმა ექიმმა.

– როგორ გეკადრებათ, ბატონო, საინტერესო ამბავი ახლა იწყებაო.

– გააფრთხილა გიჟმა მთავარი ექიმი.

– არ გინდა, არ გინდაო! – იკივლა მთავარმა ექიმმა, ყურებში თითები დაიცო და ოთახში მყოფ ექიმ ქალებს გადახედა თურმე შეშინებული თვალებით, მაგრამ გიჟის გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. – რას ქვია გაჩერება, რაო მერე, თქვი, თორემ გადავირევი! – ჩამივარდა მუხლებში შოშია.– სტუმრები რომ წავლენ, მოვკიდებ ხელს ამ ჩემს ქალსო, – გავნაგრძე მე, – შევიყვან ოთახშიო, ჩავაქრობ სინათლესო, დავწვებით ლოგინშიო, ჯერ ქალს დავაწვენ, მე რე მე მივუწვებიო...

– მერე, მერე! – სულ გადაირია შოშია.

– მერე გავხდი კაბასო, მერე პერანგსო, მერე ტრუსიკსო... – შოშიას შეაჟრჟოლა, – გამოვაძრობ ტრუსიკიდან რეზინს, გავაკეთებ „რაგატკასო“, მივადგები, რაც თბილისში შუშებია, და ვამ ტვრევ და ვამტვრევო... – დავამთავრე მე.

– ფუი, მაგის დედა ვატირე, არ გაუფუჭებია, ეს გიტარასავით აწყობილი საქმე?!! – სიმწრით გა დააფურთხა შოშიამ და სასოებით შემომხედა, იქნებ რამე საშველი მაინც დაადგაო.

– არაფერი, ჩემო შოშია, შეაბრუნეს ისევ თავის პალატაში! – გავაწბილე შოშია.

– სულ არაფერი? – მკითხა გულდაწყვეტილმა შოშიამ.

– სულ, სულ ბოლოს, კიდევ ერთი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ გიჟი მეშუშესთან იყო შეკრუ ლი.

შოშიამ უნდობლად გამომხედა.-მერე ჩემს ამბავთან ეს ანეგდოტი რა მოსატანი იყო ? -

მკითხა შოშიამ .

-შენც ასე ხარ, ჩემო შოშია ,რა ამბავიც არ უნდა დაიწყო ,მაინც იმით ამთავრებს: გარეთ რომ გა ვალ ცოლს გავუშვებდა სირანას მოვიყვანო .-ავუხსენი მე .

-მაინც ეგრე ვიზამ!-თქვანაღვლით სავსე ხმით შოშიამ და კედლისკენ გადაბრუნდა.

ხილვა მესამე

ხილვა მესამე

პატიმრის სიზმარი სამოთხეს უნდა ჰგავდეს .შიგ თორმეტ-თორმეტი ოქტავიანი იადონები უნდა გალობდნენ ,სიზმარი ოცნება უნდა იყოს ,ცისარტყელასავით ჭრელი და ლამაზი .-შენ რას იტყვი შოშია ?

სიზმარში სატრფოს უნდა ხედავდე ულამაზესს და შენს მკლავზე მონებივრეს ,-რას იტყვი შო შია?

სიზმარში არწივივით თავისუფალი უნდა იყო ,ქვეყანას ზევიდან უნდა დაჰყურებდე მხარგაშლილი.- რას იტყვი შოშია ?!

სიზმარში ღმერთს მაჯაზე უნდა ეჯდე ეჟვნიანი მიმინოსავით და შენი შიშით შენს საირაოზე ღაჟო ვერ უნდა ფეთქავდეს .-რას იტყვი შოშია ?

სიზმარში ყვავილები უნდა გეგოს ლეიბად ,ვარსკვლავები საბნად გეხუროს და მთვარე სას თუმლად უნდა გედოს ,სიზმარიც ამას ერქმევა .-რას იტყვი შოშია ?!კაცი სიზმარში სიზმარს უნდა ხედავდეს და ისეთ სიზმარს ,რომ კაცს გაღვიძება აღარ მოუნდეს .-რას იტყვი შოშია ?!

სიზმარში კაცი კი არა ,მზე უნდა იყო, შენს ნებაზე ჩადიოდ-ამოდიოდე და ხალხსა და დედა მიწას ათბობდე ,სიზმარიც ამას ერქმევა .-რას იტყვი შოშია ?!

სიზმარში მზე კი არ უნდა იყო, მზე შენს ხელში ანთებული სანთელი უნდა იყოს ,ჰო,ჰო,ჰო,მა შინ შენ რაღა იქნები, წარმოგიდგენია შოშია ?
მერე ეს ყველაფერი რომ აგიცხადდესდა თუ არ გაგიჟდი, მაშინ ხომ სიზმარიც და ცხადიც, სას წაულიც და არასასწაულიც ,რასაც ხედავ და ვერ ხედავ ,რაც სუნთქავს და არ სუნთქავს ,რაც მოძრაობს და არ მოძრაობს, ეს ყველაფერი ხომ თვითონ შენ იქნები ,-შოშია ?

მაგრამ, თუ სიზმრად ისევ ციხეში ვზივარ ,თუ ისევ შენი ტირილი მესმის ,თუ ისევ ჩემი ნა რის ბაღლინჯო მჯიჯგნის და სისხლს მართმევს ,თუ ისევ ზედამხედველის თვალს ვხედავ ,საკნის კარის სახედში ,თუ ისევ ციხის ულუფას ვჭამ და გამომძიებლის ხელით შემოკრულ ჩემს საჟამისო ზარს ველოდები, ეგ რაღა სიზმარია ,ცხადი ყოფილა და ეგ არის ,შენ თვითონ თქვი ასე არ არის შოშია ?აი, მე ახლა ისევ შენ გხედავ სიზმრად ,ისევ შენს ქანდარაზე ზიხარ, ქალაქს გასცქერი ,ისევ შენს სევდიან სიმღერებს მღერი ,ჩიტად ქცევა და გაფრენა გინდა ,მერე და მე რას მიპირებ? ნამუსი არ გაქვს ? მარტო მტოვებ ?არ გაფრინდე შოშია !

შოშიამ ჯიუტად გაიქნია თავი .

-აღარ შემიძლია ,ზაზა ,აღარ შემიძლია ,ძალა გათავდა ,მოთმინება გათავდა ,სული დაილია .

-უნდა გავფრინდე ,ზაზა, უნდა გავფრინდე !

-არ გაფრინდე შოშია !

-არ შემიძლია ხვალ ჩემი სასამართლო იწყება ,იმ სასამართლოს მე ვერ გავუძლებ.

-მერედა ,როგორ გაფრინდები, მართლა ჩიტი ხომ არ ხარ -არ დავუჯერე მე .

-გავფრინდები ,აი ,ახლა ვინატრებ ჩიტად ვიქცევი და გავფრინდები !

-ვაი რა სულელი ხარ, შოშია !-გამეცინა მე

-ვინატრებ და ჩიტად ვიქცევი ,გინდავინატრო და შენც ჩიტად იქცე ?ერთად გავფრინდეთ ,გინდა
?-დამპირდა შოშია .
-ჩიტობა რად მინდა ,შოშია, როდესაც კაცი ვარ !-უარი ვუთხარი შოშიას .

-არ გინდა და მიყურე!- შოშიამ მკლავები გასალა და ჯვარცმულივით აეკრა კედელს .დიდ ხანს იდგა ასე , ძალიან დიდხანს,ალბათ, ნახევარი სიზმარი მაინც ,მერე თანდათან დაპატარა ვება დაიწყო .

-რას შვები შოშია ?-ვკითხე შეშინებულმა და განცვიფრებულმა .შოშიამ არაფერი მიპასუხა ,მხოლოდ გამიღიმა და ისევ დაპატარავება დაიწყო .

-შოშია ,რას შვები შოშია ,არ დამღუპო! შოშია !-მე საკნის კარს მივარდი და რაც ძალი და ღონე მქონდა ,მუშტები დავუშინე .თან ვტიროდი...ხმას არავინ მცემდა ,ირგვლივ ისეთი სიწყნარე იყო ,თითქოს ყველაფერი: ეს ციხეც ,ქალაქიც, ქვეყანაც წყალქვეშ იყო ჩაძირული, შოშია კი პა ტარავდებოდა და პატარავდებოდა ,ბოლოს სულ პატარა გახდა, მუშტის ხელა .

-შოშია ,გაჩერდი, არ ქნა შოშია ,არ დამტოვო შოშია !..-შოშია შოშიას აღარ ჰგავდა ,იგი კაცი აღარ იყო ,აღარლაპარაკობდა ,ალბათ, არც რამე ესმოდა და უცებ შოშია შოშია გახდა ,იგი სარ კმლის რაფაზე შეფრინდა და ჩემსკენ გამოიხედა გვერდულად ,ისე როგორც შოშიებმა იციან .

-ეს რა ქენი ,შოშია ?ვუთხარი მე და მისკენ წავედი .იგი გისოსში გაძვრა სწრაფად და ახლა ფან ჯრის გარეთ მხრიდან დამიწყო გვერდულად ცქერა და თავის ქიცინი, თითქოს მეპატიჟებო და შენც გამოდიო .

-არ გაფრინდე, შოშია!-უკანასკნელად ვთხოვე მე ,მაგრამ შოშიას ჩემი აღარ ეყურებოდა ,ფრთე ბი გაშალა ,ფანჯარას მოსწყდა და გაფრინდა ,ჯერ ციხის ეზოს შემოუარა ფრენით, შემდეგ ად მინისტრაციულ კორპუსს; შემდეგ კოშკზე მდგარ გუშაგს ჩაუქროლა და გეზი არსენალისკენ აიღო .

- არ გაფრინდე, შოშია! დავადევნე ხმა ,მაგრამ შოშია უკვე ჩემს ხმაზე სწრაფად მიფრინავდა ,ი გი ჯერ კარგად სჩანდა ,მერე ისევ დაიწყო დაპატარავება ,წერტილს დაემსგავსა ,მერე თანდა თან შეუმჩნეველი გახდა და სადღაც კუკიის სასაფლაოზე თავზე სულ გაუჩინარდა .***

შოშიას ბარგიანად დაუძახეს .

-Гоголадзе с вешами!-კინაღამ ჭკუაზე გადავიდა, რაღაიბარგიანად დაუძახეს ,განთავისუფლე ბის გარდა ,რა უნდა ყოფილიყო ,პატიმარს ბარგით სასამართლოზე არავინ ეძახის ,ესეც რომ არ იყოს ,ყველა პატიმარმა წინასწარ იცის ,როდის აქვს სასამართლო, შოშიას კი გარკვევით, გა საგებად და ყოველგვარი მიკიბმოკიბვის გარეშე დაუძახეს:

-с вешами!-მორჩა და გათავდა , შოშიამ ხმა არ გასცა ზედამხედველს ,თითქოს ეს სიტყვები მას კი არა ვიღაც სხვას ეხებოდა, თან ამ საკანში მჯდომს კი არა ,სადღაც სხვა საკანში ,სხვა ცი ხეში და სხვა ქვეყანაში .

-გოგოლაძე დაყრუვდი? с вешами!-გაიმეორა ზედამხედველმა და კარი ისე მიიხურა, რომ არ ჩაკეტილიყო, ალბათ, უნდოდა შოშიასათვის ბარგის მოგროვება და ჩემთან გამომშვიდობება ეცლია . -რა თქვა ?მკითხა შოშიამ დაგაფითრდა

-ბარგით გეძახიან ,შოშია!-გავუღიმე მე .

-ბარგითო?სასწაულია!-თქვა შოშიამ

-სასწაულია! დავუდასტურე მე.

-ვინ თქვა ,რომ სასწუალი არ არსებობს ?-მე უარყოფის ნიშნად თავი გავიქნიე

-მე არ მითქვამს ,შოშია!

-შენ არ გითქვამს ,ვიღაცამ თქვა არ არის სასწაულიო,

არის სასწაული!-თქვა შოშიამ და ტუჩები აუთრთოლდა .

-არის შოშია !

-არის ღმერთო!-თქვაჩურჩულით შოშიამ და მუხლებზე დაეშვა .

-ღმერთიც არის ,შოშია!-ვუთხარი მე და ჟრუანტელმა დამიარა

-ღმერთო !-თქვა შოშიამ და დადუმდა ,არ ვიცი ხმა ჩაუწყდა და ვერ ამობობდა ვერაფერს ,თუ გულში ამბობდა დანარჩენ ღვთის სადიდებელს ,ასე იყოდამხობილი ერთხანს ,მერე უცებ მო მიბრუნდა და სხაპასხუპით დამაყარა :

-თქვი ,სად ცხოვრობ...თუმცა ვიცი ,ხო, ვიცი ,ანაგისორმოცდაორი ,ხო , ვისთან მივიდე ?ვიცი, დედაშენთან ,დედასთან ,მერე? რა ვუთხრა? რა თქვი?.. ვეტყვი რომ კარგად ხარ ,ძალიან კარ გად ,დაგელოდოს ,დაგელოდოს

-ვინ ,შოშია?

-დაგელოდოს დედაშენი.

-გიჟი ხარ შენ?

-გიჟი ვარ. გიჟი .რა ჰქვია ?,ჰო , ანიკო, ჰო დეიდა ანიკო,ქალბატონო ანიკო...რომ კარგად ხარ ძალიან კარგად ,ისე კარგად ,რომ მეტი არ შეიძლება ,კიდევ რა ვქნა ,მითხარი, ვისთან მივი დე?
გინდა მოკლულის დედასთან მივალ და ვეტყვი ,რომ შენ არ მოგიკლავს ...მივალ, ვეტყვი...

-არ მიხვიდე ,შოშია !
-მივალ, მივალ!

-გოგოლაძე გამოდი!-მშვიდობით,ზაზა,ნახვამდის,ზაზა ,შენი ჭირიმე შენი!-შოშია წამოდგა ,გულში ჩამიკრა ,მერე უცებ შეტრიალდა,გიჟივით გავარდა გარეთ და დამტოვა გულ ადუღე ბული,თავლცრემლიანი და გაგუდული შუა საკანში. გაფრინდა შოშია გაფრინდა და დამეკარ გა
...

საკანში მარტო დავრჩი, სულ მარტო 19 ცარიელი ნარის, ვეებერთელა გრძელი მაგიდის ,პარა შის ,საწყლე კასრის და ფიქრის ანაბარა ,საფიქრებელი კი უამრავი მქონდა ,რომ ვფიქრობდი ,იმაზე გაცილებით მეტი ...

მე ახლა შოშიას ქანდარაზე ვწევარ სარკმელთან და შოშიას აღმოჩენილ თბილისის პატარა ნა ტეხს გავცქერი საათობით:აი,ის ლუდის ბუდრუგანა ,შიგ ვეებერთელა ლუდის გამყიდველი დგას ,იმხელაა ,რომ დახლს ავსებს და ციხის სარკმლიდან ჩარჩოში ჩამჯდარ ოდესღაც დაწყე ბულ და მერე მიტოვებულ, დაუმთავრებელ პორტრეტს ჰგავს.დაუმთავრებელს იმიტომ ვამ ბობ, რომ მხოლოდ კონტურებსა და მოცულობას ვხედავ მისას, ნაკვთებს ვერ ვარჩევ .ლუდხა ნის გვერდით აფთიაქია და აფთიაქი ხან სულ ცარიელია ,ხან იმდენი ხალხია ,რიგი გარეთ გა

მოდის .ახლაც ასეა ,ალბათ ქალაქში გრიპის ეპიდემიაა, ამ დროს იცის ხოლმე. იქითსაპარიკმა ხეროა ,ყველა საპარიკმახეროშია ერთი ან ორი ფინაჩი დალაქი,ეტყობა,აქაც ეგრეა ,რადგან ხალხი მიდი-მოდის ,ეს ორნი კი მუდამ გარეთ სხედან და რაღაცაზე მასალათობენ ,ხანდახან თეთრხალათიანი ქალი შემოუერთდება ხოლმე, ეს ან დამლაგებელია ან ქალების ფინაჩიპა რიკმახერი, ორში ერთია .ქუდების ატელიეში ხალხი ყოველთვის ცოტაა.ალბათიმიტომ,რომ მოდიან მზა ნაწარმს ყიდულობენ და მიდიან .მუშტრის დენადობას ვიტრინაში გამოფენილი ქუდებით ვვარაუდობ ,ვიტრინაში სულ ათი ქუდია გამოფენილი და ,უბრალოდ ,ვთვლი, თუ ათზე ნაკლებია ,ესე იგი ვიღაცას უყიდია. ხშირად ეს რიცხვი ხუთსა და ათს შორის მერყეობს ,ისე რომ, ვიტრინაში ერთი ქუდი დარჩენილიყოს ან საერთოდ გამქრალიყოს ქუდები ვიტრი ნიდან , ასეთი შემთხვევა არ მქონიადა ,ალბათ, არც მექუდეებს, ვერც გაამტყუნებ: ქუდები მო დაში აღარ არის ,მთელი თბილისი უქუდოდ დადის .ოღონდ არ უნდა გავითვალისწინოთ ,რომ ქუდის ტარება წინათ ნამუსის ნიშანი იყო, მით უმეტეს ,რომ უქუდი,მაგრამ ნამუსიანი კაცი არ იცე იშვიათი შემთხვევაა ,სხვებს ,რომ ჰგონია. აი, კაცი მოვიდა უქუდოდ ,რა დააშავა? არაფერი. შევიდა აფთიაქში, წამალი იყიდა ,გამოვიდა და ქუჩაში დადგა ,გახსნა წამალი ,ხე ლისგულზედაიდო ,ალბათ, ტაბლეტი ,უყურა ,უყურა ,მერე უცებ ისე აიფარა ხელი დაფჩე ნილ პირზე ,როგორც აბღავლებულბავშვებს აფარებენ ხოლმე მშობლები და კისერი წაიგრძე ლა ,არ გადადის?
აგერ,ბატონ,ჩაციებული ლუდი, მივიდა, ხელით ანიშნა გამყიდველს ,დამისხიო ,და ნელა ,გაბ მულად წრუპა ლუდითავის ქაფიანად ,მარე სახელოთი შეიმშრალა ტუჩები ,კათხა დახლზე დადგა ,ფული გადაიხადა და დაფიქრდა .ნეტავ რა უნდა ქნას ახლა ?როგორ თუ რა ? სადალა ქოს მიადგა, ერთ-ერთი ფინაჩი დალაქი ააყენა და სადალაქოში შეიყვანა ,ხუთ წუთში ისევ გა მოვიდა იმ დალაქის თანხლებით ,ალბათ ,მჟავე კიტრივით გატანტალებული და იაფასიანი ოდეკოლონით ამყრალებული.ესეც ასე... აწი რაღას იზამს ?არად რა უნდა ქნას ?წამალი მიიღო, ლუდი დააყოლა ,წვერი გაიპარსა ...ნორმალური კაცი იმის შემდეგ სახლში უნდა წავი დეს ,უნდა წავიდეს ,მაგრამ ეს კაცი რატომ არ მიდის ,რატომ? აი, რატომ, კაცი ქუდების ატე ლიეში შევიდა ...ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა ,ქუდს იყიდის, დაიხურავს და ალბათ, “მეც მახურავს თავზე ნამუსის ქუდიო”, წაიღიღინებს კმაყოფილი. ქუდების ატელიეში ის კაცი ძა ლიან დიდხანს დარჩა .ისე დიდხანს ,რომ ეჭვი შემეპარა იქ ხომ არ მუშაობს-მეთქი, მაგ რამარა, იგი გამოვიდა ...უქუდოდ გამოვიდა ,გესმით?უქუდოდ.ესეც მე ვარ? აკი გითხარით ,მთელი თბილისი ახლა უქუდოდ დადის-მეთქი, მერე და რით არის უნამუსო ახლა ეს კაცი ?რა თქმა უნდა ,არაფრით. მაგას ვენაცვალე ,რომ უქუდოდ გამოვიდა ,არ გამაწბილა და გამა ბითურა. “კაცი ვარ და ქუდი მხურავსო“ მაგან უნდა თქვას .

...თბილისის ამ პატარა ნაგლეჯზე ,რომელსაც მე სარკმლიდან ვუმზერ ,ზუსტად ისე ხდება ,რაც მთელ თბილისში ,არც მეტი ,არც ნაკლები.ასეა,ალბათ,მთელს დედამიწაზე .დადიან თა ვისუფალ დროსადამიანები აფთიაქებში,ლუდხანებში,საპარიკმახეროებში,ატელიეებში და ასე შემდეგ. ციხიდან არ ჩანს ,რას აკეთებენ ისინი დახურულ შენობებში, მაგრამ ეს ხომ გარე დანაც არ ჩანს ,ასე რომ თბილისის ამ პატარა ნაგლეჯზე მინიატურული კაცობრიობა დაფუს ფუსებს ,უფრო მეტიც, ალბათ მინიატურული სამყარო თავისი გალაქტიკებითკვაზარებითა

და პლანეტებით, თუ სადმე სიცოცხლე მართლა არსებობს .აუუ...რამხელა ყოფილა სამყარო და რა პატარა ყოფილა. აუ, ეს რა პატარა ყოფილხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე ქვეყნიერე ბავ...დაუცებ ტანში საოცრად თბილი და ნაღველგარეული სითხე ჩამეღვარა, ყველა ძარღვში, ყველა ფოსოში დაიარა ამ სითბომ და ბოლოს გულთან მოიყარა თავი ყრუ და განუწყვეტელ ტკივილად ...

...გამარჯობა ,ჩემო თბილის ქალაქო,

არა მკითხო რა ზარია, რა არი...

მღეროდა შოშია.

ეს არ იყო მოჩვენება ,არც მოლანდება არც ხილვადა არც რაიმესასწაული, შოშია მღეროდა ,ნამ დვილი შოშია მისჯილებისკორპუსიდან.

უწმინდესო ზარო სიონისაო,

ხიზანი ვარ ციხის კედლებისაო,

გაყიდული ერთგულ მეგობრისაო,

არ გეგონოს ჩემი ფეხით მოვედი...

მღეროდა შოშია და მთელი ციხე სულგანაბული, მოჯადოებული უსმენდა მის ცრემლიან გა ლობას .

ვინ თქვა ,შოშია ,ღმერთი არსებობსო?ვინ თქვა , შოშია, სასწაული არსებობსო? შენა თქვი შოში ა?

-არ ყოფილა ,შოშია, სასწაული!

-არც ღმერთი ყოფილა, შოშია!

დილით ნარიდან ამორჩილ ლურსმანზე ხელი გავიხიე და ზედამხედველს ვთხოვე ,ექიმი გა მოეძახა .15 წუთში ექიმი მოვიდა ,

-გამარჯობა, ბოროტმოქმედო ნაკაშიძე!-კარში მზესავით გაღიმებული ნუნუ ექიმი დგას .

-გაგიმარჯოს ,ნუნუ ექიმო!-ვეუბნები და ვატყობ, გულთან რაღაცა ლღვება .

-რა მოგივიდა ?-მკითხა მან , ჩანთა მოიხსნა და ტაბურეტზე დადო.

-ხელი გავიფუჭე,-ვთქვი მე და გაჭრილი ხელი ვაჩვენე.

-უყურე შენ!-თქვა ნუნუ ექიმმა და ჩანთის გახსნა დაიწყო.

ზედამხედველმა შეატყო ,საქმე ასე უცებ არ დამთავრდებაო ,კარი მთლიანად გააღო და დერე ფანში გავიდა .-მარტო დარჩი?

-მარტო. რა არის ეს?

-წყალბადის ზეჟანგი. სულ მარტო?

-სულ მარტო.-ნუნუ ექიმმა ხელისგული მობანადა ახლა იოდი ამოიღო.

-მერედა ,არ გეშინია?

-ამხელა სახელმწიფო მიცავს , ნუნუ ექიმო, თავისი ჯარით, სასამართლოთი ,პროკურატური თა და მილიციით, რისი უნდა მეშინოდეს !

-ისე ,ბინა მაქვსო შენ უნდა თქვა !-შემიქო ბინა ნუნუ ექიმმა ,ცარიელ საკანს თვალი მოავლო, ჭრილობაზეიოდი დამასხა, ისე ამეწვა ,ტკივილისგან თავი ძლივს შევიკავე.

-ერთი სულის პირობაზე არა უშავს , მე შენ გეტყვი ავეჯი შემაწუხებს ,ან ჩაწერაზე მომიწევს სახლმმართველთან ქრთამით სირბილი .-დავუდასტურე.

-მაგის გარდა, წყალი უფასო ,სინათლე უფასო,საჭმელი უფასო, ექიმი უფასო -ამყვა ნუნუ ექი მი.

-აბა, აბა ,აქედან წასვლა არგინდა ?-ვთქვი სინანულით. ნუნუ ექიმმა ხმამაღლა გაიცინა .-ხომ არ იცი, ნუნუ ექიმო ,რატომ არავინ შემოყავთ, ხომ არ გაუჭირდათ, პატიმრები ხომ არ შემოელიათ?-ვკითხე მე ,მზრუნველი ხმით.
-შენ უკანასკნელი ბოროტმოქმედი ხარ დედამიწაზე, ნაკაშიძე.-მითხრა მან და ჭრილობაზე ვეებერთელაბამბის ქულა დამადო.

-მართლა, მართალ?

-ნუ გეშინია ,ერთი თვეა კარანტინი გვაქვს ,რომ მოიხსნება ,ოცდაათ კაცს ერთად შემოგიყვა ნენ და გაიხარე.-თქვა მან და ჩანთიდან ბინტი ამოიღო.

-მაგ საქმეს თუ დამიჩქარებ, ნუნუ ექიმო , მადლობელი ვიქნები დიდად !-ვთხოვე მე.

ნუნუმ ისევ ხმამაღლა გაიცინა .

-შენი სასამართლო როდის არის, ნაკაშიძე?

-ნუნუ ექიმმა ბინტი გადამახვია ხელზე .

-ჯერ ძიება არ დამთავრებულა.

-ამბობენ ,შენ მალე გაგიშვებენ,ნაკაშიძე!

-ვინ ამბობს, ნუნუ ექიმო?

-ხალხი ამბობს.

-ხალხმა რა იცის, ნუნუ ექიმო?

-ხალხმა რომ იცის ,იმდენი ვინ იცის ,ნაკაშიძე?-თქვა მან და ბინტის დახვევა განაგრძო.

-გიხარია ,ნუნუ ექიმო?

-რა?

-ჩემი წასვლა?

-რატომ უნდა მწყინდეს, ნაკაშიძე !შენ რა არ გიხარია?

-არა , ნუნუ ექიმო.

-რატომ , ბიჭო? -გაუკვირდა მას და ბინტის დახვევა შეწყვიტა.

-იმიტომ ,რომ ყოველდღე ვეღარ გნახავ ...
-რა გინდა, ნაკაშიძე!ჩემი ყოველდღე ნახვა ?-გაწითლდა ნუნუ ექიმი და ბინტირაც შეეძლო მჭიდროდ მომიჭირა . კიდევ რამეხომ არ გტკივა ?- მომცა აუცილებელი კითხვა ნუნუ ექიმმა .

-ყველაფერი მტკივა .-ვუპასუხე მე ისე ,რომ თავი მაღლა არ ამიწევია. ნუნუმ მაკრატელი ამოიღო ჩანთიდან , ბინტს თავი ორად გაუჭრადა მაგრად შემიკრა .

-აი შენ ორი ტაბლეტი ლუმინალი, რადგან ყველაფერიგტკივა!-ნუნუ ექიმმა წამალი ამოიღო ჩანთიდან და გამომიწოდა .

-არ წახვიდე ,ნუნუ ექიმო !-ვთხოვე მე.

-როდემდე ვიყო აქ, ნაკაშიძე?-მკითხა ნუნუ ექიმმა .

-აი, შენისთანა გოგო რომ მელოდებოდეს გარეთ ...-

ვთქვი მე და ნუნუს თავლებში შევხედე. მან თვალი ამარიდა .

-ნაკაშიძე! დედა ხომ გელოდება ?

-დედა მოიცდის ,დედა ყველაზე დიდხანს მოიცლის ...

-რა გჭირს ,ნაკაშიძე?

-შეყვარებული ვარ, ნუნუ ექიმო!-ვთქვიმე და გული ისევ შემეკუმშა .

-ნაკაშიძე .დაიწყო ნუნუ ექიმმა დუმილის შემდეგ .

-აქ, ციხეში, პატიმარი არ არის მე რომ არ ვუყვარდე.

-ყველას ხომ ერთნაირად არ უყვარხარ?

-შენს ტოლებს ყველას ერთნაირად !

-რატომ?

-იმიტომ, რომ სხვა ქალი არ არსებობს აქ ,მე ერთი ვარ ,ერთადერთი, უბადლო და მზეთუნახა ვი...მწარედ გაიღიმა მან .-გასაგებია? ადგა, წამლები ჩანთაში ჩააწყო და ჩანთა მხარზე გა დაიკიდა .

-რა არის გასაგები?-ვუთხარი მე ,თუმცა ყველაფერი მესმოდა .

-რომ გახვალ გარეთ, მაშინ გაიგებ!-მითხრა ნუნუ ექიმმა და კარს მიაშურა ,მერე უცებ მოტრი ალდა ,დიდხანს მიყურა ,მერე თავი დახარა და ისე მკითხა:
-ნაკაშიძე ,ის პატიმარი რა გვარია?

-რომელი?- ვკითხე მე და საშინელმა ეჭვმა შემიპყრო.აი ის , ლექსი რომ წამიკითხა.

-არ ვიცი!

-რა ჰქვია!

-არ ვიცი!

-სად ცხოვრობს?

-არ ვიცი!

-ცოლი ხომ არ ჰყავს ?

-არ ვიცი ,არ ვიცი, არ ვიცი!

-ვიყვირე მე ,სახეზე სისხლი მომაწვა .ნუნუ ექიმმა მაცალა ,ვიდრე დავწყნარდებოდი და თავ ლებში ჩამხედა .მე თვალი ავარიდე

-თავლებში მიყურე, ნაკაშიძე!-მითხრა ნუნუ ექიმმა .

მე შევხედე და მის გაფითრებულ სახეზე ორი გიშერივით ანთებული თვალი დავინახე.

-თქვი, ნაკაშიძე ,შენ ყველაფერი იცი !-გაწყვეტილი მშვილდივით მოვდუნდი, მოვეშვი და ნარზე დავჯექი.-თქვი, ნაკაშიძე, შენს დედას და სიყვარულს გაფიცებ!

-დევდარიანი, ლიმონა (კაკო),უცოლო, უშვილო,-დავიწყე მე .-ჰყავს გათხოვილი და , სახლში ელოდება ქვრივი დედა ,ცხოვრობს თბილისში ,მთაწმინდაზე ,არსენას ქუჩა ნ15 -ში .

-გმადლობთ ,ნაკაშიძე !

-შეყვარებული ჰყავს .

-გმადლობთ ,ნაკაშიძე.

-მაგრამ ის ქალი გათხოვილია .-ვთქვი მე .თვითონ არ ვიცი რატომ .

-გმადლობთ ,ნაკაშიძე- ნუნუ ექიმმა ჩამქრალი თვალებით ამომხედა და კარი გაიხურა .

-მოიცა ,ნუნუ ექიმო !-გავაჩერე მე .
-რა იყო კიდევ, ნაკაშიძე?

-მედა ლიმონამ მისი სასამართლოს წინა დღით, წინა დღით კი არა ,ღამით, თეთრად გავათენეთ.-რატომ არ გძინავს ლიმონ-მეთქი, ვკითხე… -
მერე ,რაო ლიმონამ ?-მკითხა ნუნუ ექიმმა .

-ნუნუ ექიმი მიყვარსო, ასე თქვა ლიმონამ .-მე თავი ჩავღუნე და დავდუმდი .

-გმადლობთ ,ნაკაშიძე , კარგი ბიჭი ხარ !- თქვა ნუნუ ექიმმა და კარი გაიხურა .

***

შუადღეზე კარი გაიღო და პირველი პატიმარი შემოიყვანეს .მწვანე თავმოკრული ტურისტუ ლი ზურგჩანთა ეკავა მარცხენა ხელში, მარჯვენა უკნიდან შემოევლო წელზე და მარცხენა ხე

ლის იდაყვზე ჰქონდა წავლებული, რის გამოც წელში ოდნავ გაზნექილი ჩანდა .გამხდარი იყო ,თავლები შავი და შეშინებული ,თმა არ ჰქონდათავზე .იგი შუა საკანში იდგა საქციელწამ ხდარი და მიყურებდა ,ალბათ ჩემგან ელოდა თავის საქციელის ნიშანს .მე გავუღიმე ,მანაც გა მიღიმა, ოღონდ უნდობლად.

ქანდარიდან არ ჩამოვსულვარ.სარკმელში გავიხედე ,რომ მოვხედე ისევ ისე იდგა ,ოღონდ იმ განსხვავებით ,რომ ჩანთა იატაკზე დაედო. ჩემი თავი გამახსენდა მეც ასე გამოვიყურებოდი ,ალბათ,პირველ დღეს .

-გარეთ დარჩა ვინმე?-ვკითხე. ვერ გაიგო, მხრები აიწურა.

-გარეთ თუ დარჩა ვინმე ,გეკითხები!-გავუმეორე კითხვა .

-სად გარეთ?-გაუკვირდა მას .

-თბილისში!

-ხალხი!

-რა თქმა უნდა!

-ბევრი?

-ძალიან ბევრი!
-აღარ თავდება თუ იცი?-ვკითხე შეწუხებულმა.

-რა გაათავებს ?! გაუკვირდა მას .

-კარანტინი გასკდა?-ვკითხე მე ძველმოსახლისა და საქმის მცოდნე ტონით .
-გასკდა!-მიპასუხა მან შვებით ამოისუნთქა .

-გარეთ რა ხდება ?

-თქვენ რა გაინტერესებთ ?

-ხორცი რა ღირს ბაზარში?

-ძვირია!

-პამიდორის წნილი?- ახალბედა მიხვდა ,რომ დავცინოდი .

-არ ვიცი, თქვენ რა გაინტერესებთ .-მითხრა მან გაბუტული ხმით.

-ამნისტიის ხომ არ ისმის რამე?

-კარანტინში თქვეს იქნებაო!

-როდისო?

-საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით.- თქვა მა .

-პოლიტიკაში ერკვევი?

-თქვენ რა გაინტერესებთ?

-ყველაფერი.

-გაზეთებს იშვიათად ვკითხულობ !..-უხერხულად გამიღიმა მან .

-ვიეტნამში რა ამბებია?

-ომია!

-არ გადამრიო ! როდის დაიწყო? -გამიკვირდა მე. ისევ მიხვდა ,რომ დავცინოდი.

-სოფლის ცხოვრებას ვკითხულობ ,იქიდან მკითხე რამე!-მთხოვა მან ჩაჭრილი სტუდენტი ვით.შემეცოდა,მაგრამ გამეღიმა.

-კარანტინში ბევრნი იყავით?

-ბევრი.

-დანარჩენები რა იქნენ?

-ქურდები იყვნენ და სპეცში ჩაიყვანეს .-გაუგია რომ განსაკუთრებით საშიში ქურდები სპე ციალურ სარდაფებში ჰყავთ და თავს მაწონებს .არ ვუპასუხე .თვითონ განაგრძო.

ამ დილით „შმონი“ დაგვარტყეს ორჯერ,მე ბრიტვებიმქონდა პურში, მიპოვეს .

შმონი ჩხრეკაა,ერიჰა,ამას ჩემი აყვანა უნდა-მეთქი გავიფიქრე.

-რა გქვია ? -ვკითხე მე .

-სანდრო!-მიპასუხა მან .

-გვარი?

-გვარი ზამბახიძე.

-კარგი გვარი გაქვს .

-არა უშავს .დამეთანხმა იგი ღიმილით.

-მანდ დაწვები პირველ ნარზე.-მივუთითე მე.

-პარაშასთან ასე ახლოს რატომ?

-შიშისგან ხშირ-ხშირად მოგინდება შარდზე გასვლა და მანდვე იქნები!-ავუხსენი მიზეზი.

-საკანში ამდენი ნარია .თქვა მან გაუბედავად .

-მაგ ნარებს ყველას თავთავისი პატრონი ჰყავს .-ვუპასუხე მე .

-მერედა სად არიან?-მკითხა გაკვირვებულმა.

-ზოგი დახვრეტილია ,ზოგი გადასახლებული ,ზოგი თავისით მოკვდა ,ზოგი სასამართლო ზეა ,ზოგი დაკითხვაზე ,მალე დაბრუნდებიან -ვუთხარი მე .პატიმარმა ზამბახიძემ უნდობ ლად ამომხედა ,მაგრამ სხვა ნარზე დაჯდომა მაინც ვერ გაბედა ,სადაც მივასწავლე იქ მოეწყო და წამოწვა .

-დაიღალე ?-ვკითხე მე .

-რა დამღლიდა !-ისევ გაუკვირდა ზამბახიძეს .

-მაშინ ადექი, დღისით წოლისათვის თუ დაგინახეს კარცერია .

-კარანტინში გვაწვენდნენ.

-კარანტინი სხვაა ,საკანი სხვაა, რასაც გეუბნები ისე გააკეთ, თორემ ინანებ- გავაფრთხილე მე .იგი წამოდგა ,გახდილი ფეხსაცმელიისევ ჩაიცვა და დაჯდა.

-სულ ასე უნდა ვიჯდე?-მკითხა შეწუხებულმა.

-ეგ სასამართლოზეა დამიკიდებული ,რომ მიგისჯიან ,მერე თუგინდა ყირაზე იარე.

-რაზე უნდა მომისაჯონ ,მომისაჯონ რა ლილახანა ხომ არ არის, ჩალით კი არ არის ქვეყანა დახურული!-იფეთქა უცებ ზამბახიძე.

-სად მუშაობდი ?-ვკითხე, ცოტა რომ დაწყნარდა .

-ტყავის ქარხანაში ვმუშაობდი და ვიმუშავებ კიდევაც ...-ისე მითხრა ,თითქოს მე მომეხსნას და დამეჭიროს .

-მაინც რაო ,რას გაბრალებენ?- ჩავეკითხე ზამბახიძეს.

-უხ, მათი ჩათლახი დედა ვატირე!-შეიგინა ზამბახიძემ და ისე დაირტყი მჯიღი მკერდზე, შე მეცოდა .

-ვიზე ამბობ?-ვკითხე.

-დირექტორზე და ყარაულის უფროსზე ,ახო-ს ეძახიან .მან ხომ იცი როგორ არის ,ყველა ცე ხის გამგეს ტყავი გააქვს ,ყიდიან და წილს დირექტორსა და ახო-ს უფროსს აძლევენ.

-შენ?-ვკითხე ისევ.

-მე რა ჩემი ფეხები მქონდა ,რომმიმეცა ?ისევ გაკვირვებით მკითხა ,თითქოს ტყავი თვალი თაც არ ენახოს .

-მერე?

-მერე რა, მაგათთვის ჩემი ადგილი მკვდარი იყო, აიღეს და გამყიდეს ჩემი ადგილიანად .

-რამდენად?

-ვიცი რო? დირექტორმა დამიძახა, განცხადება დაწერე და წადიო. გიჟი ვიყავი დამეწერა? არ დავწერე...

-კარგი გიქნია-შევაგულიანე მე .

-რა მიქნია კარგია ? გაუკვირდა ზამბახიძეს .

-რომ არ დაწერე!

-კარგი, თუ ძმა ხარ ,მერე იცი რა მიქნეს ?

-ვიცი,-ვუპასუხე მე.

-აბა რა?-მკითხა მან .

-მერე, დირექტორი და ახო-ს უფროსი გადაგეკიდნენ.ერთ მშვენიერ დღეს ჩაგისაფრდნენ და ,შენს სიცოცხლეში რომარავის გაუჩხრეკიხარ ,უცებ გასასვლელში გაგაჩერეს ,ახოს უფროსის ოთახში შეგიყვანეს და ორი მუშის თანდასწრებით გაგჩხრიკესხ.გაგჩხრიკეს და წელზე შემორ ტყმული ლანჩები და საპირე ტყავი გიპოვნეს.

-კი არ მიპოვეს,მომიყარეს !-გამისწორა ზამბახიძემ.

-მაგას არა აქვს მნიშვნელობა !-ვუთხარი მე.

-როგორ თუ არა აქვს?

-იმიტომ რომ ჩხრეკის დროს ის ორი მუშა მოწმედ დაიყენეს .

-ცრუმოწმედ!-იყვირა ზამბახიძემ.

- ის ორი მუშა ცრუ მოწმედ დაიყენეს ,სურათებიც გადაგიღეს და დირექტორთან მიგიყვანეს .მართალი ვარ ?-ვკითხე ზამბახიძეს .

-მართალი ხარ.-მითხრა ზამბახიძემ.

-ახლა გინდა გითხრა ,დირექტორმა რა გითხრა ?

-თქვი!-რომ შეგიყვანეს, დირექტორი ისე იჯდა ვითომ გაზეთს კითხულობდა .რომ დაგინახა, ფეხზე წამოდგა .-რაშია საქმეო იკითხა!

-იკითხა?-ვკითხე ზამბახიძეს .

-ზუსტად ეგრე იკითხა იმ დამპალმა !-დაიქნია თავი ზამბახიძემ.

-ახოს უფროსმა მოახსენა , ასე და ასეო, არ მჯერაო, შეიცხადა დირექტორმა. თუ არ გჯერათ ,ა ბა, ეს რა არისო და წინ ტყავი დაუყარეს .დირექტორმა ვითომ ეწყინაო ,ოხო! თქვა და დაჯდა. დიდხანს იჯდა შეწუხებული ,მერე ადგა და ასეთი სიტყვა გითხრა :“ამხანაგო ზამბახიძე ასე უნდა ქარხნის, კოლექტივის ,პარტიისა და ხელისუფლების ნდობის გამართლება ?შვილივით მიგიღეთ,გაგზარდეთ,ცეხი ჩაგაბარეთ და შენ იმის ნაცვლად ,კაპიკს კაპიკი მიუმატო და ეკო ნომია მისცე ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ამ დარგს ,რას შვები იპარავ ? მერე და ვის პარავ ? სახელმწიფოს? არა ზამბახიძე მაგის უფლებას ვერ მოგცემთ!“ შენ რაღაც გინდოდა გეთქვა ,მაგ რამ აღელვებულმა დირექტორმა ლაპარაკიარ გაცალადა ხელით ანიშნა ახოს უფროსს ,გაიყვა ნეთო ,მართალია?-მართალია! მართალი!

-მერე გამოძიება რას იზამდა ?ორი კაცი პირზე გადგებოდა ,აიღეს და დაგაპატიმრეს ,მათ ად გილზე შენც ასე მოიქცეოდი. ერთი თვე კარანტინში გამყოფეს და ახლა ჩემს გვერდით ზიხარ...-დავუმთავრე მე მარჩიელობა .

-თუ ძმა ხარ საიდან იცი ყველაფერი ეს ?-მკითხე განცვიფრებულმა ზამბახიძემ .

-მაგას რა ცოდნა უნდა ,სამართალში მიცემულო ზამბახიძემ.

-მეც ,რა თქმა უნდა მეც !

-მერე ,რატომ არ გიშვებენ ?

-ვინ გითხრა რომ არ მიშვებენ .აი ნახავ, ერთ საათში დამიძახებენ და გამიშვებენ -გავუღიმე მე ზამბახიძეს .და მოხდა სასწაული ,იმაზე უფრო დიდი სასწაული ,რაც მოშიაშვილმა გაკეთა ამ ოთხი თვის წინ .საკნის კარი გაიღო, შიგ ჩემი ძველი ნაცნობი ზედამხედველი ჩადგა ფეხებ გაფშეკილი,გამიღიმა და მთელი ხმით დაიძახა :Накашидзе с вешами!ნაკაშიძე სვეშჩამი...ნაკა შიძე სვეშჩამი ,-დაირხა ექო ცარიელ საკანში. მე გავშრი ერთ ხანს გაკვირვებულ, პირდაფჩე ნილზამბახიძეს ვხედავდი .მერე ისიც გაქრა, საკანი ვარდისფერი ბურუსით აივსო, სქელი ვარ დისფერი ბურუსით.

-გათავდა წყლით რღუნა ქვეყანასა ზედა ,ჩამესმა ყურში ნაცნობი მოხუცის ხავერდოვანიმოალერსედა თბილი ხმა .-გამოვედ კიდობნისაგან და აღუშენე საკურთხეველი უფალსა
-და მერე უფრო შორეული, მაგრამ გაცილებით უფრო ძლიერი, თბილი და მოალერსე ხმა.-აღორძინდით და განმრავლდით და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას!-

- ვინა თქვა ,შოშია, ქვეყნად სასწაული არ არისო !არის ქვეყნად სასწაული, ღმერთიც არის ქვეყ ნად შოშია...

***

მეცხრე უკანასკნელი კარი გამიღო დარაჯმა და მხარზე ხელი დამკრა .

-ცოლი გყავს? -მკითხა მან-არა!- ვუპასუხე მე .

-აფსუს-გაიქნია თავი დარაჯმა.

-ნახვამდის! -ვუთხარი მე .

-მშვიდობით! მითხრა მანდა ჩემს ზურგს უკან ჭრიალით გაიხურა უზარმაზარი რკინის ალაყა ფი.

***

იგი ციხისგადაღმა ფილაქანზე იდგა თერმოსით ხელში და მელოდებოდა ,ისევ ისე გახუნებუ ლი კოვერკოტის საწვიმარი ,ისევ ის თეთრ კოპლებიანი ლურჯი საყელო, იდგა და მელოდა .მე ყელი გულში მომებჯინა ,რომ არ მეტირა ,ქვედა ტუჩზე ვიკბინე და ნერწყვი გადავყლაპე .იგი იდგა და მელოდა .მაშინ მე წავედი მისკენ გადავჭერი ქვაფენილი დაფილაქანთანმის წინ დავდექი. მან ზურგჩანთა ჩამომართვა და ფეხებთან დაიგდო, მერე მაჯაში მომკიდა ხელი და პირდაპირ ფილაქანზე დაჯდა .მეც დავჯექი მის გვერდით ძალაუნებურად. უხმოდ მოხსნა თერმოსს თავი, სახურავი მომცა ჭიქის ნაცვლად დაცხელი ყავა დამისხა .ცხელი ყავა დამისხა ზუსტად ისე ,როგორც პაემანზე. მე ყავა მოვსვი, სრულიად დინჯად და აუღელვებლად .მუქი და სქელი სითხე სითბოდ ჩამეღვარა სხეულში და სისხლის ძარღვებს გაჰყვა ...და უცებ გაიხ სნა ყველაფერი ,ქუჩა ამოძრავდა ,ახმაურდა ,ვიღაცამ გაიცინა ,ვიღაცამ შეიგინა ,ვიღაცამ ჩაგ ვიარა .და მე გავიგონე დედის აკანკალებული ხმა :

-როგორ ხარ, შვილო?

-კარგად დედა !მერე მან ჩაიდო მუხლებში ჩემი თავი და დიდხანს მისვამდა ათრთოლებულ ხელს თმებსა და სახეზე. მერე მე ვიგრძენი როგორ დამეცა მისი ცხელი ცრემლი, ერთი ,მეორე ,მესამედა როგორ გალღვა ის დარჩენილი ცივი ქვა ,გარეთ რომ გამომყვა. დედაჩემი ტიროდა, ვტიროდი მეც .მოქალაქეები ჩერდებოდნენ ,გაკვირვებულები გვიცქერდნენ და ისევ მიდიოდ ნენ, არც ერთს არ მოსვლია აზრად ეკითხა ,თუ რა გვატირებდა დედა-შვილს ამ მიზნით, სით ბოთი ,ხმაურითა და სიხარულით სავსე ქუჩაში.

ჩვენ კი ვისხედით ფილაქანზე და ვტიროდით.ვტიროდით და არავის არ გვრცხვენოდა .

***

ღამით მე ისევ მზე მეახლა, სხივი ჩამაბა წელზე ოქროს ბაწარივით და თავისკენ მიმიზიდა ,რაც უფრო ვუახლოვდებოდი მზეს ,იგი სულ უფრო გრილი ხდებოდა, სულ უფრო გრილი.

როდესაც მივუახლოვდი და ხელი შევახე ,მან არ დამწვა მე ,ჩვენ ერთად შევუდექით ვეებერ თელა აღმართს -მე და მზე, წინ-მზე და მე-უკან .ჩვენ ავედით სულ მაღლა. თოვლიან მწვერ ვალზე ,ისე მაღლა ,ისე მაღლა ,როგორც არავინ ,და მზე ვეღარ ადნობდა მარადიულ თოვლს.

-ეს არის ჯომოლუნგმა !თქვა მზემ, თეთრი ბაირაღი მომაწოდა და ჩემს გვერდით დადგა. მე გავშალე ბაირაღი, მაღლა აღვმართე და ავხედე. ქვეყნიერების თავზე თოვლივით თეთრი ბაირაღი ფრიალებდა ,როგორც სიკეთის ,სათნოებისა და სიყვარულის სიმბოლო.ერთი ვეებერთელა და უსპეტაკესი თეთრი ბაირაღი ფრიალებდა ქვეყნიერების თავზე !